49
ჟილეკ ბიბნი
ჩრდ. საფრანგეთი
ალბერტ საფაროვი
ჩრდ. საფრანგეთი
ალიმირ ნაბოკოვი
ლუჟინის დაცვა

ვლადიმირ ნაბოკოვი

ლუჟინის დაცვა

რუსულიდან თარგმნა
პაატა ჩხეიძემ

ამერიკელი რუსის რუსული რომანი

„მე ამერიკელი მწერალი ვარ, რომელიც რუსეთში დაიბადა, განათლება ინგლისში მიიღო, სადაც ფრანგულ ლიტერატურას სწავლობდა მანამ, სანამ თხუთმეტი წლით გერმანიაში გადასახლდებოდა“, – ეს ნაბოკოვის იმ „მარადიული კითხვის“ პასუხია, რომელიც ალბათ ყოველთვის დაისმება: სადაური მწერალია ვლადიმირ ნაბოკოვი? ეს კამათი არასდროს დასრულდება, მით უმეტეს, რომ რუსებს არასოდეს უყვარდათ ადვილად დათმობა, თუკი რამეს „ამოიჩემებდნენ“ და ეს ყოველთვის ასე იქნება. მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ კამათიდან მარტივი გამოსავალი არსებობს, იმდენად მარტივი, რომ არ მგონია, პირველი ვიყო, ვინც ეს პრობლემა გადაჭრა: გააჩნია, ნაბოკოვის რომელი ნაწარმოების ავტორზე ვმსჯელობთ, მისი სადაურობა ამის მიხედვით უნდა გადავწყვიტოთ. მაგალითად, თუკი „ლოლიტაზეა“ საუბარი, მისი ავტორი უდავოდ ამერიკელი მწერალია, მაგრამ როდესაც „ლუჟინის დაცვას“ ვკითხულობთ, ნაბოკოვის რუსობას ვერაფრით უარვყოფთ. თანაც არა მხოლოდ იმიტომ, რომ „ლოლიტა“ ინგლისურად დაწერა, ხოლო „ლუჟინის დაცვა“ რუსულად („ჩემი“ პრინციპით, ინგლისურენოვანი „მკრთალი ალი“ მის ყველაზე რუსულ რომანად მიმაჩნია).

დასაწყისში მოყვანილი მწერლისეული სიტყვები მაინც არ არის საკმარისი მისი „კოსმოპოლიტობის“ დასადასტურებლად – ახსოვს მსოფლიო ლიტერატურას პოეტები თუ პროზაიკოსები, რომლებსაც ერთ ქვეყანაში უწყვეტად ხუთიოდე წელზე მეტი არ უცხოვრიათ და მაინც რუს, გერმანელ, თუ ამერიკელ მწერლად დარჩენილან; მწერლის ოჯახის თავგადასავალიც, რომელიც „სტანდარტული“ ამბავია რუსი დიდგვაროვნების ოჯახებისა, რომლებმაც 1917 წლის ბოლშევიკურ გადატრიალებას ევროპაში გაასწრეს ქონების ნარჩენებით, ვერ იქნება ნაბოკოვის „მრავალენოვნებისა და მრავალეროვნების“ ერთადერთი ახსნა. მთავარი მიზეზი ალბათ ბავშვობაში, რუსეთშივე მიღებულ განათლებასა და ოჯახურ ტრადიციაში უნდა ვეძებოთ: მისივე თქმით, იგი ბავშვობიდან ერთნაირად ფლობდა რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს, ხოლო წერა-კითხვა რუსულზე ადრე ინგლისურად უსწავლია. აქედან გამომდინარე, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ რუსეთში დარჩენის შემთხვევაშიც არ გამოირიცხებოდა მის მიერ ინგლისურენოვანი ლიტერატურის შექმნა. თვითონ მწერალი ასე „ინაწილებს“ ამ სამ „შობლიურ“ ენას: „ჩემი თავი ინგლისურად საუბრობს, ჩემი გული – რუსულად, ხოლო ჩემი ყური – ფრანგულად“. მაშ ასე, „შევთანხმდით“: თქვენ ხელში რუსი მწერლის ნაწარმოები გიჭირავთ და მერწმუნეთ, მართლაც ლიტერატურული შედეგრის გაცნობა გელით. დიდ უსამართლობად მიმაჩნია (და მარტო მე არა), რომ ვლადიმირ ნაბოკოვი მხოლოდ 1955 წელს გამოქვეყნებული „ლოლიტათი“ გახდა დასავლეთში ზეპოპულარული. არადა, მასზე გაცილებით მაღალი დონის (მაპატიონ ეს თამამი აზრი

„ლოლიტას“ თაყვანისმცემლებმა) „ლუჟინის დაცვა“ მეოთხედი საუკუნით ადრე იყო გამოქვეყნებული. აქაც ორიგინალის ენამ ითამაშა გარკვეული როლი.

ვლადიმირ ნაბოკოვი 1899 წელს დაიბადა პეტერბურგში. მამამისი ცნობილი იურისტი და პოლიტიკოსი იყო – რუსეთის კადეტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, დედა – საარაკოდ მდიდარი ოქროსმომპოვებლის შვილი, პაპა (მამის მხრიდან) – რუსეთის იუსტიციის მინისტრი ალექსანდრე II-ისა და ალექსანდრე III-ის დროს, დედის მხრიდანაც არა მხოლოდ ოქროს საბადოებით გამდიდრებული „ფულის ტომრები“, არამედ რუსული არმიის გერმანელი გენერლები და მეფეთა საიდუმლო მრჩევლები ჰყავდა. ცხადია, განათლება ოჯახის სიმდიდრის შესაფერისი მიიღო და ნიჭიც ადრეულ ასაკში გამოავლინა. 16 წლისამ ბიძისაგან (დედის ძმისაგან) მემკვიდრეობად დიდი მამული და სასახლე მიიღო როჟდესტვენოში, პეტერბურგის ახლოს და მილიონი მანეთი ფულადაც, მაგრამ რამდენიმე თვეში რუსეთში „ძალიან მშივრები“ აუჯანყდნენ „ძალიან მაძღრებს“ და ამ უკანასკნელთაგან ვინც გაასწრო, ხომ კარგი, ხოლო დარჩენილთა უმეტესობა ბოლშევიკთა ბრბოების სისასტიკეს შეწირა. ნაბოკოვები არეულობას ყირიმში დაემალნენ. 1919 წელს კი, როდესაც ბოლშევიკებმა ყირიმიც დაიპყრეს, ოჯახმა სამუდამოდ დატოვა რუსეთი. ყირიმში ცხოვრების ორი წელიწადი ძალიან მნიშვნელოვანი გახდა ვლადიმირ ნაბოკოვისთვის – სწორედ იქ ქნა მას პირველი ლიტერატურული წარმატება და ალბათ, მაშინ გადაწყვიტა საბოლოოდ მწერლობა, იმის მიუხედავად, რომ ევროპაში ჩასვლის შემდეგ, გადარჩენილი საგვარეულო ძვირფასეულობის გაყიდვით აღებული ფული ბერლინში საცხოვრებლადაც ეყოთ და ნიჭიერი ჭაბუკის კემბრიჯში სასწავლებლადაც. კემბრიჯი და ენტომოლოგობა „მეორად“ საქმედ ექცა ნაბოკოვს, თუმცა „პეპლების ჭერა“ სამუდამო გატაცება დარჩა. 1922 წელს ინგლისიდან ბერლინში დაბრუნდა, რადგან ოჯახს ტრაგედია დაატყდა თავს – მწერლის (უკვე მწერლის) მამა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა ემიგრანტთა ერთ-ერთ შეკრებაზე მოკლეს. ამას ფინანსური პრობლემებიც დაერთო და ვლადიმირ ნაბოკოვი იძულებული გახდა, ინგლისურის კერძო გაკვეთილებით ერჩინა თავი. უეცრად თავს დამტყდარი სიღარიბე და მუდმივი სამსახურის უქონლობა გახდა იმის მიზეზიც, რომ საცოლის ოჯახმა ქორწინება ჩაშალა. ამ სირთულეების მიუხედავად, ნაბოკოვმა აღარ გადაუხვია დასახულ მიზანს: ის მეტ-ნაკლები წარმატებით მუდმივად აქვეყნებდა მოთხრობებს ბერლინის რუსულენოვან პერიოდიკაში, რომელიც მაშინ უხვად გამოდიოდა. 1925 წელს ახალი სიყვარული ქნა, პეტერბურგელი ებრაელის ქალიშვილზე დაქორწინდა, ხოლო 1926 წელს კი პირველი ნამდვილი მწერლური წარმატება ხვდა – მისმა რომანმა „მაშენკამ“ ევროპის რუსულენოვანი მკითხველის საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

აღიარებამ სტიმული მისცა და 1937 წლამდე კიდევ რვა რომანი გამოაქვეყნა რუსულ ენაზე. ამ წიგნებმა სახელი და ცოტა ფულიც მოუტანა, მაგრამ 30-იანი

წლების ბოლოს გერმანიაში დარჩენა უკვე სახიფათო იყო, მით უმეტეს ებრაელი ცოლით და ნაბოკოვებმა საფრანგეთში გადასახლება გადაწყვიტეს. სამ წელიწადში იქაც მიაკითხათ „მიხაკისფერმა ჭირმა“ და მდიდარი ებრაელების მიერ ნაქირავები გემით, მათთან ერთად ოკეანის გაღმა გაექცნენ სასიკვდილო საფრთხეს. ამერიკაში კი სულ სხვა ცხოვრება ელოდა – იქ დაიწყო „ნამდვილი ნაბოკოვი“. იმის მიუხედავად, რომ ჩასვლისთანავე მხოლოდ ინგლისურად წერდა, მის პირველ რომანებს კომერციული წარმატება არ მოჰყოლია და ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტში რუსული ლიტერატურის შესახებ ლექციების კითხვით იღებდა შემოსავალს. „ფულიანი წარმატება“ გვიან – 1955 წელს მოვიდა, „ლოლიტასთან“ ერთად და ამის შემდეგ „გაახსენდათ“, რომ ათუული წლებით ადრე ნაბოკოვს სხვა რომანებიც დაუწერია...

ისევ მის ამერიკელობაზე უნდა ვთქვა: ალბათ იქ მაინც ვერ იყო, როგორც საკუთარ სახლში, რადგან ფული იშოვა თუ არა, ისევ ევროპაში გადმოვიდა საცხოვრებლად, ამჯერად შვეიცარიაში, მონტრეში. სამუდამოდ იქირავა ნომერი ერთ კოხტა სასტუმროში, თითქმის ოცი წელი იქ ცხოვრობდა და იქვე გარდაიცვალა. მონტრეს ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად იმ სასტუმროს ეზოში მდგარი ქანდაკება ითვლება: მოკლე შარვალში გამოწყობილი მწერალი ახალდაბრუნებულია სეირნობიდან და სასტუმროს სკამზე ზის დაღლილი თუ ჩაფიქრებული. შესაძლოა მარადიული კითხვის პასუხზე ფიქრობს – „რუსობასა“ და „ამერიკელობაზე“...

„ლუჟინის დაცვაზე“ არაფერი გვითქვამს ფორმატის სიმცირის გამო. მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ: ნაბოკოვი პროფესიონალის დონეზე თამაშობდა ჭადრაკს, მრავალი ეტიუდისა და საჭადრაკო ამოცანის ავტორიც არის და როდესაც უჭირდა, ჭადრაკის გაკვეთილებითაც შოულობდა ფულს. მოჭადრაკეებსაც კარგად იცნობდა და რომანის ამბავსაც და მთავარ პერსონაჟსაც რამდენიმე პროტოტიპი ჰყავს: თვით ავტორი (ლუჟინის ბავშვობა, გიმნაზია, ემიგრაცია), მისი მეგობარი, გერმანელი დიდოსტატი კურტ ფონ ბარდელებენი, რომელმაც თავი მოიკლა, და მე-4 მსოფლიო ჩემპიონი ალიოხინი, რომლის ცნობილი პარტია იტალიელ მოჭადრაკესთან ზუსტად აქვს აღწერილი რომანში ნაბოკოვს და ლუჟინის მეტოქედაც იტალიელი ტურატი ჰყავს დახატული.

დღეს რუსები ძალიან ამაყობენ ნაბოკოვით, მისი სახლ-მუზეუმები გაიხსნა, წიგნებს გამოსცემენ და უნივერსიტეტებში სწავლობენ მის შემოქმედებას, თუმცა ყოველთვის „უხერხულად“ იქნებიან, როდესაც ნაბოკოვის ფრაზებს წაიკითხავენ ხოლმე მისი უარმყოფელი სამშობლოს შესახებ, მაგალითად ისეთს, როგორსაც „ლუჟინის დაცვაში“ ამოიკითხავთ ევროპაში სტუმრად ჩასული „საბჭოთა ქალის“ შესახებ: „მას ულმობლად სულელური თვალები ჰქონდა“!

ამ „ულმობელმა სისულელემ“ გადაკარგა ბევრი დიდი რუსი ცხრა მთას იქით...

ზვიად დოლიძე

1

ყველაზე მეტად იმან განაცვიფრა, რომ ორშაბათიდან ლუჟინი უნდა გამხდარიყო. მამამისი — ნამდვილი ლუჟინი, ხნიერი ლუჟინი, რომელიც წიგნებს წერდა, მისი სამყოფიდან გაღიმებული გამოვიდა და ინგლისური გამჭვირვალე ღამის კრემით შეზელილი ხელების ფშვნეტით ფეხაკრეფით დაბრუნდა საძინებელ ოთახში. ცოლი იწვა. მან თავი ოდნავ წამოსწია და ჰკითხა:

— რაო, რა თქვა?

კაცმა ნაცრისფერი ხალათი გაიხადა და უპასუხა:

— ყველაფერი მოგვარდა. მშვიდად შეხვდა. უჰ... გულზე მომეშვა.

— რა კარგია, — ცოლმა აბრეშუმის საბანი წაიხურა, — მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს...

ეს მართლაცდა დიდი შვება იყო. მთელი ზაფხული — მყისიერი სააგარაკო ზაფხული, რომელიც იასამნის, თივისა და ხმელი ფოთლების სუნით იყო გაჟღენთილი, მსჯელობდნენ, როდის და როგორ გაემხილათ მისთვის ეს. სულ სამერმისოდ დებდნენ სათქმელს და ამ წილადობილაში აგვისტოს ბოლომაც მოაღწია. ორივენი მის სიახლოვეს ტრიალებდნენ, გულის ფანცქალით ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ, მაგრამ როგორც კი ბიჭი თავს მაღლა ასწევდა, მამა მოჩვენებითი გულისყურით უკაკუნებდა თითს ბარომეტრის შუშას, რომლის ისარიც ყოველთვის ქარიშხალზე იყო მიბჯენილი, დედა სახლის სილრმეში უჩინარდებოდა, ყველა კარს ღია ტოვებდა და ავიწყდებოდა როიალის სახურავზე მიყრილი მაჩიტების თაიგული. ფაშფაშა ფრანგი ქალი, რომელიც მას ხმამაღლა უკითხავდა „მონტე-კრისტოს“ და ხშირად ჩერდებოდა, რათა მგრძნობიარედ წამოეძახა — „საბრალო, საბრალო დანტესი“, მშობლებს სთავაზობდა, — კატას ეჟვანს მე შევაბამო,

თუმცა ამ კატისა სიკვდილივით ეშინოდა. ბიჭს ეს „საბრალო, საბრალო დანტესი“ გულს ვერ უჩუყებდა, ქალის აღმზრდელობით ამოოხვრაზე მხოლოდ თვალებს ჭუტავდა, საშლელით ვატმანის ქაღალდს აწვალებდა და ცდილობდა, მისი ამობურცული ბიუსტი შეძლებისდაგვარად საშინლად დაეხატა.

დიდი ხნის შემდეგ, როცა მოულოდნელად დაუდგა იღბლიანი წელიწადი, აღფრთოვანებით გაიხსენა დრო, როცა ბაღის ხმაურში გაყურსულ ვერანდაზე წიგნს კითხულობდნენ. მოგონება მზითა და იმ ძირტკბილას ჩხირების მელნის მოტკბო გემოთი იყო გაჟღენთილი, რომლებსაც აღმზრდელი ჯაყვით აქუცმაცებდა და ბიჭს ურჩევდა, ენის ქვეშ ჩაიდეო. მიხაკები, რომელიც ერთხელ მოწნულ სავარძელზე დადო აღმზრდელის ზორზოხა გავით ატეხილი ტკაცატკუცის მოსასმენად, მის მოგონებებში მზესაც ნიშნავდა, ბაღის ხმაურსაც და კოღოსაც, გადატყავებულ მუხლზე მიკრული, ლალისფერ მუცელს განცხრომით რომ აქანქარებდა. ძირისძირობამდე იცნობს ათი წლის ბიჭი თავის მუხლებს — ქავილით დასისხლიანებული ბებერა, ხვინჭას, კენჭებისა და ეკლიანი წნელების ნაკაწრებით მოხატულ მზემოკიდებულ კანზე ფრჩხილების თეთრი კვალი... სატყლაშუნოს გადარჩენილი კოღო მიფრინავდა, აღმზრდელი სთხოვდა, არ ეცელქა, მას კი დაეკრიჭა უსწორმასწორო, ქალაქელი დანტისტის მიერ პლატინის მავთულშემოჭერილი კბილები, ქოჩორაპრეხილი თავი დაეხარა და ნაკბენ ადგილს გააფთრებით, ხუთივე თითით იფხანდა და იფხეკდა, ქალი კი ნელ-ნელა, შეძრწუნებული იწევდა გადაშლილი სახატავი რვეულისკენ, რომელშიც უცნაური კარიკატურა ჩანდა.

— არა, აჯობებს თვითონ ვუთხრა, — გაუბედავად გადახედა უფროსმა ლუჟინმა ქალს, — მოგვიანებით ვეტყვი. მანამდე კი მშვიდად წეროს ჩემი ნაკარნახები. „ვინ იცის, სად არის შენი სადარი, — რიტმულად კარნახობდა იგი და საკლასო ოთახში ბოლთას სცემდა, — ვინ იცის, სად არის შენი სადარი“.

და შვილიც წერდა, ლამის მაგიდაზე გაწოლილს, ლითონის ხარაჩოებში ჩასმული კბილები დაეკრიჭა და სიტყვების — „სად არის“ და „სადარის“ ნაცვლად ცარიელ ადგილებს ტოვებდა.

არითმეტიკის საქმე უკეთ მიდიოდა: იდუმალ ტკბობას გრძნობდა, როცა გრძელი, წვალებით მიღებული რიცხვი საჭირო წამს, ბევრი დავიდარაბის შემდეგ, უნაშთოდ იყოფოდა ცხრამეტზე.

უფროს ლუჟინს ეშინოდა, ვაითუ, როცა შვილი გაიგებს, თუ რატომ იყო ასე საჭირო სრულიად უსახური ტრუვორი და სინეუსი[1], რბილნიშნიანი სიტყვების ნუსხა და რუსეთის უმთავრესი მდინარეები, იგივე არ დაემართოს, რაც ორი წლის წინ, როდესაც ნელა და მძიმედ მომავალი ფრანგი ქალი გამოჩნდაო; მის მოსვლას კი თან ახლდა კიბის საფეხურების ჭრაჭუნი, სკივრების რახარუხი... მსგავსი არაფერი მომხდარა. ბიჭი მშვიდად უსმენდა და როცა მამამ, საინტერესო და მიმზიდველი წვრილმანებით რომ ცდილობდა სათქმელის გადმოცემას, სასხვათაშორისოდ აუწყა, ამიერიდან, როგორც მოზრდილს, გვარით მოგმართავენო, გაწითლდა, თვალები ააფახულა, ბალიშზე დაემხო და პირდაღებული მოჰყვა თავის ქნევას. „ნუ წრიალებ", — უთხრა დარცხვენილი შვილის ცრემლების მომლოდინე მამამ, მაგრამ ბიჭი არ ატირებულა — გაიბუსხა, სახე ბალიშში ჩარგო და ტუჩებით უცნაური ბგერები გამოსცა, მერე მოულოდნელად წამოხტა თმაჩეჩილი, თბილი, თვალებგაბრწყინებული და სწრაფად ჰკითხა, — შინაც ლუჟინს დამიძახებენ თუ არაო.

და ახლა, ამ ღრუბლიან, დაძაბულ დღეს, სადგურში მიმავალი უფროსი ლუჟინი ეტლში ცოლის გვერდით იჯდა, შვილს შესცქეროდა და შზად იყო, მაშინვე გაელიმა, თუ იგი ჯიუტად გვერდზე მიტრიალებულ თავს მისკენ მოაბრუნებდა. ვერ მიმხვდარიყო, რამ გაამაგრა ასე მოულოდნელად ბიჭი, როგორც ცოლი ამბობდა. ის კი, წაბლისფერ ლოდენში[2] გახვეული, წინა სკამზე იჯდა, გვერდზე მოეგდო მეზღვაურის ქუდი, რომლის გასწორებასაც დედამიწის ზურგზე ვერავინ გაუბედავდა, და გაჰყურებდა გზას, მსხვილტანიან არყის ხეებს, ცეკვა-ცეკვით რომ მიქროდნენ უკან, მათივე ფოთლებით სავსე არხების გასწვრივ.

---

[1] *ტრუვორი და სინეუსი — ვარიაგ რიურიკის ლეგენდარული ძმები (IXს.), ძველი რუსეთის მთავრები.*

[2] *ლოდენი — ხაკისფერი პალტო, შეკერილი სქელი, წყალგაუმტარი შალის ქსოვილით.*

— ხომ არ გცივა? — ჰკითხა დედამ, როდესაც ხიდისკენ გადახვევისას მოვარდნილმა ქარმა შლაპის ნაცრისფერი, ჩიტის ბუმბულზე ფუმფულა ბეწვი ტალღებად დაურწია.

— მცივა, — მიუგო შვილმა, თან მდინარეს მიშტერებოდა. დედამ კატასავით დაიკრუტუნა და მისი მოსასხამისკენ დააპირა ხელის წაღება, მაგრამ შვილის გამომეტყველებამ გადააფიქრებინა და მხოლოდ თითების მოძრაობით ანიშნა, — კარგად გაეხვიეო.

ბიჭი არ განძრეულა. პირზე მიკრული ვუალის მოსაცილებლად ქალმა ტუჩები გამობერა — ეს თითქმის ტიკად ქცეული მოძრაობა იყო — ქმარს შეხედა და უსიტყვოდ სთხოვა დახმარება. კაცსაც ლოდენის მოსასხამი ჰქონდა მოხვეული, სქელხელთათმნიანი ხელები კუბოკრულ პლედზე დაეწყო, ირიბად რომ ეშვებოდა ძირს და ციცქნა მდელოს ქმნიდა, შემდეგ კი კვლავ ზევით, პატარა ლუჟინის წელისკენ მიიწევდა.

— ლუჟინ, — თქვა კაცმა ნაძალადევი მხიარულებით, — ჰა, ლუჟინ!

და პლედის ქვეშ მსუბუქად წაჰკრა შვილს ფეხი. ლუჟინმა ფეხები შესწია. გამოჩნდა პრიალა ხავსმოდებული ქოხების სახურავები, ნახევრად წაშლილწარწერიანი (სოფლის დასახელება და კომლთა რაოდენობა) ნაცნობი ძველი ბოძი, აი, წერო, სათლი, ტალახი, ფითქინაფეხებიანი დედაკაცი. სოფლის მერე ფეხით აუყვნენ აღმართს, მათ უკან, ქვევით, მეორე ეტლი გამოჩნდა, რომელშიც ერთმანეთის მოძულე ქალები — ფრანგი აღმზრდელი და მნე ჩაკვეხებულიყვნენ. მეეტლემ წაუსტვინა და ცხენები ჩორთზე გადავიდნენ. ნაწვერალის თავზე, გაცრეცილ ცაში, ნელა დაფრინავდა ყვავი.

სადგური სახლიდან ორ ვერსზე[1] იყო, იქ, სადაც ნაძვნარში გამავალი ხმაურიანი შანდაკი პეტერბურგისკენ მიმავალ გზატკეცილს კვეთდა და რელსებს მიღმა, შლაგბაუმის ქვეშ, სადღაც მიემართებოდა.

— თუ გინდა, მარიონეტებით გაერთე, — ქლესურად უთხრა უფროსმა ლუჟინმა, როდესაც ბიჭი ეტლიდან ჩამოხტა და მიწას ჩააშტერდა, თან კისერს ატრიალებდა, რადგან ლოდენის ბეწვი

[1] *ვერსი — ძველებური რუსული სიგრძის საზომი ერთეული, უდრის 1,06 კმ-ს.*

ჩხვლეტდა. მან უსიტყვოდ გამოართვა გაწვდილი ორშაურიანი. მეორე ეტლიდან მძიმედ ჩამოვიდნენ ფრანგი აღმზრდელი და მნე, ერთი — მარჯვნიდან, მეორე — მარცხნიდან. მამა ხელთათმანს იხდიდა. დედას პირბადე გადაეწია და უყურებდა მხარბეჭიან მებარგულს, პლედებს რომ იღებდა. მოვარდნილმა ქარმა ცხენებს ფაფარი აუშალა და მეეტლეს ჟოლოსფერი სახელოები დაუბერა.

ბაქანზე მარტო დარჩენილი ლუჟინი გაემართა შუშის ყუთისკენ, სადაც ხუთი შიშველფეხებიანი თოჯინა მონეტის ჩაგდებას ელოდებოდა, რათა გაცოცხლებულიყვნენ და ტრიალი დაეწყოთ; მაგრამ დღეს ეს ამაო იყო, რადგან ავტომატი გაფუჭებული აღმოჩნდა და უზალთუნი ტყუილუბრალოდ დაიკარგა. ლუჟინი შეყოვნდა, შემდეგ შეტრიალდა და ბაქნის კიდისკენ წავიდა. მარჯვნივ, უზარმაზარ ფუთაზე, გოგონა იჯდა, იდაყვით ხელისგულს დაყრდნობოდა და მწვანე ვაშლს ჭამდა. მარცხნივ კრაგებიანი[1], ხელჯოხიანი კაცი იდგა და შორს, ტყის პირს გასცქეროდა, საიდანაც რამდენიმე წუთში მატარებლის მოახლოების მაუწყებელი თეთრი კვამლი უნდა გამოჩენილიყო. წინ, რელსებს გადაღმა, მიწაში ჩადგმული ქოხად ქცეული მეორე კლასის უბორბლო ყვითელი ვაგონის სიახლოვეს გლეხი შეშას ჩეხდა. მოულოდნელად ცრემლებმა მზერა დაუნისლა, ქუთუთოები აუწვა, შეუძლებელი იყო იმის გადატანა, რაც მალე უნდა მომხდარიყო: მამას ხელში მარაოსავით გაშლილი ბილეთები ეჭირა, დედა თვალებით ჩემოდნებს ითვლიდა, შემოვარდნილი მატარებელი, მებარგული, ვაგონის ბაქანს კიბეს რომ ადგამდა, რათა მგზავრები დაუბრკოლებლად ასულიყვნენ... ბიჭმა მოიხედა. გოგონა კვლავ ვაშლს ჭამდა; კრაგებიანი კაცი შორს იყურებოდა; ირგვლივ სიმშვიდე სუფევდა. ვითომდა სეირნობით ბაქნის ბოლოში გავიდა, მერე მოულოდნელად ნაბიჯს აუჩქარა და საფეხურები ჩაირბინა — წინ იყო გათელილი ბილიკი, სადგურის უფროსის ბაღი, ღობე, ჭიშკარი, ნაძვები, შემდეგ პატარა ხრამი და ხშირი ტყე.

ჯერ ტყით გარბოდა, გვიმრებს შრიალით მიარღვევდა, ფეხი მოწითალო შროშანის ფოთლებზე უსრიალებდა, ზურგზე გადავარდნილ ქუდს მხოლოდ რეზინი იჭერდა, ქალაქური შალის წინ-

[1] *კრაგი — „საყელო“, ტყავის წვივსაკრავი.*

დები მუხლებს უხურებდა, სირბილისას ტიროდა, შუბლზე ტოტის მოხვედრისას ბავშვურად, ლიყიანად ილანძღებოდა. ბოლოს შეჩერდა და აქოშინებულმა ისე ჩაიცუცქა, რომ ლოდენმა ფეხები დაუფარა.

მხოლოდ დღეს, სოფლიდან ქალაქში გადასვლისას, რასაც თან ბევრი უსიამოვნება ახლდა, როდესაც სახლში ორპირი ქარი ქროდა და გშურდა მებაღისა, რომელსაც არსად მიეჩქარებოდა, გააცნობიერა იმ ცვლილების საშინელება, რაც მამამ გაუმხილა. უწინ საშემოდგომოდ ქალაქში დაბრუნება, ახლა ბედნიერებად მოეჩვენა. აღარასოდეს განმეორდებოდა ფრანგ აღმზრდელთან ერთად დილაობით გასეირნება. ყოველთვის ერთსა და იმავე ქუჩებს გაივლიდნენ, ნევის პროსპექტით სანაპიროს გაუყვებოდნენ და შინისკენ გასწევდნენ. ზოგჯერ სთავაზობდნენ, სეირნობა სანაპიროდან დაეწყოთ, მაგრამ უარობდა, განა იმიტომ, რომ ბავშვობიდან ასე იყო მიჩვეული, არამედ იმის გამო, რომ სიკვდილივით ეშინოდა პეტრე-პავლეს ზარბაზნის ქუხილისა, რომელიც სახლების ფანჯრებს აზანზარებდა და ლამის ყურის აპკი გაეხეთქა. ისე ახერხებდა (შეუმჩნეველი მანევრებით) ხოლმე, რომ თორმეტ საათზე ნევის პროსპექტზე ყოფილიყო, ზარბაზნისგან შორს, თუ სეირნობის წესს შეცვლიდა, გასროლა ზედ სასახლესთან მოუსწრებდა. ცხადია, სასიამოვნო ფიქრებიც აეშლებოდა ხოლმე — ნასაუზმევს, დივანზე წამოწოლილი, ვეფხვისნახატიან საბანს გადაიფარებდა და თავს ოცნებას მისცემდა, ზუსტად ორ საათზე ვერცხლის ფინჯნით მიირთმევდა რძეს, რომელიც ამ ჭურჭელში საოცარ გემოს იძენდა, საშზე ლანდოთი[1] უნდა გაესეირნა. ყოველივე ამას ცვლიდა სიახლისა და შეუცნობლობის გამო საზიზღარი, გაუგებარი, მიუღებელი სამყარო, სადაც ელოდა ზედიზედ ხუთი გაკვეთილი და ბიჭების ჯგრო, იმათზე საშინელი, ცოტა ხნის წინ, ივლისის ერთ მშვენიერ დღეს, ხიდზე რომ შემოეხვივნენ, თუნუქის პისტოლეტები დაუმიზნეს და რეზინის ბუნიკებმოხსნილი ჩხირები დაუშინეს.

დადუმებულ ტყეს ნესტი გასჯდომოდა. ტირილით გული რომ იჯერა, ბიჭი ხოჭოს გაეთამაშა, რომელიც ნერვიულად აცმაცუ-

[1] *ლანდო — მსუბუქი ოთხადგილიანი ეტლი გადასახსნელი სახურავით.*

ნებდა ულვაშებს, მერე კი მიდგა და დიდხანს ჩეჩქვავდა ქვით, რათა კვლავ და კვლავ ესმინა ქერეჯის ხრაშუნი. მოგვიანებით შეამჩნია, რომ ჟინჟღლავდა. წამოდგა, ნაცნობ ბილიკს მიაგნო და გაიქცა, ხანდახან ფესვებს წამოჰკრავდა ფეხს და წაიბორძიკებდა, არ ასვენებდა გაუცნობიერებელი შურისმაძიებლური აზრი — შინამდე მიეღწია და დამალულიყო, მთელი ზამთარი იქ გაეტარებინა და თავი საკუჭნაოში შენახული მურაბითა და ყველით გაეტანა. ათიოდე წუთი მიუყვებოდა ტყეში დაკლაკნილ ბილიკს, მერე მდინარისკენ დაეშვა, რომლის ზედაპირზეც წვიმის წვეთები წრეებს აჩენდნენ. კიდევ ხუთი წუთის შემდეგ გამოჩნდა ხეტყის სახერხი ქარხანა, წისქვილი, ხიდი, სადაც ნახერხი კაცს კოჭებამდე მისწვდებოდა და აღმართი, იასამნის გაშიშვლებულ ბუჩქებს მიღმა კი — სახლი. კედლის გასწვრივ ფეხაკრეფით გაიარა. სასტუმრო ოთახის ფანჯარა ღია იყო. წყალსადინარ მილთან მწვანე, გადაქერცლილ ლავგარდანზე აძვრა და რაფაზე გადაბობღდა. ოთახში შედგა და მიაყურადა. ჯიქურ მიშტერებოდა შავბაკენბარდებიანი ბაბუის, დედის მამის, დაგეროტიპს, რომელშიც მას ხელში ვიოლინო ეჭირა, მაგრამ როგორც კი პორტრეტს გვერდიდან შეხედა, გამოსახულება მაშინვე გაქრა, შუშაში გაფერმკრთალდა. ამ სევდიან გასართობზე სასტუმრო ოთახში შესვლისას უარს არასდროს ამბობდა. ცოტა ხნით ჩაფიქრდა, ზედა ტუჩი ააცმაცუნა და წინა კბილებზე ჩამოცმული პლატინის მავთული ალაყლაყდა. კარი ფრთხილად გააღო. შეაკრთო წკრიალა ექომ, პატრონების გამგზავრების შემდეგ ნაჩქარევად რომ შემოსახლებულიყო. დერეფანში გავარდა, კიბე აირბინა და სხვენში ამოყო თავი. ეს განსაკუთრებული სათავსი იყო. სარკმლიდან მოჩანდა ლამაზმოაჯირიანი კიბე, რომელიც ყავისფრად ბზინავდა და თანდათანობით ნისლში იკარგებოდა. მალე ქვემოდან, მამის კაბინეტიდან, ტელეფონის ყრუ ხმა გაისმა. შემდეგ კვლავ სიჩუმემ დაისადგურა.

ბიჭი ყუთზე მოკალათდა. გვერდით ისეთივე, ოღონდ თავღია ყუთი იდო, რომელშიც წიგნები ეწყო. კუთხეში, კედელზე მიყუდებულ გაურანდავ დაფასა და ვეებერთელა ფუთას შორის ქალის ველოსიპედი იდგა, უკანა ბორბლის გასწვრივ მწვანე, დახეული ბადე იყო გაჭიმული. რამდენიმე წუთში ლუჟინმა მოიწყინა, სწო-

რედ ისე, როცა ყელი ფლანელით ჰქონდა შეხვეული და გარეთ გასვლა ეკრძალებოდა. ყუთში ჩალაგებულ დამტვერილ, ნაცრისფერ წიგნებს ხელი შეეკარა და ზედ შავი ანაბეჭდები დატოვა. გარდა წიგნებისა, აქ იყო ერთადერთფრთიანი ვოლანი, უზარმაზარი ფოტოსურათი (სამხედრო ორკესტრი), გაბზარული ჭადრაკის დაფა და სხვა, არც ისე საინტერესო ნივთები.

ასე განვლო ერთმა საათმა. მოულოდნელად ბიჭს ხმები და სადარბაზო კარის რახუნი მოესმა, სარკმელში ფრთხილად გაიხედა. ქვემოთ მამას მოჰკრა თვალი — ყმაწვილივით ამორბოდა კიბეზე, მაგრამ სანამ ბაქანს მიაღწევდა, შეტრიალდა და მკვირცხლად დაეშვა ძირს. ქვემოდან ახლა გარკვევით ისმოდა მებუფეტის, მეეტლისა და დარაჯის ხმები. წუთის შემდეგ კიბე კვლავ გამოცოცხლდა — ამჯერად დედა მოდიოდა, ხელით კაბის კალთა აეკრიფა, მაგრამ ბაქნამდე არც ის მისულა, მოაჯირზე გადაწვა, შემდეგ კი ხელები გაშალა და სწრაფად ჩავიდა ქვევით. ბოლოს, კიდევ ერთ წუთში, ყველანი ზევით ამოლაგდნენ — მამას მელოტი თავი უბზინავდა, დედის შლაპაზე ჩიტი ისე ირხეოდა, როგორც ბატი მღელვარე ტბორში, მებუფეტეს ჭაღარა წვერი უცანცარებდა. მათ უკან მოდიოდნენ და წამდაუწუმ მოაჯირზე იხრებოდნენ მეეტლე, რატომღაც მერძევე აკულინა და წისქვილში ნანახი შავწვერა გლეხი, იმ კოშმარების მუდმივი მკვიდრი, მომავალში მოსვენებას რომ დაუკარგავდა. სწორედ მან, როგორც ყველაზე ღონიერმა, აიტაცა იგი და ეტლთან მიიყვანა.

2

უფროსი ლუჟინი, წიგნების მწერალი ლუჟინი, ხშირად ფიქრობდა, რა გამოვა ჩემი შვილისგანო. გარდა მივიწყებული რომანისა „მხუთრი“, მის ყველა ნაწარმოებში, რომლებიც ყმაწვილებისთვის, ჭაბუკებისთვის, საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის იყო დაწერილი და მაგარ, ლამაზყდიან წიგნებად გამოიცემოდა, ყოველთვის გამოკრთებოდა ქერათმიანი, ხან ცელქი, ხანაც ჩაფიქრებული ბიჭის სახე, რომელიც მევიოლინედ ან მხატვრად გა-

დაიქცეოდა ხოლმე და არასდროს კარგავდა ზნეობრივ სილამაზეს. ძლივს შესამჩნევი განსაკუთრებულობა, ასე რომ გამოარჩევდა მის შვილს სხვა ბავშვებისგან, რომლებიც, მისი აზრით, ჩვეულებრივ ადამიანებად უნდა გაზრდილიყვნენ (თუ ასეთთა არსებობას დავუშვებთ), ნიჭის საიდუმლო შფოთვად მიაჩნდა. კარგად ახსოვდა, რომ განსვენებული სიმამრი კომპოზიტორი იყო (სხვათა შორის, საკმაოდ მდარე და მოწიფულობაში ვირტუოზულობის საეჭვო ბრჭყვიალისკენ მიდრეკილი). ლითოგრაფიის მსგავს სასიამოვნო ოცნებებში ღამით, სანთლით ხელში, არაერთხელ ჩასულა სასტუმრო ოთახში კოჭებამდე თეთრ ღამისპერანგიანი ვუნდერკინდი და მისჯდომია უზარმაზარ შავ როიალს.

ეგონა, ყველას უნდა დაენახა მისი შვილის განსაკუთრებულობა; ეჩვენებოდა, რომ უცხო თვალი ამას, შესაძლოა, მასზე უკეთ ამჩნევდა. სკოლას, რომელიც საკუთარი ვაჟისთვის შეარჩია, სახელი გაეთქვა მოსწავლის ეგრეთ წოდებული „შინაგანი“ ცხოვრების მიმართ ყურადღებიანობით, ჰუმანურობით, დაკვირვებულობით, მეგობრული დამოკიდებულებით. თურმე, მისი დაარსების პირველ წლებში მასწავლებლები დიდ შესვენებას ბავშვებთან ერთად ატარებდნენ — ფიზიკოსი მხარს ზემოდან იყურებოდა და თოვლს აგუნდავებდა, მათემატიკოსს სირბილის დროს ბურთი ნეკნებში ხვდებოდა, დირექტორი კი მხიარული შეძახილებით აგულიანებდა მოთამაშეებს. ამგვარი თამაშები ახლა აღარ იმართებოდა, მაგრამ იდილიური დიდება მაინც შემორჩენილიყო. ბიჭის კლასის დამრიგებელი მეტყველების მასწავლებელი გახლდათ, მწერალ ლუჟინის კარგი ნაცნობი და, სხვათა შორის, მშვენიერი ლირიკოსიც, ანაკრეონტის[1] მიბაძვების კრებულის ავტორი.

— გვესტუმრეთ, — უთხრა იმ დღეს, როდესაც უფროსმა ლუჟინმა პირველად მიიყვანა შვილი სკოლაში, — ნებისმიერ ხუთშაბათს, თორმეტისთვის.

ლუჟინიც ესტუმრა. კიბეზე არავინ ჭაჭანებდა. სიჩუმე იდგა. დარბაზის გავლით სამასწავლებლოსკენ მიმავალს მეორე კლასიდან ყრუდ მოესმა ბავშვების გულიანი სიცილი. ყვითელ პარკეტზე ნაბიჯების ხმა განსაკუთრებით მკაფიოდ ისმოდა. სამასწავლე-

[1] *ანაკრეონტი — (ძვ. წ. VI-Vსს.) ძველბერძენი პოეტი.*

ბლოში მაუდგადაფარებულმა დიდმა მაგიდამ გამოცდები გაახსენა. აღმზრდელი იჯდა და წერილს წერდა.

შვილის სკოლაში შეყვანის შემდეგ აღმზრდელს ჯერ არ დალაპარაკებოდა და ახლა, ერთი თვის თავზე, მასთან შესახვედრად მიმავალი, სასიამოვნოს გაგონების მოლოდინს, მცირედ მღელვარებასა და რიდს შეეპყრო — ყველა იმ გრძნობას, რომელიც ოდესღაც, ყმაწვილკაცობისას განეცადა, როდესაც პირველი მოთხრობის გაგზავნის შემდეგ რედაქტორს სტუდენტური ფორმით გამოეცხადა. და ახლაც, როგორც მაშინ, გაოცების ნაცვლად, რომელსაც ბუნდოვნად ელოდა (უცხო ქალაქში ახალგაღვიძებულივით, ჯერაც თვალდახუჭულს, არაჩვეულებრივი, ბრწყინვალე დილა რომ ელანდება), ყველა იმ სიტყვის მაგიერ, რომელთაც ხალისით უკარნახებდა, მათი გაგონების იმედი რომ არ ჰქონოდა, პირქუში, ცივი შეფასება მოესმა, რამაც დაარწმუნა, რომ აღმზრდელს მასზე ნაკლებად ესმოდა მისი შვილისა. რაიმე იდუმალ ნიჭზე მასწავლებელს კრინტიც არ დაუძრავს. ფერმკრთალი, წვერმოშვებული სახე დახარა, ცხვირის ორივე მხარეს ვარდისფერი ღრმულები მოუჩანდა. მჭიდროდ მორგებული პენსნე მოიხსნა, ხელისგულით თვალები მოისრისა და ლაპარაკი დაიწყო. თქვა, ბიჭს უკეთაც შეუძლია სწავლა, მეგობრებთან კი, როგორც ჩანს, ურთიერთობა უჭირს, შესვენებებზე ცოტას დარბისო...

— ნიჭი უდავოდ აქვს, — თქვა აღმზრდელმა, როდესაც თვალზე მანიპულაციების ჩატარება დაასრულა, — მაგრამ ცოტათი მოდუნებულია.

იმავე წამს სადღაც, ქვემოთ, ზარის ხმა გაისმა, ზევით ამოაღწია და მთელ შენობას გულის გამგმირავად დაუარა. ორიოდე წამით სრული სიჩუმე ჩამოდგა, მერე კი ყველაფერი გამოცოცხლდა, ახმაურდა, ატყდა მერხების გადასაკეცების ტკაცატკუცი, დარბაზი ლაპარაკითა და ფეხების ბრაგაბრუგით აივსო.

— დიდი შესვენებაა, — თქვა აღმზრდელმა, — თუ გნებავთ, ეზოში ჩავიდეთ, ნახეთ, როგორ ცელქობენ ბავშვები.

მოსწავლეები სწრაფად ეშვებოდნენ ქვის კიბეზე, ბალუსტრადას ჩახვეულნი, ტყავისლანჩიანი სანდლებით საფეხურების გაპრიალებულ კიდეებზე სრიალებდნენ. ქვემოთ, საკიდრების ბნელ

ვიწრობში, ზოგი ფეხსაცმელს იცვლიდა, ზოგიც ფანჯრის განიერ რაფაზე იჯდა და ზონრებს ხვნეშით იკრავდა. უეცრად შვილს მოჰკრა თვალი, მხრებში მოხრილიყო და ზიზღით იღებდა ტომრიდან ჩექმებს. სიჩქარეში თეთრუა ბიჭმა ხელი უბიძგა. განზე გადგა და მოულოდნელად მამა დაინახა. მამამ გაუღიმა, ცალ ხელში კრაველის ქუდი ეჭირა, მეორით კი მხედრულად მისალმებას ცდილობდა. ლუჟინმა თვალები მოჭუტა და შეტრიალდა, თითქოს მამა ვერც კი შეამჩნიაო. იატაკზე მშობლისკენ ზურგით დაჯდა და ჩექმებს დაუწყო კირკიტი. ჩაცმული ბავშვები ზედ გადადიოდნენ, ის კი ყოველი მუჯლუგუნის შემდეგ უფრო იბუზებოდა და ბინდს აფარებდა თავს. როცა გრძელ, რუხ პალტოსა და კრაველის ქუდში გამოწყობილს (რომელსაც ერთი ბიჭი გამუდმებით იატაკზე უგდებდა) გამოსვლა ეღირსა, მამა უკვე კართან იდგა, ეზოს ბოლოში, და მისკენ მოთმინებით იყურებოდა. გვერდით აღმზრდელი ედგა. როდესაც ნაცრისფერი რეზინის ბურთი შემთხვევით მის ფეხებთან მიგორდა, სიტყვიერების მასწავლებელმა ინსტინქტურად განაგრძო მშვენიერი თქმულება: ისეთი სახე მიიღო, თითქოს ფეხით დარტყმას აპირებდა, უხერხულად ამოძრავდა, კინაღამ კალოში გასძვრა და გულიანად გაიცინა. მამამ ხელი შეაშველა, უმცროსმა ლუჟინმა კი დრო იხელთა და წინკარში დაბრუნდა, სადაც სრული სიმშვიდე სუფევდა, მხოლოდ საკიდრებში მიმალული კარისკაცი ამთქნარებდა განცხრომით. კარის შუშაში, ვარსკვლავისებური ცხაურის თუჯის სხივებს შორის, ბიჭმა თვალი მოჰკრა, რომ მოულოდნელად მამამ ხელთათმანი წაიძრო, აღმზრდელს სწრაფად დაეშვიდობა და კარში გაუჩინარდა. მხოლოდ ამის შემდეგ გამოძვრა ბიჭი, ფრთხილად შემოუარა მოთამაშეებს და მარცხნივ, თაღის ქვეშ შევიდა, სადაც შეშა ეწყო, საყელო აიწია და ნაპობებზე დაჯდა.

ასე იჯდა დაახლოებით ორას ორმოცდაათი დიდი შესვენების განმავლობაში, იმ წლამდე, როცა საზღვარგარეთ წაიყვანეს. ზოგჯერ აღმზრდელი მოულოდნელად კუთხიდან წაადგებოდა თავზე და ეუბნებოდა:

— სულ მარტო რატომ ხარ, ლუჟინ? იქნებ ამხანაგებთან ერთად გერბინა?

ლუჟინი თაკრიდან დგებოდა, თაღიდან ოთხკუთხა უკანა ეზოში გადიოდა, რამდენიმე ნაბიჯს გადადგამდა, ცდილობდა, ეპოვა წერტილი, თანაბრად დაშორებული მისი სამი კლასელისგან, რომლებიც ასეთ დროს განსაკუთრებით გამძვინვარებული იყვნენ, უფრთხოდა სხვების მიერ დარტყმულ ბურთს და როგორც კი დარწმუნდებოდა, მასწავლებელი შორს არისო, შეშის თაკრებს უბრუნდებოდა. ეს ადგილი პირველსავე დღეს აირჩია, იმ ბნელ დღეს, როდესაც ისეთი სიძულვილი და დამცინავი ცნობისმოყვარეობა იგრძნო, რომ თვალები უნებურად აევსო ცხელი ლექით და რისთვისაც არ უნდა შეეხედა, რაიმეს დანახვის დაწყევლილი აუცილებლობის გამო, ყველაფერი უცნაურ ოპტიკურ მეტამორფოზას განიცდიდა. ცისფერუჯრედებიან ფურცელს ნისლი ფარავდა; შავ დაფაზე თეთრი ციფრები ხან პატარავდებოდა, ხან იდღაბნებოდა; მასწავლებლის ხმა თითქოს თანაბრად შორდებოდა და სულ უფრო ყრუდ და გაურკვევლად ისმოდა. მერხზე მის გვერდით მჯდომი თანაკლასელი კი, ლოყებშეღინღლული, მელასავით მტარვალი, ჩუმად, კმაყოფილებით ამბობდა: — ახლა ატირდებაო. მაგრამ ერთხელაც არ ატირებულა, მაშინაც კი, როდესაც საპირფარეშოში ცდილობდნენ, თავი დაბალ უნიტაზში ჩაეყოფინებინათ, სადაც ყვითელი ბუშტუკები ბუყბუყებდა.

— ბატონებო, — თქვა აღმზრდელმა ერთ-ერთ პირველ გაკვეთილზე, — თქვენი ახალი ამხანაგი მწერლის შვილია, რომლის ნაწარმოებებიც, შესაძლოა, ჯერ არ წაგიკითხავთ, მაგრამ მოგიწევთ წაკითხვა.

და დაფაზე მსხვილი ასოებით დაწერა, თან ისე ღონივრად აწვებოდა ცარცს, რომ ლამის ხელში ჩაეფშვნა: „ანტოშას თავგადასავალი, სილვესტროვის გამომცემლობა“. აქედან მოყოლებული, ორი-სამი თვის განმავლობაში ლუჟინს ანტოშას ეძახდნენ. იდუმალსახიანმა მტარვალმა კლასში წიგნი მოიტანა და გაკვეთილის დამთავრების შემდეგ ხმამაღლა დაიწყო კითხვა შუიდან, თან სიტყვებს განგებ ამახინჯებდა. პეტრიშჩევმა, რომელიც მის მხარს ზემოდან იყურებოდა, გადაფურცვლა არ დაანება და წიგნი გაიხა. კრებსმა სხაპასხუპით მიაყარა:

— მამაჩემი ამბობს, ვერაფერი ხვითო მწერალიაო.

— დაე, ანტოშამ ხმამაღლა წაგვიკითხოს! — წამოიძახა გროგმოვმა.

— აჯობებს, ყველას პატარ-პატარა ნახევი დავურიგოთ, — თქვა კლასის მასხარამ, რომელმაც გააფთრებული ბრძოლით ჩაიგდო ხელში ლამაზი, მოწითალო-მოოქროსფრო წიგნი. ფურცლები მთელ კლასში გაიფანტა. ერთზე ეხატა — ქუჩის კუთხეში თვალნათელი გიმნაზიელი თავის საუზმეს გაქუცულბეწვიან ძაღლს აჭმევდა. მეორე დღეს ლუჟინს ეს ფურცელი მერხის გადასაკეცის შიგა მხარეს დახვდა — ვიღაცას ჭიკარტებით კოხტად მიემაგრებინა.

თუმცა მალე მას თავი დაანებეს, იშვიათად თუ წამოისროდა ვინმე სულელურ მეტსახელს, მაგრამ ვინაიდან ბიჭი ჯიუტად არაფერს ამბობდა, ბოლოს ისიც თანდათან მიივიწყეს. ლუჟინს აღარ ამჩნევდნენ, აღარ ელაპარაკებოდნენ, ერთადერთი წყნარი ბავშვიც აღარ ეკარებოდა (ასეთი ყოველ კლასშია, ისევე, როგორც მსუქანი, ჯანიანი ხუმარა) იმის შიშით, მეც მისი საზარელი ბედი არ გავიზიაროო. როდესაც ეს ჩუმჩუმელა, ექვსიოდე წლის შემდეგ წმინდა გიორგის ჯვარი რომ მიიღო ძალზე სახიფათო სადაზვერვო ოპერაციისთვის, შემდეგ კი ხელიც დაკარგა სამოქალაქო ომში, ცდილობდა, გაეხსენებინა (ამ საუკუნის ოციან წლებში[1]), თუ როგორი იყო ლუჟინი სკოლაში, მის წარმოდგენას მხოლოდ ზურგიდან ახერხებდა, რომელიც კლასში ხან მის წინ იჯდა ყურებგაფარჩხული, ხან დარბაზის ბოლოში გაურბოდა ხმაურს, ხანაც ეტლით შინ მიდიოდა — ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, ზურგზე მოკიდებული დიდი ჭრელი ჩანთით, გაუთავებელ თოვაში... ცდილობდა, მისთვის წინიდან შემოერბინა და სახეში შეეხედა, მაგრამ მივიწყების განსაკუთრებული, უტყვი და ხვავრიელი თოვლი მოგონებას უწყვეტი თეთრი ლექით უნისლავდა. და ყოფილი ჩუმჩუმელა, ამჟამად მოუსვენარი ემიგრანტი, გაზეთში დაბეჭდილ პორტრეტს დასცქეროდა და ამბობდა:

— სრულიად არ მახსოვს მისი სახე... სრულიად არ მახსოვს...

ოთხი საათისთვის ფანჯარასთან მდგარი უფროსი ლუჟინი მოახლოებულ მარხილსა და შვილის მკრთალი ლაქის მსგავს სახეს

[1] *XX საუკუნის 20-იანი წლები.*

ხედავდა. მოსვლისთანავე ბიჭი, ჩვეულებისამებრ, კაბინეტში შედიოდა მამასთან, ლოყას ლოყაზე მიადებდა, ჰაერს კოცნიდა და მაშინვე წასასვლელად შეტრიალდებოდა.

— მოიცადე, — ეუბნებოდა მამა, — მოიცადე. დღევანდელი ამბები მომიყევი. გამოგიძახეს?

ხარბად შესცქეროდა შვილს, რომელიც პირს არიდებდა. უნდოდა, მხრებში ხელი ჩაევლო, ცოტა შეენჯღრია, მაგრად ეკოცნა ფერმკრთალ ლოყაზე, თვალებში, ნაზ საფეთქელზე.

სკოლაში სწავლის პირველ ზამთარს პატარა ლუჟინს გულის ამაჩუყებელი მსუბუქი ნივრის სუნი ასდიოდა, რადგან ექიმმა დარიშხანის ხსნარის შესხურება გამოუწერა. პლატინის მავთული კი მოხსნეს, მაგრამ კბილების კრეჭა და ზედა ტუჩის ჩაკეცვა ჩვეულებად ექცა. ნაცრისფერი ინგლისური კოსტიუმი ეცვა — პიჯაკს უკან ჩაკერებული ჰქონდა პატარა ქამარი, მოკლე შარვალს მუხლქვემოთ ღილები ამშვენებდა. იდგა საწერ მაგიდასთან, წონასწორობას ცალი ფეხით იცავდა და მამა მის თვალშეუვალ მოღუშულობას ვერაფერს უბედავდა. ბიჭი მიდიოდა და ჩანთას ნოხზე მიათრევდა, უფროსი ლუჟინი კი იდაყვებით მაგიდას ეყრდნობოდა, სადაც სკოლის ლურჯ რვეულებში (ახირება, რომელიც, შესაძლოა, სათანადოდ დააფასოს მომავალმა ბიოგრაფმა) მორიგ მოთხრობას წერდა, თან ყურს უგდებდა გვერდით, სასადილო ოთახში ცოლის ლაპარაკს, — კაკაოს დალევას და სიჩუმეს რომ სთხოვდა შვილს.

„საშინელი სიჩუმეა, — ფიქრობდა უფროსი ლუჟინი, — ავადაა, რაღაც მძიმე სულიერი განცდა აწუხებს... მგონი, სკოლაში არ უნდა შემეყვანა. მაგრამ ხომ უნდა მიეჩვიოს ბიჭებთან ყოფნას... გამოცანაა, გამოცანა“...

— კექსი მაინც შეჭამე, — მწუხარედ განაგრძობდა ხმა კედელს მიღმა.

და კვლავ სიჩუმე. იშვიათად საშინელებაც ხდებოდა: უეცრად საიდანღაც სხვა, ხრინწიანი წივილი გაისმოდა და კარი ისე ბრახუნოდა, თითქოს გრიგალი აჯახუნებსო. წამოხტებოდა და სასადილო ოთახში შერბოდა, ხელში კალამი ისარივით ეჭირა. ცოლი აკანკალებული ხელებით სუფრიდან გადაყირავებულ ფინჯანსა და ლამბაქს იღებდა და ამოწმებდა, ხომ არ გაიბზარაო.

— სკოლის შესახებ ვეკითხებოდი, — ქალი ქმარს მზერას არიდებდა, — პასუხის გაცემა არ სურდა, მერე კი, აი... ცოფიანივით...

ორივენი ერთად აკვირდებოდნენ შვილს. ფრანგი აღშფოთებული შემოდგომაზე პარიზში გაემგზავრა და ახლა არავინ იცოდა, რას აკეთებდა ბიჭი თავის ოთახში. კედლებზე თეთრი შპალერი გაეკრათ, მის ზემოთ კი ცისფერი ზოლი მოჩანდა, რომელზეც ნაცრისფერი ბატები და წითური ლეკვები ეხატა. ბატი ლეკვს უტევდა და ასე მეორდებოდა ოცდათვრამეტჯერ მთელ ოთახში. თაროზე გლობუსი და ოდესღაც ვერბეში ნაყიდი ციყვის ფიტული იდგა. საკარძლის არშიებქვემოდან მწვანე ორთქლმავალი იყურებოდა. კარგი, ნათელი ოთახი იყო, შპალერიც მხიარული, ნივთებიც.

არც წიგნები აკლდა. მამის მიერ დაწერილი წიგნები, ოქროსფერი და წითელი რელიეფური ყდებით, პირველ გვერდზე გაკეთებული წარწერით: „დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი ვაჟი ადამიანებსა და ცხოველებს ყოველთვის ანტოშასავით მოექცევა“ — და დიდი ძახილის ნიშანი. ანდა: „შვილო, ამ წიგნის წერისას შენს მომავალზე ვფიქრობდი“. ეს წარწერები მამისადმი ბუნდოვანი სირცხვილის გრძნობას აღუძრავდა, წიგნები კი ისეთივე მოსაწყენი იყო, როგორიც „ბრმა მუსიკოსი“ [1] ან „ფრეგატი პალადა“[2]. პუშკინის დიდ ტომს, რომელსაც მსხვილტუჩებიანი, ხუჭუჭთმიანი ბიჭუნას პორტრეტი აშშვენებდა, გადაშლა არასდროს ღირსებია. სამაგიეროდ, იყო ორი წიგნი — ორივე დეიდის ნაჩუქარი, — რომლებიც სამუდამოდ შეიყვარა და ლუპით გადიდებულივით ყოველთვის ახსოვდა. ოცი წლის თავზე ხელახლა წაიკითხა. მხოლოდ შემოკლებული გამოცემის მშრალად მონათხრობი აღმოაჩინა და ველარ იპოვა ის გულში ჩარჩენილი უკვდავი სახეები. მაგრამ შორეულ მოგზაურობათა წყურვილი როდი აიძულებდა ფილეას ფოგის[3] კვალდაკვალ სიარულს, და არც საიდუმლოებებით მოცული თავგადასავლებისადმი ბავშვური სწრაფვა იზიდავდა

---

[1] *„ბრმა მუსიკოსი“ — რუსი მწერლის, ვ. კოროლენკოს (1853-1921) მოთხრობების კრებული.*

[2] *„ფრეგატი პალადა“ — რუსი მწერლის, ი. გონჩაროვის (1812-1891) რომანი.*

[3] *ფილეას ფოგი — ჟიულ ვერნის რომანის „80 დღე დედამიწის გარშემო“ მთავარი გმირი.*

ბეიკერსტრიტზე[1] მდგარი სახლისკენ, სადაც კოკაინის დოზის მიღების შემდეგ არწივისპროფილიანი აწოწილი მაძებარი მეოცნებე სახით უკრავდა ვიოლინოზე. მხოლოდ ძალიან გვიან მიხვდა, თუ რატომ აღელვებდა ასე ეს ორი წიგნი: სწორად და ჯიუტად განვითარებადი ნახაზი — ფილეასი, ცილინდრიანი მანეკენი, თავის რთულ და დახვეწილ გზაზე გამართლებულ მსხვერპლს რომ არ ერიდებოდა, ხან მილიონად ნაყიდ სპილოზე ამხედრებული, ხანაც გემით, რომლის ნახევარიც საწვავად იხარჯებოდა; და შერლოკი, ლოგიკას ოცნების მშვენიერებას რომ აძლევდა; შერლოკი, ყველანაირი სახის სიგარის ფერფლს მონოგრაფია რომ უძღვნა, და ამ ფერფლთან ერთად, როგორც თილისმით, შესაძლო დედუქციათა ბროლის ლაბირინთში მიიკვლევდა გზას ერთადერთი ნათელი დასკვნისკენ. საშობაოდ მშობლების მიერ მოწვეულმა მეფოკუსემ საკუთარ თავში დროებით რაღაცნაირად ფოგიცა და ჰოლმსიც გააერთიანა და იმ დღეს განცდილმა უცნაურმა ტკბობამ შეარბილა ის უსიამოვნებანი, რაც მეფოკუსის გამოსვლას ახლდა თან. ვინაიდან თხოვნამ, იშვიათმა მორიდებულმა თხოვნამ — „მოიწვიე შენი სკოლის მეგობრები“, შედეგი არ გამოიღო, უფროს ლუჟინს სჯეროდა, რომ ეს სასარგებლოც იყო და სამხიარულოც, მოიწვია ორი ნაცნობის შვილები, რომლებიც ბიჭის სკოლაში სწავლობდნენ. მათ გარდა შორეული ნათესავის ბავშვებიც დაპატიჟა, ორი წყნარი, თიმთიმა ბიჭი და სქელ შავნაწნავიანი ფერმკრთალი გოგონა. ბიჭებს მეზღვაურის კოსტიუმები ეცვათ და პომადის სუნი ასდიოდათ. შეძრწუნებულმა პატარა ლუჟინმა იცნო მესამეკლასელი ბერსენევი და როზენი, რომლებსაც სკოლაში დაუდევრად ეცვათ და სიანცით გამოირჩეოდნენ.

— ესეც ასე, — მხიარულად თქვა უფროსმა ლუჟინმა, რომელსაც ხელი შვილის მხარზე დაედო (მხარი ნელ-ნელა სცილდებოდა მის ხელისგულს), — ახლა მარტო დაგტოვებთ — ერთმანეთი გაიცანით, ითამაშეთ, — მერე დაგიძახებთ, სიურპრიზი გელით.

ნახევარი საათის შემდეგ იგი მათ დასაძახებლად წავიდა. ოთახში სიჩუმეს დაესადგურებინა. გოგონა კუთხეში მოკალათებულიყო,

---

[1] *ბეიკერსტრიტი — ქუჩა, რომელზეც სახელგანთქმული შერლოკ ჰოლმსი ცხოვრობდა.*

„ნივას“ დამატებას ფურცლავდა და ნახატებს ეძებდა, ჭარხალივით გაწითლებული და თმაზე პომადაწასმული ბერსენევი და როზენი დარცხვენილებივით ისხდნენ დივანზე, ფუშფუშა დისშვილები ოთახში დაბორიალებდნენ, უგულოდ ათვალიერებდნენ კედლებზე ჩამოკიდებულ ინგლისურ გრავიურებს, გლობუსს, ციყვს, კარგა ხნის წინ გატეხილ, მაგიდაზე დაგდებულ პედომეტრს[1]. თვითონაც მეზღვაურის კოსტიუმში გამოწყობილი, თეთრი თასმითა და სასტვენით მკერდდამშვენებული ლუჟინი ფანჯარასთან ვენურ სკამზე იჯდა, წარბშეკრული იყურებოდა და ცერის ფრჩხილს იკვნეტდა. მაგრამ მეფოკუსემ ყველაფერი გამოისყიდა. ეს ხიბლი ვერ განამქვრია მეორე დღეს, უკვე ნამდვილი და საზიზღარი ბერსენევის და როზენის დაცინვამაც — ისინი სკოლის დარბაზში მასთან მივიდნენ, თავი მდაბლად დაუკრეს, მერე თავხედურად გადაიხარხარეს და ხელიხელგადახვეულნი რწევა-რწევით სწრაფად გაშორდნენ. სახემოღუშული შვილის თხოვნით, — ახლა რაც უნდა ეთქვა, წარბები ერთმანეთს ებმებოდა, — დედამ ქარვასლიდან წითლად შეღებილი ხის დიდი ყუთი და სასწაულების სახელმძღვანელო მოუტანა, რომლის ყდაზეც ვიღაც მედლებიან და ფრაკში გამოწყობილ ბატონს ბაჭიასთვის ყურებში ხელი წაევლო და ზევით აეწია. ყუთში ეწყო ორმაგფსკერიანი ზარდახშები, ვარსკვლავებიან ქაღალდგადაკრული ჯოხი, უხეში კარტის დასტა, რომელშიც ნახატების ნახევარს მეფეები და ვალეტები შეადგენდნენ, ნახევარს კი — მუნდირიანი ცხვრები, ჯიბეებიანი დასაკეცი ცილინდრი, გაურკვეველი დანიშნულების ხისსამაგრებიანი თოკი... პაწია კონვერტებში ფხვნილი ეყარა წყლის ლურჯად, წითლად და მწვანედ შესაღებად. წიგნი გაცილებით საინტერესო აღმოჩნდა და ლუჟინმა იოლად დაისწავლა რამდენიმე ფოკუსი კარტით, რომლებსაც შემდეგ საათობით უჩვენებდა საკუთარ თავს სარკის წინ. ეშმაკურად და ზუსტად აწყობილ ფოკუსში იდუმალ კმაყოფილებას, სხვა, ჯერ კიდევ უცნობი სიამოვნების ბუნდოვან დაპირებას გრძნობდა, მაგრამ ყველაფერს რაღაც მაინც აკლდა, ვერ გამოეცნო ის საიდუმლო, რომელიც იცოდა გამოცდილმა მეფოკუსემ, ჰაერში მანეთიანს რომ აჩენდა, ან დამსწრეთა მიერ ჩაფიქრებულ ჯვრის შვიდიანს რომ

[1] *პედომეტრი — ნაბიჯმზომი.*

გამოაძვრენდა შემცბარი როზენის ყურიდან. აღიზიანებდა წიგნში აღწერილი რთული მოწყობილობები. საიდუმლო, რომლისკენაც მიისწრაფოდა, უბრალოება გახლდათ, ურთულეს მაგიაზე მეტად განმაცვიფრებელი ჰარმონიული უბრალოება.

საშობაოდ გამოგზავნილ წერილობით შეფასებაში, ძალზე დაწვრილებით შეფასებაში, რომელშიც „ზოგადი შენიშვნების" რუბრიკაში ვრცლად, პლეონაზმებით[1] იყო აღწერილი მისი მოდუნებულობა, აპათია, მძინარობა და მოუქნელობა, ქულები კი ზედსართავი სახელებით ჩაენაცვლებინათ, აღმოჩნდა ერთი „არადამაკმაყოფილებელი" — რუსულში — და რამდენიმე „ოდნავ დამაკმაყოფილებელი" — სხვათა შორის, მათემატიკაში. მაგრამ სწორედ ამ დროს იგი უჩვეულოდ გაიტაცა ამოცანების კრებულმა, „მხიარულმა მათემატიკამ", როგორც ეს სათაურში იყო აღნიშნული, რიცხვების უცნაურმა ქცევამ, გეომეტრიული ხაზების უკანონო თამაშმა — ყველაფერმა, რაც სკოლის სახელმძღვანელოში არ ეწერა. დახრილი წრფის ასრიალება მეორე, ვერტიკალურ წრფეზე — მაგალითში, სადაც პარალელობის საიდუმლო იყო აღწერილი, ნეტარებასაც ჰგვრიდა და აძრწუნებდა კიდეც. ვერტიკალური, სხვა წრფეების მსგავსად, უსასრულოდ გრძელდებოდა, დახრილი კი, ისიც უსასრულო, მაღლა რომ მისრიალებდა, მუდმივი მოძრაობისთვის იყო განწირული, ვერაფრით ჩამოსრიალდებოდა, მათი გადაკვეთის წერტილი მის სულთან ერთად უსასრულო გზით მიქროდა მაღლა. მაგრამ სახაზავის საშუალებით აიძულებდა მათ, ერთმანეთს დასცილებოდნენ: უბრალოდ, ახალ პარალელურ წრფეებს ავლებდა, თან გრძნობდა, რომ იქ, უსასრულობაში, სადაც მან დახრილ ხაზს ჩამოხტომა აიძულა, წარმოუდგენელი კატასტროფა მოხდა, ენით აუწერელი სასწაული, და დიდი ხნით გაირინდებოდა ხოლმე ამგვარ ცაში, სადაც დედამიწის ხაზები ჭკუას კარგავდნენ.

ერთხანს დროებით სიმშვიდეს დასაკეც ნახატებში მიაგნო. თავდაპირველად ეს უბრალო, ბავშვური, კიდეებზე მრგვალკბი-

---

[1] *პლეონაზმი — წინადადების კონსტრუქცია, რომელიც შეიცავს ერთნაირი მნიშვნელობის მქონე (ხშირად ლოგიკურად ზედმეტ) სიტყვებს.*

ლანებიანი, პეტიბერის ნამცხვრების[1] მსგავსი დიდი ნაჭრები იყო. ერთმანეთს ისე მაგრად გადაებმებოდნენ ხოლმე, რომ აწყობის შემდეგ სურათის ერთიანად აწევისას მისი ნაწილებად დაშლის მცირედი საფრთხეც კი არ არსებობდა, მაგრამ იმ წელს ინგლისურმა მოდამ მოზრდილთათვის დასაკეცი, ძალზე იკლიკანტურად გამოჭრილი ნახატები გამოიგონა, — პეტოსთან მათ „პუზელებს“ ეძახდნენ, — ყველანაირი მოხაზულობის ნაჭრები, უბრალო წრით დაწყებული (საბოლოოდ ცისფერი ცის ნაწილი) და ღვლარჭნილებით დამთავრებული — ნაირგვარი კუთხეებით, კონცხებით, სრუტეებით, ეშმაკური შვერილებით, კაცი რომ ვერაფრით მიხვდებოდა, სად მოერგებოდა — შეავსებდა თუ არა ძროხის თითქმის დასრულებულ ჭრელ ტყავს, იყო თუ არა მწვანე ფონზე არსებული სიმუქე არგნის[2] ჩრდილი, რომლის ყური და მცირედი სიშავე გარკვევით ჩანდა რომელიღაც ნაჭერზე. და როცა მარცხნიდან თანდათანობით გამოჩნდებოდა ძროხის გავა, მარჯვნიდან, ბალახზე — სალამურიანი ხელი, ლაჟვარდოვანი ცის ზემოთ თანაბრად ვრცელდებოდა სიცარიელე, ცისფერი წრე კი ლაღად შეცურდებოდა ცის კაბადონზე, — ლუჟინი საოცარ მღელვარებას გრძნობდა ამ ჭრელაჭრელა ნაჭრების ზუსტი თანხვედრით, ბოლო წამს მკაფიო სურათს რომ ქმნიდნენ. იყო ძალზე ძვირად ღირებული, ათასობით დეტალისგან შემდგარი თავსატეხებიც. ისინი დეიდას მოჰქონდა, მხიარულ, ნაზ, წითურთმიან დეიდას, — და ბიჭი საათობით დაჰყურებდა დარბაზში მდგარ ლომბერის მაგიდას[3], ფოსოში ჩასმამდე კბილანას თვალით ზომავდა, აფასებდა, მოერგებოდა თუ არა, ოდნავ შესამჩნევი ნიშნების მიხედვით წინდაწინვე ცდილობდა ნახატის გამოცნობას. მეზობელი ოთახიდან, სადაც სტუმრები ხმაურობდნენ, დეიდა სთხოვდა: — გეხვეწები, არაფერი დაგეკარგოსო!

ზოგჯერ მამა შემოვიდოდა, ნაჭრებს დახედავდა, ხელს მაგიდისკენ გაიწვდიდა და ამბობდა: — ეს უეჭველად აქ უნდა მოთავსდეს.

---

[1] *პეტიბერის ნამცხვრები — ფრანგი კონდიტერის პეტი ბერის მიერ შექმნილი ფხვიერი ნამცხვარი.*

[2] *არგანი — გრძელი საბჯენი ჯოხი.*

[3] *ლომბერის მაგიდა — მაუდგადაკრული დასაკეცი მაგიდა კარტის სათამაშოდ.*

მაშინ ლუჟინი თავმოუბრუნებლად ბუტბუტებდა: — სისულელეა, სისულელე, ხელს ნუ მიშლით.

მამა ქოჩორზე ტუჩებით ფრთხილად ეხებოდა და მიდიოდა. ჩაუვლიდა მოოქრულ სკამებს, დიდ სარკეს, მობანავე ფრინას[1] ასლსა და ფარჩის ასალგადაფარებულ შუშის სქელწაღებიან დიდ, მდუმარე როიალს.

3

მხოლოდ აპრილში, სააღდგომო არდადეგებზე დაუდგა ლუჟინს ის გარდაუვალი დღე, როდესაც მოულოდნელად მთელი სამყარო ჩაქრა, თითქოს ამომრთველი ამოატრიალესო, და წყვდიადში ერთიღა კაშკაშებდა, ახალშობილი სასწაული, ბრწყინვალე პატარა კუნძული, რომელთანაც ბედისწერამ სამუდამოდ დააკავშირა. ბედნიერება, რომელსაც ჩაებღაუჭა, შეჩერდა. აპრილის ეს დღე სამუდამოდ ჩაკვდა, სადღაც კი, სხვა სიბრტყეში, დღეს დღე მისდევდა, ქალაქურ გაზაფხულს — სოფლური ზაფხული — ეს შფოთიანი დინებები მას თითქმის არ ეხებოდა.

ყველაფერი უბრალოდ დაიწყო. სიმამრის გარდაცვალების წლისთავზე უფროსმა ლუჟინმა თავის ბინაში მუსიკალური საღამო მოაწყო. თვითონ მუსიკისა ბევრი არაფერი გაეგებოდა, გულში სამარცხვინოდ ეტრფოდა „ტრავიატას“[2], კონცერტებზე როიალს მხოლოდ დასაწყისში უსმენდა, მერე კი შავ ლაქში არეკლილ პიანისტის ხელებს მიშტერებოდა. მაგრამ მუსიკალური საღამოს მოწყობა განსვენებული სიმამრის ნაწარმოებების შესრულებით ძალაუნებურად მოუხდა: გაზეთები მეტისმეტად დუმდნენ, — ეს სრული, მძიმე, უიმედო მივიწყება იყო, — და ცოლი მოცახცახე ღიმილით იმეორებდა, რომ ყველაფერი ინტრიგების, ინტრიგებისა და კვლავაც ინტრიგების ბრალი იყო, რომ მამამისის ნიჭისა მის სიცოცხლეშივე შურდათ, ახლა კი მისი დიდების მიჩქმალვას

---

[1] *„მობანავე ფრინა“ — ბერძენი მხატვრის, აპელესის ნახატი. ფრინა (ძვ. წ. 390-330) — სილამაზით სახელგანთქმული ათენელი ჰეტერა.*

[2] *„ტრავიატა“ — იტალიელი კომპოზიტორის, ჯუზეპე ვერდის (1813-1901) ოპერა.*

ცდილობდნენ. გულამოღებულ შავ კაბაში გამოწყობილს დიდებული ბრილიანტის ყელსაბამი ეკეთა, ფუმფულა, თეთრ სახეზე იშვიათად ნაალერსალის გამომეტყველება ეწერა, სტუმრებს წყნარად, შეძახილების გარეშე ხვდებოდა, რაღაცას სწრაფად, ნაზად წასჩურჩულებდა და მორცხვობისგან ნამალევად აფორიაქებული, თვალებით ერთთავად ქმარს ეძებდა, რომელიც პატარა ნაბიჯებით, ჟილეტს მოწოლილი გახამებული ჯავშნით დადიოდა წინ და უკან — ეს გულკეთილი, ფრთხილი ადამიანი რიდით შესდგომოდა სიჭარმაგის გზას.

— კვლავაც შიშველი გამოვიდა, — ამოიოხრა მხატვრული ჟურნალის გამომცემელმა, როცა გავლისას შეავლო თვალი ფრინას, რომელიც მომეტებული განათების გამო განსაკუთრებულად ელვარებდა. ამ დროს პატარა ლუჟინი მას ფეხებში გაებლანდა და თავზე ხელის გადასმაც დაიმსახურა. ლუჟინმა უკან დაიხია.

— რამხელა გაზრდილა, — გაისმა უკნიდან ქალის ხმა. ბიჭი ვიღაცის ფრაკს ამოეფარა.

— არა, მოითმინეთ, მოითმინეთ, — დაიქუხა მის თავს ზემოთ, — როგორ შეიძლება ჩვენი ბეჭდვითი სიტყვისთვის ასეთი მოთხოვნების წაყენება.

ასაკთან შედარებით დიდი კი არა, პირიქით, ძალიან პატარა, სტუმრებს შორის დადიოდა და წყნარი ადგილის პოვნას ცდილობდა. ზოგჯერ ვინმე მხარში ხელს ჩაავლებდა და რაიმე სისულელეს ეკითხებოდა. რიგებად დაწყობილი მოოქრული სკამების გამო დარბაზში სივიწროვე იყო. ვიღაცას ფრთხილად შემოჰქონდა კარში პიუპიტრი.

ლუჟინი შეუმჩნევლად გაძვრა მამის ჩაბნელებულ კაბინეტში და კუთხეში ოტომანზე[1] დაჯდა. ორი ოთახით დაშორებული დარბაზიდან ვიოლინოს ნაზი ზუზუნი აღწევდა.

მუხლებზე ხელებშემოჭდობილი თვლემამორეული უსმენდა და არც ისე მჭიდროდ ჩამოფარებულ შტორებს შორის მარმაშის ღრეჩოს შეჰყურებდა, რომელშიც ქუჩის გაზის ფარანი ლილისფერ სი-

---

[1] *ოტომანი — რბილი დივანი, რომელსაც თავსა და ბოლოში მუთაქები აქვს.*

თეთრეს აფრქვევდა. ჭერზე ზოგჯერ საიდუმლო რკალად გაივლიდა სუსტი სინათლე, საწერ მაგიდაზე მბრწყინავი წერტილი მოჩანდა, — ღმერთმა იცის, ეს რა იყო: ათინათი ბროლის მძიმე კვერცხის თუ ფოტოსურათის ანარეკლი შუშაში. კინაღამ ძილმა წაართვა თავი, მაგრამ მაგიდაზე მდგარი ტელეფონის ხმამ შეაკრთო და მაშინვე მიხვდა, რომ მბრწყინავი წერტილი შტეფსელის ჩანგალზე შემოსკუპებულიყო. სასადილო ოთახიდან მებუფეტე შემოვიდა, გზად შუქი აანთო, რომელმაც მხოლოდ საწერი მაგიდა გაანათა, ლუჟინი ვერ შეამჩნია, ყურმილი ყურთან მიიტანა, მერე ფრთხილად დადო ბიუვარზე და უკან გაბრუნდა. ერთ წუთში ვიღაც ბატონს შემოუძღვა, რომელმაც, როგორც კი სინათლეში აღმოჩნდა, ცალი ხელი ყურმილს სტაცა, მეორე კი საკარძლის საზურგეზე მოაფათურა. მსახური გავიდა, კარი გაიხურა და შორეული მუსიკის ხმაც მიწყდა.

— გისმენთ, — თქვა მამაკაცმა.

ლუჟინი მას სიბნელიდან მისჩერებოდა, განძრევისაც კი ეშინოდა იმით შეცბუნებულს, რომ სრულიად უცხო ადამიანი მამამისის მაგიდასთან შინაურულად მოკალათებულიყო.

— არა, უკვე დავუკარი, — თქვა მან, თან ზევით იყურებოდა, თეთრი, მოუსვენარი ხელით კი მაგიდაზე რაღაცას აწვალებდა. ტორსფენილზე ეტლმა ყრუ ჭახაჭუხით გაიარა.

— ალბათ, — თქვა ბატონმა.

ლუჟინი მის პროფილს ხედავდა, სპილოსძვლის ცხვირს, მბზინავ შავ თმას, ხშირ წარბს.

— რაღა დაგიმალო და, არც კი ვიცი, აქ რატომ მირეკავ, — ჩუმად ჩაილაპარაკა კაცმა, თან მაგიდაზე რაღაცის წიწკნას განაგრძობდა, — თუ მხოლოდ შესამოწმებლად... უცნაური ქალი ხარ, — გაიცინა და რიტმულად მოჰყვა ფეხის ქნევას, რომელზეც ლაკის ფეხსაცმელი უპრიალებდა. შემდეგ მოხერხებულად მოიქცია ყურმილი მხარსა და ყურს შორის და ორივე ხელით აიღო ის, რასაც მაგიდაზე ეხებოდა, შიგადაშიგ კი „ჰოს“, „არას“ და „შესაძლოას“ ამბობდა. ეს იყო პატარა გლუვი ყუთი, რომელიც ცოტა ხნის წინ ვიღაცას მამისთვის ეჩუქებინა. ლუჟინს ჯერ არ ენახა, შიგ რა

იდო, და ახლა ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა კაცის ხელებს, რომელიც ყუთის გახსნას არ ჩქარობდა.

— მეც, — თქვა მან, — ბევრჯერ, ბევრჯერ. ღამე მშვიდობისა, ჩემო კარგო.

ყურმილი რომ დაკიდა, კაცმა ამოიხვნეშა და ყუთი გახსნა. მაგრამ ისე მიტრიალდა, რომ მისი შავი მხრის გარდა ლუჟინი ველარაფერს ხედავდა. იგი ფრთხილად წაჩოჩდა წინ, მაგრამ ამ დროს ბალიში იატაკზე ჩამოცურდა და კაცმა სწრაფად მოიხედა.

— შენ აქ რას აკეთებ? — აღმოხდა მას, როდესაც ბნელ კუთხეში ლუჟინს მოჰკრა თვალი, — ვაი, ვაი, რა ცუდია მიყურადება!

ლუჟინი დუმდა.

— რა გქვია? — მეგობრულად ჰკითხა კაცმა.

ლუჟინი დივნიდან ჩამოძვრა და მიუახლოვდა. ყუთში მჭიდროდ ეწყო ნაირგვარი ფიგურები.

— შესანიშნავი ჭადრაკია, — თქვა კაცმა, — მამა თამაშობს?

— არ ვიცი, — მიუგო ლუჟინმა.

— შენ?

ლუჟინმა თავი გადააქნია.

— ბევრი დაგიკარგავს. უნდა ისწავლო. მე რომ ათი წლის ვიყავი, უკვე კარგად ვთამაშობდი. რამდენი წლის ხარ?

კარი ფრთხილად გაიღო. უფროსი ლუჟინი ფეხის წვერებზე შემოვიდა. ეგონა, რომ მევიოლინე ჯერაც ტელეფონით საუბრობდა და აპირებდა, ძალზე დელიკატურად წაეჩურჩულებინა: — განაგრძეთ, განაგრძეთ, როცა დაასრულებთ, საზოგადოება გთხოვთ, კიდევ შეასრულოთ რამე.

— განაგრძეთ, განაგრძეთ, — დაიწყო მან ინერციით, მაგრამ შვილის დანახვაზე სიტყვა გაუწყდა.

— არა, არა, უკვე დავასრულე, — მიუგო მევიოლინემ ფეხზე წამოდგომით, — შესანიშნავი ჭადრაკია. თამაშობთ?

— ცუდად, — უპასუხა უფროსმა ლუჟინმა („აქ რას აკეთებ? წადი, მუსიკას შენც მოუსმინე“).

— რა თამაშია, რა თამაში! — განაგრძო მევიოლინემ და ყუთი ფრთხილად დახურა, — კომბინაცია მელოდიას ჰგავს. რომ იცოდეთ, სვლები პირდაპირ ყურში ჩამესმის.

— ჩემი აზრით, ჭადრაკის სათამაშოდ დიდი მათემატიკური ნიჭია საჭირო, — სწრაფად თქვა უფროსმა ლუჟინმა, — მე კი ამ მხრივ... გელოდებიან, მაესტრო.

— პარტიის თამაში მერჩივნა, — გაეცინა მევიოლინეს და კარისკენ წავიდა, — ღმერთების თამაშია, უსასრულო შესაძლებლობები.

— ძალზე ძველი გამოგონებაა, — თქვა უფროსმა ლუჟინმა და შვილს შეხედა, — აბა, რაღას აყოვნებ? წადი!

მაგრამ ლუჟინმა მოახერხა და სასადილო ოთახში შეჩერდა, სადაც მაგიდა საუზმეულით იყო გაწყობილი. სანდვიჩებიან თეფშს ხელი დააკლო და თავის ოთახში წაიღო. თან ტანსაცმელს იხდიდა, თან ჭამდა, მერე ლოგინშიც მიირთვა. შუქი უკვე ჩაექრო, როდესაც დედამისმა შემოიხედა და მისკენ დაიხარა. სიბნელეში ყელზე ჩამოკიდებულმა ბრილიანტებმა გაიბრწყინა. ბიჭმა თავი მოიმძინარა. ქალი წავიდა და ცდილობდა, უხმაუროდ დაეხურა კარი.

მეორე დილით, გაღვიძებისთანავე, ლუჟინმა უჩვეულო მღელვარება იგრძნო. ნათელი, მაგრამ ქარიანი დღე იყო. ქვაფენილები ლილისფრად ელვარებდა. სასახლის თაღის სიახლოვეს, ქუჩის თავზე, უზარმაზარი სამფეროვანი ტილო მოქნილად იბერებოდა და მასში დანახული ცაც ამ ფერებად მოჩანდა. სადღესასწაულო დღეებში ლუჟინი და მამამისი ერთად სეირნობდნენ ხოლმე. ახლაც ასე მოხდა, მაგრამ ეს უწინდელ ბავშვურ გასეირნებებს არ ჰგავდა. შუადღის ზარბაზანი აღარ აშინებდა, სამაგიეროდ, მამის ლაპარაკს ველარ უძლებდა, რომელსაც გუშინდელი საღამო ამოეჩემებინა და გადაკვრით მიანიშნებდა, მუსიკის შესწავლას არაფერი ჯობიაო. საუზმედ ნაღების პასქის (დაბალი პირამიდა მონაცრისფრო ნაფიფქით მრგვალ კინკრიხოზე) ბოლო ნაჭერი და ჯერაც ხელუხლებელი კულიჩი მოართვეს. დეიდა, ისეთივე საყვარელი, წითურთმიანი დეიდა, დედის გარე ბიძაშვილი, ძალზე მხიარულობდა, ნამცეცებს ისროდა და ამბობდა, ლატამი[1] ოცდახუთ მანეთად გამასეირნებს თავისი „ანტუანეტათი“, რომელსაც, სხვათა შორის, მეხუთე დღეა, ჰაერში აჭრა აღარ შეუძლია,

[1] *ლატამი — ჰუბერტ ლატამი, ფრანგი აფიატორი.*

მაშინ, როცა ვუაზენი[1], დაქოქილივით, წრეებზე დაფრინავს, თანაც ისე დაბლა, რომ ტრიბუნების თავზე გადახრისას მფრინავის ყურებში ბამბაც კი ჩანსო. ლუჟინს ეს დილა და საუზმე რატომღაც გამორჩეულად დაამახსოვრდა. ასე ამახსოვრდება კაცს დღე, რომელიც შორეულ მოგზაურობას უძღვის წინ. მამა ამბობდა, კარგი იქნება, ნასაუზმევს კუნძულებზე თუ გადავალთ, სადაც მინდვრები ანემონებით არის დაფარულიო; და სანამ ლაპარაკობდა, დეიდის ნასროლი ნამცეცი პირში მოხვდა. დედა დუმდა, მეორე კერძის შემდეგ კი უეცრად წამოდგა, აკანკალებული სახის დამალვა სცადა, რამდენჯერმე ჩურჩულით გაიმეორა: — არაფერია, არაფერი, ახლავე გამივლისო, — და ნაჩქარევად გავიდა. მამამ ხელსახოცი მაგიდაზე დააგდო და უკან მიჰყვა. ლუჟინმა ვერასდროს შეიტყო, თუ რა მოხდა, მაგრამ როდესაც დეიდასთან ერთად დერეფანში მიდიოდა, დედის საძინებელი ოთახიდან ჩუმი სლუკუნი და მამის დამარწმუნებელი ხმა მოესმა, რომელიც ხშირად იმეორებდა სიტყვა „ფანტაზიას“.

— სადმე წავიდეთ, — წაიჩურჩულა გაწითლებულმა, მიყუჩებულმა დეიდამ თვალების ცეცებით.

ისინი კაბინეტში აღმოჩნდნენ, სადაც ტყავის სავარძლის თავზე გამავალი სხივების კონუსში მოფარფატე მტვრის ნაწილაკები მოჩანდა. ქალმა გააბოლა და ამ სხივებში ნაზად, აჩრდილივით დაირწა კვამლის ღრუბლები. ბიჭი მხოლოდ დეიდის გვერდით გრძნობდა თავს შეუბოჭავად. ახლაც ყველაფერი ძალიან კარგად იყო: უცნაური დუმილი სახლში და თითქოსდა რაღაცის მოლოდინი.

— მოდი, რამე ვითამაშოთ, — სწრაფად თქვა დეიდამ და ბიჭს კისერზე უკნიდან ხელი დაადო, — რა წვრილი კისერი გაქვს, ერთი ხელით შეიძლება...

— ჭადრაკი თუ იცი? — შემპარავად ჰკითხა ლუჟინმა, თავი გაითავისუფლა და ლოყით სიამოვნებით მიეკრო ქალის ღიღილოსფერ, აბრეშუმის სახელოს.

— „დურაკა“ ჯობია, — თქვა დეიდამ დაბნეულად.

---

[1] *გაბრიელ ვუაზენი (1880-1973) — ფრანგული ავიაციის პიონერი, აეროპლანებისა და ავტომობილების კონსტრუქტორი.*

სადღაც კარი გაჯახუნდა. ქალმა შუბლი შეიჭმუხნა, სახით ხმის მიმართულებით შებრუნდა და სმენად იქცა.

— არა, მე ჭადრაკი მინდა, — გაჯიუტდა ლუჟინი.

— ძნელია, საყვარელო, უცებ ვერ ისწავლი.

ბიჭი საწერ მაგიდასთან მივიდა და პორტრეტის უკან მდგარი ყუთი მოძებნა. დეიდა საფერფლის ასაღებად წამოდგა, ჩაფიქრებული თავისი რომელიღაც აზრის დაბოლოებას ღიღინებდა: — ეს საშინელება იქნებოდა, ეს საშინელება იქნებოდა.

— აი, — თქვა ლუჟინმა და ყუთი დაბალ, ინკრუსტირებულ თურქულ მაგიდაზე დადო.

— დაფაც გვჭირდება, — უთხრა დეიდამ, — მოდი, მიმციობანას თამაშს გასწავლი, უფრო მარტივია.

— არა, ჭადრაკი მინდა, — გაიმეორა ლუჟინმა და მუშამბის დაფა გაშალა.

— ჯერ ფიგურები დავწყოთ, — ამოიოხრა დეიდამ, — აქ თეთრები, იქ შავები. მეფე და დედოფალი გვერდიგვერდ. ესენი ოფიცრებია. ეს — ცხენები. ესენი კი, კუთხეებში, ზარბაზნები. ახლა...

უეცრად იგი გაიტრუნა, ხელში ფიგურა ეჭირა და კარს შეჰყურებდა.

— მოიცა, — თქვა მოუსვენრად, — სასადილო ოთახში, მგონი, ცხვირსახოცი დამრჩა. ახლავე მოვალ.

მან კარი გამოაღო, მაგრამ მაშინვე დაბრუნდა.

— დაე, იყოს, — თქვა და დაჯდა, — არა, უჩემოდ არ დაწყო, აგერევა. ამას პაიკი ჰქვია. ახლა დააკვირდი, როგორ დადიან. ცხენი, ცხადია, დახტის.

ლუჟინი ნოხზე იჯდა, მხრით დეიდის მუხლს ეხებოდა და პლატინის წვრილსამაჯურიან მის ხელს მისჩერებოდა, რომლითაც ფიგურებს გადააადგილებდა.

— დედოფალი ყველაზე მოძრავია, — თქვა მან კმაყოფილებით და თითით გაასწორა ფიგურა, რომელიც კვადრატის ცენტრს ოდნავ დასცილებოდა.

— აი, როგორ ახრამუნებენ, — განაგრძობდა დეიდა, — თითქოს განდევნიან. პაიკები კი ასე: გვერდულად. როცა მეფის აყვანა შეიძლება, ამას ქიში ჰქვია; თუ მას გასაქცევი არა აქვს, ეს შამა-

თია. მაშასადამე, შენ ჩემი მეფე უნდა აიყვანო, მე კი — შენი. ხომ ხედავ, რამდენი დრო მიაქვს ახსნას. იქნებ სხვა დროს ვითამაშოთ, ჰა?

— არა, ახლა, — უთხრა ლუჟინმა და ხელზე აკოცა.

— აჰ, ჩემო საყვარელო, — გაბმით თქვა დეიდამ, — საიდან გაქვს ასეთი სინაზე... კარგი ბიჭი ხარ.

— ვითამაშოთ, გთხოვ, — თქვა ლუჟინმა, ნოხზე მუხლებით გაჩოჩდა და მაგიდის წინ დადგა. მაგრამ მოულოდნელად ქალი წამოდგა, თანაც ისე მკვეთრად, რომ ქვედაკაბა დაფას გამოსდო და რამდენიმე ფიგურა გადმოაგდო. კარში ბიჭის მამა იდგა.

— შენს ოთახში წადი, — უთხრა მან შვილს და ცალი თვალით შეხედა.

ლუჟინი, რომელსაც სიცოცხლეში პირველად აგდებდნენ ოთახიდან, ისე გაოცდა, რომ წამოდგომა არც კი უცდია.

— გაიგონე? — ჰკითხა მამამ.

ლუჟინი ჭარხალივით გაწითლდა და ნოხზე დაყრილ ფიგურებს დაუწყო აკრეფა.

— მოუჩქარე, — თქვა მამამ მჭექარე ხმით, როგორითაც ადრე არასდროს უსაუბრია.

დეიდა აჩქარებით შეუდგა ყუთში ფიგურების ჩაწყობას, ხელები უკანკალებდა. ერთი პაიკი არაფრით ეტეოდა.

— მიდი, აიღე, — თქვა ქალმა, — აიღე-მეთქი!

ბიჭმა ნელა დაახვია მუშამბის დაფა და განაწყენებულ-პირმოქუფრულმა აიღო ყუთი. ახლა ორივე ხელი დაკავებული ჰქონდა და კარს ვერ გაიხურავდა. მამამ სწრაფად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და კარი ისე გაიჯახუნა, რომ ლუჟინს დაფა გაუვარდა, რომელიც მაშინვე გაიშალა. იძულებული გახდა, ყუთი იატაკზე დაედო და დაფა ხელახლა დაეხვია. კარს იქით, კაბინეტში, ჯერ სიჩუმე იდგა, მერე საკარძელი აჭრიალდა სიმძიმის ქვეშ, ბოლოს კი დეიდის გაოცებული, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ჩურჩული გაისმა. ლუჟინმა ზიზღით გაიფიქრა, ამ სახლში ყველა შეიშალაო, და თავისი ოთახისკენ გაემართა. იქ მაშინვე დააწყო ფიგურები, როგორც დეიდამ ასწავლა და დიდხანს დასცქეროდა, თან რაღაცას ფიქრობდა. შემდეგ კოხტად ისევ ყუთში ჩაალაგა. იმ დღიდან ჭადრაკი მასთან

დარჩა და მამას კარგა ხანს აღარ გახსენებია. იმ დღიდან გაჩნდა მის ოთახში მომაჯადოებელი, საიდუმლო სათამაშო, რომლის გამოყენებაც ჯერ არ შეეძლო. იმ დღის მერე დეიდა მათ აღარ სტუმრებიათ.

ერთხელ, რამდენიმე დღის შემდეგ, პირველ და მესამე გაკვეთილებს შორის თავისუფალი დრო გამოუჩნდა: გეოგრაფიის მასწავლებელი გაციებულიყო. როდესაც ზარის დარეკვიდან ხუთი წუთი გავიდა და არავინ შემოვიდა, ყველას ბედნიერების ისეთი გრძნობა დაეუფლა, რომ ეგონათ — თუ შუშის კარი მაინც გაიღება და გეოგრაფი, ჩვეულებისამებრ, სირბილით შემოვარდება კლასში, გული გაგვისკდებაო. მხოლოდ ლუჟინს არ ადარდებდა არაფერი. მერხზე თავი დაბლა დაეხარა და ფანქარს თლიდა, ცდილობდა, რაც შეიძლება კარგად წაემახა წვერი. აღელვებული ბავშვების ხმაური სულ უფრო მატულობდა. ბედნიერება ძალზე ახლოს იყო. სხვათა შორის, ზოგჯერ იმედიც უცრუვდებოდათ: ავად გამხდარი მასწავლებლის ნაცვლად ტანდაბალი, მტაცებელივით მათემატიკოსი შემობობღდებოდა, კარს უხმაუროდ მიხურავდა და ღვარძლიანი ღიმილით იწყებდა ცარცის ნატეხების შეგროვებას შავი დაფის ქვეშ მიმაგრებული ღარიდან. მაგრამ გავიდა ათი წუთი და არავინ ჩანდა. ვიღაცამ მოჭარბებული ბედნიერებისგან მერხის გადასაკეცი გაატკაცუნა. უეცრად საიდანღაც აღმზრდელი გაჩნდა.

— სრული სიჩუმე უნდა იყოს, — თქვა მან, — სრული სიჩუმე. ვალენტინ ივანოვიჩი ავადაა. რაც გინდათ, აკეთეთ, მაგრამ ბუზის გაფრენის ხმა კი უნდა ისმოდეს...

იგი წავიდა. ფანჯრებს მიღმა დიდი, ფუმფულა ღრუბლები ბრწყინავდნენ, რაღაც რაკრაკებდა, წვეთავდა, ბელურები ჭყიოდნენ. ნეტარების საათი იდგა, მომაჯადოებელი საათი. ლუჟინი გულგრილად შეუდგა კიდევ ერთი ფანქრის გათლას. გრომოვი ხრინწიანი ხმით რაღაცას ჰყვებოდა, სიამოვნებით წარმოთქვამდა უცნაურ, უწმაწურ სიტყვებს. პეტრიშჩევი ყველას ეხვეწებოდა, ამიხსენით, რა ვიცით, რომ ისინი ორი წრფის ტოლიაო. უეცრად ლუჟინს ზურგს უკნიდან მკაფიოდ მოესმა ხის ფიგურების განსაკუთრებული რაკარუკი. წამოაცხელა და ანაზდად გული აუძგერდა.

ფრთხილად მიიხედა. კრებსი და კლასის ერთადერთი ჩუმჩუმელა მარჯვედ აწყობდნენ პატარა, მსუბუქ ფიგურებს მათ შორის სკამზე მოთავსებულ სამგოჯიან ჭადრაკის დაფაზე. გვერდულად, ძალზე მოუხერხებლად ისხდნენ. ლუჟინს ფანქარი სულ გადააგიწყდა და მოთამაშეებთან მივიდა, რომლებმაც იგი ვერ შეამჩნიეს. მრავალი წლის შემდეგ, როდესაც ჩუმჩუმელა თავისი კლასელის გახსენებას ცდილობდა, ვერაფრით მოიგონა თავისუფალ დროს ნათამაშები ის შემთხვევითი საჭადრაკო პარტია. თარიღები ერეოდა, ბუნდოვნად ახსოვდა, რომ ლუჟინმა ოდესღაც სკოლაში ვიღაცას მოუგო, მეხსიერების სიღრმეში რაღაც ფეთქავდა, მაგრამ იქამდე მიღწევა შეუძლებელი იყო.

— ტურას დაკარგავ, — თქვა კრებსმა.

ლუჟინს, რომელიც მის ხელს აკვირდებოდა, წამით თავზარი დაეცა. გაუელვა, დეიდას რომელიღაც ფიგურა გამორჩენიაო. მაგრამ ტურა ზარბაზნის სინონიმი აღმოჩნდა.

— ვერ შევამჩნიე, — თქვა მეორემ.

— კარგი, ხელახლა ითამაშე, — დაუთმო კრებსმა.

ლუჟინი ბიჭების თამაშს შურით, გაღიზიანებული უყურებდა, უკმარისობის გრძნობა არ ასვენებდა, ცდილობდა, გაეგო, თუ სად იყო მუსიკოსის მიერ ნახსენები მწყობრი მელოდიები. გრძნობდა, რომ ეს თამაში რაღაცნაირად ამ ორზე უკეთ ესმოდა, მაგრამ დაბეჯითებით არ იცოდა, როგორ უნდა წარემართა, რატომ იყო ეს კარგი და ის — ცუდი, როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ უდანაკარგოდ შეეღწია მოწინააღმდეგის მეფის ბანაკში. ერთი ხერხი კი, თავშესაქცევი და მოხდენილი, ძალიან მოეწონა: ფიგურა, რომელსაც კრებსმა ტურა უწოდა, და მისივე მეფე უეცრად ერთმანეთს გადაახტნენ. შემდეგ დაინახა, თუ როგორ გამოვიდა შავი მეფე თავისი პაიკების გარემოცვიდან (ერთი მათგანი ამოღებული კბილივით აკლდა) და თავგზააბნეული მოჰყვა აქეთ-იქით სიარულს.

— ქიში, — ამბობდა კრებსი, — ქიში (და მეფე გველნაკბენივით განზე ხტებოდა) — აქეთ არ შეგიძლია, იქითაც არ შეგიძლია. ქიში, დედოფალს ვიყვან, ქიში.

უცებ თვითონ დაუსვა ფიგურა და სვლის დაბრუნება მოითხოვა. კლასის მტარვალმა ცალი ხელი ლუჟინს თავში წამოარტყა,

მეორით კი იმავდროულად დაფა იატაკზე გადმოაგდო. ლუჟინმა კვლავ შეამჩნია, თუ როგორი მერყევი რამ იყო ჭადრაკი.

მეორე დილას ჯერაც ლოგინში იწვა, როდესაც გაუგონარი რამ გადაწყვიტა. სკოლაში ეტლით დადიოდა ხოლმე. სხვათა შორის, ყოველთვის გულმოდგინედ აკვირდებოდა სახლების ნომრებს, განსაკუთრებული წესით ნაწილებად ყოფდა, რათა მოხერხებულად ჩაებეჭდა მეხსიერებაში და, საჭიროების შემთხვევაში, უცვლელად გამოეთხოვა უკან. მაგრამ იმ დღეს სკოლამდე არც მისულა, მღელვარებისგან ვერც ნომერი დაიმახსოვრა, შეშინებული იყურებოდა აქეთ-იქით, ჯერ ქარავნის ქუჩაზე გავიდა, იქიდან კი, სკოლის სიახლოვისთვის თავის ასარიდებლად, შორი გზა მოიარა და — სერგიევისაზე. გზაში სწორედ გეოგრაფიის მასწავლებელი შეეჩეხა, რომელიც ცხვირის ხოცვითა და ხველებ-ხველებით, იღლიაში პორტფელამოჩრილი, უზარმაზარი ნაბიჯებით სკოლისკენ მიქროდა. ლუჟინი ისე მკვეთრად შეტრიალდა, რომ საიდუმლო ნივთი ჩანთაში მძიმედ გაჩხაკუნდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მასწავლებელმა ქარივით გვერდზე ჩაუქროლა, შეამჩნია ლუჟინმა, რომ საპარიკმახეროს ვიტრინის წინ იდგა და ვარდისფერნესტოებიანი და კულულებიანი სამი ცვილის ქალბატონი ჯიქურ მიშტერებოდა მას. სული მოითქვა და სწრაფად გაუყვა სველ ტროტუარს. გაუცნობიერებლად ისეთი ნაბიჯების გადადგმას ცდილობდა, რომ ქუსლი ფილათშორის საზღვარზე მოეხვედრებინა, მაგრამ ყველა ფილას განსხვავებული სიგანე ჰქონდა, ეს კი სიარულში ხელს უშლიდა. ცდუნებისგან თავის დასაღწევად ქვაფენილზე ჩავიდა და ტალახ-ტალახ გაუყვა პანელის კიდეს. ბოლოს, რასაც ეძებდა, დაინახა — ქლიავისფერი სახლი. აივანზე შიშველი მოხუცები სახედაძაბული ისხდნენ, სადარბაზო შესასვლელები მოხატული მინებით იყო გამშვენებული. ჭიშკარში შეუხვია, გასცდა მტრედებით გადათეთრებულ ტუმბოს, შეუმჩნევლად გადაჭრა ეზო, სადაც ორი მკლავებდაკაპიწებული ქალი თვალისმომჭრელად ლამაზ ეტლს რეცხავდა, კიბეზე ავიდა და ზარი დარეკა.

— ჯერ არ გაუღვიძიათ, — უთხრა მოახლემ და გაოცებული მიაშტერდა, — აქ დაელოდეთ, მოგვიანებით მოვახსენებ.

ლუჟინმა მხრებიდან ჩანთა საქმიანად მოიხსნა და თავისთან ახლოს, მაგიდაზე დააგდო, სადაც ფაიფურის სამელნე, მძივებით გაწყობილი ბიუვარი[1] და მამის უცნობი ფოტოსურათი იდო (ცალ ხელში წიგნი ეჭირა, მეორე კი საფეთქელზე მიედო). უსაქმურობისგან ნოხზე ფერების თვლას შეუდგა. ამ ოთახში აქამდე მხოლოდ ერთხელ იყო ნამყოფი, როცა მამის რჩევით, საშობაოდ დეიდას შოკოლადის დიდი კოლოფი წაუღო. ნახევარი თვითონ შესანსლა, დანარჩენი კი ისე დააწყო, რომ ნაკლულობა არ დასტყობოდა. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ დეიდა მათ ყოველდღიურად სტუმრობდა, ახლა კი ფეხი ამოეკვეთა და ჰაერში ისეთი სუნი ტრიალებდა, რომელიც შინ ამის შესახებ კითხვის დასმას არ აბედვინებდა. ცხრა ფერი რომ დათვალა, მზერა აბრეშუმის თეჯირზე გადაიტანა, რომელზეც ლელქაში და ყარყატები ამოექარგათ. დაინტერესდა, ასეთივე ყარყატები მეორე მხარესაც ხომ არ არიანო, მაგრამ ამ დროს, როგორც იქნა, დეიდაც გამოვიდა, — დაუვარცხნელი, ფრთებივით განიერსახელოებიანი, ყვავილებიანი ხალათით.

— შენ? საიდან? — შესძახა მან, — მერედა, სკოლა? აი, შე სასაცილო ბიჭო...

ორიოდე საათის შემდეგ კვლავ ქუჩაში გამოვიდა. დაცარიელებული ჩანთა ისე შემსუბუქებულიყო, რომ ბეჭებში სცემდა. გაკვეთილების დამთავრებამდე როგორმე დრო უნდა გაეყვანა. თავრიზული ბაღისკენ გაეშურა. ჩანთის სიცარიელემ თანდათანობით გააღიზიანა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ის, რაც სიფრთხილის გამო დეიდასთან დატოვა, მომდევნო მისვლამდე, შესაძლოა, დაკარგულიყო; მეორეც, საღამოობით შინაც გამოადგებოდა. გადაწყვიტა, მომავალში სხვაგვარად მოქცეულიყო.

— ოჯახური მდგომარეობის გამო, — მიუგო მეორე დღეს აღმზრდელს, რომელიც გაკვრით დაინტერესდა, სკოლაში რატომ არ იყავითო. ხუთშაბათს გაკვეთილებიდან ადრე წავიდა და ზედიზედ სამი დღე აღარ გამოჩენილა, მიზეზად კი ყელის ტკივილი დაასახელა. ოთხშაბათს რეციდივი მოხდა. შაბათს პირველ გაკვეთილზე დააგ-

---

[1] *ბიუვარი — სამაგიდო საშრობფურცლებიანი საქაღალდე ან რვეული წერილების, საფოსტო ქაღალდის, კონვერტების და მისთ. შესანახად.*

ვიანა, თუმცა შინიდან ჩვეულებრივზე ადრე გავიდა. კვირას დედა გააოცა, როცა უთხრა, ამხანაგმა თავისთან მიმიპატიჟაო და ხუთი საათი არ ჩანდა. ოთხშაბათს ადრე გამოუშვეს (ეს ერთ-ერთი იყო აპრილის მიწურულის იმ შშვენიერ დღეთაგანი, ცისფერი, თბილი, როდესაც მოსწავლეებს მოახლოებული არდადეგები აზარმაცებთ), მაგრამ შინ ძალიან გვიან დაბრუნდა. ამას მოჰყვა გაცდენების მთელი კვირა — დამათრობელი, გამაბრუებელი კვირა. აღშფოთებულმა დარეკა, მიზეზის გაგება სურდა. ტელეფონთან მამა მივიდა.

როდესაც ლუჟინი ოთხი საათისთვის შინ დაბრუნდა, მამას სახეზე ნაცრისფერი ედო, თვალები გადმოეკარკლა. დედას ენა წაერთვა, სუნთქვა ეკვროდა, მერე უცნაურად ახარხარდა, შიგადაშიგ ღმუილსა და ყვირილს ურევდა. წუთიერი დაბნეულობის შემდეგ მამამ უსიტყვოდ შეიყვანა შვილი კაბინეტში, გულხელი დაიკრიფა და ახსნა-განმარტება მოსთხოვა. ლუჟინს იღლიაში მძიმე, ძვირფასი ჩანთა ამოეჩარა და იატაკს ჩაშტერებოდა, ფიქრობდა, ვაითუ, დეიდამ გამცაო.

— კეთილი ინებე და გამაგებინე, — გაიმეორა მამამ.

არა, დეიდა ვერ უღალატებდა, ანდა საიდან უნდა სცოდნოდა, რომ გაება?

— უარს ამბობ? — ჰკითხა მამამ.

გარდა ამისა, დეიდას თითქოს მოსწონდა კიდეც, სკოლას რომ აცდენდა.

— კარგი, კარგი, — თქვა მამამ ლმობიერად, — მოდი, მეგობრებივით დავილაპარაკოთ.

ლუჟინმა ამოიოხრა და საკარძლის სახელურზე ჩამოჯდა, მზერა კვლავ იატაკისთვის მიებჯინა.

— მეგობრებივით, — უფრო დაუყვავა მამამ, — თურმე გაკვეთილები რამდენჯერმე გაგიცდენია. ჰოდა, მინდა გავიგო, სად იყავი, რას აკეთებდი. ისიც მესმის, რომ, მაგალითად, შესანიშნავი ამინდებია და გული სასეირნოდ მიგიწევს.

— ჰო, მიმიწევს, — გულგრილად დაეთანხმა ლუჟინი, რომელსაც მოწყენილობა სულ უფრო მეტად ერეოდა.

მამა დაინტერესდა, — სად სეირნობდი და როდიდან გაგიჩნდა სეირნობის ამგვარი მოთხოვნილებაო. შემდეგ თქვა, — ყოველ

ადამიანს გააჩნია მოვალეობა — მოქალაქეობრივი, მეოჯახის, ჯარისკაცის, აგრეთვე მოსწავლისაო. ლუჟინმა დაამთქნარა.

— შენს ოთახში წადი, — უთხრა იმედდაკარგულმა მამამ და შვილის წასვლის შემდეგ კიდევ დიდხანს იდგა შუა კაბინეტში და შეძრწუნებული უსიტყვოდ მისჩერებოდა კარს. მალე მასთან ცოლი შევიდა, რომელიც მამა-შვილის საუბარს ყურს მეზობელი ოთახიდან უგდებდა, ოტომანის კიდეზე ჩამოჯდა და კვლავ აქვითინდა.

— იტყუება, — იმეორებდა იგი, — ისევე, როგორც შენ იტყუები, ირგვლივ მხოლოდ ტყუილია.

კაცმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა და გაიფიქრა, რა სევდიანია ცხოვრება, რა ძნელია, რომ შეასრულო მოვალეობა, არ შეხვდე, არ დაურეკო, არ წახვიდე იქ, საითკენაც გული მიგიწევსო... ახლა კიდევ შვილი... ეს უცნაური საქციელი... სევდა, სევდა და მეტი არაფერი.

4

ბაბუის ყოფილი კაბინეტი ყველაზე ცხელ დღეებშიც კი სამარესავით ნესტიანი იყო. ამას არც ხშირ, დაბურულ წიწვნარში გამავალი ფანჯრების გაღება შველოდა. წიწვნარი ისე იყო გაფუებულ-აბურდული, კაცი ვერ მიხვდებოდა, სად მთავრდებოდა ერთი ხე და სად იწყებოდა მეორე. ამ საცხოვრებლად უვარგის ოთახში, სადაც მოშიშვლებულ საწერ მაგიდაზე ბრინჯაოს ბიჭუნას ხელში ვიოლინო ეჭირა, იდგა წიგნების ღია კარადა, შიგ კი ოდინდელი ილუსტრირებული ჟურნალის სქელი ტომები ეწყო. ლუჟინი სწრაფად ფურცლავდა იმ გვერდის საპოვნელად, სადაც გრავირებული ჭადრაკის დაფა იყო დაბეჭდილი ვინიეტებით[1] გაფორმებულ კორინფსკის[2] ლექსსა და საინტერესო ამბების განყოფილებას

---

[1] *ვინიეტი — წიგნის, ხელნაწერის ან მისი რომელიმე ნაწილის თავში ან ბოლოში დართული ორნამენტი, ნახატი.*

[2] *აპოლონ კორინფსკი (1868-1937) — რუსი პოეტი, პროზაიკოსი, ჟურნალისტი და მთარგმნელი.*

შორის, რომელიც მკითხველს აცნობდა მცოცავ ჭაობებს, ახირებულ ამერიკელებსა და ადამიანის ნაწლავების სიგრძეს. ჟურნალის ფურცვლით გართული ლუჟინის შეჩერება არანაირ სურათს არ ძალუძდა — არც სახელგანთქმულ ნიაგარის ჩანჩქერს, არც მოშიმშილე ინდოელ ბავშვებს, მუცელგაბერილ ჩონჩხებს, არც ესპანეთის მეფეზე თავდასხმას. ცხოვრება შრიალ-შრიალით მიქროდა თავის გზაზე, და უეცრად... გაჩერება... სანუკვარი კვადრატი, ეტიუდები, დებიუტები, პარტიები.

საზაფხულო არდადეგების დასაწყისში ძლიერ აკლდა დეიდა და ყვავილებიანი მოხუცი, განსაკუთრებით ეს სურნელოვანი მოხუცი, ხან იის, ხანაც შროშანის სუნი რომ ასდიოდა, იმისდა მიხედვით, რომელი ყვავილი მოჰქონდა დეიდასთან. ჩვეულებრივ, ძალზე მოსახერხებელ დროს სტუმრობდა — რამდენიმე წუთში მას შემდეგ, რაც დეიდა საათს დახედავდა და შინიდან გადიოდა.

— რას ვიზამთ, დაველოდებით, — იტყოდა მოხუცი და თაიგულს სველ ქაღალდს შემოაცლიდა. ლუჟინი საკარძელს მაგიდასთან მიუდგამდა, სადაც უკვე გაეშზადებინათ ჭადრაკის დაფა. ყვავილებიანი მოხუცის სტუმრობა გამოსავალი იყო საკმაოდ უხერხული მდგომარეობიდან. სკოლის სამ-ოთხჯერ გაცდენის შემდეგ ცხადი გახდა, რომ დეიდა ჭადრაკს ცუდად თამაშობდა. ფიგურებს ყოველთვის უშნოდ შეაქუჩებდა ხოლმე, საიდანაც უეცრად შიშველი უმწეო მეფის გამოყვანა სჩვეოდა. მოხუცი კი დიდებულად თამაშობდა. პირველად, როდესაც დეიდამ ხელთათმანები ჩაიცვა და სხაპასხუპით თქვა: — სამწუხაროდ, უნდა წავიდე, მაგრამ თქვენ დარჩით, ჩემს დისშვილს ჭადრაკი ეთამაშეთ, მადლობელი ვარ ამ საოცარი შროშანებისთვისო, პირველად, როცა მოხუცი დაჯდა და ოხვრით თქვა: — კარგა ხანია, ხელი არ მიხლია... აბა, ყმაწვილო, — მარცხენა თუ მარჯვენა? — იმ პირველ ხელად, როცა რამდენიმე სვლის შემდეგ უკვე ყურები უხურდა და ვერსად დაიმალებოდა, — ლუჟინს მოეჩვენა, რომ იგი სულ სხვა თამაშს თამაშობდა და არა იმას, დეიდამ რომ ასწავლა. დაფას საამო სურნელი ასდიოდა. მოხუცი დედოფალს ლაზიერს ეძახდა, ტურას — ეტლს, და როდესაც მეტოქისთვის მომაკვდინებელ სვლას გააკეთებდა, უკანვე აბრუნებდა და თითქოს ძვირფასი ხელსაწყოს მექანიზმს

აშიშვლებსო, აჩვენებდა, როგორ უნდა ეთამაშა მოწინააღმდეგეს მარცხის თავიდან ასაცილებლად. პირველი თხუთმეტი პარტია იოლად მოიგო, ელვისებურად თამაშობდა. მეთექვსმეტის დროს მოულოდნელად ხანგრძლივად ჩაფიქრდა და გაჭირვებით გაიმარჯვა. ბოლო დღეს კი, იმ დღეს, როცა მოხუცმა თაიგულის ნაცვლად ლამის იასამნის ბუჩქი მოიტანა, რომლის ჩასადებიც არსად ჩანდა, დეიდა კი ფეხის წვერებზე წრიალებდა საძინებელ ოთახში, მერე კი, სავარაუდოდ, უკანა კარით გავიდა, — იმ უკანასკნელ დღეს, ხანგრძლივი და ამაღელვებელი ბრძოლის შემდეგ, როდესაც მოხუცს მოულოდნელად ქშინვის უნარი აღმოაჩნდა, ლუჟინი რაღაცას ჩასწვდა, მასში რაღაც გათავისუფლდა, გონება გაეხსნა, აზრი, რომელიც ადრე საჭადრაკო პერსპექტივებს საშინელი ბურუსით ბურავდა, ახლა გამოიკვეთა.

— რა გაეწყობა, ყაიმია, — თქვა მოხუცმა. მან ლაზიერი გაფუჭებული მანქანის ბერკეტივით რამდენჯერმე აქეთ-იქით გადააადგილა და გაიმეორა: — ყაიმია. მუდმივი ქიში.

ლუჟინი დაფას დასცქეროდა, მოსინჯა, ბერკეტი ხომ არ მუშაობდა, ეჯავჯგურა, ეჯავჯგურა და ერთიანად დაიძაბა.

— შორს წახვალთ, — უთხრა მოხუცმა, — შორს წახვალთ, თუ ასე განაგრძობთ. დიდი წარმატება გელით. პირველად ვხედავ... ძალიან, ძალიან შორს...

მანვე აუხსნა ბიჭს აღნიშვნათა მარტივი სისტემა, და ლუჟინი ჟურნალში მოყვანილი პარტიების გათამაშებისას მალე მიხვდა, რომ მასაც ჰქონია ის თვისება, ერთხელ რომ შეშურდა, როდესაც სუფრასთან მამამისი ვიღაცას ეუბნებოდა, ვერ გამიგია, ჩემს სიმამრს როგორ შეუძლია საათობით პარტიტურის კითხვა, თვალებით ნოტების აღქმა, მუსიკის ყველა მოძრაობის მოსმენა, თანაც ხან იღიმება, ხან იღუშება, ხანაც წუთით უკან ბრუნდება, როგორც ამას მკითხველი აკეთებს რომანში მოყვანილი წვრილმანების — სახელის, წელიწადის დროის — შესამოწმებლადო და დასძინა, — ბუნებრივი მუსიკის აღქმა-ათვისება ალბათ დიდი სიამოვნებაა.

სწორედ ამგვარ სიამოვნებას განიცდიდა ახლა ლუჟინი, როდესაც სვლების აღმნიშვნელ ასოებსა და ციფრებს თვალს აყო-

ლებდა. თავდაპირველად პარტიების — ძველი ტურნირებიდან შემორჩენილი უკვდავი პარტიების გათამაშება ისწავლა, — თვალს გადაავლებდა საჭადრაკო ნოტებს და უხმაუროდ გადააადგილებდა ფიგურებს დაფაზე. ზოგჯერ კითხვის ან ძახილის ნიშნით აღნიშნულ რომელიმე სვლას, იმისდა მიხედვით, ცუდად იყო ნათამაშები თუ კარგად, ფრჩხილებში ჩასმული სვლების სერია მოსდევდა, რადგან ყურადსაღები სვლა მდინარესავით იტოტებოდა და მთავარ დინებასთან დაბრუნებამდე ყველა შენაკადის ბოლომდე მისვლა იყო საჭირო. ამ თანამდევ, ნაგულისხმევ სვლებს, შეცდომის ან სისწორის ახსნას რომ ემსახურებოდა, დროთა განმავლობაში ლუჟინი დაფაზე აღარ აკეთებდა და მათ ჰარმონიას ნიშანთა მონაცვლეობით ხვდებოდა. ზუსტად ასევე შეეძლო ერთხელ უკვე გარჩეული პარტიის დაფის გამოუყენებლად გადაკითხვა: ეს უფრო სასიამოვნოც კი იყო, რამდენადაც ფიგურებთან წვალება აღარ სჭირდებოდა, ყოველ წამს გაფაციცებით ყოფნაც აღარ უწევდა, არიქა, ვინმე ხომ არ მოდისო, თუმცა კარს გასაღებით კეტავდა და უნდომლად აღებდა სპილენძის სახელურის ჩხაკუნის შემდეგ. ოთახში შემოსულ მამას, რომელსაც აინტერესებდა, თუ რას აკეთებდა ბავშვი ნესტიან, მავნე ოთახში, იქ მშფოთვარე და მოღუშული, ყურებგაწითლებული შვილი ხვდებოდა. მაგიდაზე ჟურნალები იყო დახვავებული და უფროს ლუჟინს ეჭვი ღრღნიდა, ბიჭი შიშველი ქალების სურათებს ხომ არ ეძებსო.

— რატომ კეტავ კარს გასაღებით? — ეკითხებოდა იგი (და მხრებაწურული პატარა ლუჟინი შემაძრწუნებელი სიცხადით წარმოიდგენდა, თუ როგორ შეიხედავდა მამა დივანქვეშ და იქ ჭადრაკს იპოვიდა), — ყინულივით ცივი ჰაერია. ნეტა რით დაგაინტერესა ამ ძველმა ჟურნალებმა? წავიდეთ, ვნახოთ, ნაძვებქვეშ წითელი სოკოები ხომ არ არის.

იყო წითელი სოკოები, იყო. სველ, მოაგურისფრო ქუდზე წიწვები მიჰკვროდათ, ზოგჯერ ბალახი მათზე გრძელ, ვიწრო კვალს ტოვებდა. ზოგს დაჩვრეტილი ძირი ჰქონდა, ზედ მიმჯდარი ყვითელი ლოქორათი, — და კალათში სოკოს ჩადებამდე უფროსი ლუჟინი მსხვილ, მონაცრისფრო, ხალებიან ფესვს პატარა დანით ხავსსა და მიწას აცლიდა. შვილი უკან მიჰყვებოდა, ხუთი-ექვ-

სი ნაბიჯის დაშორებით, ხელები მოხუცებულივით ზურგს უკან, წელზე შემოეწყო და არათუ სოკოს არ ეძებდა, იმათაც კი არ უყურებდა ზედ, რომელთაც მამა კმაყოფილი ჭყლოპინით თხრიდა. ზოგჯერ ხეივნის ბოლოს ტანსრული და ფერმკრთალი დედა გამოჩნდებოდა ხოლმე, სევდის მომგვრელი თეთრი კაბით, რომელიც არ უხდებოდა, და მათკენ მოიჩქაროდა, ხან მზის სხივები ეცემოდა, ხანაც — ჩრდილი. ხმელი ფოთლები, არასდროს რომ არ ქრებიან ჩრდილოეთის კორომებში, მისი თეთრი, ოდნავ მობრეცილი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელების ქვეშ შრიალებდნენ. ერთხელ, ივლისში, ვერანდის კიბეზე ფეხი დაუცდა და იღრძო, მერე კი დიდხანს იწვა, — ხან ნახევრად ჩაბნელებულ საძინებელ ოთახში, ხანაც ვერანდაზე, — ვარდისფერი კაპოტით[1], შეპუდრული, გვერდით მდგარ მაგიდაზე ბულდეგომებიანი[2] ვერცხლის ლარნაკი ედგა. ფეხი მალე მოურჩა, მაგრამ მაინც არ დგებოდა, თითქოს ირწმუნა, რომ ასეთი იყო მისი ბედისწერა, რომ სწორედ ასეთი ყოფა არგუნა ცხოვრებამ. ზაფხული კი უჩვეულოდ ცხელი იდგა, კოღოებისგან თავი ჰქონდათ მობეზრებული, მდინარიდან მთელი დღე ისმოდა მობანავე ქალების წივილ-კივილი. ერთ-ერთ ასეთ მომთენთავ დღეს, ახალგათენებულზე, როდესაც ბუზანკალები ჯერ არ შესდგომოდნენ სურნელოვანი საცხით მოთხვრილი ცხენების წვალებას, უფროსი ლუჟინი მთელი დღით ქალაქში გაემგზავრა.

— გაიგე, ბოლოს და ბოლოს, სილვესტროვს აუცილებლად უნდა შევხვდე, — ამბობდა იგი წინადღით და თაგვისფერ ხალათში გამოწყობილი საძინებელ ოთახში წინ და უკან დადიოდა, — რა უცნაური ხარ. ეს ხომ მნიშვნელოვანია. სულაც არ მეხალისება წასვლა.

მაგრამ ცოლი წამოდგომას არ აპირებდა, სახე ბალიშში ჩაერგო, მსუქანი, უმწეო ზურგი უთრთოდა. დილით კაცი მაინც გაემგზავრა — ბიჭმა დაკბილული ნაძვების ზემოდან მეეტლის თავსა და მამის შლაპას მოჰკრა თვალი.

იმ დღეს ძალიან მოიწყინა. ძველ ჟურნალში ყველა პარტია შეესწავლა, ყველა ამოცანა ამოეხსნა, და იძულებული შეიქნა,

---

[1] *კაპოტი — კაპიუშონიანი მოსასხამი.*

[2] *ბულდეგომა — ხველების საწინააღმდეგო წამალი კანფეტის სახით.*

საკუთარ თავთან ეთამაშა, ეს კი მუდამ ყველა ფიგურის გაცვლითა და უფერული ყაიმით სრულდებოდა. თანაც აუტანლად ცხელოდა. ვერანდიდან ქათქათა ქვიშაზე შავი სამკუთხა ჩრდილი ეცემოდა. ხეივანი მზეს ლაქებით დაეჭორფლა და თუ თვალებს მოჭუტავდით, ეს ლაქები თანაბარ, ღია და მუქი ფერის კვადრატებად გადაიქცეოდა. ძელსკამის ქვეშ ჩრდილი მკვეთრი ცხაურივით გართხმულიყო. ბაღის ოთხივე კუთხეში მდგარი ურნებიანი ქვის სვეტები ერთმანეთს დიაგონალურად ემუქრებოდნენ. მერცხლები დაქროდნენ და გეგონებოდათ, ფრენისას მაკრატლით რაღაცას სწრაფად ჭრიანო. ლუჟინმა აღარ იცოდა, დრო როგორ გაეყვანა. მდინარის გასწვრივ ბილიკს გაუყვა. გადაღმა ჟივილ-ხივილი არ ცხრებოდა, აქა-იქ შიშველი სხეულები მოჩანდა. ბიჭი ხეს ამოეფარა და გულაძგერებული, მალვით გაჰყურებდა ადგილ-ადგილ გამომკრთალ სითეთრეს. ტოტებში ჩიტი შეფრთხიალდა. ბიჭს შეეშინდა და სწრაფად გაბრუნდა უკან, მდინარისგან შორს. მნე ქალთან, სიტყვაძუნწ, ყვითელსახიან მოხუცთან ერთად ისაუზმა, რომელსაც ყოველთვის ყავის მსუბუქი სუნი ასდიოდა. შემდეგ, სასტუმრო ოთახში დივანზე წამოწოლილი, ძილმორეული უსმენდა ათასგვარ მსუბუქ ხმას, ხან ბაღში მოლაღურის ჭყივილს, ხან ფანჯარაში შემოფრენილი ბუზის ზუზუნს, ხანაც ჭურჭლის წკრიალს დედის საძინებელი ოთახიდან გამოტანილ ლანგარზე, — და ეს მკვეთრი ხმები უცნაურად გარდაიქმნებოდა მის ძილ-ღვიძილში, მუქ ფონზე რთული, ნათელი მოხატულობის სახეებს იღებდა და მათი ამოცნობის მცდელობაში ბიჭს ჩაეძინა კიდეც. იგი დედის მიერ გამოგზავნილმა მოახლემ გააღვიძა... საძინებელში ბნელოდა, უხალისობა სუფევდა. დედამ თავისკენ მიიზიდა, მაგრამ იგი ისე დაიძაბა, ისე შეეწინააღმდეგა, რომ ძალა აღარ დაატანა.

— მომიყევი რამე, — უთხრა წყნარი ხმით.

ბიჭმა მხრები აიჩეჩა, თან თითით მუხლს იჩიჩქნიდა.

— არაფერს მომიყვები? — უფრო ხმადაბლა ჰკითხა დედამ.

ბიჭმა საღამურ მაგიდას შეხედა, პირში ბულდეგომა ჩაიდო და წუწნას შეუდგა, — მერე მეორე აიღო, მესამე, კიდევ და კიდევ, სანამ პირი ტკბილი, ყრუდ მოჩხრიალე ბურთულებით არ აევსო.

— აიღე, რამდენიც გინდა, აიღე, — ჩურჩულებდა ქალი და მის მოფერებას ცდილობდა.

— წელს მზე სულ არ მოგეკიდა, — თქვა ცოტა ხნის შემდეგ, — თუმცა, შესაძლოა, უბრალოდ ვერ ვხედავ, აქ ისეთი უსიცოცხლო ფერებია, ყველაფერი ლურჯია. ჟალუზი ასწიე, გენაცვალე. თუმცა არა, არ გინდა, დარჩი.

მერე, ბულდეგომების წუწნა რომ დაასრულა, ბიჭმა იკითხა, წასვლა თუ შეიძლებაო. დედა დაინტერესდა, — რის გაკეთებას აპირებ, ხომ არ გინდა, სადგურში შვიდსაათიან მატარებელზე მამას დახვდეო.

— გამიშვით, — უთხრა შვილმა, — თქვენთან წამლის სუნი დგას.

კიბეზე სწრაფად ჩამოსვლა სცადა, ისე, როგორც სხვები აკეთებდნენ ამას სკოლაში, თუმცა თვითონ არასდროს გაეკეთებინა, მაგრამ საფეხურები ძალზე მაღალი აღმოჩნდა. კიბის ქვეშ, ბოლომდე ჯერაც გამოუკვლეველ კარადაში ჟურნალები გადაქექა. ერთ-ერთში შაშის განყოფილებას მიაგნო, სულელურ, მოუქნელ, დაფაზე უაზროდ მდგარ ლამბაქებს, მაგრამ ჭადრაკი არსად იყო. ხელში ერთთავად ჰერბარიუმად ქცეული ალბომი ხვდებოდა გამხმარი ედელვაისებითა და მეწამული ფოთლებით, ბავშვური, წვრილი, მკრთალი იისფერი წარწერებით სავსე, ასე რომ არ ჰგავდა დედის ახლანდელ ხელწერას: დავოსი, 1885 წელი; გატჩინა, 1886 წელი. გაბრაზებულ გულზე ფოთლებისა და ყვავილების ამოგლეჯას შეუდგა და, მიმოფანტულ წიგნებს შორის ჩაცუცქულს, მტვრისგან ცემინება დააწყებინა. მალე კიბის ქვეშ ისე ჩამობნელდა, რომ ჟურნალის ფურცლები, რომლებსაც კვლავაც ათვალიერებდა, განაცრისფრდა. ზოგჯერ რომელიღაც მომცრო სურათი სიბნელეში გაბუნდოვანებულ საჭადრაკო დაფად ეჩვენებოდა. წიგნები კარადაში შეტენა და სასტუმრო ოთახისკენ წაჩანჩალდა, თან უხალისოდ ფიქრობდა, ალბათ უკვე რვა დაიწყო, რახან მებუფეტე ნავთის ლამპებს ანთებსო. იასამნისფერპენუარიანი დედა, შეშინებული, კიბეზე მძიმედ ჩამოდიოდა, ხელჯოხზე დაყრდნობილს მეორე ხელი მოაჯირისთვის ჩაეკლო.

— ვერ გამიგია, რატომ იგვიანებს მამაშენი, — თქვა მან, ვერანდაზე გაჭირვებით გავიდა და ნაძვებს შორის მოქცეულ, აქა-იქ კაშკაშა წითური სხივებით დაჭორფლილ გზას ჩააშტერდა.

კაცი მხოლოდ ათისთვის დაბრუნდა. მისი თქმით, თურმე მატარებელზე დააგვიანდა, ბევრი საქმე ჰქონდა, გამომცემელთანაც ისადილა, — არა, არა, სუპი არ უნდა. ძალზე ხმამაღლა ლაპარაკობდა და იცინოდა, ხმაურით ჭამდა, და ლუჟინმა უეცრად იგრძნო, რომ მამა თვალს არ აცილებდა, თითქოს მისი იქ ყოფნა აკვირვებდა. სადილი თანდათან ჩაის სმაში გადაიზარდა, მაგიდაზე იდაყვებით დაყრდნობილი დედა ჟოლოიან თეფშს თვალმოჭუტული დასცქეროდა, და რაც უფრო მხიარულად ჰყვებოდა მამა, მით უფრო ეჭუტებოდა თვალები. შემდეგ წამოდგა და უსიტყვოდ გავიდა. ლუჟინს მოეჩვენა, რომ ამგვარი რამ იქამდეც არაერთხელ მომხდარა. ვერანდაზე მამასთან ერთად დარჩენილს თავის აწევის ეშინოდა, გამუდმებით გრძნობდა მის დაჟინებულ, უცნაურ მზერას.

— დრო როგორ გაატარეთ? — ჰკითხა მოულოდნელად მამამ, — რას აკეთებდით?

— არაფერს, — მიუგო ლუჟინმა.

— ახლა რის გაკეთებას აპირებთ? — ნახევრად ხუმრობით დაეკითხა უფროსი ლუჟინი, თან შვილის „თქვენობით“ საუბრის მანერას ჰბაძავდა, — უკვე წახვალთ დასაძინებლად, თუ ჩემთან იჯდებით?

ლუჟინმა კოლო მოკლა და ქვემოდან ცერად, ძალიან ფრთხილად შეხედა მამას, რომელსაც წვერზე ნამცეცი მიჰკვროდა და თვალები უსიამოვნოდ და დამცინავად უბრწყინავდა.

— იცი, რა? — თქვა კაცმა და ნამცეცი ჩამოუვარდა, — მოდი, რამე ვითამაშოთ. თუ გინდა, ჭადრაკის თამაშს გასწავლი, — და დაინახა, რომ შვილს ლოყები შეეფაკლა, შეეცოდა და საჩქაროდ დაამატა: — ან კაბალას — იქ, მაგიდის უჯრაში, კარტია.

— ჭადრაკი კი არ გვაქვს, — ხრინწიანად თქვა ლუჟინმა და კვლავ ფრთხილად შეხედა მამას.

— კარგი პეტერბურგში დაგვრჩა, — მშვიდად უთხრა მამამ, — მაგრამ სხვენზე ძველი უნდა იყოს. წავიდეთ, ვნახოთ.

ლამპის შუქზე, რომელიც მამას მაღლა ეჭირა, ლუჟინმა ყუთში, ათასგვარ ხარახურას შორის, მართლაც მიაგნო დაფას და კვლავ იგრძნო, რომ რაც ახლა ხდებოდა, ადრე უკვე მომხდარიყო — ნანახი ჰქონდა გვერდიდან ლურსმანგამოჩრილი ღია ყუთი,

დამტვერილი წიგნები და გაბზარული ხის დაფა. გამოსაწევსახურავიან კოლოფსაც მიაგნეს: შიგ გაქუცული ჭადრაკის ფიგურები ეწყო. მთელი იმ დროის განმავლობაში, სანამ ეძებდა, მერე კი ჭადრაკი ქვემოთ, ვერანდაზე ჩაჰქონდა, ლუჟინი ცდილობდა, გაერკვია, მამამ შემთხვევით ჩამოუგდო ჭადრაკზე სიტყვა თუ რაიმეს მოჰკრა თვალი, — და ყველაზე მარტივი ახსნა თავში აზრადაც არ მოსდიოდა, ისევე, როგორც ამოცანის ამოხსნის გასაღები ზოგჯერ აკრძალული, შეუძლებელი, შესაძლო სვლებიდან ბუნებრივად ამოვარდნილი სვლა აღმოჩნდება ხოლმე.

მამამ განათებულ მაგიდაზე, ლამპასა და ჩუმა-მაწონს შორის დაფა ჩადგა და გაზეთით მის წმენდას შეუდგა, უწინდებურად დამცინავად აღარ იღიმებოდა, და უეცრად ლუჟინს შიშიც დაავიწყდა, საიდუმლოც, და ამპარტავნული მღელვარებით გაიფიქრა, რომ, თუ მოისურვებდა, თავის ოსტატობასაც აჩვენებდა. მამა ფიგურების დაწყობას შეუდგა. ერთ-ერთ პაიკს ბოთლის თავსახურავის მსგავსი სულელური, იისფერი საგანი ცვლიდა, ერთ-ერთ ეტლს — შაშის ქვა. მხედრები უთავო იყო, ის თავი კი, რომელიც კოლოფის გადმოპირქვავების შემდეგ დარჩა (პატარა კამათელთან და წითელ კოჭთან ერთად) არც ერთ ცხენს არ მოერგო. ფიგურების დაწყობის შემდეგ ლუჟინმა გაბედა და ჩაიბურტყუნა:

— მე ცოტათი უკვე ვიცი თამაში.

— სად ისწავლე? — თავაუწევლად ჰკითხა მამამ.

— სკოლაში, — მიუგო ლუჟინმა, — იქ ზოგიერთი თამაშობდა.

— ოჰო! ძალიან კარგია, — თქვა მამამ, — აბა, დავიწყოთ...

იგი ჭადრაკს ბავშვობიდან თამაშობდა, ოღონდ იშვიათად და დაუდევრად, შემთხვევით მოთამაშეებთან — დარიან დღეს ვოლგაზე, გემზე, რომელიღაც ქვეყნის სანატორიუმში, სადაც ოდესღაც ძმა უკვდებოდა, აგარაკზე — სოფლის ექიმთან, უკარება კაცთან, დროდადრო რომ წყვეტდა მათთან სტუმრობას. და ყველა ეს შემთხვევითი, შეცდომებით აღსავსე პარტია, რომელზე ფიქრით თავს ამაოდ იმტვრევდა, მისთვის უბოდიშოდ დასვენებისა თუ ზრდილობიანი დუმილის შესაძლებლობა იყო იმ ადამიანის გვერდით, ვისთან საუბარსაც ვერ ახერხებდა. ეს მოკლე, მარტივი პარტიები არც თავმოყვარეობაზე მოქმედებდა და არც აღმაფრენას იწვე-

ვდა. მათ ყოველთვის ერთნაირად იწყებდა და მეტოქის სვლებს ყურადღებას თითქმის არ აქცევდა. წაგება არ აწუხებდა, მაგრამ გულში მაინც ფიქრობდა, რომ კარგად თამაშობდა და თუ აგებდა, მხოლოდ გონებაგაფანტულობის და გულკეთილობის, ან თამაშის გამოსაცოცხლებლად — თამამი გამოხდომების გამო. ფიქრობდა, რომ თუ ცოტას მოინდომებდა, უთეორიოდაც გაუმკლავდებოდა სახელმძღვანელოში დაბეჭდილ ნებისმიერ გამბიტს. შვილის ჭადრაკით გატაცებამ ძალიან განაცვიფრა, მოულოდნელი და საბედისწერო, გარდაუვალი ეჩვენა. უცნაური და საშინელი იყო ზაფხულის ყომრალ ღამეს განათებულ ვერანდაზე შვილის პირისპირ ჯდომა, რომელსაც დაფაზე თავის დახრისთანავე დაძაბულობისგან შუბლი თითქოს გაზრდოდა და გასივებოდა. ეს ყველაფერი ისე გასაოცარი და შემაძრწუნებელი იყო, რომ ყურადღების მოკრებას ვერ ახერხებდა, თავს იკატუნებდა, ვითომ ფიქრობდა, და ხან თავის ნაქურდალ პეტერბურგულ დღეს იხსენებდა, სირცხვილის გრძნობა რომ დაუტოვა და მასზე ფიქრი არ ღირდა, ხანაც შვილის მსუბუქ, დაუდევარ მოძრაობას აკვირდებოდა, როდესაც იგი ფიგურას გადააადგილებდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ბიჭმა თქვა:

— თუ ასე — შამათია, თუ ისე — ლაზიერს კარგავთ.

მამა შეცბა, სვლა უკან დააბრუნა და სერიოზულად ჩაფიქრდა, თავს აქეთ-იქით ხრიდა, ნელა იწვდიდა ხელს ლაზიერისკენ და სწრაფად, დამდურლულივით უკან მოჰქონდა. ამასობაში კი შვილი მშვიდად, მისთვის უჩვეულო სიფაქიზით აწყობდა აყვანილ ფიგურებს ყუთში. საბოლოოდ, უფროსმა ლუჟინმა სვლა გააკეთა, რასაც მაშინვე მისი პოზიციის განადგურება მოჰყვა. არაბუნებრივად გაიცინა და თავისი მეფე წააქცია. ასე წაგო ზედიზედ სამი პარტია და იგრძნო, კიდევ ათი რომ ეთამაშა, იგივე მოხდებოდა, მაგრამ გაჩერება აღარ შეეძლო. მეოთხე პარტიის დასაწყისშივე შვილმა მისი სვლა უკან დააბრუნა, თავი გადააქნია და მტკიცე, არაბავშვური ხმით თქვა:

— ყველაზე ცუდი პასუხია. ჩიგორინი[1] პაიკის აყვანას გვთავაზობს.

---

[1] *მიხაილ ჩიგორინი (1850-1908) — ცნობილი რუსი მოჭადრაკე.*

და როცა ეს პარტიაც ისე სწრაფად წაგო, რომ გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, უფროსმა ლუჟინმა კვლავ გაიცინა, როგორც ცოტა ხნის წინ და ათრთოლებული ხელით დაისხა რძე თლილ ჭიქაში, რომლის ფსკერიდან ჟოლოს ფოთოლი ზედაპირზე ამოცურდა და ისე დატრიალდა, თითქოს არ სურდა, რომ მოეხელთებინათ და ამოელოთ. ბიჭმა დაფა და ყუთი კუთხეში მდგარ დაწნულ მაგიდაზე დადო, გულგრილად ჩაიბურტყუნა, — ღამე მშვიდობისაო და ოთახიდან გასულმა კარი ჩუმად გაიხურა.

— რას ვიზამთ, ეს მოსალოდნელიც კი იყო, — თქვა უფროსმა ლუჟინმა და ცხვირსახოცით თითის წვერები გაიწმინდა, — იგი ჭადრაკს გასართობად კი არ თამაშობს, ნამდვილი სასწაულთმოქმედია.

ბუსუსებიანი, დიდმუცელა, თვალებბრიალა ღამის პეპელა ლამპას დაეჯახა და მაგიდაზე დაეცა. ბაღს ნიავმა ჩამოუქროლა. სასტუმრო ოთახში საათმა წკრიალით თორმეტი დაჰკრა.

— არაფერია, — თქვა მან, — სულელური ფანტაზიაა. ბევრი ბიჭი თამაშობს ჭადრაკს შესანიშნავად. ეს სულაც არ არის გასაოცარი. ეგ არის — ამ ამბავმა ნერვები მომიშალა. ცუდია. არ უნდა წაექეზებინა. ახლა სულერთია...

ნაღვლიანად გაიფიქრა, რომ ტყუილის თქმა, დარწმუნება, დამშვიდება მოუწევდა, არადა, უკვე გვიან იყო...

— მეძინება, — ჩაილაპარაკა მან, მაგრამ საკარძლიდან არ ამდგარა.

დილაადრიან უმცროსმა ლუჟინმა ბაღის უკან, ხშირი კორომის ბნელ და ხავსიან კუთხეში, ყუთიდან ამოღებული მამისეული ჭადრაკი ჩაფლა — ეს ყოველგვარი გართულების თავიდან აცილების უმარტივესი გზა იყო, რაკიღა სხვა ფიგურებიც არსებობდა, რომელთა გამოყენებაც თამამად შეეძლო. მამამისს ცნობისმოყვარეობამ სძლია და პირქუშ ექიმს მიაკითხა, რომელიც ჭადრაკს მასზე უკეთ თამაშობდა, საღამოს კი, ნასადილევს, სიცილითა და ხელების ფშვნეტით დასვა შვილი და ექიმი ვერანდაზე მაგიდასთან, ფიგურები დაფაზე დააწყო — იისფერი საგნის გამო მოიბოდიშა, მეტოქეებს გვერდით მიუჯდა და თამაშს ხარბად დააკვირდა. ცდილობდა, საკუთარი თავისთვის დაემალა, რომ ცუდად იქცეოდა,

თუმცა რატომ — ეს კი აღარ იცოდა. ექიმი ხშირ, დაფანჩულ წარბებს ათამაშებდა, გაბუშტულ ცხვირს დიდი, ბალნიანი მუშტით იწვალებდა და თითოეულ სვლაზე დიდხანს ფიქრობდა. ზოგჯერ სკამის საზურგეზე გადაწვებოდა, თითქოს დაფა შორიდან უკეთ მოჩანდა, თვალებს ქაჩავდა, მხრებში მძიმედ იხრებოდა და ხელებით მუხლებს ეყრდნობოდა. მან პარტია წააგო და ისე დაიჭიჭყინა, რომ ლელქაშის საკარძელი ატკაცუნდა.

— არა, არა! — შესძახა უფროსმა ლუჟინმა, — ასე ითამაშეთ და აღარაფერი გიჭირთ! — თქვენი პოზიცია უკეთესიც კია.

— მე ხომ ქიში მაქვს გამოცხადებული, — ბუბუნით მიუგო ექიმმა და ახალი პარტიისთვის ფიგურების დაწყობას შეუდგა.

როდესაც სტუმარს ჩაბნელებულ ბაღში ხიდისკენ მიმავალ, ციცინათელებით შემოქობილ ბილიკამდე მიაცილებდა, უფროსმა ლუჟინმა ის სიტყვები გაიგონა, რომლის მოსმენაც ადრე ძლიერ სურდა, ახლა კი გულს უმძიმებდა, — ჯობდა, არც კი გაეგონა.

ექიმი მათთან ყოველ საღამოს მოდიოდა და რადგან მართლაც ძალიან კარგად თამაშობდა, განუწყვეტელი მარცხი უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა. ბიჭს ჭადრაკის სახელმძღვანელოც კი მოუტანა, ოღონდ ურჩია, — ზედმეტად არ გაგიტაცოს, რომ არ გადაიღალო, სუფთა ჰაერზე იკითხეო. ხშირად უყვებოდა დიდი ოსტატების ცხოვრების შესახებ, რომლებიც ოდესმე ენახა, ახლახან დამთავრებულ ტურნირზე, ჭადრაკის ისტორიაზე, ფანტასტიკურ რაჯაზე, დიდ ფილიდორზე[1], რომელიც მუსიკასაც ჩინებულად იცნობდა. ზოგჯერ პირქუში ღიმილით მოჰქონდა, როგორც ეძახდა, „მოსაკითხი“ — საიდანღაც ამოჭრილი ეშმაკური ამოცანა. ლუჟინი თავაუღებლად ჩაჰკირკიტებდა პარტიას, ბოლოს და ბოლოს, ამოხსნიდა და სახის უჩვეულო გამომეტყველებით, ბედნიერებით თვალებგაბრწყინებული ლიყინით შესძახებდა:

— რა მშვენიერებაა! რა მშვენიერებაა!

მაგრამ ამოცანების შედგენამ ვერ გაიტაცა, ბუნდოვნად ხვდებოდა, რომ ფუჭად უნდა დაეხარჯა ის მებრძოლი, შემტევი, ნათელი ძალა, რომელსაც საკუთარ თავში მაშინ გრძნობდა, როდესაც

---

[1] *ფრანსუა-ანდრე დანიკან ფილიდორი (1726-1795) — ფრანგი კომპოზიტორი და თავისი დროის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე.*

ექიმს სულ უფრო შორს მიჰყავდა თავისი მეფე ბანჯგვლიანი თითით, ბოლოს კი სულგანაბული დაფას დააცქერდებოდა და თავს იქნევდა. ყოველთვის მათ გვერდით მყოფი მამა კი მუდამ სასწაულის — შვილის დამარცხების მოლოდინში იყო, ბიჭის ყოველი გამარჯვება აშინებდა და კიდეც ახარებდა, და გრძნობათა ამ რთული ნაერთით გატანჯული ზოგჯერ ხელს მხედარს ან ეტლს სტაცებდა, წამოიძახებდა, — „ჯერ არაფერი დაკარგულაო“ და თვითონ აგრძელებდა უიმედო პარტიას.

მერე კი წავიდა და წავიდა. ვერანდაზე გამართულ ამ საღამოებსა და იმ დღეს შორის, როდესაც დედაქალაქის ჟურნალში ლუჟინის ფოტოსურათი დაიბეჭდა, თითქოს საერთო არაფერი იყო: არც სააგარაკო შემოდგომა, ასტრებს რომ აჟინჟღლავდა, არც ქალაქში გადასვლა, არც სკოლაში დაბრუნება.

მისი ფოტოსურათი ოქტომბერში გამოჩნდა საჭადრაკო კლუბში პირველი, დაუვიწყარი გამოსვლიდან რამდენიმე დღეში. სხვა ყველაფერი, რაც ამ მოვლენასა და პეტერბურგში გადასვლას შორის მოხდა ორი თვის განმავლობაში, ისე ბუნდოვანი და არეული იყო, რომ ზუსტად ვერც კი იტყოდა, როდის გაიმართა, მაგალითად, საღამოს წვეულება სკოლაში, სადაც კუთხეში წყნარად მჯდარმა, ამხანაგებისთვის თითქმის შეუმჩნევლად, გეოგრაფიის მასწავლებელი, ცნობილი მოყვარული მოთამაშე, დაამარცხა; ან როდის მოვიდა მათთან სადილად, მამის მოწვევით, ჭაღარა ებრაელი, ჩაჩანაკი ჭადრაკის გენიოსი, რომელსაც მსოფლიოს მრავალ ქალაქში გაემარჯვა, ახლა კი ყოველგვარ საქმეს იყო ჩამოცილებული, ნახევრად ბრმა, გულით ავადმყოფი, თვალებჩამქრალი, უფხო, უბედური... ლუჟინს ნათლად მხოლოდ შიში ახსოვდა — სკოლაში განცდილი შიში, ამხანაგები მისი ნიჭის ამბავს თუ შეიტყობდნენ, დასცინებდნენ. მოგვიანებით, ამ მოგონების მიხედვით დაადგინა, რომ საღამოს წვეულებაზე ნათამაშები პარტიის შემდეგ სკოლაში აღარც კი უვლია, რადგან ახსოვდა ბავშვობაში განცდილი ძრწოლა, ვერაფრით წარმოიდგინა ის საშინელი შეგრძნება, რომელიც უნდა განეცადა, თუ დილით კლასში შევიდოდა და ცნობისმოყვარე, ყოვლისდამნახავ უამრავ თვალს წააწყდებოდა. ის კი ახსოვდა, რომ ფოტოსურათის გამოქვეყნების შემდეგ

სკოლაში სიარულზე უარი განაცხადა. შეუძლებელი იყო მეხსიერების იმ კვანძის გახსნა, რომელშიც საღამოს წვეულება და ფოტოსურათი გადახლართულიყო, შეუძლებელი იყო იმის თქმა, როდის რა მოხდა. ჟურნალი მამამ მოუტანა — შარშან აგარაკზე გადაღებული სურათი დაებეჭდათ: ბაღში ხესთან იდგა, შუბლზე ფოთლების ჩრდილი ადგა, სახემოღუშულს თავი ოდნავ გვერდზე გადაეხარა, ეცვა ვიწრო, თეთრი შარვალი, წინ წამდაუწუმ თავისით რომ ეხსნებოდა. მამას ეგონა, გაუხარდებაო, მან კი არაფერი შეიმჩნია, თუმცა გული მაინც აუთამაშდა — ამას ხომ სკოლაში სიარულისთვის ბოლო უნდა მოეღო. მის დაყოლიებას მთელი კვირა ცდილობდნენ. დედა, ცხადია, ტირიოდა. მამა ჭადრაკის ახალი კომპლექტის — უზარმაზარი ფიგურებისა და ტარსიკონის დაფის წართმევით დაემუქრა. მოულოდნელად ყველაფერი თავისით მოგვარდა. იგი შინიდან გაიქცა შემოდგომის პალტოთი, რადგან მანამდე, გაქცევის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, მშობლებმა ზამთრის პალტო დაუმალეს. არ იცოდა, სად წასულიყო (სუსხიანი თოვლი ლავგარდანებს ეფინებოდა, მერე ქარი აიტაცებდა და პატარ-პატარა ქარბუქი ტრიალებდა). ბოლოს დეიდასთან წაჩანჩალდა, რომელიც გაზაფხულს აქეთ არ ენახა. ქალი სახლის სადარბაზოსთან შეეჩეხა — შავი შლაპა ეხურა, ქაღალდში გახვეული ყვავილები ეჭირა და დაკრძალვაზე აპირებდა წასვლას.

— შენი ძველი პარტნიორი გარდაიცვალა, — უთხრა დეიდამ, — წამომყევი, ერთად წავიდეთ.

ბიჭი გაბრაზდა, სითბოში რომ ვეღარ დავჯდებოდა, რომ თოვდა, რომ დეიდას ვუალს მიღმა თვალებზე მწუხარების ცრემლები მოსდგომოდა, მკვეთრად შეტრიალდა და სხვა გზით წავიდა, ერთი საათი უაზროდ იყიალა, მერე კი შინისკენ გაემართა.

აღარ ახსოვდა, შინ როგორ მივიდა. საინტერესო ის იყო, რომ ყველაფერი, შესაძლოა, სხვაგვარად მოხდა — ბევრი რამ მეხსიერებას მერე დაემატა, ბოდვიდან — მას ხომ მთელი კვირა აბოდებდა. ვინაიდან ძალზე სუსტი და ნერვიული იყო, ექიმებს ეშინოდათ, ვაითუ ავადმყოფობას ვერ მოერიოსო. ადრეც ხშირად უავადმყოფია და როცა ამ უკანასკნელ სენს იხსენებდა, უნებურად სხვებიც აგონდებოდა, ბავშვობაში მრავლად გადატანილი, მომეტებულად

კი ის, ბალღობის დროინდელი, საკუთარ თავთან თამაშისას ვეფხვიან პლედში რომ გაეხვეოდა და მეფეს განასახიერებდა, — განსაკუთრებით მეფის როლი სიამოვნებდა, რადგან მანტია სიცივისგანაც იცავდა, და სურდა, რაც შეიძლება გვიან დამდგარიყო ის გარდაუვალი წუთი, როდესაც შუბლზე ხელს მიადებდნენ, თერმომეტრს ჩაუდებდნენ და სასწრაფოდ ლოგინში ჩააწვენდნენ. მაგრამ ოქტომბრის საჭადრაკო ავადმყოფობის მსგავსი არასდროს დამართნია. ჩიგორინის დამმარცხებელი ჭაღარა ებრაელი, ყვავილებს შორის მოქცეული გარდაცვლილი მოხუცი, მამა, ეშმაკური გამომეტყველებით ჟურნალი რომ მოჰქონდა, დაშამათებული, გახევებული გეოგრაფიის მასწავლებელი, ოთახი ჭადრაკის კლუბში, სადაც თამბაქოს კვამლში გახვეული ახალგაზრდები გარს მჭიდროდ შემორტყმოდნენ, გაპარსული სახე მუსიკოსისა, ტელეფონის ყურმილი ვიოლინოსავით რატომღაც ლოყასა და მხარს შორის რომ მოექცია, — ეს ყველაფერი მისი ბოდვის ნაწილი იყო და მოჩვენებით, მერყევ, უსასრულოდ გაწელილ დაფაზე რაღაც შემაძრწუნებელ თამაშს ემსგავსებოდა.

როცა გამოჯანმრთელდა, გამხდარი და გამაღლებული, საზღვარგარეთ წაიყვანეს, ჯერ ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე, სადაც ბაღში მზეზე იწვა და გონებაში პარტიებს თამაშობდა, რასაც ვერაფრით აუკრძალავდნენ, მერე კი გერმანიის ერთ-ერთ კურორტზე. იქ მამა უცნაურ, წიფლის მოაჯირებით შემოღობილ ბილიკებზე დაასეირნებდა...

თექვსმეტი წლის შემდეგ, როცა იმავე კურორტს ესტუმრა, მაშინვე იცნო თიხისწვერიანი ქონდრისკაცები ფერადი ხრეშით გარშემორტყმულ ყვავილნარებში, გაზრდილი და გალამაზებული სასტუმროს წინ, ბნელი, ნესტიანი ტყე ბორცვზე, ზეთის საღებავის ნაირფერი წანასმები (თითოეული ფერი განსაზღვრულ მიმართულებას აღნიშნავდა) გზაჯვარედინზე მდგარი წიფლის ხის ტანზე ან კლდეზე, რათა ზოზინა გამვლელს გზა არ აბნეოდა. წყაროს სიახლოვეს მოწყობილ დახლებზე ისევ ისეთი, ამობურცულ შუშებქვეშ მოთავსებული პრესპაპიეები იყიდებოდა ზურმუხტოვანი, ლურჯი და სადაფით გამოცოცხლებული ხედებით, ფიცარნაგზე თითქოს ისევ ის ორკესტრი უკრავდა ოპერების პოპურს,

ნეკერჩხლის ხეები ცოცხალ ჩრდილს აფენდნენ მაგიდებს, სადაც დამსვენებლები ყავასა და ათქვეფილნაღებიანი ვაშლის ტორტის სოლისმაგვარ ნაჭრებს მიირთმევდნენ.

— იმ ფანჯრებს ხომ ხედავთ, — თქვა მან და ხელჯოხი სასტუმროს ფრთისკენ გაიშვირა, — მაშინ იქ პატარა ტურნირი მიმდინარეობდა. ძალზე სოლიდური გერმანელი მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ. მე თოთხმეტი წლის ვიყავი. მესამე პრიზი მხვდა. დიახ, მესამე პრიზი.

მან კვლავ დააწყო ხელები მსხვილ ხელჯოხზე მისთვის უკვე ჩვეული, ოდნავ ბებრული მოძრაობით და თავი ისე დახარა, თითქოს მუსიკას უსმენდა.

— რა? შლაპა დავიხურო? ამბობთ, მზე აცხუნებსო? არა, ჩემზე არ მოქმედებს. არა, გეყოფათ, რა საჭიროა? ჩრდილში ვზივართ.

მან მაინც გამოართვა მაგიდის მეორე მხრიდან გამოწვდილი ჭილის შლაპა. ძირზე, სადაც მექუდის სახელის თავზე მუქი ლაქა მოჩანდა, თითები აათამაშა, დაიხურა და ცალყბად გაიღიმა. სწორედ რომ ცალყბად: მარჯვენა ლოყა ოდნავ ზემოთ ეწეოდა, მარჯვნივ კი ტუჩი ცუდ, თამბაქოს წევით გაყვითლებულ კბილებს უშიშვლებდა, სხვანაირად ვერ იღიმებოდა. ძნელად თუ დაიჯერებდა ვინმე, რომ მხოლოდ მესამე ათეულისთვის გადაებიჯებინა, — ცხვირის ორივე მხრიდან ღრმა, მომჩვარული ნაოჭი ეშვებოდა, მხრებში მოხრილიყო, მთელ სხეულში არაჯანსაღი სიმძიმე იგრძნობოდა, და როდესაც მოულოდნელად სწრაფად წამოდგა ბზიკისგან იდაყვით თავდასაცავად, გამოჩნდა, რომ საკმაოდ მსუქანი იყო, — უმცროს ლუჟინს ბავშვობაში არ ეტყობოდა, ასეთი ზოზინა, უშნოდ მსუქანი თუ გახდებოდა.

— რას გადამეკიდა! — შესძახა წვრილი, ტირილნარევი ხმით, თან ცალი ხელის იდაყვს კვლავ მაღლა სწევდა, მეორით კი ცხვირსახოცის ამოღებას ცდილობდა. ბზიკმა კიდევ ერთი წრე დაარტყა და გაფრინდა, ის კი დიდხანს მიაცილებდა მზერით, ცხვირსახოცს ანგარიშმიუცემლად ფერთხავდა, მერე ლითონის სკამი ქვიშაზე მყარად დადგა, დავარდნილი ხელჯოხი აიღო და ისევ დაჯდა. მძიმედ სუნთქავდა.

— რატომ გეცინებათ? ბზიკი ძალზე უსიამოვნო მწერია.

იგი მოიღუშა და მაგიდას დახედა. მისი პორტსიგარის გვერდით ქალის ნახევრად მრგვალი, შავი აბრეშუმის ხელჩანთა იდო. დაბნეულმა ხელი მისკენ გაიწოდა და საკეტი რამდენჯერმე გააწკაპუნა.

— ცუდად იკეტება, — თქვა თავაუღებლივ, — ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი გადმოგიცვივდებათ.

ამოიოხრა, ხელჩანთა გადადო და იმავე ტონით დაამატა:

— დიახ, ძალზე სოლიდური გერმანელი მოჭადრაკეები, და ერთი ავსტრიელი. არ გაუმართლა ცხონებულ მამაჩემს. ფიქრობდა, რომ აქ ჭადრაკის მიმართ ცხოველი ინტერესი არ იქნებოდა, პირდაპირ ტურნირზე კი მოვხვდით.

რაღაც მიეშენებინათ, სახლის ფრთა ახლა სხვაგვარად გამოიყურებოდა. ისინი მეორე სართულზე ცხოვრობდნენ. გადაწყვიტეს, შემოდგომამდე იქ დარჩენილიყვნენ, შემდეგ კი რუსეთში დაბრუნებულიყვნენ. და იმ სკოლის აჩრდილი, რომლის ხსენებასაც მამა უკვე მეორე წელია, ვერ ბედავდა, ისევ გამოჩნდა. დედა უფრო ადრე, ზაფხულის დადგომისას გაემგზავრა. ამბობდა, ძალიან მომენატრა რუსული სოფელიო. და ეს გრძელზე გრძელი „ძალიან“, გულის გამაწვრილებლად გაჭიანურებული პირველი მარცვლით, ერთადერთი ინტონაცია იყო, რომელიც შვილს დაამახსოვრდა. ბოლოს მაინც უნდომლად გაემგზავრა — ჭოჭმანობდა, წასულიყო თუ დარჩენილიყო. კარგა ხნის წინ დაიწყო შვილისგან უცნაური განრიდება, თითქოს იგი სადღაც გაუფრინდა. სიყვარულითაც ეს წამოზრდილი ბიჭი, მოჭადრაკე ვუნდერკინდი კი არ უყვარდა, რომლის შესახებაც უკვე გაზეთები წერდნენ, არამედ ის პატარა, თბილი, აუტანელი ბავშვი, უმნიშვნელო მიზეზითაც კი იატაკზე რომ იშხლართებოდა, ყვიროდა და ფეხებს აბაკუნებდა. ყველაფერი სევდის მომგვრელი და უსარგებლო იყო: ეს მეჩხერი, არარუსული იასამანი სადგურში, ტიტის ფორმის ნათურები ნორდ-ექსპრესის საძინებელ კუპეში, გულის აძგერება, სულისხუთვის შეგრძნება, — შესაძლოა, გულის ანგინა, ანდა უბრალოდ ნერვები, როგორც ქმარი ამბობდა. გაემგზავრა და აღარც იწერებოდა. მამა გამხიარულდა და მომცრო ოთახში გადავიდა. მერე კი, ივლისში, უმცროსმა ლუჟინმა, როდესაც შინ ბრუნდებოდა სხვა სასტუმრო-

დან, სადაც ერთი კაცი ცხოვრობდა იმ ხანდაზმულთა ჯგუფიდან, მას რომ ეთამაშებოდნენ და თანატოლების მაგივრობას უწევდნენ, ფერდობზე, ხის მოაჯირებთან, ჩამავალი მზის სხივებში გახვეულ მამას მოჰკრა თვალი, ვიღაც ქალს ახლდა. ეს ქალბატონი აშკარად მისი პეტერბურგელი, წითურთმიანი დეიდა იყო. ძალიან გაუკვირდა, რატომღაც შერცხვა და მამას არაფერი უთხრა. რამდენიმე დღის შემდეგ, ახალგათუნებულზე, გაიგონა, რომ მამა დერეფანში მორბოდა მისი საძინებელი ოთახისკენ და, როგორც მოეჩვენა, ხმამაღლა იცინოდა. კარი ფართოდ გაიღო, უფროსი ლუჟინი შემოვიდა და რაღაც ქაღალდი, დეპეშა ისე გაუწოდა, თითქოს მისგან თავის დაღწევა სურდა. ლოყებსა და ცხვირის ორივე მხარეს ცრემლი ღვარად ჩამოსდიოდა, გეგონებოდათ, სახეზე წყალი შეისხაო, სლუკუნებდა, სული ეხუთებოდა და იმეორებდა:

— რა არის ეს? რა არის ეს? შეცდომაა, ტყუილია, — და ქაღალდის თავიდან მოცილებას ცდილობდა.

5

თამაშობდა პეტერბურგში, მოსკოვში, ნიჟნი ნოვგოროდში, კიევში, ოდესაში. გაჩნდა ვიღაც ვალენტინოვი — საშუალო აღმზრდელსა და ანტრეპრენიორს შორის. მამა შავ სამკლავურს ატარებდა — ცოლს გლოვობდა — და პროვინციელ ჟურნალისტებს ეუბნებოდა, ვერასდროს შემოვივლიდი ასე გულდაგულ მშობლიურ მხარეებს, შვილი რომ ვუნდერკინდი არ მყოლოდაო.

ბიჭი კი ტურნირებში საუკეთესო რუს მოჭადრაკეებს ებრძოდა, დაფაზე დაუხედავადაც თამაშობდა, ხშირად მარტო ერკინებოდა ოციოდე მოყვარულს. უფროსმა ლუჟინმა მრავალი წლის შემდეგ (იმ პერიოდში, როცა ემიგრანტულ გაზეთში გამოქვეყნებული ყოველი საკუთარი ფელეტონი გედის სიმღერად ეჩვენებოდა და, ღმერთმა იცის, რამდენი იყო ამგვარი ლირიკითა და მცდარბეჭდილებით სავსე გედის სიმღერა) გადაწყვიტა, დაეწერა მოთხრობა სწორედ ასეთ მოჭადრაკე ბიჭუნაზე, რომელსაც მამა (წიგნის მიხედვით — მამინაცვალი) ქალაქ-ქალაქ დაატარებს. წერას ოც-

დარვაში შეუდგა, იმ სხდომიდან დაბრუნების შემდეგ, რომელზეც მარტო მივიდა. იჯდა ბერლინის კაფეს მყუდრო ოთახში და ნაცნობებს ელოდა. აი, მაშინ ეწვია მოულოდნელად და ცოცხლად ამ წიგნის ჩანაფიქრი. როგორც ყოველთვის, ზუსტად დათქმულ დროს გამოცხადდა, გაუკვირდა, მაგიდები ჯერაც რომ არ გაემზადებინათ. ლაქიას უბრძანა, საქმეს ახლავე შეუდექითო და ჩაი და კონიაკი მოითხოვა.

სუფთა ოთახი იყო, კარგად განათებული, კედელზე ნატიურმორტი ეკიდა: დაჭრილი საზამთროს გარშემო შემოლაგებული მადის აღმძვრელი ატმები.

ერთმანეთს მიდგმულ მაგიდებზე ნარნარად დაეფინა გაქათქათებული სუფრა.

ჩაიში შაქრის ნატეხი ჩააგდო, სისხლნაკლული, ოდნავ მთრთოლვარე ხელები გასათბობად ჭიქას შემოაჭდო და ბუშტუკების მოძრაობას დააჩერდა. გვერდით დარბაზში ვიოლინო და როიალი „ტრავიატას“ ნაწყვეტს უკრავდნენ. ტკბილმა მუსიკამ, კონიაკმა და სუფრის სითეთრემ უფროსი ლუჟინი დაასვენა. ეს სევდა ისეთი საამო იყო, რომ განძრევისაც კი ეშინოდა, იჯდა ცალ იდაყვზე დაყრდნობილი და თითი საფეთქელზე მიეჭირა — ძარღვმაგარი, თვალებგაწითლებული, ნაქსოვ ჟილეტსა და ყავისფერ პიჯაკში გამოწყობილს. მუსიკა უკრავდა, ცარიელი ოთახი შუქით იყო სავსე, საზამთროს ჭრილობა წითლად ღვიოდა, — სხდომაზე კი არავინ მოდიოდა. რამდენჯერმე საათს დახედა, მაგრამ მალე მუსიკამ და ჩაიმ ისე მოთენთა, რომ დრო გადაავიწყდა, ხან რაზე ფიქრობდა, ხან — რაზე: შემთხვევით შეძენილ საწერ მანქანაზე, მარიას თეატრზე[1], ვაჟიშვილზე, იშვიათად რომ ჩამოდიოდა ბერლინში. შემდეგ გაახსენდა, რომ უკვე მთელი საათია, რაც ზის, სუფრა კი ისევ ისე ცარიელი და თეთრია...

და ამ ნათელ და, როგორც მოეჩვენა, მისტიკურ სიცარიელეში, არშემდგარი სხდომისთვის განკუთვნილ მაგიდასთან მჯდარმა დაასკვნა, რომ დიდი ხნის წინ გამქრალი სამწერლობო შთაგონება სწვეოდა.

---

[1] *მარიას თეატრი — ოპერისა და ბალეტის თეატრი საიმპერატორო სანქტ-პეტერბურგში.*

— დროა, ზოგიერთი რამ შევაჯამო, — გაიფიქრა და ცარიელ ოთახს თვალი მოავლო — სუფრას, ლურჯ შპალერს, ნატიურმორტს — როგორც ათვალიერებენ ოთახს, სადაც ცნობილი ადამიანი დაიბადა. მოთხრობის ფაბულა, რომელსაც უფროსი ლუჟინი დიდხანს ატარებდა გულში, ამ წამს შექმნილად მოეჩვენა, ოცნებით მომავალი ბიოგრაფი მოიწვია (რომელიც, რაღაც პარადოქსის გამო, დროში მასთან მოახლოების კვალდაკვალ, სულ უფრო ეფემერული და შორეული ჩანდა), რათა მეტი ყურადღებით შეეთვალიერებინა ეს შემთხვევითი ოთახი, სადაც მოთხრობა „გამბიტი“ იშვა. ჩაი სულმოუთქმელად გადაყლაპა, პალტო ჩაიცვა, შლაპა დაიხურა, ლაქიისგან შეიტყო, რომ დღეს ოთხშაბათი კი არა, სამშაბათი იყო, კმაყოფილი ღიმილით გამოხატა თავისი დაბნეულობა და შინ დაბრუნებისთანავე საწერ მანქანას შავი ჩარსავი ახადა.

მის თვალწინ ყველაზე გამოკვეთილად ეს, მწერლის წარმოსახვით ოდნავ ფერშეცვლილი მოგონება იდგა: ნათელი დარბაზი, ორ რიგად ჩამწკრივებულ მაგიდებზე ჭადრაკის დაფები. ყოველ მაგიდას თითო კაცი მისჯდომია, ზურგს უკან კისერწაგრძელებულ მაყურებელთა ჯგუფი დგას. მაგიდებს შორის პატარა ბიჭი მოიჩქარის, ტახტის მემკვიდრესავით ლამაზ, თეთრ მეზღვაურის კოსტიუმში გამოწყობილა, არავის უყურებს, რიგრიგობით ჩერდება თითოეულ მაგიდასთან და ან სწრაფად აკეთებს სვლას, ან მოოქროსფრო-ქერა თავს დაბლა ხრის და წამით ჩაფიქრდება. შორიდან სრულიად გაუგებარია, რა ხდება: შავსამოსიანი ხანდაზმული, პირმოღუშული ადამიანები შემოსხდომიან დაღვლარჭნილი თოჯინებით გაძეძგილ დაფებს, სუსტი, მოხდენილად ჩაცმული, ღმერთმა იცის, აქ რისთვის მოსული ბიჭი უცნაურად დაძაბულ სიჩუმეში მსუბუქად გადადის მაგიდიდან მაგიდასთან, მარტო მოძრაობს ამ გაშეშებულ ხალხს შორის...

მწერალმა ლუჟინმა თვითონ ვერ შეამჩნია მოგონებათა სტილიზაცია. ვერც ის შენიშნა, რომ შვილს უფრო მეტად „მუსიკალური“ ვუნდერკინდის თვისებები მიაწერა, ვიდრე მოჭადრაკე ვუნდერკინდისა — რაღაც ავადმყოფური, ანგელოზური — უცნაურად მიბნედილი თვალები, ხუჭუჭი თმა, გამჭვირვალე, თეთრი სახე. მაგრამ ახლა სირთულემაც იჩინა თავი: შვილის ყოველგვა-

რი მინარევისგან გასუფთავებული, უკიდურესად ნაზად ჩამოქნილი სახე ყოფიერებით უნდა შეევსო. ერთი კი მტკიცედ გადაწყვიტა: — ბავშვის გაზრდას არ დაუშვებდა, მისგან იმგვარ ადამიანს ვერ გამოიყვანდა, ზოგჯერ მასთან ბერლინში რომ ჩამოდიოდა, შეკითხვებს თვალმოხუჭული პასუხობდა, მერე მიდიოდა და ფანჯრის რაფაზე კონვერტით ფულს უტოვებდა.

— იგი ახალგაზრდა მოკვდება, — ჩაილაპარაკა ხმამაღლა. მოუსვენრად დადიოდა ოთახში ხუფახდილი საწერი მანქანის გარშემო, რომელიც ყველა ღილაკის ათინათით მას უთვალთვალებდა.

— დიახ, ის ახალგაზრდა მოკვდება, უკანასკნელი პარტიის თამაშისას.

ეს აზრი ისე მოეწონა, დაენანა, წიგნის დაწერა ბოლოდან რომ არ იყო შესაძლებელი. თუმცა რატომ იყო შეუძლებელი? მოსინჯვა შეიძლებოდა... დაიწყო კიდეც აზრის უკუღმა წაყვანა, — ამ გულის ამაჩუყებელი, ასეთი აშკარა სიკვდილიდან უკან, გმირის ბურუსით მოცული დაბადებისკენ, მაგრამ უეცრად გამოცოცხლდა, მაგიდას მიუჯდა და კვლავ ჩაფიქრდა.

ადრე ამგვარ წიგნზე ოცნებისას გრძნობდა, რომ ორი რამ უშლიდა ხელს: ომი და რევოლუცია. შვილის ნიჭი მთელი ძალით მხოლოდ ომის შემდეგ განვითარდა, როდესაც ვუნდერკინდიდან მაესტროდ იქცა. სწორედ ამ ომის წინ, რომელიც მეხსიერებას მწყობრ ლიტერატურულ ფაბულაზე მუშაობის შესაძლებლობას არ აძლევდა, შვილთან და ვალენტინოვთან ერთად კვლავ საზღვარგარეთ გაემგზავრა. სათამაშოდ ვენაში, ბუდაპეშტში, რომში იწვევდნენ. ისე იზრდებოდა რუსი ბიჭუნას დიდება, რომელსაც უკვე დაემარცხებინა ჭადრაკის სახელმძღვანელოებში მოხვედრილი ზოგიერთი მოთამაშეთაგანი, რომ უცხოურ გაზეთებში გაკვრით მის მოკრძალებულ სამწერლობო ღვაწლსაც აღნიშნავდნენ. სამივენი შვეიცარიაში იყვნენ, როდესაც ავსტრიის ერცჰერცოგი მოკლეს. სრულიად შემთხვევითი მოსაზრებებით (შვილისთვის სასარგებლოა მთის ჰაერი, ვალენტინოვმა თქვა, — ახლა რუსეთს ჭადრაკისთვის არ სცხელა, ბიჭი კი მხოლოდ ამით ცოცხლობსო, ომი დიდხანს არ გაგრძელდებაო), იგი პეტერბურგში მარტო დაბრუნდა. რამდენიმე თვის შემდეგ მონატრებას ვეღარ გაუძლო და

შვილი იხმო. უცნაურად მაღალფარდოვან წერილში, რომელიც მეტ-ნაკლებად შეესაბამებოდა კიდეც ამ გზაჯნილის მიერ ტაატით გავლილ შემოვლით გზას, ვალენტინოვი ატყობინებდა, თქვენს შვილს ჩამოსვლა არ სურსო. ლუჟინმა ხელმეორედ მისწერა და ისეთივე მაღალფარდოვანი და თავაზიანი პასუხი ტარასპიდან[1] კი არა, უკვე ნეაპოლიდან მიიღო. ვალენტინოვი შესძულდა. უჩვეულოდ დადარდიანდა. სხვათა შორის, მორიგ წერილში ვალენტინოვმა შესთავაზა, შვილის შენახვის ყველა ხარჯს საკუთარ თავზე აკიღებ, შინაურები ვართ — გავსწორდებითო (სწორედ ასე ეწერა). დრო გადიოდა. მოულოდნელად სამხედრო კორესპონდენტად კავკასიაში აღმოჩნდა. დარდისა და ვალენტინოვის (რომელიც, უნდა ითქვას, ბეჯითად იწერებოდა) უსაშველო სიძულვილით სავსე დღეებს სულიერი სიმშვიდის ხანა მოჰყვა, რაც იმის გააზრებას ემყარებოდა, რომ საზღვარგარეთ შვილი უკეთ იყო, ვიდრე რუსეთში იქნებოდა (რასაც ამტკიცებდა კიდეც ვალენტინოვი).

ახლა, თითქმის თხუთმეტი წლის შემდეგ, ომის ეს წლები გამაღიზიანებელ დაბრკოლებად იქცა, შემოქმედების თავისუფლების ერთგვარ ხელყოფად, რადგან ყოველ წიგნში, კონკრეტული პიროვნების თანდათანობითი განვითარების აღწერასთან ერთად, ომი უნდა ყოფილიყო ნახსენები, რომლის თავიდან აცილება გმირის ჭაბუკობის ასაკში სიკვდილსაც არ შეეძლო. შვილის სახის ირგვლივ ისეთი გარემოებები არსებობდა, ისეთი ადამიანები ჩნდებოდნენ, რომელთა წარმოდგენა, სამწუხაროდ, მხოლოდ ომის ფონზე შეიძლებოდა. რევოლუციის გამო უფრო ცუდად იყო საქმე. საყოველთაო აზრით, მან ყოველი რუსის ცხოვრებაზე მოახდინა ზეგავლენა. ვერც ერთი გმირი ვერ გაივლიდა მას უდანაკარგოდ. ამას თავიდან ვერავინ აიცილებდა. ეს კი მწერლის ნება-სურვილზე ძალადობას ნიშნავდა. მაგრამ რა შეიძლება ევნო რევოლუციას მისი შვილისთვის? დიდი ხნის ნანატრ დღეს, ათას ცხრაას ჩვიდმეტი წლის შემოდგომაზე, უწინდელივით მხიარული, ბრწყინვალედ ჩაცმული ვალენტინოვი გამოეცხადა, მას თან ახლდა პატარა ულვაშებიანი ფუმფულა ახალგაზრდა კაცი. წუთით სევდა, დაბნეულობა და უცნაური იმედგაცრუება გაჩნდა, შვილი უმეტესად

[1] *ტარასპა — ქალაქი შვეიცარიაში.*

დუმდა და ფანჯარაში იყურებოდა (შესაძლოა სროლის ეშინია, — ჩუმად გადაულაპარაკა ვალენტინოვმა). თავდაპირველად ყველაფერი ცუდ სიზმარს ჰგავდა, მაგრამ მერე ყოველივე თავის ადგილზე დადგა. ვალენტინოვი კვლავ არწმუნებდა, „შინაურები ვართ, გავსწორდებითო“, — აღმოჩნდა, რომ იგი დიდ, საიდუმლო საქმეებს ატრიალებდა და ფული მოკავშირე ევროპის ყველა ბანკში ჰქონდა შეტანილი. შვილმა ერთ-ერთ უმყუდროეს, გაგანია სამოქალაქო ალიაქოთის დროს ნდობით გაფურჩქნილ საჭადრაკო კლუბში დაიწყო სიარული, გაზაფხულზე კი ვალენტინოვთან ერთად კვლავ საზღვარგარეთ გაუჩინარდა. ამას მოსდევდა მხოლოდ პირადი, ულაზათო მოგონებების წყება, ჯანდაბას ისინი, შიმშილი, დაპატიმრება, ესენიც ჯანდაბას, და უეცრად — დალოცვილი გადასახლება, კანონიერი განდევნა, სუფთა, ყვითელი გემბანი, ბალტიის ქარი, კამათი სულის უკვდავებაზე პროფესორ ვასილენკოსთან.

ამ ყველაფრიდან, ამ მქისე დომხალიდან, მეხსიერების ყოველი კუთხე-კუნჭულიდან ჯიუტად რომ მოიპარებოდა, ნებისმიერ მოვლენას რომ აუფასურებდა და თავისუფალ აზრს ეღობებოდა, აუცილებელი იყო ვალენტინოვის ფრთხილად, ნაწილ-ნაწილ გამორჩევა და წიგნში მთლიანად შემოშვება. იგი უდავოდ ნიჭიერი გახლდათ, — ასე ახასიათებდნენ ისინი, ვინც მზად იყვნენ, მაშინვე რაიმე სისაძაგლეც არ დანანებოდათ მისთვის, — უცნაური კაცი, ყველაფერში მარჯვე, მოყვარულთა სპექტაკლების მოწყობის შეუცვლელი ოსტატი, ინჟინერი, ბრწყინვალე მათემატიკოსი, ჭადრაკისა და შაშის მოყვარული, „უამიუზანტესი ბატონი“[1], როგორც თვითონ ახასიათებდა ხოლმე საკუთარ თავს. საუცხოო თაფლისფერი თვალები ჰქონდა და საოცრად მიმზიდველი სიცილი იცოდა. საჩვენებელ თითზე ადამისთავიანი ბეჭედი ეკეთა, რითაც იუწყებოდა, რომ მისთვის არც დუელი იყო უცხო ხილი. ერთი ხანობა ტანვარჯიშს ასწავლიდა იმ სკოლაში, სადაც პატარა ლუჟინი სწავლობდა და მოსწავლეებსა და მასწავლებლებზე იმით მოახდინა შთაბეჭდილება, რომ ვიღაც იდუმალი ქალბატონი ლი-

---

[1] *„უამიუზანტესი ბატონი“ — ამიუზანტი — ფრ. amusant — გართობა, გახალისება. ასე უწოდებდნენ რაიმე გასართობ სათამაშოს, ადამიანს, რომელიც ართობდა და ახალისებდა მაღალ საზოგადოებას. აქ: გამრთობი.*

მუზინით აკითხავდა. გასაოცარი ლითონფენილის გამოგონებაც მოახერხა, რომელიც პეტერბურგში, ნევის პროსპექტზე, ყაზანის ტაძრის სიახლოვეს გამოსცადეს. რამდენიმე მახვილგონივრული საჭადრაკო ამოცანაც ჰქონდა შედგენილი და ეგრეთ წოდებული „რუსული“ თემის ექსპონენტიც[1] იყო. ომი რომ გამოცხადდა, იმ დროს ოცდარვა წელი შეუსრულდა, არანაირი დაავადება არ სჭირდა. ამ მხიარულ, მხნე, მოხერხებულ კაცს რატომღაც არ უხდებოდა ანემიური სიტყვა „დეზერტირი“, მაგრამ სხვა სიტყვა უფრო ნაკლებად შეესაბამებოდა. არავინ იცოდა, რას აკეთებდა ომის დროს საზღვარგარეთ.

მაშასადამე, გადაწყდა, რომ იგი სრულად გამოეყენებინა, მისი მეოხებით ნებისმიერ ფაბულას სიცხოველე და ავანტიურის ელფერი არ დაჰკლებია. მაგრამ უმთავრესი ჯერაც არ მოეფიქრებინა. აქამდე ხომ ყველაფერი მხოლოდ საღებავები იყო, მართალია, თბილი და ცოცხალი, მაგრამ მარტოდენ ლაქები. აუცილებლად უნდა მიეგნო გარკვეული სურათისთვის, მკვეთრი ხაზისთვის. ახალ წიგნზე მუშაობას მწერალი ლუჟინი პირველად, მისდა უნებურად, ფერებით იწყებდა.

რაც მეტად მკვეთრდებოდა ფერები მის წარმოსახვაში, მით უფრო უძნელდებოდა საწერ მანქანასთან დაჯდომა. გავიდა ერთი თვე, ორი, დადგა ზაფხული, ის კი კვლავაც ულამაზესი ფერებით რთავდა ჯერაც უხილავ თემას. ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ წიგნი დასრულებული იყო, ცხადად ხედავდა ანაწყობს, კიდეებზე წითელიეროგლიფებიან სვეტებს, ახალაკინძულ ჭრაჭუნა წიგნს, იმის იქით კი — საოცარ ვარდისფერ ბურუსს, საამო საჩუქრებს ყველა წარუმატებლობის, დიდების ყველა ცრუ დაპირების სანაცვლოდ. სტუმრობდა უამრავ ნაცნობს და დიდხანს, სიამოვნებით ჰყვებოდა თავის წიგნზე. ერთ-ერთმა ემიგრანტულმა გაზეთმა დაწერა, რომ იგი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ახალ მოთხრობაზე მუშაობდა. ეს ცნობა თვითონვე შეადგინა და გაგზავნა, აღელვებულმა სამჯერ გადაიკითხა, ამოჭრა და საფულეში ჩაიდო. მოუხშირა ადვოკატებისა და ქალბატონების მიერ მოწყობილ საღამოებზე სიარულს,

---

[1] *ექსპონენტი — საჩვენებლად გამომფენი პირი, ან ორგანიზაცია, რომელმაც გამოფენაზე გამოიტანა თავის მიერ შექმნილი ან მისი კუთვნილი საგანი (ექსპონანტი).*

ეგონა, რომ ყველა ცნობისმოყვარეობითა და პატივისცემით უყურებდა. ერთ საბედისწერო ზაფხულის დღეს კი ქალაქგარეთ გაემგზავრა და სანამ ამაოდ ეძებდა თეთრ სოკოებს, მოულოდნელად წამოსულ თავსხმა წვიმაში მოყვა. მეორე დღეს ლოგინში ჩაწვა. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მარტოობაში გარდაიცვალა. სიმშვიდე არც სიკვდილის წინ სწვევია. ემიგრანტ მწერალთა კავშირის გამგეობამ მის ხსოვნას პატივი ფეხზე წამოდგომით მიაგო.

6

— ყველაფერი აუცილებლად გადმოიყრება, — თქვა ლუჟინმა, როდესაც კვლავ აიღო ჩანთა.

ქალმა სწრაფად გაიწოდა ხელი, ხელჩანთა მოშორებით გადადო — მსუბუქად დააგდო მაგიდაზე და ამით თითქოს მიკარება აუკრძალა.

— მუდამ რაიმე უნდა აწვალოთ, — უთხრა ალერსიანად.

ლუჟინმა ხელზე დაიხედა, თითები გაფარჩხა და აათამაშა. უხეშნუნებიანი ფრჩხილები თამბაქოს ბოლით გაყვითლებოდა, სახსრებს მსხვილი, განივი ნაოჭები გასდევდა, უფრო ქვემოთ, აქა-იქ თმა ამოსვლოდა. ხელი მაგიდაზე დადო ქალის ფერმკრთალი, რძისფერი, შესახედავად რბილი ხელის გვერდით, რომელსაც მოკლე და აკურატულად დაჭრილი ფრჩხილები აშშვენებდა.

— ვწუხვარ, მამათქვენს რომ არ ვიცნობდი, — თქვა ქალმა ცოტა ხნის შემდეგ, — ალბათ, ძალიან კარგი, ძალიან სერიოზული ადამიანი იყო და ძალიან უყვარდით.

ლუჟინი დუმდა.

— კიდევ მომიყევით რამე — აქ როგორ ცხოვრობდით? ნუთუ ოდესმე თქვენც იყავით პატარა, დარბოდით, დაფუსფუსებდით?

კაცმა ორივე ხელი კვლავ ხელჯოხზე დააწყო, და მისი სახის გამომეტყველებამ, თითქოს ნამძინარევმა, ძირს მძიმედ დაშვებულმა ქუთუთოებმა, ოდნავ გაღებულმა, თითქოს დასამთქნარებლად გაშზადებულმა პირმა ქალი მიახვედრა, რომ თანამგზავრმა მოიწყინა, ამდენმა მოგონებამ თავი მოაბეზრა — ყველაფერს ისედაც

გულგრილად იხსენებდა. უცნაურად ეჩვენებოდა, რომ მამა სულ რაღაც ერთი თვის წინ დაკარგა და თვალზე ცრემლიც კი არ მოსდგომია იმ სახლის ნახვისას, სადაც ბავშვობაში მასთან ერთად ცხოვრობდა. მაგრამ თუნდაც ამ გულგრილობაში, უხეშ სიტყვებში, მისი სულის ზანტ მოძრაობაში — თითქოს ოდნავ შეღვიძებულმა გვერდი იბრუნა და ძილი გააგრძელაო — რაღაც გულის ამაჩუყებელი, რთულად განსასაზღვრი მშვენიერება ელანდებოდა, რომელიც გაცნობის პირველსავე დღეს შეიგრძნო. და რა იდუმალებით მოცული უნდა ყოფილიყო იგი, რომ მიუხედავად მამისადმი აშკარად ნელთბილი დამოკიდებულებისა, სწორედ ეს კურორტი, ეს სასტუმრო აირჩია, თითქოს ოდესღაც უკვე ნანახი საგნებისა და პეიზაჟებისგან იმ შეგრძნებას ელოდა, სხვის დაუხმარებლად რომ ვერ განიცდიდა. ყველაფერი მშვენივრად დაიწყო. როცა ჩამოვიდა, მოსაწყენი, ულიმღამო დღე იყო. ჟინჟღლავდა. შავი, ულაზათო, ბუსუსებიანი შლაპა ეხურა, უშველებელი რეზინის კალოშები ეცვა. როცა ავტობუსიდან მძიმედ ჩამოსული კაცის ტანს სასტუმროს ფანჯრიდან აკვირდებოდა, ქალმა იგრძნო, რომ ეს უცნობი მგზავრი სრულიად განსაკუთრებული, კურორტის სხვა მობინადრეთაგან განსხვავებული იყო. სასადილოში ყველა ამ მსუქან, მოღუშულ კაცს მისჩერებოდა, რომელიც ხარბად და ულაზათოდ ჭამდა, ზოგჯერ კი ჩაფიქრდებოდა და სუფრას თითს უსვამდა. ქალი ჭადრაკს არ თამაშობდა, საჭადრაკო ტურნირებითაც არასდროს დაინტერესებულა, მაგრამ მისი სახელი საიდანღაც მაინც ახსოვდა, ქვეცნობიერად ჩაბეჭდოდა გონებაში, თუმცა ვერ გაეხსენებინა, როდის გაიგონა პირველად. გულკეთილმა, სასიამოვნო, საკმაოდ გემოვნებით ჩაცმულმა, ყაბზობით გატანჯულმა ფაბრიკანტმა, რაზეც ხალისით ჰყვებოდა ხოლმე და თავში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა, მოულოდნელად თავისი გასაჭირი დაივიწყა და გალერეაში, სადაც სამკურნალო ჩაის მიირთმევდნენ, რამდენიმე გასაოცარი ამბავი შეატყობინა პირქუშ მამაკაცზე, რომელსაც ბეწვიანი შლაპის მაგიერ ძველი კონოტიე[1] დაეხურა, წაგრძელებული ვიტრინის წინ იდგა და გასაყიდად გამოტანილ ხელნაკეთ ნივთებს ათვალიერებდა.

---

[1] *კანოტიე — ჭილის ქუდის ნაირსახეობა.*

— თქვენი თანამემამულეა, — თქვა ფაბრიკანტმა და მასზე წარბით მიანიშნა, — სახელგანთქმული მოჭადრაკე. საფრანგეთიდან ჩამოვიდა ტურნირში მონაწილეობისთვის. ასპარეზობა ორ თვეში ბერლინში გაიმართება. თუ მოიგებს, ევროპის ჩემპიონს გამოიწვევს. ახლახან მამა გარდაეცვალა. გაზეთში ყველაფერი წერია.

ქალს ეს მოუქნელი, პირმოღუშული კაცი საოცრად მიმზიდველი მოეჩვენა, მოეწონა, რომ მშიერი თვალებით არ შეჰყურებდა სასტუმროში დაბინავებული უცოლო მამაკაცების მსგავსად, საუბრის საბაბს არ ეძებდა. დაბალი, გადასაკეცი საყელო რატომღაც მუსიკოსს ამსგავსებდა. მისი გაცნობა, მასთან რუსულად დალაპარაკება მოუნდა. ქალს ლამაზი არ ეთქმოდა. მის პატარა, სწორ ნაკვთებს ეშხი და იდუმალება აკლდა. მაგრამ იგი ოცდახუთი წლის იყო, მოდურად შეკრეჭილი შესანიშნავი თმა ამშვენებდა, თავის ერთგვარი მობრუნება სჩვეოდა, რომელიც შესაძლო ჰარმონიაზე, ნამდვილი სილამაზის ბოლო წამს შეუსრულებელ დაპირებაზე მიანიშნებდა. ძალზე უბრალო, მაგრამ კარგად შეკერილი კაბა ეცვა, თავმომწონეობდა შიშველი მკლავებისა და ყელის სინორჩით. მდიდარი იყო — მამამისს ქონების ნაწილი რუსეთში დაეკარგა, მაგრამ გერმანიაში დაეგროვებინა. დედა მალე აპირებდა კურორტზე ჩამოსვლას. ლუჟინის გაცნობის შემდეგ მისი მოსალოდნელი ხმაურიანი გამოჩენა უამურ გრძნობას აღუძრავდა.

კაცი ჩამოსვლის მესამე დღეს გაიცნო, ისე როგორც ეს ძველ რომანებში ან ფილმებში ხდება: ქალი ცხვირსახოცს ძირს დააგდებს, კაცი კი აიღებს — იმ განსხვავებით, რომ გმირის როლში თვითონ აღმოჩნდა. ლუჟინი მის წინ ბილიკს მიუყვებოდა და ერთმანეთის მიყოლებით უცვივოდა დიდი, უჯრედებიანი, საოცრად ჭუჭყიანი ცხვირსახოცი ზედ მიკრული ჯიბის ნაგვით, გატეხილი, დაჭმუჭნილი ნახევრად ცარიელი პაპიროსი, თხილი და ფრანგული ფრანკი. ქალმა მხოლოდ ცხვირსახოცი და მონეტა აიღო. დაწევას არ ჩქარობდა, ცნობისმოყვარეობით ელოდა ახალ დანაკარგს. ლუჟინი სიარულს განაგრძობდა, მარჯვენაში ხელჯოხი ეჭირა, რომლითაც ყოველ ხეს, ყოველ ძელსკამს ეხებოდა, მარცხენას კი განუწყვეტლივ

ჯიბეში აფათურებდა. ბოლოს შეჩერდა, ჯიბე ამოატრიალა და მასში გაჩენილ ნახვრეტს დააცქერდა. თან ერთი მონეტა კიდევ დაუვარდა.

— გახვრეტილა, — ჩაილაპარაკა გერმანულად და ქალს ცხვირსახოცი გამოართვა (ესეც, — უთხრა ქალმა რუსულად).

— საძაგელი ქსოვილია, — განაგრძო კაცმა თავაუღებლივ, რუსულზე გადაუსვლელად, არაფერი გაჰკვირვებია, თითქოს ნივთების დაბრუნება სრულიად ბუნებრივი რამ ყოფილიყო.

— ისევ იქ ნუ იდებთ, — უთხრა ქალმა და გაეცინა. მხოლოდ მაშინ ასწია კაცმა თავი და ქალს კოპებშეკრულმა შეხედა. სავსე, ნაცრისფერ, ცუდად გაპარსულ, სამართებლით დაკაწრულ სახეზე დაბნეული და უცნაური გამომეტყველება გამოესახა. საოცარი თვალები ჰქონდა, ვიწრო, ოდნავ ელამი, მძიმე ქუთუთოებით ნახევრად დამალული და თითქოს რაღაცით დამტვერილი. მაგრამ ამ ფაფუკი მტვრიდან მოლურჯო, ცრემლნარევი ბრწყინვალება გამოსჭვიოდა, რომელშიც იყო რაღაც გიჟური და მიმზიდველი.

— აღარ დაგივარდეთ, — უთხრა ქალმა და გასცილდა. ზურგზე კაცის მზერას გრძნობდა. საღამოს, სასადილოში შესვლისას, შორიდან უნებლიეთ გაუღიმა. კაცმა კუშტი, ცალყბა ღიმილით უპასუხა, როგორც ზოგჯერ სასტუმროს შავ, მაგიდებს შორის უხმაუროდ მოძრომიალე კატას უყურებდა ხოლმე. მომდევნო დღეს ბაღში, სადაც მღვიმეები, შადრევნები და თიხის ქონდრისკაცები იყო, კაცი მიუახლოვდა და დაბალი, ნაღვლიანი ხმით გადაუხადა მადლობა ცხვირსახოცისა და მონეტისათვის (და იქიდან მოყოლებული, ბუნდოვნად, თითქმის შეუცნობლად ადევნებდა თვალყურს, რამე ხომ არ უვარდებაო, — თითქოს რაღაც საიდუმლო სიმეტრიის აღდგენას ცდილობდა).

— არაფრის, არაფრის, — მიუგო ქალმა და კიდევ მრავალჯერ გაიმეორა მსგავსი სიტყვები, — ნამდვილი სიტყვების ღარიბი ნათესავები, — მერედა, რამდენია ასეთი პატარა სარეველა სიტყვა, სხაპასხუპით, სიცარიელის შესავსებად რომ ითქმება. გრძნობდა რა ასეთი სიტყვების წარმოთქმისას მათ წვრილმან ამაოებას, დაინტერესდა, თუ მოგწონთ კურორტი, რამდენი ხნით ჩამოხვედით და სამკურნალო წყალს თუ სვამთო.

კაცმა უპასუხა, რომ მოსწონდა, დიდი ხნით აპირებდა დარჩენას და წყალსაც სვამდა. შემდეგ ქალმა ჰკითხა, — თან შეკითხვის უაზრობასაც ხვდებოდა, მაგრამ გაჩერება აღარ შეეძლო, — რამდენი ხანია, ჭადრაკს თამაშობთო. მან შეკითხვა უპასუხოდ დატოვა და შეტრიალდა, ქალი კი ისე შეცბა, რომ იმდღევანდელი, წინა და მომდევნო დღის მეტეოროლოგიური ნიშნების აჩქარებით ჩამოთვლას შეუდგა. კაცი კვლავ არაფერს ამბობდა. მაშინ ქალიც დადუმდა, ხელჩანთაში ქექვა დაიწყო, მოუსვენრად ეძებდა შიგ საუბრის თემას, მაგრამ ხელში მხოლოდ გატეხილი სავარცხელი ხვდებოდა. მოულოდნელად ლუჟინმა თავი მისკენ მიაბრუნა და თქვა:

— თვრამეტი წელი, სამი თვე და ოთხი დღე.

ამ სიტყვების გაგონებით მოხიბლულ ქალს გულზე მოეშვა, პასუხის დახვეწილი საფუძვლიანობაც ეამა. სხვათა შორის, მალე ცოტათი გაბრაზდა კიდეც, რადგან კაცი, თავის მხრივ, როგორც ჩანს, რაიმის კითხვას არც კი აპირებდა, თითქოს უსიტყვოდ ენდობოდა.

— არტისტია, ნამდვილი არტისტი, — გაიფიქრებდა ხოლმე ქალი, როდესაც მის მკაცრ პროფილს, მსუქან, წელში მოხრილ სხეულსა და მუდმივად დაცვარულ შუბლზე მიკრულ მუქ კულულს უყურებდა. და, შესაძლოა, სწორედ იმიტომ, რომ ჭადრაკის არაფერი გაეგებოდა, ჭადრაკი მისთვის უბრალოდ ოჯახურ თამაშს, სასიამოვნო დროს ტარებას კი არ წარმოადგენდა, არამედ იდუმალ, ყველა აღიარებული ხელოვნების დარგის თანაბარ ხელოვნებას. ამგვარ ხალხს ცხოვრებაში არასდროს შეხვედრია — ვერავის შეადარებდა, თუ არა გენიალურ ახირებულ ადამიანებს, მუსიკოსებსა და პოეტებს, რომელთა სახეები ისევე გარკვევით და ისევე ბუნდოვნად იცოდა, როგორც რომაელი იმპერატორის, ინკვიზიტორის თუ ძუნწი კაცისა კომედიიდან. მეხსიერებაში მომცრო, ცუდად განათებული გალერეა ჰქონდა მოთავსებული, ყველა იმ პირთა მწკრივი, რომლებიც მის წარმოსახვას ოდესმე შეხებოდნენ. აქ სკოლის მოგონებებიც იყო: ქალთა გიმნაზია პეტერბურგში, სუროთი დაფარული ფასადით მოკლე, მტვრიან, უტრამვაიო ქუჩაზე; გეოგრაფიის მასწავლებელი, რომელიც ვაჟთა გიმნაზია-

შიც ასწავლიდა, — დიდთვალება, თეთრშუბლა კაცი თმაგაბურძგნილი ჭლექიანი, როგორც ამბობდნენ, დალაი ლამასთან სტუმრად ნამყოფი. ისიც ითქვა, ერთი უფროსკლასელი მოსწავლე უყვარსო, დისშვილი ჭაღარა, ცისფერთვალება ინსპექტორი ქალისა, რომლის პატარა, ლურჯშპალერიან კაბინეტში თეთრი ღუმელი იდგა და ძალზე მყუდრო ჩანდა. გეოგრაფი მის მეხსიერებაში სწორედ ლურჯ ფონზე დარჩა — ლურჯი ჰაერით გარშემორტყმული სწრაფად ახლოვდებოდა, კლასში, ჩვეულებრივ, აჩქარებითა და ხმაურით შემოიჭრებოდა, მერე კი უეცრად დნებოდა, იკარგებოდა და ადგილს სხვას უთმობდა, რომელიც ასევე სხვებისგან განსხვავებული ეჩვენებოდა. ამ ადამიანის გამოჩენას წინ უსწრებდა ინსპექტორი ქალის შეგონება, რომ არ უნდა გასცინებოდათ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გასცინებოდათ. ეს პირველ საბჭოურ წელს ხდებოდა, ორმოცი გოგონადან კლასში მხოლოდ ჩვიდმეტი დარჩა, რომლებიც მასწავლებლებს ყოველდღე ერთი და იმავე შეკითხვით ეგებებოდნენ:

— დღეს რამეს ვისწავლით?

და ისინიც დაზეპირებულივით პასუხობდნენ:

— ჯერ ინსტრუქცია არ მიგვიღია.

ინსპექტორმა ბრძანა, როდესაც სახალხო განათლების კომისარიატის თანამშრომელი მოვა, რაც უნდა თქვას და როგორც უნდა მოიქცეს, სიცილი არავინ გაბედოსო. ისიც მოვიდა და მის მეხსიერებაში დაიდო ბინა, როგორც სხვა, სულელური სამყაროდან მოსულმა სასაცილო ადამიანმა. კოჭლი იყო, მაგრამ ცქაფი და მოუსვენარი, თვალებს აცეცებდა. ქალიშვილები მიჩუმებულ დარბაზში შექუჩდნენ, ის კი მათ წინ ბოლთას სცემდა, კოჭლობას არად დაგიდევდათ და მაიმუნივით მარჯვედ ტრიალდებოდა. სიარულისას მოხერხებულად მიათრევდა ფეხს, რომელზეც მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა,

მარჯვენა ხელით ჰაერს ტოლ-ტოლად ჰყოფდა ან მაუდივით აუთოებდა. ვრცლად და სწრაფად საუბრობდა მომავალში წასაკითხი სოციოლოგიის ლექციების შესახებ, ვაჟთა სკოლასთან მალე მიერთებაზე, — მას კი გულიანად უნდოდა ეხარხარა, მაგრამ თავს იკავებდა, რის გამოც ღაწვების კუნთები სტკიოდა და ყელში სპაზ-

მები უჭერდა. შემდეგი ფინეთი იყო, რომელიც გულში ისე ჩარჩა, როგორც რუსეთზე უფრო რუსული ქვეყანაც კი. შესაძლოა, იმიტომ, რომ ხის სააგარაკო სახლი, ნაძვები და წიწვების ანარეკლით დაჩრდილულ ტბაში მოცურავე თეთრი ნავი საოცრად ჰგავდა რუსულს და როგორც რაღაც აკრძალული, განსაკუთრებით ფასობდა ბელოოსტროვის გაღმა მხარეს. ამ ჯერაც სააგარაკო, ჯერაც პეტერბურგულ ფინეთში ქალს რამდენჯერმე შორიდან დაენახა სახელგანთქმული მწერალი, ძალზე ფერმკრთალი, პატარაწვერიანი, მუდამ ცას მიჩერებული, სადაც უკვე მტრის თვითმფრინავები დაფრინავდნენ. უცნაურია, მაგრამ იგი იმ რუსი ოფიცრის გვერდით დარჩა, შემდგომში ყირიმში რომ დაკარგა ხელი, ამ ძალიან ჩუმ, მორცხვ ადამიანთან ერთად ქალი ზაფხულში ჩოგბურთს თამაშობდა, ზამთარში კი თხილამურებით დასრიალებდა. ამ თოვლიანი მოგონებებისას, უეცრად, ღამის ფონზე, კვლავ ამოცურდებოდა ცნობილი მწერლის აგარაკი, სადაც ის გარდაიცვალა კიდეც, გაწმენდილი ბილიკი, ელექტრობით განათებული ნამქერები, აჩრდილისებრი ზოლები მუქ თოვლზე. ამ სხვადასხვა საქმიანობით დაკავებული ხალხის შემდეგ, რომელთაგანაც თითოეული წარსულის ეპიზოდს თავის, განსაკუთრებულ ელფერს აძლევდა (ცისფერი გეოგრაფი, ხაკისფერი კომისარი, მწერლის შავი პალტო და თეთრსამოსიანი კაცი, ჩოგნით ნაძვის გირჩს რომ ესროდა), იყო ბუნდოვანება და ციმციმი, ბერლინში ცხოვრება, შემთხვევითი მეჯლისები, მონარქისტული შეკრებები, ერთმანეთის მსგავსი ადამიანები, და ეს ყველაფერი ისე ახლოს იყო, რომ მეხსიერება ფოკუსს ვერ პოულობდა და ველარ გაერკვია, რა იყო ძვირფასი და რა — ნაგავი, ახლა კი ამის გარკვევის დროც აღარ ჰქონდა, ძალზე დიდი ადგილი დაეკავებინა მოღუშულ, არაჩვეულებრივ, იდუმალებით მოცულ, მისთვის ცნობილ ხალხს შორის ყველაზე მიმზიდველ ადამიანს. იდუმალებით იყო მოცული მისი ხელოვნებაც და ამ ხელოვნების თითოეული გამოვლინება თუ ნიშანი. მალე შეიტყო, რომ საღამოობით, ნავახშმევს, გვიან ღამემდე მუშაობდა. მაგრამ ამ სამუშაოს წარმოდგენა უჭირდა, რადგან ხელმოსაჭიდი არაფერი ჰქონდა, არც მოლბერტი, არც როიალი, არადა, მისი ფიქრი ხელოვნების სწორედ ასეთი, გარკვეული ემბლემისკენ მი-

იწვდა. ლუჟინი პირველ სართულზე ცხოვრობდა, ბაღის სიბნელეში მოსეირნენი მას ზოგჯერ ლამპასთან თავდახრილს ხედავდნენ. ბოლოს, ვიღაცამ უთხრა, ჭადრაკის ცარიელ დაფას უზისო. საკუთარი თვალით მოინდომა ამის ნახვა და ერთხელაც, მათი პირველი საუბრიდან რამდენიმე დღეში, ოლეანდრების ბუჩქებში ჩაკარგული ბილიკით მის ფანჯრამდე მიაღწია, მაგრამ მოულოდნელად უხერხულობა იგრძნო და გვერდზე ისე ჩაუარა, იქით არც გაუხედავს, ხეივანში გავიდა, სადაც მოსაწევი დარბაზიდან მუსიკის ხმა ისმოდა. ბოლოს, ცნობისმოყვარეობას ვერ მოერია და კვლავ ფანჯარასთან დაბრუნდა, თან საგანგებოდ აშხრიალებდა ხრეშს, რათა საკუთარი თავი დაერწმუნებინა, შიგ შეჭვრეტას არ ვაპირებო. ფანჯარა ღია იყო, ფარდა — გაწეული, განათებულ ღიობში დაინახა, რომ კაცმა პიჯაკი გაიხადა, კისერი დაბერა და დაამთქნარა. მისი მხრის ზანტ, მძიმე მოძრაობაში, რამდენჯერმე რომ მოჰკრა თვალი, სანამ სიბნელეში მიიჩქაროდა სასტუმროს წინ, განათებული მოედნისკენ, იდუმალი და საკვირველი გარჯით გამოწვეული, თითქოსდა დევგმირული დაღლილობა მოელანდა.

ლუჟინი მართლაც დაღლილიყო. ბოლო დროს ბევრს და უწესრიგოდ თამაშობდა. განსაკუთრებით დაფაზე დაუხედავად თამაშმა, ამ საკმაოდ კარგად ანაზღაურებადმა წარმოდგენამ დაქანცა, რომელსაც ყოველთვის სიამოვნებით თანხმდებოდა. იგი უდიდეს ტკბობას ანიჭებდა: აღარ სჭირდებოდა ფიგურების დანახვა, მათი მსუბუქი წკაპუნის მოსმენა, მათთან შეხება, ღვრალჭნილი ჩუქურთმები და გახევებული მატერიალურობა ყოველთვის ხელს უშლიდა, მშვენიერი, უხილავი საჭადრაკო ძალების უხეშ, მიწიერ გარსად ეჩვენებოდა. „ბრმად“ თამაშისას ამ მრავალფეროვანი ძალების თავდაპირველ სიწმინდეს შეიგრძნობდა. ველარც ცხენის ჩამოშლილ ფაფარს ხედავდა, ვერც პაიკების ლაპლაპა თავებს, — მაგრამ აშკარად გრძნობდა, რომ ესა თუ ის წარმოსახვითი კვადრატი გარკვეულ, ჩაწერტებულ ძალას დაეკავებინა. ასე რომ, ფიგურის მოძრაობას განმუხტვად, მეხის დაცემად აღიქვამდა, — მთელი საჭადრაკო მოედანი დაძაბულობისგან თრთოდა, ამ დაძაბულობას კი თვითონ მბრძანებლობდა, აქ თუ შეაგროვებდა ელექტრულ ძალას, იქ გამოათავისუფლებდა. ასე ერკინებოდა თხუთმეტ, ოც,

ოცდაათ მეტოქეს. დაფების სიმრავლე, ცხადია, გვარიანად ღლიდა, რადგან თამაშზე მეტი დრო იხარჯებოდა, მაგრამ ეს ფიზიკური დაღლილობა არაფერს წარმოადგენდა აზრის დაღლასთან შედარებით, რაც შურისძიება იყო იმ თამაშისგან მიღებული დაძაბულობისა და ნეტარების გამო, არაამქვეყნიურ განზომილებაში რომ აწარმოებდა ჰაეროვანი არსებების მეოხებით. გარდა ამისა, დაფაზე დაუხედავად თამაშსა და გამარჯვებებს მისთვის ერთგვარი ნუგეში მოჰქონდა.

საქმე ის იყო, რომ ბოლო დროს ტურნირებში არ უმართლებდა, მის წინ აღმართული მოჩვენებითი დაბრკოლება პირველობის მოპოვებაში ხელს უშლიდა. რამდენიმე წლის წინ, გაუჩინარებამდე ცოტა ხნით ადრე, ვალენტინოვმა ეს იწინასწარმეტყველა კიდეც.

— იბრწყინე, სანამ გებრწყინება, — უთხრა ლონდონის იმ დაუვიწყარი, პირველი ომის შემდგომი ტურნირის მერე, რომელშიც ოცი წლის რუსმა მოჭადრაკემ გაიმარჯვა.

— სანამ გებრწყინება, — ეშმაკურად გაიმეორა ვალენტინოვმა, — თორემ ვუნდერკინდობის დასასრული არც ისე შორსაა.

ვალენტინოვისთვის ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მან ლუჟინს ხელი მხოლოდ იმიტომ მოჰკიდა, რომ იგი ფენომენი იყო — უცნაური მოვლენა, ცოტათი მახინჯი, მაგრამ ტაქსას მოღრეცილი ფეხებივით მიმზიდველი. ლუჟინთან ერთად ცხოვრების მანძილზე მისი ნიჭის განვითარება და წახალისება წამით არ შეუწყვეტია, მაგრამ სულ არ ზრუნავდა ადამიან ლუჟინზე, რომელიც არა მარტო ვალენტინოვს, თვით ცხოვრებასაც გამოჰპაროდა. მდიდრებს მას ისე წარუდგენდა, როგორც თავშესაქცევ მონსტრს, მისი საშუალებით ხელსაყრელ ნაცნობობას აბამდა, ურიცხვ ტურნირს აწყობდა, მაგრამ როგორც კი დაინახა, რომ ვუნდერკინდი თანდათან ჩვეულებრივ ახალგაზრდა მოჭადრაკეს ემსგავსებოდა, რუსეთში, მამასთან დააბრუნა. თუმცა მალე უკანვე წაიყვანა გარკვეულ ფასეულობასავით, როცა მოეჩვენა, რომ შეცდა და ფენომენი ორ-სამ წელს კიდევ გაქაჩავდა. ამ ვადის ამოწურვისთანავე ლუჟინს ფული აჩუქა, როგორც მობეზრებულ საყვარელს ჩუქნიან ხოლმე, და გაუჩინარდა. ახალ თავშესაქცევს კინემატოგრაფიაში მიაგნო, ასტროლოგიასავით საიდუმლოებით მოცულ საქმეში, სა-

დაც მანუსკრიპტებს კითხულობენ და ვარსკვლავებს ეძებენ. შეეიდა რა მკვირცხლი, ენაწყლიანი, მოთაღლითო-საქმიანი ადამიანების წრეში, ეკრანის ფილოსოფიის, მასების გემოვნების, ფილმების ჭრილში ინტიმურობის შესახებ საუბრით რომ იწონებდნენ თავს და ამასთან გვარიანი შემოსავალიც ჰქონდათ, ლუჟინის სამყაროდან ამოვარდა, რაც ლუჟინისთვის შვება იყო, ის უცნაური შვება, უიღბლო სიყვარულისთვის წერტილის დასმას რომ მოსდევს. ვალენტინოვს უცებ შეეთვისა — ჯერ კიდევ რუსეთში საჭადრაკო მოგზაურობისას, შემდეგ კი ისე უყურებდა მას, როგორც შვილი უდარდელ, გარე-გარე სიარულის მოყვარულ, მოგულცივო მამას, რომელსაც ვერასდროს ეტყვი, როგორ გიყვარს. ზოგჯერ მწვრთნელს ჰგავდა, ათლეტს თავს რომ დასტრიალებს და განსაკუთრებული სისასტიკით უწესებს განსაზღვრულ რეჟიმს. ასე მაგალითად, ვალენტინოვი ამტკიცებდა, რომ მოჭადრაკისთვის მოწევა შეიძლებოდა (ვინაიდან ჭადრაკშიც და მოწევაშიც არის რაღაც აღმოსავლური), დალევა კი — არავითარ შემთხვევაში. მათი ერთად ცხოვრებისას დიდი, უზარმაზარი, ომის დროს დაცარიელებული სასტუმროების სასადილოებში, შემთხვევით რესტორნებში, შვეიცარიულ ტრაქტირებსა თუ იტალიურ ტრატორიებში[1] ჭაბუკი ლუჟინისთვის ნიადაგ მინერალურ წყალს უკვეთდა. მსუბუქ საკვებს ურჩევდა, რათა აზრებს თავისუფლად ემოძრავა. მაგრამ რატომღაც (შესაძლოა, „აღმოსავლეთთან“ ბუნდოვანი კავშირის გამო) ძალიან იწონებდა და ხელსაც უწყობდა ლუჟინის სიყვარულს ტკბილეულის მიმართ. და კიდევ, მას ჰქონდა თავისებური თეორია, რომლის თანახმადაც, ლუჟინის საჭადრაკო ნიჭის განვითარება სქესის შეგრძნების განვითარებას უკავშირდებოდა, ჭადრაკი კი ამ გრძნობის განსაკუთრებულ გარდატეხას წარმოადგენდა. ეშინოდა, რომ ლუჟინს ეს ძვირფასი ძალა არ შემოხარჯვოდა, ბუნებრივი გზით არ მოეხსნა სულის ნეტარი დაძაბულობა. ამიტომ ქალებს ახლოს არ აკარებდა და მისი უბიწო მოღუშულობა გულს უხარებდა. ეს ყველაფერი რაღაცით დამამცირებელი იყო. როდესაც იმ დროს იხსენებდა, გაოცებულმა ლუჟინმა აღმოაჩინა, რომ მასსა და ვა-

[1]ტრატორია — რესტორანი იტალიაში.

ლენტინოვს შორის ერთი გულთბილი, ადამიანური სიტყვაც კი არ თქმულა. და მაინც, უსიამოვნოდ შეცვლილი რუსეთიდან საბოლოოდ წამოსვლის სამ წლისთავზე ვალენტინოვის გაუჩინარების შემდეგ სიცარიელე და მხარდაჭერის უქონლობა იგრძნო, თუმცა მომხდარის გარდაუვალობა ვაჟკაცურად აღიარა, ამოიოხრა, შეტრიალდა და კვლავ ჭადრაკის დაფას მიუბრუნდა. ომის შემდეგ ტურნირები გახშირდა. ითამაშა მანჩესტერში, სადაც დაუძლურებულმა ინგლისის ჩემპიონმა ორდღიანი ბრძოლის შემდეგ ყაიმის ფორსირება მოახერხა, ამსტერდამში, სადაც გადამწყვეტი პარტია დროის გადაცილების გამო წააგო, რომში, სადაც ტურატიმ თავისი სახელგანთქმული დებიუტი გამოიყენა და გამარჯვებას მიაღწია, და კიდევ მრავალ სხვა ქალაქში, რომლებიც მისთვის ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდებოდნენ — სასტუმრო, ტაქსი, დარბაზი კაფესა თუ კლუბში. ეს ქალაქები, ყვითელი ფარნების თანაბარზომიერი მწკრივები, უეცარი წინსვლით მოედანზე მდგარ ქვის ცხენს ალყაში რომ იქცევდნენ, ხის ფიგურებისა და შავ-თეთრ დაფასავით ჩვეულებრივ და უსარგებლო გარსს წარმოადგენდნენ. ამ გარე ცხოვრებას ისე იღებდა, როგორც რაღაც გარდაუვალს, მაგრამ სრულიად უინტერესოს. ზუსტად ასევე, თავის ჩაცმულობასა და ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში ძალზე ბუნდოვანი სურვილები ამოძრავებდა, არაფერზე ფიქრობდა, თეთრეულს იშვიათად იცვლიდა, დილისთვის საათს ავტომატურად მომართავდა ხოლმე, ერთი სამართებლით მანამ იპარსავდა, სანამ არ გაცვეთდა, უსისტემოდ და უბრალოდ იკვებებოდა და ინერციით სადილად ისევ იმ მინერალურ წყალს უკვეთდა, რომელიც ცხვირში ოდნავ ურტყამდა და თვალის კუთხეებში ისე ულიტინებდა, თითქოს გაუჩინარებული ვალენტინოვის გამო ცრემლები მოადგაო. იშვიათად თუ შეამჩნევდა, რომ არსებობდა — მხოლოდ მაშინ, როცა ქოშინი, მძიმე სხეულის შურისძიება კიბეზე გაჩერებასა და პირღია სუნთქვას აიძულებდა, ან კბილების ტკივილის დროს, ანდა ნაშუაღამევს, როდესაც საჭადრაკო ფიქრებში ჩაფლული ხელს გაიწვდიდა და ასანთის კოლოფს აჯანჯღარებდა, მაგრამ ღერებს ვერ აჩხაკუნებდა, პაპიროსი კი, თითქოს ვიღაცამ შეუმჩნევლად პირში ჩაუდოო, მაშინვე წამოიზრდებოდა, მაგრდებოდა, და ეს მკვრივი, უსულო, გაფშეკილი

საგანი სიცოცხლის მიზნად მხოლოდ მოწევის სურვილის დაკმაყოფილებას უსახავდა, თუმცა ღმერთმა იცის, შეუცნობლად უკვე რამდენი პაპიროსი მოეწია. საერთოდ კი მის გარშემო ცხოვრება ისე ამღვრეულიყო და მისგან ისე ცოტა ძალისხმევას ითხოვდა, ზოგჯერ ეჩვენებოდა კიდეც, რომ ვიღაც — იდუმალი, უხილავი ანტრეპრენიორი — კვლავაც ატარებდა ტურნირიდან ტურნირზე, მაგრამ ზოგჯერ ირგვლივ უცნაური დრო დგებოდა, უცნაური სიჩუმე, გაიხედავდა დერეფანში და ყოველ კართან მხოლოდ ჩექმები ეწყო, ყურებში კი მარტოობის ხმაური ჩაესმოდა. როდესაც მამა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ლუჟინი ნაღვლიანად ფიქრობდა ბერლინში მის ჩამოსვლაზე, იმაზე, რომ უნდა ენახა, დახმარებოდა, დალაპარაკებოდა; ეს მხიარული, ნაქსოვჟილეტიანი მოხუცი კი, უხერხულად რომ უთათუნებდა მხარზე ხელს, მისთვის სამარცხვინო, აუტანელი მოგონება იყო, რომლისგანაც თავის დაღწევას ცდილობ, თან თვალები გეჭუტება და გამწარებული ბურტყუნებ. პარიზიდან მამის დაკრძალვაზე არ ჩამოვიდა, ყველაზე მეტად მიცვალებულების, კუბოების, გვირგვინებისა და ამ ყველაფერთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის ეშინოდა — მოგვიანებით სასაფლაოზე გავიდა. წვიმაში ტალახით დამძიმებული კალოშებით საფლავებს შორის ბილიკები გატკეპნა, მამის საფლავს ვერ მიაგნო, ხეებს იქით ვიღაც კაცი, სავარაუდოდ, დარაჯი დაინახა, მაგრამ უცნაური სიზარმაცისა და რიდის გამო შეკითხვა ვერ გაუბედა. საყელო აიწია, უშენი ადგილი გაიარა და მომლოდინე ტაქსისკენ წაჩანჩალდა. მამის სიკვდილმა მუშაობა ვერ შეაწყვეტინა. ბერლინის ტურნირისთვის მზადების პროცესში გარკვეული გეგმა ჰქონდა ჩაფიქრებული — ეპოვა საუკეთესო თავდაცვა იტალიელი ტურატის, ყველაზე ძლიერი მომავალი მეტოქის რთული დებიუტის წინააღმდეგ. ეს მოთამაშე, ჭადრაკში ყველაზე თანამედროვე მიმდინარეობის წარმომადგენელი, პარტიას ფლანგებიდან იწყებდა, პაიკებით დაფის შუაგულის დაკავებისთვის არ იბრძოდა, მაგრამ გვერდებიდან ცენტრზე ძალზე სახიფათოდ ზემოქმედებდა. გონივრული როქის საშუალებით სიმყუდროვის მიღწევაზე უარს ამბობდა და ფიგურების ყველაზე მოულოდნელი და უცნაური თანაფარდობის შექმნისკენ მიისწრაფოდა. ლუჟინი ერთხელ უკვე

შეხვდა მას და დამარცხდა. ეს მარცხი განსაკუთრებით უსიამოვნო იყო, რადგან ტურატი, თავისი ტემპერამენტით, თამაშის მანერით, ფანტასტიკური დისლოკაციისადმი მიდრეკილებით მისი ყაიდის, ოღონდ უფრო შორს წასული მოჭადრაკე გახლდათ. ლუჟინის თამაში, სიყმაწვილეში ასე რომ განაცვიფრა მრავლისმნახველი მცოდნეები არნახული თავხედობითა და ჭადრაკის თითქოსდა ძირითადი კანონების უგულებელყოფით, ტურატის ბრწყინვალე უკიდურესობასთან შედარებით ახლა ძველმოდურად გამოიყურებოდნენ. ლუჟინი იმ მხატვრის მდგომარეობაში ჩავარდა, რომელმაც ხელოვნების უახლესი მიღწევები გაისიგრძეგანა და სარბიელზე გამოჩენისთანავე დროებით ყველა განაცვიფრა ორიგინალური მიდგომებით. მაგრამ მოულოდნელად მიხვდა, რომ, მისდა შეუმჩნევლად, ირგვლივ ცვლილებები მომხდარა, რომ სხვებს, რომლებიც, ღმერთმა იცის, საიდან გაჩნდნენ, იგი უკან მოუტოვებიათ იმ ხერხებში, რომლებშიც ცოტა ხნის წინ პირველობდა. და ახლა იგი თავს გაქურდულივით გრძნობდა ამ გულადთა გვერდით, მას რომ გაუსწრეს, ყველა მხოლოდ უმადურ მიმბაძველებად მოჩანდა და უჭირდა იმის გაცნობიერება, რომ თვითონ იყო დამნაშავე, თვითონ, რომელიც საკუთარ, ოდესღაც ახალ, მაგრამ ერთ ადგილზე გაყინულ ხელოვნებაში ჩარჩა.

და ამ საკუთარი, თვრამეტ წელს გადაცილებული საჭადრაკო ცხოვრებისთვის თვალის გადავლებისას ლუჟინი დასაწყისში დაზვინულ მოგებებს ხედავდა, შემდეგ კი უცნაურ მყუდროებას, აქა-იქ მოგებათა აფეთქებებს, მაგრამ, საერთო ჯამში, ყაიმზე თამაშს, გამაღიზიანებელსა და უიმედოს, რომლის მეოხებითაც, თანდათანობით ფრთხილი, გულჩათხრობილი და უფერული მოთამაშის სახელი დაიგდო. რაც უფრო მეტ გაქანებას აძლევდა თავის წარმოსახვას, რაც უფრო ბრწყინვალე იდეები მოსდიოდა თავში ტურნირებს შორის საიდუმლო მუშაობისას, მით უფრო საშინლად გრძნობდა თავის უღონობას პაექრობის დასაწყისში, მით უფრო მეტი შიშითა და სიფრთხილით თამაშობდა. კარგა ხანია, მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეთა ჯგუფში შესულიყო, საქვეყნოდ განთქმულს, ჭადრაკის ყველა სახელმძღვანელო ახსენებდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონობის ხუთ-ექვს კანდიდატს შო-

რის მოიაზრებოდა და ეს კეთილგანწყობილება ადრინდელი წარმატებების დამსახურება იყო, რომლებმაც მის გარშემო რაღაც ბუნდოვანი ნათება შექმნეს, გამორჩეულობის გვირგვინი დაადგეს და დიდებასაც აზიარეს. მამის სიკვდილი მისთვის გრძნეულ ხიზმრად იქცა, რომლითაც განვლილი გზის განსაზღვრა შეეძლო. და როდესაც წამით უკან მოიხედა, ძრწოლამ შეიპყრო, დაინახა, თუ როგორ ნელა უვლია ბოლო დროს. პირქუში ჟინიანობით ახალ გამოთვლებში ჩაიძირა, საჭირო სვლებზე ფიქრობდა და ბუნდოვნად უკვე გრძნობდა კიდეც მათ ჰარმონიას, თვალისმომჭრელ დაცვას. სასაფლაოზე გასვლის შემდეგ ღამით, ბერლინის სასტუმროში ცუდად გახდა: გულისცემა აუჩქარდა, უცნაური აზრები და შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ტვინი გაუქვავდა და ლაქით დაეფარა. ექიმმა, რომელმაც იმ დილით მოინახულა, დასვენება, წყნარ ადგილას გამგზავრება ურჩია.

— ყველაფერი მწვანეში უნდა იყოს ჩაფლული, — თქვა მან.

და ლუჟინმა უარი განაცხადა დაგეგმილ ერთდროული თამაშის სეანსზე დაფაზე დაუხედავად, იმ ადვილად გამოსაცნობი ადგილისკენ გაემგზავრა, რომელიც მაშინვე თვალწინ დაუდგა, როგორც კი ექიმმა სიმწვანე ახსენა. ბუნდოვნად ემადლიერებოდა პირმოთნე მოგონებას, ასე დროულად რომ მიაწოდა საჭირო კურორტის დასახელება, საკუთარ თავზე აიღო ყველა საზრუნავი და უკვე შექმნილ, გაშზადებულ სასტუმროში მოათავსა.

მართლაც უკეთ იგრძნო თავი ამ მწვანე, ზომიერად ლამაზ დეკორაციაში, დაცულობისა და სიმშვიდის გრძნობას რომ აღუძრავდა. უეცრად, როგორც ბალაგანში იხევა ვარსკვლავებით მოხატული ქაღალდის ფარდა და იქიდან ცოცხალი, მოლიმარი სახე შემოდის, ძალზე მოულოდნელად — ღმერთმა უწყის, საიდან — გაჩნდა საოცრად ნაცნობი პიროვნება, გაისმა ხმა, რომელიც თითქოს მთელი სიცოცხლე შეუმჩნევლად ჩასჩურჩულებდა, ახლა კი ჩვეული ლექისთვის თავი დაეღწია და მასთან მოვარდნილიყო. ამ რაღაც ძალზე ნაცნობის გააზრების მცდელობაში სრულიად უადგილოდ, მაგრამ მკაფიოდ გაიხსენა უსახელო ქალაქის ბნელ ჩიხში, კარის განათებულ ღიობში მდგარი ახალგაზრდა, მხრებმოშიშვლებული, შავწინდებიანი მეძავის სახე. უცნაური აზრი აე-

კვიატა, მოეჩვენა, რომ წინ ის ქალი ედგა, რიგიანი კაბა ჩაეცვა, ცოტათი დაუშნოებულიყო, თითქოს მაცდუნებელი ფერ-უმარილი ჩამოერეცხა, მაგრამ ასე უფრო ადვილად მისაწვდომი გამხდარიყო. სწორედ ასეთი შთაბეჭდილება შეექმნა, როდესაც პირველად დაინახა და გაოცებულმა აღმოაჩინა, რომ მას ესაუბრებოდა. ცოტათი გული სწყდებოდა, რომ არც ისეთი კარგი გარეგნობისა იყო, როგორიც წარმოედგინა, როგორც ეჩვენებოდა თავის წარსულში მიმოფანტული უცნაური ნიშნების მიხედვით. ამასაც შეურიგდა და თანდათანობით მისი ბუნდოვანი პირველსახეებიც დაივიწყა. სამაგიეროდ, სიმშვიდე და სიამაყე იგრძნო, ნამდვილი, ცოცხალი ადამიანი რომ ელაპარაკებოდა, უღიმოდა და დროს უთმობდა. და იმ დღეს, ბაღის პატარა მოედანზე, სადაც კაშკაშა ყვითელი ბზიკები ძირს დაშვებული საცეცების ცმაცუნით რკინის მაგიდებზე სხდებოდნენ, უეცრად იმის მოყოლას შეუდგა, რომ ოდესღაც, პატარაობისას, ამ სასტუმროში ცხოვრობდა. ლუჟინმა წყნარი სვლებით დაიწყო, რომელთა აზრსაც ძალზე ბუნდოვნად ხვდებოდა. ეს სიყვარულის თავისებური ახსნა იყო.

— კიდევ მომიყევით რამე, — გაიმეორა ქალმა, მიუხედავად იმისა, რომ შეამჩნია, თუ როგორ უხალისოდ, მოღუშული გაჩუმდა კაცი.

ხელჯოხზე დაყრდნობილი ლუჟინი იჯდა და იმაზე ფიქრობდა, რომ თუ მზით განათებულ ფერდობზე მდგარ ცაცხვის ხეს ჭადრაკის ცხენივით გადაახტუნებდა, აი, იმ ტელეგრაფის ბოძის აყვანა შეიძლებოდა. თან იხსენებდა, რის შესახებ ვლაპარაკობდიო. ლაქიამ, მოკაკულ თითებზე ათიოდე ცარიელი ლუდის კათხა რომ ჩამოეკონწიალებინა, სახლის ფრთის გასწვრივ გაირბინა. ლუჟინს გულზე მოეშვა, გაახსენდა, რომ სწორედ ამ შენობაში ოდესღაც გამართული ტურნირის შესახებ ჰყვებოდა. აღელდა, დასცხა, შლაპის რკალი საფეთქლებზე უჭერდა, აღელვების მიზეზს კი ვერ მიმხვდარიყო.

— წამობრძანდით, — უთხრა ქალს, — გაჩვენებთ. იქ ახლა ალბათ არავინაა. და გრილა.

მძიმედ მიაბიჯებდა და ხელჯოხს მიაჩოჩიალებდა, რომელიც ხრეშზე შრიალებდა და პარმაღზე შეხტა კიდეც. კარში პირველი შევიდა.

— რა გაუთლელია, — გაიფიქრა ქალმა და გააცნობიერა, რომ თავს აქნევდა და ამას სიყალბე დაჰკრავდა, — მისი გაუთლელობა მთავარი სულაც არ იყო.

— აი, მგონი, აქეთ, — თქვა ლუჟინმა და გვერდით კარს ხელი ჰკრა.

ცეცხლი ენთო, თეთრსამოსიანი მსუქანი კაცი რაღაცას ყვიროდა, ადამიანის ფეხებზე შემდგარი თეფშების კოშკი სადღაც გარბოდა.

— არა, უფრო იქით, — თქვა ლუჟინმა და დერეფანს გაუყვა. მეორე კარი შეაღო და კინაღამ დაეცა: დაბლა კიბე ჩადიოდა, ქვევით კი ბუჩქები, ნაგვის გროვა და ქათამი მოჩანდა, რომელიც ფრთხილად, ფეხების ქნევით დაიარებოდა.

— შემეშალა, — ჩაილაპარაკა ლუჟინმა, — ალბათ, აქეთ უნდა იყოს, მარჯვნივ.

მან იგრძნო, რომ შუბლი ოფლის ცხელი, მსხვილი წვეთებით დაეფარა და შლაპა მოიხადა. ოჰ, როგორ ნათლად წარმოედგინა ვრცელი, ცარიელი, გრილი დარბაზი, — და რა ძნელი იყო მისი პოვნა!

— ეს კარი ვცადოთ, — თქვა მან. კარი დაკეტილი აღმოჩნდა. რამდენჯერმე დააწვა სახელურს.

— ვინ არის? — მოულოდნელად გაისმა ჩახრინწული ხმა და საწოლმაც გაიჭრაჭუნა.

— შეცდომაა, შეცდომა, — ჩაიბურტყუნა ლუჟინმა და გზა განაგრძო, შემდეგ მოიხედა და შეჩერდა: მარტო იყო.

— სად წავიდა? — წარმოთქვა ხმამაღლა, თან ფეხს ინაცვლებდა და აქეთ-იქით იცქირებოდა. მოჩანდა დერეფანი, ბაღში გამავალი ფანჯარა, კედელზე კი აპარატი ნომრებისთვის განკუთვნილი პატარა სარკმლებით. სადღაც ზარმა დარეკა. ერთ-ერთი სარკმლიდან ნომერი გამოვარდა. ლუჟინი მოუსვენრად აწრიალდა, თითქოს ცუდ სიზმარს თავს ვერ აღწევდა, — სწრაფად გაემართა წინ და ხმადაბლა იმეორებდა:

— უცნაური ხუმრობაა, უცნაური ხუმრობა.

მოულოდნელად ბაღში აღმოჩნდა, სადაც ორნი ისხდნენ და ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ მას. ზემოდან სიცილი მოე-

სმა და თავი ასწია. ქალი აივანზე გადმომდგარიყო, იდაყვებით მოაჯირს დაყრდნობოდა, ლოყები ხელისგულებს შორის მოექცია, იცინოდა და გამკიცხავი, თანაც ეშმაკური მზერით თავს უქნევდა. ხედავდა კაცის ფართო სახეს, გვერდზე მოქცეულ შლაპას და ელოდებოდა, თუ როგორ მოიქცეოდა.

— ველარ დაგეწიეთ, — შესძახა, წელში გაიმართა და ხელებით რაღაც განმარტებითი ჟესტი გააკეთა.

ლუჟინმა თავი დახარა და სახლში შევიდა. ქალს ეგონა, კარზე მომიკაკუნებსო და გადაწყვეტილი ჰქონდა, არ შეეშვა, ეთქვა, ოთახი მოუწესრიგებელიაო. მაგრამ მას არ მიუკაკუნებია. როდესაც სავახშმოდ სასადილოში ჩავიდა, კაცი არც იქ აღმოჩნდა.

— ეწყინა, — დაასკვნა ქალმა და დასაძინებლად ჩვეულებრივზე ადრე გაემართა.

დილით სასეირნოდ გავიდა და ბაღი მოათვალიერა, ძელსკამზე ხომ არ მელოდება გაზეთით ხელში, როგორც ყოველთვისო. კაცი არც ბაღში იყო და არც გალერეაში, ამიტომ მარტოკამ ისეირნა. როდესაც კაცი არც სადილზე გამოცხადდა და მის მაგიდასთან მოხუცებული ცოლ-ქმარი დაინახა, კარგა ხნის განმავლობაში რომ ეჯირათ თვალი ამ ადგილზე, კანტორაში იკითხა, ბატონი ლუჟინი ავად ხომ არ გახდაო.

— ბატონი ლუჟინი დღეს დილით ბერლინში გაემგზავრა, — მიუგო ქალიშვილმა.

ერთი საათის შემდეგ მისი ბარგი დააბრუნეს. შვეიცარმა და მოსამსახურე ბიჭმა საქმიანად, გულგრილად უკანვე შემოიტანეს დილით წაღებული ჩემოდნები. ლუჟინი — მსუქანი, დონდლო, მზით გათანგული, თეთრი, მტვრიანი ფეხსაცმელებით, — სადგურიდან ფეხით მოდიოდა. ყოველ ძელსკამთან ისვენებდა, ერთი-ორჯერ მაყვალი მოწყვიტა და სიმჟავით სახე დაემანჭა. გზაზე მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ შორიახლო ქერათმიანი ბიჭი ცუნცულით მისდევდა, ხელში ლუდის ცარიელი ბოთლი ეჭირა, შეგნებულად არ უსწრებდა და აუტანელი ბავშვური ყურადღებით ჯიქურ მისჩერებოდა. ლუჟინი შეჩერდა. ბიჭიც. ლუჟინი დაიძრა, ბიჭმა მიჰბაძა. მაშინ გაბრაზდა. მიუტრიალდა და ხელჯოხით დაემუქრა. ბიჭი გაშეშდა, თან გაოცებით, მხიარულად იცინოდა.

— მე შენ... — ბოხი ხმით თქვა ლუჟინმა და მისკენ ჯოხალმართული წავიდა. ბიჭი შეხტა და გაიქცა. ლუჟინმა ბუზღუნითა და ქშენით განაგრძო გზა. მოულოდნელად მარჯვედ ნასროლი კენჭი მარცხენა ბეჭში მოხვდა. ვაიო, შესძახა და მიბრუნდა. არავინ ჩანდა — ცარიელი გზა, ტყე, მანანის ბუჩქები.

— მოკლავ, — თქვა ხმამაღლა გერმანულად და ნაბიჯს მოუჩქარა. ცდილობდა, ზიგზაგებით ევლო, იმ ადამიანების მსგავსად (სადღაც ამოეკითხა), ზურგში სროლის შიში რომ აქვთ, თან უმწეო მუქარას იმეორებდა. მძიმედ სუნთქავდა, დასუსტდა. როცა სასტუმროს მიაღწია, ლამის ტიროდა.

— გადავიფიქრე, — გავლით ჩაულაპარაკა კანტორის ცხაურს, — ვრჩები, გადავიფიქრე.

— ალბათ, თავის ოთახშია, — წარმოთქვა კიბეზე ასვლისას.

ქალთან თამამად შევიდა, კარი ლამის თავით შეანგრია, ბუნდოვნად მოჰკრა თვალი ვარდისფერი კაბით ტახტზე წამოწოლილს, აჩქარებით თქვა:

— გამარჯობა, გამარჯობა! — და ოთახში ბოლთისცემას მოჰყვა, ეგონა, რომ ეს მახვილგონივრულად, მსუბუქად, სასაცილოდ გამოსდიოდა, აღელვებისგან სუნთქვა ეკვროდა.

— ამგვარად, თუ ზემოთქმულს გავაგრძელებთ, უნდა გამოგიცხადოთ, რომ თქვენ ჩემი მეუღლე იქნებით. გემუდარებით, დამეთანხმეთ. გამგზავრება აბსოლუტურად შეუძლებელი იყო. ახლა ყველაფერი სხვაგვარად, შესანიშნავად იქნება.

იგი ორთქლის გამათბობელთან სკამზე ჩამოჯდა, სახეზე ხელები აიფარა და აქვითინდა. შემდეგ ერთი ხელის თითები ისე გაფარჩხა, რომ სახე დაემალა, მეორით კი ცხვირსახოცის ძებნას შეუდგა და ტირილისგან ათრთოლებული თითების ღრეჩოებიდან გაორებულ, გაწელილ ვარდისფერ კაბას ხედავდა, რომელიც ხმაურით მოიწევდა მისკენ.

— კარგი, გეყოფათ, გეყოფათ, — ამშვიდებდა ქალი, — მამაკაცს ტირილი არ შეშვენის.

კაცმა მას ხელი იდაყვზე სტაცა და რაღაც ცივსა და მაგარს აკოცა (მაჯის საათს). ქალმა ჭილის შლაპა მოხადა, შუბლზე ხელი გადაუსვა და სწრაფად გაეცალა, რათა კაცს უხერხული მოძრაო-

ბით მისთვის ხელი არ ეტაცა. ლუჟინმა ცხვირსახოცში ცხვირი ხმაურით დაიფერთხა, ერთხელ, მეორედ, ხმამაღლა და გემოზე, შემდეგ თვალები, ლოყები და პირი მოიწმინდა, შვებით ამოისუნთქა, ორთქლის გამათბობელს დაეყრდნო და ნათელი, წყლიანი თვალებით იყურებოდა. ქალისთვის მაშინვე ცხადი გახდა, რომ, მოსწონდა თუ არა, საკუთარი ცხოვრებიდან ამ კაცის გაგდებას ვერაფრით შეძლებდა, რომ იგი მტკიცედ, მყარად და, როგორც ჩანს, დიდი ხნით მოკალათებულიყო. ამასთან ქალი იმაზეც ფიქრობდა, თუ როგორ ეჩვენებინა ეს ადამიანი მამისთვის, დედისთვის, როგორ იჯდებოდა იგი მათ სასტუმრო ოთახში — სხვა განზომილების, განსაკუთრებული ფორმისა და შეფერილობის, ყველასთან და ყველაფერთან შეუთავსებელი ადამიანი.

თავდაპირველად აქედანაც ამოუყენა ნათესავებსა და მათ გარემოცვას და იქიდანაც, სახლის მორთულობასაც მიაზომა, წარმოსახვით ლუჟინს აიძულებდა, ოთახიდან ოთახში ევლო, დედამისთან ემუსაიფა, ოჯახური კულებიაკა[1] მიერთვა, არეკლილიყო მდიდრულ, საზღვარგარეთ ნაყიდ სამოვარში, — და ყველა ეს წარმოსახვითი სტუმრობა საშინელი კატასტროფით მთავრდებოდა. ლუჟინი მხრის ტლანქი მოძრაობით სახლს დეკორაციის მერყევი ნაჭერივით ძირს ანარცხებდა და მტვრის კორიანტელს აყენებდა. ძვირფასი და კეთილმოწყობილი ბინა ბერლინის ერთ-ერთი უშველებელი სახლის ბელეტაჟზე მდებარეობდა. ქალის ხელმეორედ გამდიდრებულ მშობლებს გადაეწყვიტათ, მკაცრი რუსული, სლავურ ხვეულასთან შერწყმული სტილით ეცხოვრათ, ღია ბარათებით, ზედ გამოსახული ბოიარინების დადარდიანებული ქალიშვილებით, გალაქული ზარდახშებით, რომლებზეც ლამაზად იყო ამომწვარი სამცხენა მარხილი ან ფასკუნჯი, ოდესღაც ბრწყინვალედ გამოცემული ჟურნალით, მასში მოყვანილი კარ-მიდამოებისა და ფაიფურის ნაკეთობათა შესანიშნავი ფოტოსურათებით. მამა მეგობრებს ეუბნებოდა, საეჭვო წარმოშობის ადამიანებთან საქმიანი შეხვედრებისა და საუბრების შემდეგ ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა ჭეშმარიტი რუსული მყუდროება და ჭეშმარიტი

---

[1] *კულებიაკა — დიდი, მოგრძო ღვეზელი ხორცის, თევზის, კომბოსტოს, ფაფის შიგთავსით.*

რუსული კერძებიო. ერთი ხანობა ბერლინის სიახლოვეს მდებარე რუსული ბარაკიდან აყვანილი ნამდვილი დენშჩიკი ემსახურებოდათ, მაგრამ მან უეცრად, ყოვლად უმიზეზოდ, უხეშობა დაიწყო და პოლონური წარმოშობის გერმანელი ქალით ჩაანაცვლეს. დედა, ტანადი, მკლავსავსე ქალბატონი, თავის თავს ყაჩაღანა დედაკაცს ან კაზაკს რომ უწოდებდა (ბუნდოვანი და გაუკუღმართებული რემინისცენციის კვალი „ომი და მშვიდობიდან"), შესანიშნავად თამაშობდა რუს დიასახლისს, გულს უხსნიდა თეოსოფიას და აძაგებდა რადიოს, როგორც ევროპულ გამოგონებას. ძალზე კეთილი და ძალზე უტაქტო იყო, გულწრფელად უყვარდა უხეიროდ მოხატული, ხელოვნური რუსეთი, რომელიც თავის გარშემო აიშენა, მაგრამ ზოგჯერ გაუსაძლისი მოწყენილობა ეუფლებოდა, ზუსტად არც კი იცოდა, რა აკლდა, რადგან, მისივე თქმით, თავისი რუსეთი თან წამოელო. ქალიშვილი საოცრად გულგრილი იყო იმ ბაზრის ხმაურით სავსე ბინის მიმართ, ასე რომ არ ჰგავდა მათ მყუდრო სახლს პეტერბურგში, სადაც ყოველ ნივთს სული გააჩნდა, სადაც სახატეში დაუვიწყარი ძოწის ელვარება და იდუმალი ფორთოხლის ყვავილები მოჩანდა, სადაც საკარძლის საზურგის აბრეშუმზე მსუქანი, ჭკვიანი კატა ამოექარგათ, სადაც თავი მოეყარა ათასობით წვრილმანს, სუნს, ფერს და ეს ყველაფერი რაღაც დამათრობელ, შემაძრწუნებელ და შეუცვლელ ერთიანობას ქმნიდა.

ახალგაზრდები, რომლებიც მათ დროდადრო სტუმრობდნენ, ქალიშვილს ძალზე საყვარელ, მაგრამ ცოტა არ იყოს მოსაწყენ პიროვნებად მიიჩნევდნენ. დედა ამბობდა (ხმადაბლა და ღიმილით), რომ სახლში იგი ინტელიგენციისა და დეკადენტობის წარმომადგენელი იყო, — უცნობია, იმიტომ, რომ „წამკითხველ-დეკლამატორში"[1] ნაპოვნი ბალმონტის ლექსები ზეპირად იცოდა, თუ სხვა მიზეზის გამო. მამას მისი დამოუკიდებლობა, სიჩუმე და ღიმილის დროს თვალების დახრის განსაკუთრებული მანერა მოსწონდა. მაგრამ ყველაზე დამატყვევებელი მასში

[1] *„წამკითხველ-დეკლამატორი" — XX ს-ის დასაწყისის რუსეთში გამოდიოდა კრებულები, რომლებშიც დაბეჭდილი იყო ცნობილ დეკლამატორთა რეპერტუარი — ლექსები, პროზისა და პიესების ფრაგმენტები. ეს წიგნები დიდად პოპულარული იყო.*

ჯერ ვერავის აღმოეჩინა: სულის საიდუმლო უნარი ცხოვრებაში მხოლოდ იმის აღქმისა, რაც ოდესღაც ბავშვობაში იზიდავდა და ტანჯავდა, იმ ასაკში, როცა სულს უშეცდომო ალღო აქვს თავშესაქცევისა და გულის ამაჩუყებლის გამოჩხრეკისა; უმწეო და უბედური არსებისადმი აუტანელი, ნაზი სიბრალულის მუდმივად შეგრძნებისა; იმის განცდისა, რომ თუნდაც ათასი ვერსის დაშორებით, რომელიღაც სიცილიაში შეუბრალებლად ურტყამენ წვრილფეხება, მუცელბანჯგვლიან ჩოჩორს. როდესაც მართლაც შეხვდებოდა ხოლმე დაჩაგრულ არსებას, ეს იყო გრძნობა ლეგენდარული დაბნელებისა — ღამის იდუმალ წყვდიადში ფერფლი დაფრინავდა, კედლებიდან სისხლი ჟონავდა, და ეჩვენებოდა, რომ თუ ახლა, აი, ახლა არ დაეხმარებოდა, არ აღკვეთდა უცხოს ტანჯვას, რომლის არსებობის ახსნაც ბედნიერებისადმი ასე მიმლტობი სამყაროსთვის შეუძლებელია, თვითონვე გაიგუდებოდა, მოკვდებოდა, გული გაუსკდებოდა. ამიტომ ფარული ღელვა არ ასვენებდა, გამუდმებით ახალი გატაცების ან სიბრალულის ტყვეობაში იყო, ამბობდნენ, რომ ძაღლებს აღმერთებდა და ყოველთვის გამოთქვამდა მზადყოფნას, ვინმესთვის ფული ესესხებინა, და წვრილ-წვრილი ჭორების მოსმენისას თავს ისე გრძნობდა, როგორც ბავშვობაში თამაშისას, როდესაც ოთახიდან გადიხარ, სხვები კი შენ შესახებ ათასგვარ აზრს გამოთქვამენ. მოთამაშეებს შორის, მათ შორის, რომლებთანაც მეზობელ ოთახში ყოფნის შემდეგ გამოდიოდა (სადაც ზიხარ, დაძახებას ელოდები და პატიოსნად ღიღინებ, რათა არაფერი მოგესმას, ან რაიმე წიგნს გადაშლი და იქიდან რომანის ნაწყვეტი, გაუგებარი საუბრის დასასრული გამოხტება გათავისუფლებულ ზამბარასავით), იმ ადამიანებს შორის, ვისი აზრის გამოცნობაც მოეთხოვებოდა, ახლა იყო ადამიანი, საკმაოდ სიტყვაძუნწი და ზანტი, რომელიც, ვინ იცის, მასზე რას ფიქრობდა. ქალი ეჭვობდა, რომ მას საერთოდ არავითარი აზრი არ გააჩნდა, არაფერი იცოდა მისი გარემოსა და ცხოვრების წესის შესახებ, ამიტომ რაღაც საშინელების წამოყრანტალება შეეძლო.

როდესაც ჩათვალა, რომ საკმაოდ დიდხანს იყო გარეთ გასული, კეფაზე ხელი მსუბუქად გადაისვა, თმა გაისწორა და ღიმილით

შევიდა ჰოლში. დედამისი და ლუჟინი, რომლებიც ახლახან გააცნო ერთმანეთს, პალმის ქვეშ დაწნულ სკამებზე ისხდნენ. წარბშეკრული ლუჟინი თავის სათაკილო, მუხლებზე დადებულ ჭილის შლაპას ჩაჰკირკიტებდა, და იმ წუთში ქალისთვის ერთნაირად შემაძრწუნებელი იყო როგორც იმის გაფიქრება, თუ რა სიტყვებით ახასიათებდა მას ლუჟინი (თუკი რამეს მაინც ამბობდა), ასევე ის, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა დედამისზე თვითონ ლუჟინმა. წინადღით, როგორც კი დედა ჩამოვიდა და საყვედურებით აავსო იმის გამო, რომ ფანჯარა ჩრდილოეთით გადიოდა, საღამურ მაგიდაზე კი ნათურა არ ენთო, მოუყვა, რომ სახელგანთქმულ მოჭადრაკე ლუჟინს ძალიან დაუმეგობრდა, თან ცდილობდა, აღელვება არ დასტყობოდა.

— ალბათ, ფსევდონიმია, — თქვა დედამ, თან ნესესერში რაღაცას ეძებდა, — რუბინშტეინი ან აბრამსონი იქნება.

— ძალიან, ძალიან სახელგანთქმულია, — განაგრძობდა შვილი, — და ძალზე საყვარელი.

— გიჯობს, ჩემი საპონი მაპოვნინო, — უთხრა დედამ.

და ახლა, როცა ერთმანეთი გააცნო და მარტო დატოვა ლიმონათის შეკვეთის საბაბით, ჰოლში დაბრუნებისას ისეთ შიშს გრძნობდა საკარაუდოდ უკვე მომხდარი, გამოუსწორებელი კატასტროფების გამო, რომ შორიდანვე დაიწყო ხმამაღლა ლაპარაკი, ნოხის კიდეზე წაბორძიკდა, წონასწორობის შესანარჩუნებლად ხელები აიქნია და გაიცინა. ჭილის ქუდის უაზრო წვალება, დუმილი, გაოცება, დედის მოელვარე თვალები, მოულოდნელი გახსენება იმისა, რომ რამდენიმე დღის წინ ორთქლის გამათბობელს ჩახუტებული ტიროდა, — ამ ყველაფრის ატანა ძალზე უმძიმდა. მაგრამ უეცრად ლუჟინმა თავი ასწია, პირი ნაცნობმა, მოღუშულმა ღიმილმა მოუბრიცა, და ქალს შიში მაშინვე გაუქრა, შესაძლო უბედურება რაღაცით საოცრად თავშესაქცევად მოეჩვენა, რომელიც ვეღარაფერს შეცვლიდა. ლუჟინი, რომელიც თითქოს მის მოსვლას ელოდებოდა, რათა იქაურობა დაეტოვებინა, ფეხზე წამოდგა, დაიჭიჭყინა, შესანიშნავად დაუკრა თავი („თავხედურად“, — მხიარულად გაიფიქრა ქალმა, როდესაც ჟესტი დედის ენაზე გადათარგმნა) და კიბისკენ გაემართა. გზად ლაქია შემოხვდა ლან-

გარზე დადგმული სამი ჭიქა ლიმონათით, გააჩერა, ერთ-ერთი ჭიქა აიღო, ფრთხილად დაიჭირა, სითხის დონის რხევას წარბების მოძრაობა ააყოლა და ნელა შეუდგა კიბეზე ასვლას. როგორც კი მოსახვევში თვალს მიეფარა, მომეტებული ყურადღებით დაიწყო ჩალის ღეროზე თხელი ქაღალდის წიწკნა.

— თავხედი, — საკმაოდ ხმამაღლა თქვა დედამ და ქალიშვილმა ის კმაყოფილება იგრძნო, რომელსაც ლექსიკონში უცხო სიტყვის მნიშვნელობის თქვენ მიერ ნავარაუდევთან თანხვედრა იწვევს.

— ეს ვინ ყოფილა, — განაგრძობდა გაბრაზებული და გაკვირვებული დედა, — რა ვუწოდო? ადამიანს ნამდვილად ვერ დავარქმევ. ყველაფერია, ადამიანის გარდა. ჯიბეში, ალბათ, საბჭოთა პასპორტი უდევს. ბოლშევიკი იქნება, ბოლშევიკი. მე კი სულელივით ვიჯექი. ახლა საუბარი! საოცრად ჭუჭყიანი მანჟეტები. შეამჩნიე? სრულიად ჭუჭყიანი და გაქუცული.

— რაზე საუბრობდით? — ჰკითხა ქალიშვილმა ალმაცერი ღიმილით.

— დიახ, მადამ. არა, მადამ. აქ სასიამოვნო ატმოსფეროა. ატმოსფერო, ჰა, როგორ მოგწონს? საუბარი რომ ამეწყო, ვკითხე, რამდენი ხანია, რაც რუსეთიდან ჩამობრძანდით-მეთქი? ის კი დუმდა. უბრალოდ დუმდა. მერე შენზე თქვა, გამაგრილებელი სასმელები უყვარსო. გამაგრილებელი! სიფათს აღარ იკითხავ, სიფათს? არა, არა, შორს ასეთებისგან.

ქალიშვილმა, აზრების გამოთქმის თამაშის გასაგრძელებლად, სასწრაფოდ ლუჟინისკენ გასწია. ხელმოცარული გამგზავრების პერიოდში მისი ოთახი უკვე გაექირავებინათ, ამიტომ ზედა სართულზე მიეჩინათ ბინა. მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი იჯდა, თითქოს თავს რაღაც უბედურება დაატყდაო, საფერფლეში დაუმთავრებელი პაპიროსი ბოლავდა, ყველგან ფანქრით ნაწერი ფურცლები ეყარა. ქალიშვილს მოეჩვენა, რომ ეს ანგარიშები იყო და მათმა რაოდენობამ გააოცა. როდესაც კარი შეაღო, ღია ფანჯრიდან ქარმა შემოუბერა. ლუჟინი ფიქრიდან გამოერკვა, იატაკიდან ფურცლები აკრიფა, აკურატულად დააწყო, ქალიშვილს გაუღიმა და თვალები აახამხამა.

— აბა, რას იტყვით? — ჰკითხა ქალიშვილმა.

— თამაშის დროს გაფორმდება, — თქვა ლუჟინმა, — უბრალოდ, რაღაც ჩანაფიქრების მონახაზს ვაკეთებ.

ქალიშვილს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს კარი შეეშალა და სხვაგან მოხვდა, მაგრამ ამ სამყაროში თავს კარგად გრძნობდა და სულაც არ სურდა იქ გადასვლა, სადაც თავ-თავიანთი აზრების გამოთქმით ერთობოდნენ. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ კვლავაც ჭადრაკზე ესაუბრა, ლუჟინმა მასთან სკამი მიაჩოჩა, სინაზისგან ათრთოლებული ხელები წელზე მოხვია, მაგრამ სხვა ვერაფერი მოიფიქრა და მისი მუხლებზე დასმა სცადა. ქალი გაუძალიანდა და თავი მიაბრუნა, თითქოს ფურცლებს აკვირდებაო.

— ეს რა არის? — ჰკითხა კაცს.

— არაფერია, არაფერი, — მიუგო ლუჟინმა, — პარტიების ჩანაწერებია.

— გამიშვით, — სთხოვა ქალმა წვრილი ხმით.

— პარტიების ჩანაწერებია, პარტიების, — იმეორებდა ლუჟინი, თავისკენ იზიდავდა და მოჭუტული თვალებით ყელზე ქვემოდან შესცქეროდა. უეცრად სახე დაელრიჯა, მზერა გაეყინა, ნაკვთები მოუდუნდა, ხელები მისდა უნებურად გაეხსნა. ქალი განზე გადგა, გაბრაზებული, თუმცა მიზეზს ვერ ხვდებოდა, გაოცებული იმით, რომ ასე თავისუფლად გაუშვეს. ლუჟინმა ჩაახველა, ხარბად გააბოლა, თან გაუგებარი ცბიერებით აკვირდებოდა.

— ვნანობ, რომ მოვედი, — თქვა ქალმა, — ჯერ ერთი, მუშაობაში ხელი შეგიშალეთ...

— სულაც არა, — მოულოდნელი მხიარულებით მიუგო ლუჟინმა და მუხლებზე ხელები დაირტყა.

— მეორეც, მე მხოლოდ თქვენი შთაბეჭდილებების გაგება მსურდა.

— მაღალი საზოგადოების ქალბატონი, — თქვა ლუჟინმა, — ეს აშკარაა.

— მომისმინეთ! — შესძახა კვლავაც გაბრაზებულმა ქალმა, — ნეტავ სადმე თუ აღიზარდეთ? სადმე თუ სწავლობდით? ადამიანებს ოდესმე მაინც თუ შეხვედრიხართ, მათთან თუ გისაუბრიათ?

— მე ბევრი მიმოგზაურია, — თქვა ლუჟინმა, — აქა-იქ. ცოტ-ცოტა ყველგან.

„სად ვარ? ვინ არის იგი? მერე რა იქნება?“ — ჰკითხა ქალმა გულში საკუთარ თავს და თვალი შეავლო ნომერს, ქაღალდებით მოფენილ მაგიდას, დაჭმუჭნილ ლოგინს, პირსაბანს, სადაც დაჟანგული „ჟილეტის“ პირი ეგდო, ნახევრად ღია კარადას, საიდანაც გველივით მოიწევდა წითელლაქებიანი მწვანე ჰალსტუხი. და ამ ცივ უწესრიგობაში იჯდა ძნელსაცნაური ადამიანი, მოჩვენებითი ხელოვნებით დაკავებული პიროვნება, თვითონ კი ცდილობდა, შეჩერებულიყო, მის ყველა ნაკლსა და უცნაურობას ჩაბღაუჭებოდა, ეთქვა საკუთარი თავისთვის, რომ ეს ადამიანი მისი შესაფერისი არ იყო, და იმავდროულად სრულიად შეგნებულად წუხდა იმაზე, თუ როგორ მოიქცეოდა ეს კაცი ეკლესიაში, მოუხდებოდა თუ არა ფრაკი.

7

შეხვედრები, რა თქმა უნდა, კვლავაც გრძელდებოდა. საბრალო ქალბატონი შეშინებული აკვირდებოდა თავისი ქალიშვილისა და საეჭვო ბატონი ლუჟინის დაახლოებას, — მათი საუბრების, მზერის, ფლუიდების ზუსტად აღქმას ვერ ახერხებდა. ეს ისე სახიფათოდ მოეჩვენა, რომ ზიზღი დასძლია და გადაწყვიტა, ლუჟინი ახლოს ჰყოლოდა, ნაწილობრივ უკეთ გასაცნობად, მაგრამ უფრო იმიტომ, და უმთავრესი ეს იყო, რომ ქალიშვილის დიდი ხნით გაუჩინარებისთვის ბოლო მოეღო. ლუჟინის პროფესია უმნიშვნელოდ და უაზროდ მიაჩნდა... ამგვარი პროფესიების არსებობა მხოლოდ დაწყევლილი თანამედროვეობით თუ აიხსნებოდა, რეკორდებისადმი სულელური სწრაფვით (ეს აეროპლანები, მზემდე მიღწევა რომ სურდათ, მარათონულ დისტანციებზე სირბილი, ოლიმპიური თამაშები...). მიაჩნდა, რომ უწინდელ დროში, მისი ახალგაზრდობის რუსეთში, წარმოუდგენელი იყო, რომ ადამიანს მხოლოდ ჭადრაკის თამაშით გაეტანა თავი. სხვათა შორის, ასეთი ადამიანი ახლაც ისე უცნაურად გამოიყურებოდა, რომ ბუნდოვანი ეჭვიც კი გაუჩნდა, ხომ არ იყო ჭადრაკის თამაში საფარველი, სიცრუე, ხომ არ მისდევდა ლუჟინი სულ სხვა, იდუმალ, დანაშაულებრივ, შესაძლოა, მასონურ

საქმიანობას, — ამის გაფიქრებაზეც კი გული უჩერდებოდა, — რომელსაც გაქნილი არაშზადა ამ უბრალო თამაშისადმი გატაცებით ფარავდა. მაგრამ თანდათანობით ეს ეჭვი გაეფანტა. ასეთ რეგვენს რა ოინი უნდა მოეწყო? გარდა ამისა, მართლაც სახელგანთქმული იყო. განაცვიფრა და ცოტათი გააღიზიანა კიდეც იმან, რომ ბევრს გაეგონა მისთვის სრულიად უცნობი სახელი (წარსულში შორეული ნათესავის მიერ გაკვრით ნათქვამი, რომ ერთხელ პეტერბურგელი მემამულე, ვინმე ლუჟინი ესტუმრა, სათვალავში ჩასაგდები არ იყო). საკურორტო სასტუმროში მცხოვრები გერმანელები ვაჟკაცურად უმკლავდებოდნენ მათთვის უცხო შიშინა ბგერას და მას პატივისცემით მოიხსენიებდნენ. ქალიშვილმა ბერლინის ილუსტრირებული ჟურნალის ბოლო ნომერი უჩვენა, .რომელშიც გამოცანებისა და კროსვორდების განყოფილებაში მოყვანილი იყო ახლახან ლუჟინის მიერ მოგებული, რაღაცით გამორჩეული პარტია.

— ნუთუ შესაძლებელია ასეთი წვრილმანებით გატაცება? — შესძახა მან და შვილს დაბნეულად შეხედა, — მთელი ცხოვრება ამ უმნიშვნელო რამეს შესწირო?.. აი, თუნდაც ბიძაშენი აგიღოთ, ისიც კარგად თამაშობდა ყველაფერს — ჭადრაკს, კარტს, ბილიარდს, — მაგრამ ამას გარდა სამსახურიც ჰქონდა, კარიერაც და ყველაფერი.

— მასაც აქვს კარიერა, — მიუგო შვილმა, — და ძალიან ცნობილიცაა. ვისი რა ბრალია, რომ ჭადრაკით არასდროს დაინტერესებულხარ.

— ცნობილი მეფოკუსეებიც არსებობენ, — ჩაიბუზღუნა ქალმა, მაგრამ მაინც ჩაფიქრდა და თავისთვის დაასკვნა, რომ ლუჟინის სახელოვნება მის არსებობას ნაწილობრივ ამართლებდა. თუმცა ეს არსებობა საკმაოდ სამძიმო იყო. ქალს განსაკუთრებით ის აბრაზებდა, რომ ეს კაცი ყოველთვის ახერხებდა და მისკენ ზურგით ჯდებოდა.

— ზურგით ზის და ზურგით ლაპარაკობს, — ჩიოდა შვილთან, — ადამიანურად მეტყველება არ შეუძლია. გარწმუნებ, რაღაც არანორმალურობასთან გვაქვს საქმე.

ლუჟინს არასდროს დაუსვამს მისთვის შეკითხვა, არასდროს უცდია, მხარი აება შეწყვეტილი საუბრის აღდგენაში. იყო დაუ-

ვიწყარი გასეირნებებიც მზით აჭრელებულ ბილიკებზე, სადაც აქა-იქ, რომელიღაც მზრუნველ გენიოსს ძელსკამები დაედგა, — დაუვიწყარი გასეირნებები, როდესაც ლუჟინის ყოველი ნაბიჯი შეურაცხყოფად ეჩვენებოდა. სიმსუქნისა და ქოშინის მიუხედავად, კაცი უეცრად ისეთ სიჩქარეს აკრეფდა, რომ თანამგზავრები უკან რჩებოდნენ, დედა ტუჩებს კუმავდა და მსტვინავი ჩურჩულით იფიცებოდა: — თუ ეს სარეკორდო გარბენი კიდევ გაგრძელდება, მაშინვე, ხომ გესმის, მაშინვე შინ დავბრუნდებიო.

— ლუჟინ, — ეძახდა ქალიშვილი, — ეი, ლუჟინ! შეისვენეთ, დაიღლებით (არც ის იყო სასიამოვნო, რომ მისი შვილი მას გვარით მიმართავდა, მაგრამ ამ შენიშვნას ქალიშვილი სიცილით ეხმაურებოდა: — ასე ტურგენევის გოგონები აკეთებდნენ. განა მათზე უარესი ვარ?).

მოულოდნელად ლუჟინი შემოტრიალდებოდა, ცალყბად ჩაიცინებდა და ძელსკამზე ჯდებოდა.

გვერდით მავთულისგან დამზადებული კალათა იდო. კაცი მუდამ ჯიბეებში იქექებოდა, ნახავდა რაღაც ქაღალდს, აკურატულად ანაკუწებდა და კალათში აგდებდა, რის შემდეგაც ნაწყვეტ-ნაწყვეტად იცინოდა.

და მაინც, ერთობლივი სეირნობების მიუხედავად, მისი ქალიშვილი და ლუჟინი განმარტოებისთვის დროს მაინც ნახულობდნენ და ამგვარი განმარტოებების შემდეგ დედა შვილს მცირედი გაჯავრებით ეკითხებოდა: — რას იტყვი, კოცნით ერთმანეთს? კოცნით? დარწმუნებული ვარ, რომ კოცნით.

მაგრამ ქალიშვილი მხოლოდ ამოიოხრებდა და მოჩვენებითი სევდით პასუხობდა:

— აჰ, დედა, როგორ შეგიძლია ამგვარ თემებზე ლაპარაკი...

— გაშმაგებით, — დაასკვნა დედამ და ქმარს მისწერა, რომ თავს უბედურად, მოუსვენრად გრძნობს, რომ ქალიშვილს დაუშვებელი ფლირტი აქვს, — სახიფათო, პირქუშ კაცთან. ქმარმა ბერლინში დაბრუნება ან სხვა კურორტზე გადასვლა ურჩია.

— მას არაფერი ესმის, — გაიფიქრა ქალმა, — მაგრამ არა უშავს. ეს მალე დასრულდება. ჩვენი გვრიტი გაემგზავრება.

მაგრამ მოულოდნელად, ბერლინში ლუჟინის გამგზავრებამდე სამი დღით ადრე, რაღაც მოხდა, რამაც, მართალია, ლუჟინისადმი მისი დამოკიდებულება ვერ შეცვალა, მაგრამ ცოტათი გული აუჩუყა. სასეირნოდ სამივენი ერთად გავიდნენ. აგვისტოს ჩახუთული საღამო იდგა, შესანიშნავი დაისი, როგორც ბოლომდე გამოწურული, ბოლომდე დაფლეთილი წითელხორციანი ფორთოხალი.

— შემცივდა, — თქვა დედამ, — იქნებ რამე მომიტანო.

ქალიშვილმა თავი დაუქნია, უჰუო, — მიუგო ბალახის ღეროს წუწნით და ხელების მსუბუქად ქნევით სწრაფი ნაბიჯით გაემართა სასტუმროსკენ.

— კარგი გოგო მყავს, არა? კოხტა ფეხები აქვს.

ლუჟინმა თავი დაუკრა.

— მაშასადამე, ორშაბათს მიემგზავრებით? მერე კი ითამაშებთ და ისევ პარიზში დაბრუნდებით?

ლუჟინმა კვლავ დაუკრა თავი.

— მაგრამ პარიზში დიდხანს დარჩებით? ისევ სადმე მიგიწვევენ?

აი, სწორედ აქ მოხდა, თუ მოხდა. ლუჟინმა უკან მიიხედა და ხელჯოხი გაიშვირა.

— ბილიკი, — თქვა მან, — შეხედეთ. ბილიკი. მივდიოდი. და რომ იცოდეთ, ვინ შემხვდა. ვინ შემხვდა? მითებიდან. ამური. მაგრამ არა ისრით, არამედ კენჭით. და დამჭრა.

— რას ამბობთ? — ჰკითხა შეშფოთებულმა ქალმა.

— არა, მოითმინეთ, ნება მომეცით! — შესძახა ლუჟინმა და თითი ასწია, — აუდიენცია მჭირდება.

იგი ქალს მიუახლოვდა, პირი უცნაურად დააღო, რის გამოც რაღაც ტანჯული სინაზის უჩვეულო გამომეტყველება მიიღო.

— თქვენ კეთილი, გულისხმიერი ქალი ბრძანდებით, — გაჭიანურებით თქვა ლუჟინმა, — მაქვს პატივი, ქალიშვილის ხელი გთხოვოთ.

იგი შეტრიალდა, თითქოს თეატრალური რეპლიკა დაასრულაო, და ხელჯოხით ქვიშის მოხატვას შეუდგა.

— აი, შენი შალი, — ზურგს უკნიდან უთხრა დედას აქოშინებულმა შვილმა და ბეჭებზე შალი მოასხა.

— არა, არა, მცხელა, არ მინდა, რა დროს შალია...

იმ საღამოს, სეირნობისას, ყველანი შეთქმულებივით დუმდნენ. ქალის გონებაში ყველა იმ სიტყვამ გაირბინა, რომელიც ლუჟინისთვის უნდა ეთქვა, — ფინანსურ მხარეზე მიენიშნებინა, — ის, ალბათ, მდიდარი არ იყო, სასტუმროში ყველაზე იაფფასიან ოთახში ცხოვრობდა. ქალიშვილს კი ძალზე სერიოზულად უნდა დაელაპარაკოს. წარმოუდგენელი ქორწინებაა, საოცრად სულელური განზრახვა. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ესიამოვნა, რომ ლუჟინმა ასე აღელვებით, ასე ძველმოდურად, პირველად სწორედ მას მიმართა.

— მოსახდენი მოხდა, გილოცავ, — უთხრა იმავე საღამოს ქალიშვილს, — არ გინდა მიამიტი სახის მიღება, ყველაფერს შესანიშნავად ხვდები. თქვენ დაქორწინება გსურთ.

— შენ არ უნდა დაგლაპარაკებოდა, — მიუგო შვილმა, — ეს მხოლოდ მას და მე გვეხება.

— ცოლად გაჰყვე პირველსავე შემხვედრ არამზადას... — ნაწყენი ხმით დაიწყო დედამ.

— არ გაბედო, — მშვიდად უთხრა ქალიშვილმა, — ეს შენი საქმე არაა.

ერთი შეხედვით წარმოუდგენელი განზრახვა საოცარი სისწრაფით განვითარდა. გამგზავრების წინადღეს ლუჟინი გრძელი ღამის პერანგით თავისი ოთახის აივანზე იდგა, მთვარეს შეჰყურებდა, რომელიც თრთოლით ცდილობდა შავი ფოთლებიდან თავის დაღწევას, ტურატის წინააღმდეგ მოშზადებულ დაცვაზე ფიქრობდა, მოულოდნელად სულ სხვანაირად რომ შეტრიალდა, და საჭადრაკო ფიქრებში შემოჭრილ ხმას უსმენდა, ყურებში რომ უწიოდა, გრძელი ხაზებით კვეთდა მის არსებას და ყველა მთავარ პუნქტს იკავებდა. ეს იმ საუბრის გამოძახილი იყო, ახლახან რომ ჰქონდა ქალთან, იგი ისევ მუხლებზე ეჯდა და ჰპირდებოდა, რომ ორ-სამ დღეში ბერლინში დაბრუნდებოდა, მარტო გაემგზავრებოდა, თუ დედა დარჩენას მოინდომებდა. მუხლებზე მისი დასმა არაფერი იყო იმის მტკიცე რწმენასთან შედარებით, რომ ქალი მას გაჰყვებოდა, იმ სიზმრებივით არ გაუჩინარდებოდა, რომლებიც სკდებოდა და იფანტებოდა, რადგან მათი გავლით მაღვიძარას მბზინავი გუმბათი მოცურავდა. მხრით კაცის მკერდზე მი-

ყრდნობილი ქალი თითის ფრთხილი მოძრაობით მისი ქუთუთოების უფრო მაღლა აწევას ცდილობდა, და თვალის კაკალზე ამ მსუბუქი ზეწოლისგან უცნაური შავი შუქი დახტოდა, დახტოდა, როგორც მისი შავი მხედარი, რომელიც უბრალოდ პაიკს აიყვანდა, თუ ტურატი, ბოლო პარტიის მსგავსად, მეშვიდე სვლაზე მას წინ წასწევდა. მხედარი, ცხადია, დაიკარგებოდა, მაგრამ დანაკარგის სანაცვლოდ შავები ძნელმისახვედრი შეტევით ჯილდოვდებოდნენ და გამარჯვების სასწორი უკვე მათ მხარეს იხრებოდა. მართალია, იყო სისუსტე ლაზიერის ფრთაზე, თუმცა არა იმდენად სისუსტე, რამდენადაც მცირედი ეჭვი — ეს ყველაფერი ფანტაზია, ფოიერვერკი ხომ არ იყო და გაუძლებდა თუ არა იგი, გაუძლებდა თუ არა გული, თუ ყურში მოჩურჩულე ხმა ატყუებდა და შუა გზაზე მიატოვებდა. მაგრამ კუთხოვანი შავი ტოტებიდან მთვარე გამოცურდა, — მრგვალი, სავსე მთვარე, — გამარჯვების ნათელი დადასტურება, და როდესაც, ბოლოს და ბოლოს, ლუჟინი შებრუნდა და თავის ოთახში შეაბიჯა, იქ, იატაკზე, უკვე იწვა მთვარის შუქის უზარმაზარი მართკუთხედი, და ამ შუქში — მისი საკუთარი ჩრდილი.

8

იმან, რის მიმართაც მისი საცოლე ასე გულგრილი იყო, მასზე შთაბეჭდილება მოახდინა. ამას წინასწარ ვერავინ განჭვრეტდა. სალაპარაკოდ ქცეულ ბინას, რომელშიც გამჭვირვალე ჰაერი იდგა, ლუჟინი პირველი პუნქტის შესრულებისთანავე ეწვია, რაც უნგრელ კერკეტ კაკალთან გამარჯვებას ითვალისწინებდა. მართალია, პარტია მეორმოცე სვლაზე შეწყდა, მაგრამ ლუჟინისთვის ყველაფერი სრულიად ნათელი იყო. უსახო მძღოლს ხმამაღლა წაუკითხა საფოსტო ბარათზე („ჩამოვედით. საღამოს გელოდებით“) აღნიშნული მისამართი, შეუმჩნევლად გადალახა ნისლიანი, შემთხვევითი მანძილი და ფრთხილად სცადა ლომის ხახიდან ბეჭდის ამოღება. ზარს დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ: კარი სასწრაფოდ გაიღო. „როგორ, უპალტოოდ? არ შემოგიშვებთ“... მაგრამ

მას უკვე გადაებიჯებინა ზღურბლზე და ქოშინის დასაძლევად ხელებსა და თავს იქნევდა.

— უუფ, უუფ, — ამოისუნთქა და საოცნებო გულში ჩახუტებისთვის მოემზადა, მაგრამ უეცრად აღმოაჩინა, რომ უკვე გაწვდილ მარცხენა ხელში ამ სიტუაციისთვის ყოვლად უსარგებლო ხელჯოხი ეჭირა, მარჯვენაში კი — საფულე, რომელიც მძღოლისთვის ფულის გადახდის შემდეგ რატომღაც ჯიბეში აღარ ჩაედო.

— ისევ ეს შავი შლაპა... აბა, რამ გაგაშეშათ? აქეთ.

ხელჯოხი უდავიდარაბოდ მოთავსდა ლარნაკისმაგვარ ჭურჭელში, მეორე ცდაზე საფულემაც მიაგნო საჭირო ჯიბეს, შლაპა კი კაუჭზე ჩამოეკიდა.

— აი, მეც მოვედი, — თქვა ლუჟინმა, — უუფ, უუფ.

ქალიშვილი უკვე შორს იყო, შემოსასვლელის სიღრმეში; შიშველი ხელი კარს გვერდულად ჰკრა და ლუჟინს მხიარულად, ალმაცერად გახედა. კარის ამყოლის თავზე, გამოსაჩენ ადგილას, დიდი, კაშკაშა, ზეთის საღებავებით დახატული სურათი ეკიდა. ჩვეულებრივ, ლუჟინი ამგვარ საგნებს ვერ ამჩნევდა, ახლა კი ყურადღება მიაქცია, რადგან ელნათურის შუქი ზედ უხვად ეფრქვეოდა. ფერებმა მზის დარტყმასავით იმოქმედა. დედაკაცი, რომელსაც ყუმაშის[1] თავსაფარი წარბებამდე ჩამოეწია, ვაშლს ჭამდა, ღობეზე მისი შავი ჩრდილი კი უფრო მოზრდილ ვაშლს მიირთმევდა.

— დედაკაცი, — გემრიელად თქვა ლუჟინმა და გაიცინა.

— შემოდით, რაღას უდგახართ. მაგიდა არ დაცხრილოთ.

კაცი სასტუმრო ოთახში შევიდა და სიამოვნებისგან მთლიანად მოლბა, სიცილისგან გულის ამაჩუყებლად უცახცახებდა მუცელი ხავერდის ჟილეტქვეშ, რატომღაც მუდმივად რომ ეცვა ტურნირების დროს. ჭაღი შაქარყინულივით მქრქალი საკიდრებით უცნაურად ნაცნობი თრთოლით პასუხობდა. როიალის წინ, ყვითელ პარკეტზე, რომელიც ამპირის[2] სტილის სავარძლის ფეხებს

---

[1] *ყუმაში — ღია წითელი ბამბის ქსოვილი.*

[2] *ამპირის სტილი — საფრანგეთში ნაპოლეონ ბონაპარტის იმპერიის პერიოდში, XIX ს. I ნახევარში შეიქმნა. ეს სტილი მთელ ევროპაში გავრცელდა, განსაკუთრებით პოპულარული კი რუსეთში გახდა. ეს სიტყვა ფრანგულად იმპერიას ნიშნავს. ამ სტილის სამაგალითო ნიმუში რომის ხელოვნება იყო.*

ირეკლავდა, თეთრი დათვის ტყავი ეფინა — ტორებგაფარჩხული თითქოს იატაკის მბზინავ უფსკრულში მიფრინავდა. მაგიდებზე, თაროებსა და დაბალ კარადებზე ათასგვარი ლამაზი ნივთი იდო, საფენზე მძიმე, მანეთიანების მსგავსი მონეტები ვერცხლივით ბრწყინავდა, სარკის ჩარჩოდან ფარშავანგის ფრთა გამოჩრილიყო. კედლებზე უამრავი სურათი ეკიდა — ისევ ფერადთავსაფრიანი დედაკაცები, სინიბზე[1] ამხედრებული ოქროსფერი გოლიათი, თოვლის ლურჯ ბუმბულქვეშ მოქცეული ქოხები... ლუჟინისთვის ეს ყველაფერი გულის ამაჩვილებელ, ხატოვან ბრწყინვალებად შერწყმოდა ერთმანეთს, საიდანაც წამით სხვადასხვა ცალკეული საგანი გამოვარდებოდა ხოლმე — ფაიფურის ცხენირემი ან მუქთვალებიანი ხატი, — მერე თვალები კვლავ მხიარულად აუჭრელდა, ფეხი წამოჰკრა და კიდე გადაუკეცა პოლარული დათვის ტყავს, რომელსაც მეორე მხრიდან კუწუწებიანი წითელი სარჩული აღმოაჩნდა. ათ წელზე მეტი გასულიყო, რაც რუსული სახლი არ ენახა და ახლა, ამ სახლში, სადაც ნაირფერი რუსეთი თითქოს გამოფენაზე გამოეტანათ, ბავშვური სიხარული იგრძნო, ტაშის დაკვრა მოუნდა — ცხოვრებაში არასდროს უგრძნია თავი ასე მყუდროდ და მსუბუქად.

— აღდგომიდან შემორჩა, — თქვა დარწმუნებით და ნეკათითით ოქროსნახჭებიან ხის დიდ კვერცხზე მიუთითა (საქველმოქმედო მეჯლისზე ტომბოლაში[2] მოგებულზე). იმავ წუთს თეთრი კარი ფართოდ გაიღო და სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა მისასალმებლად ხელგაწვდილი, პენსნეიანი, წელში გამართული, მოკლედ თმაშეკრეჭილი ბატონი.

— მობრძანდით, — თქვა მან, — მოხარული ვარ თქვენი გაცნობისა.

და მაშინვე, მეფოკუსესავით, კუსტარული, თავსახურზე ალექსანდრეს გერბიანი პორტსიგარი გახსნა.

— მუნდშტუკებით, — თქვა ლუჟინმა და პაპიროსებს ალმაცერად გახედა, — ასეთებს არ ვეწევი. აი...

---

[1] *სინიბი — დიდი, ღონიერი, საფორნე ცხენი.*

[2] *ტომბოლა — იტალიაში გავრცელებული ლატარია, როდესაც მოგებულ ნომრებს დოლიდან იღებენ.*

მან ჯიბეები მოიქექა და იქიდან ქალალდის პარკიდან გადმოყრილი მსხვილი პაპიროსების ამოლაგებას შეუდგა, რამდენიმე ძირს დაუვარდა, რომლებიც ახალგაცნობილმა მამაკაცმა მარჯვედ აკრიფა.

— საფერფლე მოგვეცი, ძვირფასო, — თქვა მან, — დაბრძანდით, გეთაყვა. მაპატიეთ... როგორ მოგმართოთ?

ბროლის საფერფლე მათ შორის დაეშვა, კაცებმა ხელები ერთდროულად წაიღეს იქით და შემთხვევით პაპიროსები ერთმანეთზე მოუხვდათ.

— ჟადუბ[1], — გულთბილად თქვა ლუჟინმა და მოღუნული პაპიროსი გაასწორა.

— არაფერია, არაფერი, — სწრაფად გამოეხმაურა მამაკაცი და სწრაფადვე შევიწროებული ცხვირის ნესტოებიდან კვამლის ორი წვრილი ნაკადი გამოუშვა, — აი, თქვენ უკვე ღვთის კალთაგადაფარებულ ბერლინში ბრძანდებით. როგორც ქალიშვილმა მითხრა, შეჯიბრებაზე ჩამოსულხართ.

მან გახამებული მანჟეტი მოიხსნა, დოინჯი შემოიყარა და განაგრძო:

— სხვათა შორის, ყოველთვის მაინტერესებდა, ხომ არ არსებობს ჭადრაკში ისეთი სვლა, რომელიც სულ მოგაგებინებს. არ ვიცი, გესმით თუ არა ჩემი, მაგრამ მინდა ვთქვა... მაპატიეთ, როგორ მოგმართოთ, მამის სახელით?

— არა, მესმის, — თქვა ლუჟინმა გვარიანი ფიქრის შემდეგ, — არსებობს წყნარი და ძლიერი სვლები. ძლიერი სვლა...

— ასე, ასე, აი, თურმე რა ყოფილა, — თქვა მამაკაცმა.

— ძლიერი სვლა ის არის, — ხმამაღლა და მხიარულად განაგრძობდა ლუჟინი, — რომელიც დაუყოვნებლივ გვაძლევს უდავო უპირატესობას. მაგალითად, ორმაგი ქიში მძიმე წონის ფიგურის „მოკვლით“, ანდა პაიკის აყვანა ლაზიერის რანგში. და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ. წყნარი სვლა კი...

— ასე, ასე, — ჩაერთო მამაკაცი, — დაახლოებით რამდენ დღეს გასტანს შეჯიბრება?

---

[1] *ჟადუბ (ფრ.) — ფიგურას ვასწორებ.*

— წყნარი სვლა ხრიკს, ძირის გამოთხრას, კომპლიკაციას[1] ნიშნავს, — ლუჟინი ცდილობდა, თავაზიანი ყოფილიყო, თან ეშხშიც შევიდა, — განვიხილოთ რაიმე მდგომარეობა. თეთრები...

იგი ჩაფიქრდა, მზერა საფერფლეს მიაპყრო.

— სამწუხაროდ, — ნერვიულად თქვა მამაკაცმა, — ჭადრაკისა არაფერი გამეგება. მე მხოლოდ გკითხეთ... მაგრამ ეს არაფერია, არაფერი. ახლა სასადილო ოთახში წავალთ. ძვირფასო, ჩაი მზადაა?

— დიახ! — შესძახა ლუჟინმა, — ჩვენ მხოლოდ ენდშპილს განვიხილავთ იმ პარტიიდან, დღეს რომ გადაიდო. თეთრები: მეფე ცე-სამი, ეტლი ა-ერთი, მხედარი დე-ხუთი, პაიკები ბე-სამი, ცეოთხი. შავები კი...

— რთული რამ არის ჭადრაკი, — მოხერხებულად შეაპარა მამაკაცმა, ფეხზე ზამბარასავით წამოხტა და ასოებისა და ციფრების ნაკადის შეჩერება სცადა, რომელთაც შავებთან ჰქონდათ რაღაც კავშირი.

— ახლა დავუშვათ, — დამაჯერებლად თქვა ლუჟინმა, — რომ შავები ამ პოზიციაში საუკეთესო სვლას გააკეთებენ, ჟე-ექვსიდან ჟე-ხუთზე. ამას მე შემდეგი წყნარი სვლით ვუპასუხებ...

ლუჟინმა თვალები მოჭუტა და თითქმის ჩურჩულით, წინ წამოწეული ტუჩებით, როგორც ფრთხილად კოცნისას, მხოლოდ სვლის აღმნიშვნელი სიტყვები კი არ წარმოთქვა, არამედ რაღაც უნაზესის და უფაქიზესისა. ისეთივე გამომეტყველება ჰქონდა — გამომეტყველება კაცისა, რომელიც ახალშობილს სახიდან ბუმბულს სულის შებერვით აცილებს — როცა მომდევნო დღეს ეს სვლა დაფაზე გააკეთა. უნგრელი, ღამენათევი, გაყვითლებული, რომელმაც ყველა (ყაიმისკენ მიმავალი) ვარიანტის გარჩევა მოასწრო და მხოლოდ ეს ფარული კომბინაცია ვერ შეამჩნია, მძიმედ ჩაფიქრდა დაფასთან, სანამ ლუჟინი გაპრანჭულად ახველებდა და სიყვარულით გადაჰქონდა გაკეთებული სვლა ფურცელზე. უნგრელი მალე დანებდა. ლუჟინი კომპატრიოტთან[2] სათამაშოდ დაჯდა. პარტია საინტერესოდ დაიწყო და ცოტა ხანში მათი მა-

---

[1] *კომპლიკაცია — გართულება, დახლართულობა, აწეწილობა.*

[2] *კომპატრიოტი — თანამემამულე.*

გიდა მაყურებელთა ალყაში მოექცა. დამსწრეთა ცნობისმოყვარეობა, მიწოლა, სახსრების ტკაცუნი, სუნთქვა და, რაც მთავარია, ჩურჩული — ჩურჩული, რომელსაც კიდევ უფრო ხმამაღალი და გამაღიზიანებელი „ჩუუ“ შეწყვეტდა ხოლმე, — ლუჟინს მოსვენებას არ აძლევდა: ძალზე მგრძნობიარედ აღიქვამდა ამ ტკაცუნს, შრიალსა და საზიზღარ სითბოს, თუკი საჭადრაკო უფსკრულის სილრმეებში არ იყო ჩაძირული. ზოგჯერ თვალი შეჯგუფულთა ფეხებისკენ გაურბოდა და ამ მუქ შარვლებს შორის ყველაზე მეტად რატომღაც ნაცრისფერი მბზინავი წინდებით შემოსილი ქალის ფეხები აღიზიანებდა, რომელმაც, აშკარაა, ჭადრაკის ინჩიბინჩიც არ იცოდა, და მისი მოსვლის მიზანიც გამოცანად რჩებოდა... უმჯობესი იქნებოდა, ამ მტრედისფერ, წვეტიან, თასმებგადაჭერილ ფეხსაცმელებს პანელზე ეკაკუნათ — შორს, აქედან შორს. საათის გადართვის, სვლის ჩაწერის ან აყვანილი ფიგურის გვერდზე გადადებისას ალმაცერად გაჰყურებდა ამ გაუნძრევლად მდგომ ფეხებს, და მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ, როდესაც პარტია მოიგო და ადგა, თან ჟილეტს ქვევით ექაჩებოდა, ლუჟინმა აღმოაჩინა, რომ ეს მისი საცოლის ფეხები იყო. უსაზღვრო ბედნიერება იგრძნო, რადგან ქალი მისი გამარჯვების მომსწრე გახდა, და მოუთმენლად ელოდა ჭადრაკის დაფებისა და ამ ხმაურიანი ადამიანების გაუჩინარებას, რათა რაც შეიძლება ჩქარა გადაესვა მისთვის ხელი. მაგრამ ჭადრაკი უცებ არ გამქრალა და მაშინაც კი, როდესაც ნათელი სასადილო ოთახი და უშველებელი, სპილენძისფრად მბზინავი სამოვარი გამოჩნდა, თეთრ სუფრაზე ბუნდოვნად იხატებოდა ერთნაირი კვადრატები, და ასეთივე შოკოლადისა და კრემის კვადრატები ღვეზელზეც უდავოდ იქნებოდა. საცოლის დედა ისევე შემწყნარებლურად შეხვდა, ოდნავ დამცინავი სათნოებით, როგორითაც წინადღით, როდესაც თავისი გამოჩენით საჭადრაკო საუბარი შეაწყვეტინა, — ხოლო გუშინდელი ბატონი, ალბათ მისი ქმარი, დაწვრილებით ჰყვებოდა რუსეთში თავისი სანიმუშო მამულის შესახებ.

— თქვენს ოთახში წავიდეთ, — ხრინწიანად წასჩურჩულა ლუჟინმა საცოლეს, რომელმაც ტუჩი მოიკვნიტა და თვალები დააჭყიტა.

— წავიდეთ, — გაიმეორა კაცმა. მაგრამ ქალმა მარჯვედ გადმოუღო შუშის ლამბაქზე შესანიშნავი ჟოლოს მურაბა და ამ ბლანტმა, თვალისმომჭრელად წითელმა ტკბილეულმა, მარცვლოვანი ცეცხლით რომ იღვრებოდა ენაზე და სურნელოვანი ბადაგით ტუჩებს უწებებდა, მყისვე მიაღწია შედეგს.

— მერსი, მერსი, — თავი დაუკრა ლუჟინმა, სანამ მეორე ულუფას უდებდნენ, და სამარისებურ სიჩუმეში პირის წკლაპუნი განაგრძო, თან ჩაისგან გაცხელებულ კოვზს ლოკავდა, დამათრობელი წვენის წვეთის დაკარგვისაც კი ეშინოდა. როდესაც თავისი გაიტანა და ქალთან პირისპირ დარჩა, მართალია, არა მის საძინებელში, არამედ ნაირფრად აჭრელებულ სასტუმრო ოთახში, ხელები მაჯებში ჩაავლო, თავისკენ მიიზიდა და მძიმედ დაჯდა, მაგრამ ქალი უსიტყვოდ დაუსხლტა, დატრიალდა და პუფზე დაეშვა.

— სხვათა შორის, ჯერ არ გადამიწყვეტია, გამოგყვეთ ცოლად თუ არა, — თქვა მან, — კარგად დაიმახსოვრეთ.

— ყველაფერი გადაწყვეტილია, — მიუგო ლუჟინმა, — თუ არ მოისურვებენ, ვაიძულებთ, რომ ხელი მოაწერონ.

— რას მოაწერონ? — ჰკითხა გაოცებულმა ქალმა.

— აბა, რა ვიცი... მგონი, რაღაც ხელმოწერებია საჭირო.

— სულელი, სულელი, — რამდენჯერმე გაიმეორა ქალმა, — მოურჯულებელი, გამოუსწორებელი სულელი. რა მოგიხერხოთ, როგორ მოვიქცე... როგორი დაღლილი სახე გაქვთ. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენთვის ამდენი თამაში საზიანოა.

— Ach wo[1], — თქვა ლუჟინმა, — ორიოდე პარტია.

— ღამითაც კი ფიქრობთ. ასე არ შეიძლება. უკვე გვიანაა. შინ წადით. ძილი გჭირდებათ, რომ იცოდეთ.

მაგრამ კაცი ზოლიანი დივნიდან ადგომას არ ჩქარობდა და ქალმა გაიფიქრა, რა არის ეს, როგორ ვსაუბრობთ, სულ ჰაიჰარადო. კაცს მისთვის ერთხელაც არ ეკოცნა ვნებიანად, რაღაც უცნაურად, დაღრეჯილად გამოსდიოდა, და არც ერთი მოძრაობა, არც ერთი შეხება, არც ერთი ჩახუტება ადამიანურს არ ჰგავდა. მაგრამ ეს უმწეო ერთგულება მის თვალებში, ეს იდუმალი გამონათება, როდესაც ამას წინათ ჭადრაკის დაფასთან თავდახრილი იჯდა... და

[1] *Ach wo — კარგი რა! (გერმ.)*

მეორე დღეს გულმა კვლავ ვიწრო და ხმაურიანი ქუჩისკენ, დიდი კაფეს მეორე სართულზე მდებარე სრულიად ჩაჩუმებული დარბაზისკენ გაუწია. ამჯერად ლუჟინმა იგი მაშინვე შეამჩნია: წყნარად ესაუბრებოდა მხარბეჭიან, სუფთად გაპარსულ მამაკაცს, რომელსაც მოკლედ შეკრეჭილი თმა ქუდს მიუგავდა და კონცხივით ეშვებოდა შუბლზე, მსუქანი ტუჩები კი ჩამქრალ სიგარას ეკვროდა და ისრუტავდა. გაზეთიდან მოვლენილი მხატვარი მახინჯი ჩინური სტატუეტივით თავს მაღლა-დაბლა აქანებდა და ამ სიგარიან პროფილს ხატავდა. გვერდზე ჩავლისას ქალმა მის ალბომში ჩაიჭყიტა და ტურატის ახალდაწყებული პორტრეტის გვერდით უკვე დასრულებულ ლუჟინს მოჰკრა თვალი — დაღვრემილს, ცხვირჩამოშვებულს, შავად დაწინწკლული ღაბაბის ნაკეცებითა და საფეთქელთან ჩამოშვებული თმის რამდენიმე ღერით, თვითონ კულული რომ შეარქვა. ტურატი გერმანელ ოსტატთან სათამაშოდ დაჯდა, ლუჟინი კი მასთან მივიდა და კუშტად, დამნაშავის ღიმილით რაღაც გრძელი აბდაუბდა წარმოთქვა. ქალმა გაოცებით აღმოაჩინა, რომ მას იქაურობის დატოვებას სთხოვდნენ.

— მიხარია, ძალზე მიხარია პოსტფაქტუმ, — ლამის ვედრებით განუმარტა ლუჟინმა, — მაგრამ იქამდე... იქამდე როგორღაც ხელს მიშლის.

მან თვალი გააყოლა, როგორ დამჯერედ გასცილდა ქალი ჭადრაკის მაგიდების გავლით, თავი საქმიანად დაიქნია და დაფისკენ გაემართა, რომელსაც უკვე მისჯდომოდა მისი ახალი მეტოქე, ჭაღარა ინგლისელი, ნიადაგ სიმშვიდეს რომ ინარჩუნებდა და ნიადაგ აგებდა. მას ამჯერადაც არ გაუმართლა და ლუჟინმა კვლავ გაიმარჯვა, მომდევნო დღეს ფრედ ითამაშა, შემდეგ ისევ მოიგო. ჭადრაკსა და საცოლის სახლს შორის მკაფიო განსხვავებას ვეღარც კი გრძნობდა, თითქოს მოძრაობა აჩქარებულიყო და რასაც ადრე ზოლების მონაცვლეობად აღიქვამდა, ახლა ციმციმად ეჩვენებოდა.

ტურატის ფეხდაფეხ მისდევდა. ტურატის ერთ ქულას ერთი ქულით პასუხობდა, ნახევარს — ნახევრით. ასე მოძრაობდნენ ორივენი, თითქოს ტოლფერდა სამკუთხედის გვერდებზე მიცოცავდნენ და გადამწყვეტ წამს ერთმანეთს წვეროზე უნდა შეხვედროდნენ.

ოღროჩოღრო ღამეები იდგა. ვერაფრით აიძულებდა თავს, ჭადრაკზე არ ეფიქრა, თუმცა ეძინებოდა, მოგვიანებით კი ძილი მის ტვინში ველარ აღწევდა, ხვრელებს ეძებდა, მაგრამ ყოველ შესასვლელთან ჭადრაკის გუშაგი იდგა; საშინლად ტანჯავდა იმის შეგრძნება, რომ ძილი აქვე იყო, ტვინის მეორე მხარეს: ოთახში მყოფ ლუჟინს დაღლილობისა და მოთუნთილობისგან ჩასძინებოდა, ის ლუჟინი კი, თვალწინ ჭადრაკის დაფა რომ ედგა, ფხიზლობდა და ვერაფრით შერწყმოდა იღბლიან ორეულს. მაგრამ უფრო ცუდი ის იყო, რომ ყოველი სატურნირო სეანსის შემდეგ სულ უფრო მეტად უჭირდა საჭადრაკო წარმოდგენების სამყაროდან გამოსვლა, ასე რომ, უსიამოვნო გაორება დღისითაც დასჩემდა. სამსაათიანი პარტიის შემდეგ თავი უცნაურად სტკიოდა. მთლიანად კი არა, ნაწილ-ნაწილ, ტკივილის შავი კვადრატებით. შავი ლაქით დაფარული კარის მიგნებაც უჭირდა, ვერც სანუკვარი სახლის მისამართს იხსენებდა: საბედნიეროდ, ჯიბეში ძველი, შუაზე გაკეცილი და ნაკეცზე გადახეხილი ღია ბარათი ედო („ჩამოვედით. საღამოს გელოდებით"). იგი კვლავაც განიცდიდა სიხარულს, როდესაც რუსული სათამაშოებით გავსებულ სახლში შედიოდა. მაგრამ სიხარულიც ლაქებიანი იყო. ერთხელაც, დასვენების დღეს, ჩვეულებრივზე ადრე მივიდა და შინ მხოლოდ დიასახლისი დახვდა. ქალმა წიფლნარში მზის ჩასვლისას დაწყებული საუბრის გაგრძელება გადაწყვიტა, და რადგან გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონდა საკუთარ თვისებაზე, ყველასთვის პირში მიეხალა სიმართლე, — რაც თავის ღირსებად მიაჩნდა, — ლუჟინს მოსდგა: ჯერ პაპიროსის ნამწვებისთვის დატუქსა, ყველგან რომ პოულობდა, ლარნაკი იქნებოდა ეს, თუ იატაკზე გართხმული დათვის ხახა, შემდეგ შესთავაზა, იმ დღესვე, შაბათ საღამოს მიეღო მათთან აბაზანა, მას შემდეგ, რაც ქმარი იბანავებდა.

— ალბათ, იშვიათად ბანაობთ, — უთხრა მიუკიბ-მოუკიბავად, — ხომ ასეა? აღიარეთ.

სახემოღუშულმა ლუჟინმა მხრები აიჩეჩა და იატაკს ჩააშტერდა, სადაც მის გარდა ვერავინ ამჩნევდა ჩრდილების მსუბუქ მოძრაობას, მათ ავისმომასწავებელ დიფერენციაციას.

— და, — განაგრძობდა ქალი, — ცოტა უნდა გაკოხტავდეთ, ფორმაში ჩადგეთ.

მან მსმენელს საჭირო განწყობა შეუქმნა და მთავარზე გადავიდა.

— ერთი ეს მითხარით, — ჰკითხა ლუჟინს, — უკვე მოასწარით ჩემი ქალიშვილის გარყვნა? თქვენნაირები საკმაოდ გარყვნილები არიან, მეტი რომ აღარაფერი ვთქვათ. ის კი სუფთაა, ახლანდელ გოგოებს კი არ ჰგავს. მითხარით, გარყვნილი ხართ, არა? ხომ ასეა?

— არა, მადამ, — ამოოხვრით მიუგო ლუჟინმა, შემდეგ შუბლი შეიჭმუხნა, ფეხსაცმლის ლანჩა იატაკს გაუსვა და ზოგიერთი, უკვე საკმაოდ მკაფიო გამოსახულება წაშალა.

— მე ხომ სრულებით არ გიცნობთ, — სწრაფად განაგრძობდა მჟღერი ხმა, — ცნობების შეგროვება მომიწევს, — დი-ი-ახ, ცნობების, — რაიმე ისეთი დაავადება ხომ არ გჭირთ.

— ქოშინი, — თქვა ლუჟინმა, — და ცოტათი რევმატიზმი.

— ამას არ ვგულისხმობ, — ცივად გააწყვეტინა ქალმა, — საქმე სერიოზულადაა. ვხედავ, სასიძოდ თვლით თავს, ხშირად გვსტუმრობთ, ჩემს ქალიშვილთან ერთად განმარტოვდებით ხოლმე.

— შარშან ბუასილი დამემართა, — მოწყენით თქვა ლუჟინმა.

— მომისმინეთ, მე ძალზე მნიშვნელოვან საკითხებზე გესაუბრებით. თქვენ, ალბათ, დღესვე გსურთ დაქორწინება, ახლავე. კარგად გიცნობთ. ჩემმა ქალიშვილმა კი გაბერილი მუცლით უნდა იაროს, თავიდანვე უნდა გაიტანჯოს.

ლუჟინი, რომელსაც ერთ ადგილას უკვე გადაეთელა ჩრდილი, დასევდიანდა, როცა დაინახა, რომ იმ ადგილიდან შორს, სადაც თვითონ იჯდა, იატაკზე ახალი კომბინაცია დაწყებულიყო.

— ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, გეტყვით, რომ ეს ქორწინება უაზრობად მიმაჩნია. გარდა ამისა, შესაძლოა, ფიქრობთ, რომ სიმამრი შეგინახავთ. აღიარეთ, ხომ ასე ფიქრობთ?

— კაპიტალთან დაკავშირებით ცოტათი შეზღუდული ვარ, — თქვა ლუჟინმა, — სულ ცოტა დამაკმაყოფილებს. ერთი ჟურნალი ჭადრაკის განყოფილების წაყვანას მთავაზობდა...

ამ დროს იატაკზე უსიამოვნებები ისე გათავხედდნენ, რომ ლუჟინმა უნებურად ხელი გაიწვდინა, რათა ჩრდილოვანი მეფე გა-

ნათებული პაიკის მუქარისგან დაეცვა. და საერთოდ, იმ დღიდან მოყოლებული, გაურბოდა სასტუმრო ოთახში ჯდომას, სადაც უამრავი ხის ნივთი იყო, რომლებიც სხვადასხვაგვარ მოხაზულობას იძენდნენ, თუ დიდხანს მიაჩერდებოდა. საცოლე ხედავდა, რომ იგი ტურნირის მსვლელობასთან ერთად სულ უფრო ცუდად გამოიყურებოდა. თვალების გარშემო ბაცი იისფერი დაჰკრავდა, დამძიმებული ქუთუთოები ანთებოდა. ისეთი ფერმიხდილი იყო, ყოველთვის გაუპარსავს ჰგავდა, თუმცა საცოლის დაჟინებული მოთხოვნით ყოველ დილით იპარსავდა. ქალი მოუთმენლად ელოდა ტურნირის დამთავრებას, უმძიმდა იმაზე ფიქრი, თუ როგორი საშინელი, ჯანმრთელობისთვის მავნე ძალისხმევით მოიპოვებდა კაცი ყოველ ქულას. საბრალო ლუჟინი, იდუმალი ლუჟინი... როდესაც დილით მეგობარ გერმანელ ქალს ჩოგბურთს ეთამაშებოდა, ხელოვნების ისტორიის შესახებ მოყირჭებულ ლექციებს ისმენდა ან თავის ოთახში გაცვეთილ, სხვადასხვაგვარ წიგნს კითხულობდა — ანდრეევის „ოკეანეს“,[1] კრასნოვის რომანს,[2] ბროშურას „როგორ გავხდეთ იოგი“, — წუთითაც არ აფიწყდებოდა, რომ ამ დროს ლუჟინი საჭადრაკო გათვლებს აწარმოებდა, იბრძოდა, წვალობდა, და ცოტათი ყოველთვის გული სწყდებოდა, მისი სახელოვნებო ტანჯვის გაზიარება რომ არ შეეძლო. არ ეეჭვებოდა კაცის გენიოსობა, დარწმუნებული იყო, რომ ეს გენიოსობა მხოლოდ ამ საოცარი თამაშით, ჭადრაკით არ ამოიწურებოდა, და როცა სატურნირო ციებ-ცხელება ჩაივლიდა და ლუჟინს დამშვიდებისა და დასვენების შესაძლებლობა მიეცემოდა, მასში რაღაც, ჯერაც უჩინარი ძალები იჩენდა თავს, იგი გაიფურჩქნებოდა, გამოიღვიძებდა, თავის ნიჭს ცხოვრების სხვა სფეროებშიც გამოავლენდა. მამამისი ლუჟინს ვიწრო გაქანების ფანატიკოსს უწოდებდა, მაგრამ აუცილებლად დაამატებდა ხოლმე, უდავოდ ძალზე მიამიტი და ძალზე წესიერი ადამიანიაო. დედა ამტკიცებდა, ლუჟინი ყოველდღიურად კი არა, უკვე ყოველსაათობრივად გადადის ჭკუიდან, შეშლილებს

---

[1] *ლეონიდ ანდრეევი, რუსი მწერალი. პიესა „ოკეანე“ დაიწერა 1911 წ.*

[2] *კრასნოვის რომანი — ლაპარაკია რუსეთის იმპერიის კავალერიის გენერლის პიოტრ კრასნოვის რომან-ეპოპეაზე „ორთავიანი არწივიდან წითელი დროშისკენ“, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა.*

კი, კანონით, დაქორწინება ეკრძალებათო, და პირველ ხანებში ყველა ნაცნობს უმალავდა უჩვეულო სასიძოს, რაც თავიდან ძნელი არ იყო, — ეგონათ, დედა კურორტზე შვილთან ერთად არისო, — მაგრამ შემდეგ, ძალიან მალე, ის ადამიანები გამოჩნდნენ, რომლებიც მათთან, ჩვეულებისამებრ, შიგადაშიგ შემოივლიდნენ ხოლმე, მაგალითად, მომხიბლავი მოხუცი გენერალი, მუდამ იმას რომ ამტკიცებდა, ჩვენ რუსეთზე კი არ გვწყდება გული, არამედ ახალგაზრდობაზეო; ორი რუსი გერმანელი; ოლეგ სერგეევიჩ სმირნოვსკი, თეოსოფი და ლიქიორის ფაბრიკის მეპატრონე; რამდენიმე ყოფილი ოფიცერი; რამდენიმე ქალიშვილი; მომღერალი ვოზდვიჟენსკაია; ცოლ-ქმარი ალფეროვები; აგრეთვე ღრმად მოხუცებული კნეინა უმანოვა, რომელსაც პიკის ქალს ეძახდნენ (ცნობილი ოპერის მიხედვით). სწორედ მან დაინახა პირველად ლუჟინი და დიასახლისის ნაჩქარევი და მიკიბულ-მოკიბული ახსნის შედეგად დაასკვნა, რომ ის რაღაცით ლიტერატურასთან, ჟურნალებთან იყო დაკავშირებული — მწერალი, ერთი სიტყვით.

— ეს თუ იცით? — ჰკითხა მან და თავაზიანად სცადა ლიტერატურის შესახებ საუბრის გაბმა, — ახალი პოეზიიდანაა... ცოტათი დეკადენტური... რაღაც ღიღილოებზე, „სულ ღიღილოები, ღიღილოები“...

ოლეგ სერგეევიჩმა უყოყმანოდ სთხოვა, ჭადრაკი ვითამაშოთო, მაგრამ, სამწუხაროდ, სახლში ჭადრაკი არ აღმოჩნდა. ახალგაზრდებმა თავიანთ წრეში მას „შლაპა“ შეარქვეს, და მხოლოდ მოხუცმა გენერალმა გამოიჩინა გულუბრყვილობა და დიდხანს არწმუნებდა, ზოოლოგიურ პარკში ახალდაბადებული პატარა ჟირაფი მოენახულებინა. მას შემდეგ, რაც სტუმრებმა სიარულს მოუხშირეს, ლუჟინი, რომელიც ყოველ საღამოს მომსვლელთა სხვადასხვა კომბინაციაში ხვდებოდა, წუთითაც ვერ ახერხებდა საცოლესთან განმარტოებას, და მათთან ბრძოლამ, მათი სიღრმიდან საცოლემდე მიღწევის ლტოლვამ დაუყოვნებლივ საჭადრაკო ელფერი მიიღო. მაგრამ ამ ხალხის დამარცხება შეუძლებელი აღმოჩნდა, სულ უფრო მეტი ახალი ადამიანი ჩნდებოდა და ლუჟინს ეჩვენებოდა, რომ ტურნირის მსვლელობისას სწორედ ეს ურიცხვი, უსახო სტუმრები ერტყმოდნენ გარს მჭიდრო და ცხელ რკალად.

ყოველივეს ახსნა ერთ მშვენიერ დღეს მოხერხდა, დილით, როდესაც ლუჟინი თავისი ოთახის შუაში სკამზე იჯდა და ყურადღების გადატანას მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა: გუშინ მეათე ქულა მოიპოვა, დღეს კი მოზერისთვის უნდა მოეგო. მოულოდნელად კარი საცოლემ შემოაღო.

— აი, ნამდვილი კერპი, — გაეცინა მას, — დამჯდარა შუაგულში, მასთან კი შემწირველები შესაწირავით მოდიან.

ქალმა შოკოლადის კანფეტებიანი ყუთი გაუწოდა და მოულოდნელად სახიდან ღიმილი გაუქრა.

— ლუჟინ, — შესძახა მან, — ლუჟინ, გაიღვიძეთ! რა დაგემართათ?

— რეალობაა? — ჩუმად და უნდობლად ჰკითხა ლუჟინმა.

— ცხადია, რეალობაა. რა მანერაა შუა ოთახში სკამზე ჯდომა. იცოდეთ, წავალ, ახლავე თუ არ გამოცოცხლდებით.

ლუჟინი მორჩილად გამოცოცხლდა, თავი და მხრები აამოძრავა, შემდეგ ტახტზე გადაჯდა. თვალებში ბედნიერების სხივი ჩაუდგა, თუმცა ბოლომდე მაინც არ სჯეროდა, რომ ეს სინამდვილე იყო.

— მითხარით, როდის დასრულდება? — ჰკითხა ქალმა, — კიდევ რამდენი პარტია დარჩა?

— სამიოდე, — მიუგო ლუჟინმა.

— დღეს გაზეთში წავიკითხე, რომ ტურნირი თქვენ უნდა მოიგოთ, რომ ამჯერად უჩვეულოდ თამაშობთ.

— მაგრამ არის კიდევ ტურატი, — თქვა ლუჟინმა და თითი ასწია, — გული მერევა, — დაამატა ნაღვლიანად.

— მაშინ არავითარი კანფეტები, — სწრაფად თქვა ქალმა და კვადრატული პაკეტი კვლავ ამოიღლიავა.

— ლუჟინ, თქვენს ექიმს გამოვიძახებ. ასე თუ გაგრძელდა, ვეღარ გაუძლებთ და მოკვდებით.

— არა, არა, — თქვა კაცმა ნამძინარევი ხმით, — უკვე გამიარა. ექიმი არ მჭირდება.

— ძალიან ვღელავ. გამოდის, რომ კიდევ პარასკევამდე, შაბათამდე... ეს ჯოჯოხეთია. ჩვენს სახლში კი დაღვრემილობაა. ყველა ეთანხმება დედას, რომ ცოლად არ უნდა გამოგყვეთ. გული რატომ გერეოდათ? ასეთი რა ჭამეთ?

— უკვე გამიარა, აბსოლუტურად, — გაბმით თქვა ლუჟინმა და ქალს მხარზე თავი დაადო.

— ძალიან დაიღალეთ, საბრალოვ. ნუთუ დღესაც ითამაშებთ?

— სამ საათზე. მოზერთან. მე საერთოდ ვთამაშობ... როგორ ითქვა?

— უჩვეულოდ, — გაეღიმა ქალს. მხარზე ჩამოდებული თავი დიდი იყო და მძიმე — უძვირფასესი აპარატი რთული, საიდუმლო მექანიზმით. წუთის შემდეგ შეამჩნია, რომ კაცს ჩასძინებოდა, და იმაზე დაფიქრდა, როგორ გადაედო მისი თავი რაიმე ბალიშისმაგვარზე. ძალზე ფრთხილად ესეც მოახერხა. ახლა უხერხულად მოხრილი კაცი ნახევრად მიწოლილიყო ტახტზე, ბალიშზე დადებული თავი ცვილისას მიუგავდა. ქალს წამით თავზარი დაეცა, ვაითუ მოკვდაო, მაჯაც კი გაუსინჯა — სირბილე და სითბო იგრძნო. წელში გამართულმა, მხარში ტკივილი იგრძნო.

— მძიმე თავი, — ჩაიჩურჩულა, როდესაც მძინარეს შეხედა, ოთახიდან ჩუმად გავიდა და თავისი უიღბლო საჩუქარიც თან გაიყოლა. დერეფანში მოახლეს სთხოვა, ლუჟინი ერთ საათში გაეღვიძებინა, კიბეზე უხმაუროდ დაეშვა და შზით განათებული ქუჩებით ჩოგბურთის კორტისკენ გაეშურა. საკუთარი თავი იმაზე დაიჭირა, რომ კვლავაც ცდილობდა, არ ეხმაურა და მკვეთრად არ ემოძრავა. მოახლეს ლუჟინის გაღვიძება აღარ დასჭირდა — მან თვითონ გაიღვიძა და მაშინვე მშვენიერი სიზმრის გახსენება სცადა, — გამოცდილებით იცოდა, თუ მაშინვე არ გაიხსენებდა, მერე აღარაფერი გამოუვიდოდა. სიზმარში კი ნახა, თითქოს უცნაურად იჯდა, — შუაგულ ოთახში, — და უეცრად, სიზმრისთვის დამახასიათებელი უჩვეულო და ნეტარი მოულოდნელობით, მისი საცოლე შემოვიდა და წითელი ლენტით შეკრული კოლოფი გაუწოდა. ზმანების მოდაზე ეცვა — თეთრი კაბა, უხმაურო თეთრი ფეხსაცმელი. უნდოდა, მოხვეოდა, მაგრამ უეცრად გული აერია და თავბრუ დაესხა, საცოლე კი უყვებოდა, თუ როგორ უჩვეულოდ წერდნენ მასზე გაზეთები, რომ დედას მაინც არ უნდოდა მათი დაქორწინება. კიდევ, ალბათ, ბევრი რამ იყო, მაგრამ მეხსიერება გაქცეულ სიზმარს ვეღარ დაეწია. ცდილობდა, ის მაინც არ დაეკარგა, რაც სიზმარს გამოსტაცა, ფრთხილად ამოძრავდა, თმა გაისწორა და

ზარი დარეკა, რათა სადილი მოეტანათ. ნასადილევს მეტოქესთან სათამაშოდ დაჯდა. იმ დღეს საჭადრაკო წარმოდგენათა სამყარომ სასტიკი ძალა გამოამჟღავნა. ოთხი საათის განმავლობაში შეუსვენებლივ თამაშობდა და მოიგო, მაგრამ როდესაც ტაქსიში ჩაჯდა, დაავიწყდა, სად მიდიოდა, ვეღარ გაიხსენა, რომელი მისამართი მისცა მძღოლს წასაკითხად („საღამოს გელოდებით"), და ინტერესით ელოდა მანქანის გაჩერებას.

სახლი, სხვათა შორის, იცნო, — კვლავაც ეს სტუმრები, სტუმრები, მაგრამ მოულოდნელად ლუჟინი მიხვდა, რომ მხოლოდ ამასწინანდელ სიზმარში დაბრუნებულიყო, ვინაიდან საცოლემ ჩურჩულით ჰკითხა:

— აბა, გული აღარ გერევათ? — ცხადში ეს საიდან უნდა სცოდნოდა?

— კარგ სიზმარში ვცხოვრობთ, — უთხრა საცოლეს წყნარად, — მე ხომ ყველაფერს მივხვდი.

მან მიიხედ-მოიხედა, დაინახა მაგიდა და იქ მსხდომთა სახეები, მათი ანარეკლი სამოვარში, — სამოვრის განსაკუთრებულ პერსპექტივაში, და შვებით დაამატა:

— მაშ, ესეც ძილი ყოფილა? და ეს ბატონებიც? ჰო-ო.

— ჩუმად, ჩუმად, რას ბურტყუნებთ? — მოუსვენრად წასჩურჩულა ქალმა და ლუჟინმა გაიფიქრა, რომ სიმართლეს ეუბნებოდნენ, ზმანება არ უნდა დაეფრთხო. დაე, ცოტა ხანს კიდევ ისხდნენ ეს ადამიანები. მაგრამ ამ სიზმარში ყველაზე შესანიშნავი ის იყო, რომ გარშემო, როგორც ჩანს, რუსეთი ერტყა, რომელიც კარგა ხნის წინ დაეტოვებინა. სიზმრის ბინადარნი, მხიარული ადამიანები, ჩაის მიირთმევდნენ, რუსულად ლაპარაკობდნენ, საშაქრეც კი ზუსტად ისეთი იყო, როგორიც მრავალი წლის წინ, ზაფხულის საამურ საღამოს, როდესაც ვერანდაზე იჯდა და ჭიქაში შაქრის ფხვნილს იყრიდა. რუსეთში ამგვარმა დაბრუნებამ ლუჟინი დააინტერესა, სიამოვნებაც მიანიჭა. მოსწონდა ეს, ძირითადად, როგორც ცნობილი იდეის მახვილგონივრული განმეორება. საჭადრაკო პარტიაშიც ასე ხდებოდა ხოლმე, როდესაც დაფაზე თეორიიდან დიდი ხნის ცნობილი, ამოცანისთვის დამახასიათებელი კომბინაცია ხორციელდებოდა, ოღონდ მცირედი ცვლილებებით.

მაგრამ მთელი ამ დროის განმავლობაში, ხან სუსტად, ხანაც მკვეთრად ჩნდებოდნენ ჩრდილები მისი ნამდვილი საჭადრაკო ცხოვრებიდან, — და, ბოლოს და ბოლოს, ღამით, გარეთაც გამოაღწიეს საჭადრაკო აზრებმა, საჭადრაკო უძილობამ, ფიქრებმა ტურატის დებიუტის გასაუვნებლად მოგონილი მწვავე თავდაცვის შესახებ. აშკარად ფხიზლობდა, მკაფიოდ მუშაობდა ყოველგვარი ნაგვისგან გაწმენდილი გონება, რომელიც მიხვდა, რომ ჭადრაკის გარდა, ყველაფერი მომაჯადოებელი სიზმარი იყო, და ამ სიზმარში მთვარის ოქროსფერი კვამლივით იბინდებოდა და დნებოდა სანდომიანი, ნათელთვალება, მკლავებმოშიშვლებული ქალიშვილის სახე. ცნობიერების სხივები, ზოგჯერ რომ იფანტებოდა და მის ირგვლივ არსებულ არცთუ გასაგებ სამყაროს ეხებოდა, რის გამოც ძალის ნახევარს კარგავდა, ახლა, როცა ამ სამყაროს მირაჟი ჩაენაცვლა, მომაგრებულიყო, ყურადღება მოეკრიბა, და მასზე წუხილის საჭიროებაც გამქრალიყო. ნამდვილი ცხოვრება, მოხდენილი და მკაფიო საჭადრაკო ცხოვრება თავგადასავლებით იყო სავსე, და ლუჟინი სიამაყით ამჩნევდა, როგორ ეადვილებოდა ამ ცხოვრებაში მბრძანებლობა, სადაც ყველა და ყველაფერი მის ნება-სურვილს მორჩილად აღასრულებდა. ბერლინის ტურნირში მის მიერ ნათამაშებ ზოგიერთ პარტიას მცოდნეებმა უკვდავი უწოდეს. ერთში თანამიმდევრულად შესწირა ლაზიერი, ეტლი, მხედარი და მოიგო; მეორეში ერთ-ერთ პაიკს ისეთი სტრატეგიული პოზიცია დააკავებინა, რომ მან გასაოცარი ძალა შეიძინა, სულ იზრდებოდა, იბერებოდა, დაფის ყველაზე ნაზ ადგილზე ავთვისებიან სიმსივნესავით ხრწნიდა მეტოქეს; მესამე პარტიაში ლუჟინმა ერთი შეხედვით უაზრო სვლა გააკეთა, რითაც მაყურებლის აღელვებული ჩურჩული გამოიწვია, სინამდვილეში კი მეტოქეს რთულად მისახვედრი მახე დაუგო და გაბა კიდეც შიგ. ამ დაუვიწყარ ტურნირში მის მიერ ნათამაშებ პარტიებში აზრის გასაოცარი სიცხადე, ულმობელი ლოგიკა იგრძნობოდა. მაგრამ ტურატიც ბრწყინვალედ თამაშობდა. ტურატიც ქულას ქულაზე იღებდა, თავხედური გაბედულებით მოწინააღმდეგეებს თითქოს აჰიპნოზებდა და, შესაძლოა, ზედმეტად ენდობოდა საჭადრაკო ფორტუნას, რომელიც ჯერჯერობით არ ღალატობდა. პირველი

პრიზის ბედი მისი და ლუჟინის შეხვედრას უნდა გადაწყვიტა. ზოგიერთი თვლიდა, რომ ლუჟინის აზრების გამჭვირვალობასა და სიმსუბუქეს იტალიელის მეამბოხე ფანტაზია წინ ვერ აღუდგებოდა, თუმცა ზოგი წინასწარმეტყველებდა, რომ ცეცხლოვანი, უტიფარი ტურატი შორსმჭვრეტელ რუს მოთამაშეს დაამარცხებდა. და შეხვედრის დღეც დადგა.

ლუჟინს საგარეოდ გამოწყობილს ეძინა, პალტოც კი არ გაეხადა. გაღვიძებისთანავე საათს დახედა, საჩქაროდ წამოდგა და ოთახის შუაში დაგდებული შლაპა დაიხურა. უეცრად გამოერკვა და ოთახი მოათვალიერა, ვერ მიმხვდარიყო, სად ეძინა. ლოგინისთვის ხელი არ ეხლო, ტახტის ხავერდსაც არაფერი ეტყობოდა. დანამდვილებით ერთადერთი რამ იცოდა, — რომ უხსოვარი დროიდან ჭადრაკს თამაშობდა, და ბნელით მოცულ მეხსიერებაში, როგორც სანთლის ერთდროულად ამრეკლავ ორ სარკეში, მხოლოდ შევიწროებული ნათელი პერსპექტივა დარჩენილიყო: ლუჟინი ჭადრაკის დაფასთან, და კვლავაც ლუჟინი ჭადრაკის დაფასთან, ოღონდ უფრო დაპატარავებული, შემდეგ კიდევ უფრო დაპატარავებული და ასე გრძელდებოდა უსასრულოდ. მაგრამ მან დააგვიანა, დააგვიანა, უნდა იჩქაროს. კარი სწრაფად გამოაღო და გაოცებული შედგა. მისი წარმოდგენით, საჭადრაკო დარბაზი აქვე უნდა ყოფილიყო, მისი მაგიდაც და მომლოდინე ტურატიც. ნაცვლად ამისა, წინ ცარიელ დერეფანსა და კიბეს ხედავდა. უეცრად იქიდან, კიბის მხრიდან, სწრაფად მომავალი კაცი გამოჩნდა, რომელმაც ლუჟინის დანახვაზე ხელები გაშალა.

— მაესტრო, — შესძახა მან, — ეს რა არის! გელოდებიან, მაესტრო, გელოდებიან... ტელეფონით სამჯერ დავრეკე. ყველა ამბობდა, კაკუნს არ პასუხობსო. სენიორ ტურატი რა ხანია, იქაა.

— წაულიათ, — მჟავედ თქვა ლუჟინმა და ხელჯოხი ცარიელი დერეფნისკენ გაიშვირა, — არ ვიცოდი, რომ ყველაფერი გადაადგილებულა.

— თუ თავს ცუდად გრძნობთ... — დაიწყო კაცუნამ და ნაღვლიანად მიაჩერდა ლუჟინის ფერმკრთალ, ალაპლაპებულ სახეს.

— აბა, წამიყვანეთ! — დაიწრიპინა ლუჟინმა და ხელჯოხი იატაკს დაარტყა.

— როგორც ინებებთ, როგორც ინებებთ, — დაბნეულად ჩაიბურტყუნა კაცმა. ლუჟინი მხოლოდ მის წინ სწრაფად მოძრავ საყელოაწეულ პალტოს შეჰყურებდა და გაუგებარი სივრცის დაძლევას ცდილობდა.

— ფეხით ერთი წუთის სავალი თუ იქნება, — ამბობდა მეგზური.

ლუჟინს გულს მოეშვა, როდესაც კაფეს შუშის ტრიალა კარს, იმის იქით კი კიბეს მოჰკრა თვალი, ბოლოს ისიც დაინახა, რასაც სასტუმროს დერეფანში ეძებდა. შესვლისთანავე ცხოველმყოფლობა, სიმშვიდე, სიცხადე, თავდაჯერებულობა იგრძნო.

— მოგებაც იქნება, — თქვა ხმამაღლა.

დანისლული ადამიანების ჯგუფი შუაზე გაიყო და მონაწილე გაატარა.

— ტარ, ტარ, ტატარ, — ატარტარდა თავის ქნევით მოულოდნელად საიდანღაც გაჩენილი ტურატი.

— ავანტი[1], — თქვა ლუჟინმა და გაიცინა. მათ შორის მაგიდა აღმოჩნდა, მაგიდაზე — დაფა საბრძოლველად გამზადებული ფიგურებით. ლუჟინმა ჟილეტის ჯიბიდან შეუცნობლად ამოიღო პაპიროსი და გააბოლა.

ამ დროს უცნაური რამ მოხდა. მართალია, ტურატის თეთრები ხვდა წილად, მან თავისი გახმაურებული დებიუტის გამოყენებაზე უარი თქვა და ლუჟინის მიერ მომზადებულმა დაცვამ დღის სინათლე ვეღარ იხილა. შესაძლოა, ტურატიმ წინასწარ განჭვრიტა მოსალოდნელი გართულებები ან, იცოდა რა ამ ტურნირზე ლუჟინის მიერ გამოვლენილი თვინიერი ძალა, ფრთხილად თამაში ამჯობინა. ოღონდ ეგ არის, ძალზე ტრაფარეტულად დაიწყო. ლუჟინს წამით გული დასწყდა წყალში გადაყრილი შრომის გამო, მაგრამ გაუხარდა კიდეც: მეტი თავისუფლება ექნებოდა. გარდა ამისა, როგორც ჩანს, ტურატის მისი ეშინოდა. მეორე მხრივ, ტურატის მიერ შემოთავაზებულ უწყინარ, დუნე დასაწყისში უეჭველად რაღაც მახე იქნებოდა დაგებული, ამიტომ ლუჟინი განსაკუთრებულ წინდახედულობას იჩენდა. თავიდან ყველაფერი წყნარად, ძალზე წყნარად, უჩუმრად მიდიოდა. მეტოქეები ფრთხილად იკავებდნენ პოზიციებს, ზოგიერთ ფიგურას წინ სწევდნენ, ოღონდ თავაზიანად,

[1] *ავანტი — წინ! (იტ.)*

ყოველგვარი მუქარის გარეშე, და თუ იყო კიდეც მუქარა, მხოლოდ პირობითად, — ეს უფრო მინიშნებას ჰგავდა, რომ სადღაც თავშესაფრის მოწყობა შეიძლებოდა, და მოწინააღმდეგე ღიმილით აწყობდა კიდეც მას, სადაც საჭიროდ ჩათვლიდა, და თვითონაც ოდნავ წინ მოიწევდა. შემდეგ მოულოდნელად სიმს ტკბილად ჩამოჰკრეს — ტურატის რომელიღაც ძალას დიაგონალი დაეკავებინა. მაგრამ ლუჟინსაც მაშინვე გაუჩნდა შესაფერისი ხმადაბალი მელოდია.

წამით შეთრთოლდნენ იდუმალი შესაძლებლობები, მერე კვლავ სიჩუმე ჩამოწვა: ტურატიმ უკან დაიხია, გასცილდა. ერთი ხანობა მეტოქეებმა, თითქოს შეტევაზე არც კი ფიქრობენო, საკუთარი კვადრატების გალამაზებას მიჰყვეს ხელი, — რაღაცას უვლიდნენ, ადგილს უცვლიდნენ, ასწორებდნენ, — მერე კი კვლავ მოულოდნელი აფეთქება, ბგერების სწრაფი შეხამება: ერთმანეთს ორი უმნიშვნელო ძალა შეეჯახა და ორივე მაშინვე განადგურდა: თითების მყისიერი ვირტუოზული მოძრაობით ლუჟინმა აიყვანა და მაგიდაზე გვერდით უკვე არა ჰაეროვანი, არამედ მძიმე ყვითელი პაიკი დასვა; ტურატის თითებმაც გაიელვა ჰაერში და მაგიდაზე ამჯერად ჩამორჩენილი, თავზე ათინათმომდგარი შავი პაიკი დაეშვა. ამ ორი, მოულოდნელად გაშეშებული საჭადრაკო სიდიდის მოცილების შემდეგ მოთამაშეები თითქოს დამშვიდდნენ და წამიერი აფეთქებაც დაივიწყეს. მაგრამ დაფის ამ ნაწილში ჯერაც არ ჩამცხრალიყო თრთოლა, რაღაც კვლავ ცდილობდა ჩამოყალიბებას... თუმცა ამ ბგერებმა სასურველი შერწყმა ვერ განახორციელეს, — გვერდით რომელიღაც სხვა, დაბალმა ნოტმა დაიგუგუნა და ორივე მოთამაშემ დატოვა მთრთოლარე კვადრატი და დაფის მეორე ბოლოში გადაინაცვლა. აქაც ყველაფერი უშედეგოდ დასრულდა. დაფაზე განლაგებული უმნიშვნელოვანესი ძალები ერთმანეთს რამდენჯერმე საყვირის ხმებით შეეხმიანნენ, რასაც კვლავ გაცვლა, ორი საჭადრაკო ძალის მოჩუქურთმებულ, გალაქულ, პრიალა თოჯინად გადაქცევა მოჰყვა. მერე კი იყო დიდი ხნით, ხანგრძლივად ჩაფიქრება, რომლის დროსაც ლუჟინმა დაფის ერთი წერტილიდან წამოიწყო და გონებაში ზედიზედ გაათამაშა ათამდე პარტია. მოულოდნელად მომაჯადოებელ, ბროლივით მყიფე, ნა-

ტიფ კომბინაციას მიაგნო, რომელიც ტურატის პირველივე პასუხის შემდეგ წკრიალით, მსუბუქად დაიმსხვრა. მაგრამ ტურატიც ვერაფერს შვრებოდა, და ორივენი დროის მოგებაზე გადავიდნენ, — ვინაიდან საჭადრაკო სამყაროში დრო ულმობელია, მეტოქეებმა რამდენჯერმე გაიმეორეს ორ-ორი სვლა, მუქარა და დაცვა, მუქარა და დაცვა, — მაგრამ იმავდროულად ურთულეს კომბინაციაზე ფიქრობდნენ, რომელსაც მექანიკურ სვლებთან საერთო არაფერი ჰქონდა. ბოლოს ტურატიმ ამ კომბინაციაზე წასვლა გაბედა და დაფას მაშინვე მუსიკალური გრიგალი დაატყდა თავს. ლუჟინი ჯიუტად ეძებდა მასში მისთვის საჭირო, მკაფიო, სუსტ ხმას, რათა, თავის მხრივ, გაებერა და ჭექა-ქუხილის ჰარმონიად ექცია. ახლა დაფაზე სიცოცხლე დუღდა, ყველაფერი ერთი სიმისკენ იყო მიმართული და სულ უფრო და უფრო მჭიდროდ იხლართებოდა ერთმანეთში; ორი ფიგურის გაქრობამ ცოტაოდენი შვება მოიტანა, და კვლავ — ფურიოზო[1]. ლუჟინის აზრი დამათრობელ და საშინელ ტევრში დახეტიალებდა, დროდადრო ტურატის შეშფოთებულ აზრებს აწყდებოდა, რომელიც მასავით იმავეს ეძებდა. ორივენი ერთდროულად მიხვდნენ, რომ თეთრებს თავისი ჩანაფიქრის გაგრძელებაზე უარი უნდა ეთქვათ — სადაცაა რიტმს დაკარგავდნენ. ტურატიმ სასწრაფოდ გაცვლა შესთავაზა და დაფაზე ძალები კვლავ შემცირდა. ახალი შესაძლებლობები დაისახა, მაგრამ ჯერ ვერავინ ამბობდა, თუ ვის მხარეს იყო უპირატესობა. ლუჟინი შეტევას ამზადებდა, რისთვისაც ჯერ ვარიანტების ლაბირინთი უნდა გამოეკვლია, სადაც მისი ყოველი ნაბიჯი სახიფათო ექოს აღვიძებდა. იგი დიდი ხნით ჩაფიქრდა: ეჩვენებოდა — კიდევ ერთი თავდაუზოგავი ძალისხმევა და გამარჯვების მომტან საიდუმლო სვლას მიაგნებდა. უეცრად მისი არსების გარეთ რაღაც მოხდა, მწვავე ტკივილი იგრძნო, — ხმამაღლა შეჰყვირა და ხელი რამდენჯერმე გააქნია, რადგან ასანთის ალმა აუწვა, თვითონვე რომ აანთო, მაგრამ პაპიროსთან მიტანა დააგვიწყდა. ტკივილმა მაშინვე გაუარა, მაგრამ ცეცხლოვან ხვრელში რაღაც აუტანელი, შემაძრწუნებელი დაინახა და შეიცნო საჭადრაკო უფსკრულების მთელი საშინელება, რომლებშიც ეშვებოდა. უნებურად კვლავ და-

[1] *ფურიოზო (მუს.) — გაშმაგებით, ვნებით (იტ).*

ფას შეხედა და თავი ჩაქინდრა ჯერ არნახული, მიუჩვეველი დაღლილობისგან. მაგრამ ჭადრაკი შეუბრალებლად ექაჩებოდა და ითრევდა სიღრმეში. ეს საშინელება იყო, მაგრამ მხოლოდ მასში არსებობდა ჰარმონია, რადგან რა არის სამყაროში ჭადრაკის გარდა? ბურუსი, უცნობლობა, არმყოფობა... უეცრად შეამჩნია, რომ ტურატი აღარ იჯდა, იდგა და ხელები ზურგს უკან შემოეწყო.

— შესვენებაა, მაესტრო, — უთხრა ხმამ უკნიდან, — სვლა ჩაიწერეთ.

— არა, არა, ცოტა კიდევ, — შეევედრა ლუჟინი და თვალებით მთქმელს დაუწყო ძებნა.

— შესვენებაა, — გაიმეორა იმავე ხმამ ისევ უკნიდან. მოუსვენარი ხმა იყო. ლუჟინმა წამოდგომა დააპირა, მაგრამ ვერ შეძლო. დაინახა, რომ სკამიანად იცვალა ადგილი, დაფას კი, ჭადრაკის დაფას, რომელზეც სულ ახლახან მთელი მისი სიცოცხლე იდო, სვავებივით დაესივნენ ვიღაც ადამიანები და ჩხუბითა და ყაყანით შეუდგნენ ფიგურების გადაადგილებას. კვლავაც სცადა წამოდგომა და ისევ ვერ მოახერხა.

— რატომ, რატომ? — ჩაილაპარაკა საცოდავად, თან დაფის დანახვას ცდილობდა ზედ მისეულ შავ, ვიწრო ზურგებს შორის, რომლებიც კიდევ უფრო შევიწროვდნენ, შევიწროვდნენ და გაქრნენ. დაფაზე ფიგურები აირ-დაირია, უშნო გროვებად ეყარა აქა-იქ. ჩრდილმა ჩაიარა, შეჩერდა და სწრაფად შეუდგა ფიგურების ჩალაგებას პატარა კუბოში.

— მორჩა, — თქვა ლუჟინმა, თავს ძალა დაატანა, დაიკვნესა და სკამს მოსწყდა.

ალაგ-ალაგ აჩრდილები შეჯგუფულიყვნენ და რაღაცაზე მსჯელობდნენ. ციოდა და საკმაოდ ბნელოდა. ლანდებს დაფები და სკამები მიჰქონდათ. საითკენაც არ უნდა გაგეხედათ, ყველგან დაკლაკნილი, გამჭვირვალე, საჭადრაკო სახეები დაბორიალებდნენ. ლუჟინი მიხვდა, რომ ახლახან გათვლილი კომბინაციებიდან ერთ-ერთში გაიჭედა, გზა დაკარგა, და სასოწარკვეთილმა თავის დახსნა სცადა, იქნებ სადმე გავაღწიო, თუნდაც უმყოფობაშიო.

— წამოდით, წამოდით! — დაუძახა ვიღაცამ და ჟღარუნით გაუჩინარდა. მარტო დარჩა. თვალებში სულ უფრო უბნელდებოდა,

დარბაზში არსებული ყველა ბუნდოვანი საგანი ქიშს უცხადებდა — მხოლოდ გაქცევა თუ უშველიდა. ადგილიდან დაიძრა, მსუქანი სხეული უცახცახებდა, ვერაფრით მოესაზრებინა, როგორ იქცევიან ხოლმე ოთახიდან გასვლისას. არადა, ხომ არსებობდა რაღაც მარტივი მეთოდი... მოულოდნელად თეთრმკერდიანი შავი ჩრდილი მიეჭრა, თავს დასტრიალებდა და პალტოსა და შლაპას უწვდიდა.

— ეს რა საჭიროა? — ჩაიბურტყუნა მან, თან სახელოებში ხელებს უყრიდა და თავაზიან ჩრდილთან ერთად ტრიალებდა.

— აქეთ, — მკვირცხლად თქვა ლანდმა.

ლუჟინმა ნაბიჯი წინ გადადგა და საშინელი დარბაზიდან გავიდა. კიბის დანახვაზე ზევით დააპირა აცოცება, მაგრამ გადაიფიქრა და ქვემოთ დაეშვა, ვინაიდან დაშვება აბობღებაზე ადვილი იყო. კვამლით სავსე ოთახში მოხვდა, სადაც ხმაურიანი აჩრდილები ისხდნენ. ყოველ კუთხეში შეტევა მზადდებოდა. ლუჟინი მიდიოდა, გზიდან იცილებდა მაგიდებს, ვედროს, საიდანაც ოქროსყელიანი შუშის პაიკი ამოშვერილიყო, დოლს, რომელზეც ზურგამოზნექილი, ფაფრიანი ჭადრაკის ცხენი ურტყამდა. ასე მიაღწია უსიცოცხლო, ნელა მბრუნავ ნათებამდე და შეჩერდა, აღარ იცოდა, საით წასულიყო. ჩრდილები გარს შემოეხვივნენ, მისგან რაღაც სურდათ.

— წადით, წადით, — იმეორებდა გაბრაზებული ხმა.

— საით? — ქვითინით იკითხა ლუჟინმა.

— შინ წადით, — შემპარავად წასჩურჩულა სხვა ხმამ, ვიღაცამ უბიძგა.

— რა მითხარით? — ჩაეკითხა იგი და სლუკუნი შეწყვიტა.

— სახლში, სახლში, — გაიმეორა ხმამ, უსიცოცხლო ნათებამ ლუჟინი გაიტაცა და ცივ ბინდბუნდში გააგდო. ლუჟინი იღიმებოდა.

— სახლში, — თქვა ჩუმად, — აი, სად ყოფილა კომბინაციის გასაღები.

უნდა ეჩქარა. საჭადრაკო ბარდებს კვლავაც ყოველ წუთს შეეძლოთ მისი ალყაში მოქცევა. ჯერჯერობით კი ირგვლივ ამღვრეული მწუხრი იდგა, ჰაერი არ იძროდა. აჩრდილს, გვერდზე

რომ ჩაუქროლა, მიზისკენ[1] მიმავალი გზა ჰკითხა. აჩრდილმა ვერაფერი გაიგო და სვლა განაგრძო.

— ერთი წუთით, — თქვა ლუჟინმა.

მაგრამ უკვე გვიან იყო. მოკლე ხელების ქნევით ნაბიჯს მოუჩქარა. შორიახლოს მკრთალი ცეცხლის ალი გაკრთა და ნაღვლიანი შრიალით ნაპერწკლებად გაიფანტა. ძნელი, ძალზე ძნელი იყო რძესავით ნისლში სახლისკენ გზის გაგნება. ლუჟინი გრძნობდა, რომ მარჯვნივ უნდა გაეხვია. იქ დიდი ტყე უნდა ყოფილიყო, ტყეში კი ადვილად მიაგნებდა ბილიკს. გვერდით კიდევ ერთი ჩრდილი გაიძურწა.

— ტყე სად არის, ტყე? — დაჟინებით ჰკითხა ლუჟინმა, და რადგან არც ამ სიტყვას მოჰყოლია პასუხი, სინონიმის გამოყენება სცადა:

— ნაძვნარი? ვალდი[2]? — ჩაიბურტყუნა მან.

— პარკი? — დაამატა შემწყნარებლურად.

ჩრდილმა მარცხნივ მიუთითა და თვალს მიეფარა. ლუჟინი ზოზინისთვის საკუთარ თავს კიცხავდა, ყოველ წუთს მდევრის გამოჩენას ელოდებოდა. გზა მითითებული მიმართულებით განაგრძო. გუმანმა არ უმტყუნა: მოულოდნელად ხეებს შორის აღმოჩნდა, ფეხქვეშ გვიმრები შრიალებდნენ, სიჩუმე იდგა, სინესტე იგრძნობოდა. მძიმედ დაეშვა, ჩაიცუცქა, ძალიან ქოშინებდა, სახეზე ცრემლი ღვარად ჩამოსდიოდა. ცოტა ხნის შემდეგ წამოდგა, მუხლიდან სველი ფოთოლი მოიცილა, ხეებს შორის წალასლასდა და მალე ნაცნობ ბილიკს მიაგნო.

— გასწი, გასწი, — აგულიანებდა საკუთარ თავს და რბილ მიწაზე მიაბიჯებდა. ნახევარი გზა უკვე გაევლო. ახლა მდინარე და ხეტყის სახერხი ქარხანა გამოჩნდებოდა, იმათ იქით კი, გაშიშვლებული ბუჩქების თავზე — კარ-მიდამო. იქ დაიმალება, საჭმელი დიდ და პატარა შუშის ქილებში იქნება. იდუმალი მდევრები შორს მოიტოვა. ახლა ველარ დაიჭერენ. არა. არა. ნეტავ სუნთქვა გაუადვილდეს და საფეთქლების ტკივილმა, გასაგიჟებელმა ტკივილმა გაუაროს... ბილიკმა ცოტა ხანს ტყეში იბზრიალა და გა-

---

[1] *მიზა — კარ-მიდამო, უპირატესად ბალტიისპირეთში.*

[2] *ვალდი — ტყე (გერმ).*

ნივ გზად გადაიქცა. მოშორებით, სიბნელეში, მდინარის ზედაპირი ბზინავდა. ხიდიც დაინახა, მეორე ნაპირზე კი — ბუნდოვანი დახვავება. წამით იქ, ჩაბნელებულ ცაში, სახლის ნაცნობი სამკუთხა სახურავი და შავი მეხამრიდი მოეჩვენა, მაგრამ სწრაფადვე მიხვდა, რომ ეს საჭადრაკო ღმერთების მიერ ოსტატურად დაგებული მახე იყო, ვინაიდან ხის მოაჯირებზე წვიმისგან დასველებული, აცახცახებული, შიშველი გოლიათი ქალები ამოიზარდნენ, მდინარის ზედაპირზე კი საოცარი ანარეკლი დახტოდა. ნაპირს გაუყვა, ცდილობდა, მეორე ხიდი ეპოვა, ხიდი, სადაც ნახერხი კოჭებამდე სწვდებოდა. დიდხანს ეძებდა და ბოლოს, სულ სხვაგან, პატარა, ვიწრო, მყუდრო ხიდს გადააწყდა. გაიფიქრა, რომ აქ მშვიდად გადასვლას მაინც შეძლებდა. მაგრამ გაღმა ყველაფერი ეუცხოვა, აქა-იქ სინათლე იღვრებოდა, ჩრდილები დაშლიგინობდნენ. იცოდა, რომ სახლი სადღაც ახლოს იყო, ყურის ძირში, მაგრამ უცნობი მხრიდან მოდიოდა და მიგნება ძალიან უჭირდა... ფეხები ქუსლიდან თეძომდე ტყვიასავით დამძიმებოდა ჭადრაკის ფიგურის ძირის მსგავსად. სინათლე თანდათან ილეოდა, აჩრდილებიც გამეჩხერდნენ და მძიმე სიშავის ტალღა ყოველ წუთს თავზე ესხმებოდა. რომელიღაც უკანასკნელ ანაბზინთან ღობესა და მრგვალ ბუჩქებს მოჰკრა თვალი და მოეჩვენა, რომ ეს მეწისქვილის აგარაკი იყო. ხელი ცხაურისკენ გაიწვდინა, მაგრამ გამარჯვებულმა ტკივილმა იძალა, დააწვა და დააწვა ზემოდან თხემზე და იგი თითქოს თანდათან გაბრტყელდა, გაბრტყელდა და ბოლოს უხმაუროდ გაიფანტა.

9

პანელი გასრიალდა, მართი კუთხით აიწია და უკან გადმოქანდა. კაცი მძიმედ სუნთქავდა, წელში გაიმართა. მისი ამხანაგი, რომელიც წონასწორობის დაცვაში ეხმარებოდა და თვითონაც ქანაობდა, იმეორებდა: — გიუნტერ, გიუნტერ, სცადე და გაიარე.

გიუნტერი ბოლომდე გაიმართა და ამ მოკლე, უკვე მერამდენე გაჩერების შემდეგ ორივენი ერთად გაუყვნენ ღამის უკაცრიელ ქუჩას, რომელიც ხან მდორედ მიიწევდა ვარსკვლავებისკენ, ხანაც

ქვემოთ ეშვებოდა. ზორბა და ძლიერ გიუნტერს ამხანაგზე მეტი დაელია, ის კი, სახელად კურტი, თანამგზავრს სიარულში, როგორც შეეძლო, ისე ეხმარებოდა, თუმცა ლუდი მქუხარე დაქტილივით ჩაესმოდა ყურში.

— სად არი... სად არი... — სევდიანად ცდილობდა გიუნტერი შეკითხვის დასმას, — სად არიან სხვები?

არც ისე დიდი ხნის წინ ყველანი, ოცდაათამდე კაცი, მუხის მაგიდის გარშემო ისხდნენ და სკოლის დამთავრების მეხუთე წლისთავს აღნიშნავდნენ, მღეროდნენ, ერთმანეთს ჭიქებს უჭახუნებდნენ. თავდაპირველად ყველა ბედნიერი და ფხიზელი იყო, მთელი წელი შესანიშნავად ემუშავათ, ახლა კი წვეულების დასრულებისთანავე თავ-თავიანთი სახლებისკენ გაემართნენ. და მაშინვე გაჩნდა გულისრევა, სიბნელე და უიმედოდ მერხევი პანელი.

— სხვები იქ არიან, — თქვა კურტმა და ხელით ნახევარწრე მოხაზა.

ამ ჟესტმა უსიამოვნოდ გამოაცოცხლა უახლოესი კედელი: იგი დაიხარა და მერე ნელა გაიმართა.

— დაიშალნენ, წავიდ-წამოვიდნენ, — სევდიანად განუმარტა კურტმა.

— ჩვენ წინ კი კარლია, — ნელა, მკაფიოდ წარმოთქვა გიუნტერმა.

ალკოჰოლით გაჯერებულმა მოქნილმა ქარმა ორივე შეაქანა, ისინი შეჩერდნენ და ნაბიჯით უკან დაიხიეს, მერე კი კვლავ გზა განაგრძეს, — გეუბნები, იქ კარლია-მეთქი, — გაიმეორა ნაწყენმა გიუნტერმა.

და მართლაც, პანელის კიდეზე თავჩაქინდრული კაცი იჯდა. თანამეინახეებმა ნაბიჯი ვერ გათვალეს და ცოტათი გასცდნენ. როდესაც მიახლოება მოახერხეს, კაცმა პირი გააწკლაპუნა და მათკენ ნელა შეტრიალდა. დიახ, ეს კარლი იყო, მაგრამ როგორი კარლი — უმეტყველო სახე, დიდი, არაფრისმთქმელი თვალები.

— მხოლოდ დასასვენებლად ჩამოვჯექი, — უხალისოდ თქვა მან, — ახლავე გავაგრძელებ.

მოულოდნელად უკაცურ ქუჩაზე ნელა გამოიარა ალამაწეულმა ტაქსიმ, — გააჩერეთ, — თქვა კარლმა, — შინ წამიყვანოს.

ავტომობილი მათთან გაჩერდა. გიუნტერი ლამის ზედ დამხობოდა კარლს, ცდილობდა, წამოდგომაში მიხმარებოდა. კურტი ვიღაცის რუხგეტრიან ფეხს ექაჩებოდა. მძღოლი მათ გულთბილი სიტყვებით აგულიანებდა, მერე მანქანიდან გადმოვიდა და მიეხმარა. დუნედ მოფართხალე სხეული კარის ღიობში შეაკვეხეს და ავტომობილი მაშინვე დაიძრა.

— ცოტა დაგვრჩა გასავლელი, — თქვა კურტმა. მათ გვერდით მდგომმა ამოიოხრა. კურტმა შეხედა და აღმოაჩინა, რომ ეს კარლი იყო. მაშასადამე, გიუნტერი გაუშვიათ.

— დაგეხმარები, — თქვა დამნაშავედ, — წავიდეთ.

კარლი უაზროდ იყურებოდა წინ, ამხანაგისკენ გადაიხარა, ორივენი დაიძრნენ და აბობოქრებული ასფალტით მეორე მხარეს გადასვლას შეუდგნენ.

— აი, კიდევ ერთი, — თქვა კურტმა.

პანელზე, ღობის ცხაურთან, მოკუნტული იწვა მსუქანი, უშლაპო კაცი.

— ეს პულვერმახერი იქნება, — ჩაიბურტყუნა კურტმა, — გვარიანად კი შეცვლილა ამ წლების განმავლობაში.

— ეს პულვერმახერი არაა, — მიუგო კარლმა და პანელზე გვერდით მიუჯდა, — პულვერმახერი მელოტია.

— სულერთია, — თქვა კურტმა, — ისიც უნდა წავიყვანოთ.

მათ კაცს მხრებში ხელი ჩაავლეს და წამოყენება სცადეს, მაგრამ წონასწორობა დაკარგეს.

— ცხაური არ დაამტვრიო, — გააფრთხილა კარლმა.

— უნდა წავიყვანოთ, — გაიმეორა კურტმა, — იქნებ პულვერმახერის ძმაა. ისიც იქ იყო.

კაცს, როგორც ჩანს, ეძინა, თანაც ღრმად. შავი პალტო ეცვა, გადანაკეცებზე ხავერდის ზოლები დაუყვებოდა. სრული სახე მსუქანი ნიკაპითა და გამობერილი ქუთუთოებით ქუჩის ფარნის შუქზე ულაპლაპებდა.

— ტაქსის დაველოდოთ, — თქვა კურტმა და კარლს მიჰბაძა, რომელიც პანელის კიდეზე ჩამოჯდა.

— ეს ღამე დამთავრდება, — თავდაჯერებულად თქვა მან, ცას ახედა და დაამატა, — როგორ ტრიალებენ.

— ვარსკვლავებია, — აუხსნა კარლმა და ერთხანს ორივე გაუნძრევლად იყურებოდა ზევით, სადაც საუცხოო ბაცმტრედისფერ უსასრულობაში ვარსკვლავები რკალისებურად მიედინებოდნენ, — პულვერმახერიც იყურება, — დაარღვია დუმილი კურტმა.

— არა, სძინავს, — შეეპასუხა კარლი, როდესაც კაცის მსუქან, უძრავ სახეს დააკვირდა.

— სძინავს, — დაეთანხმა კურტი.

ასფალტზე შუქი გასრიალდა და ისევ ის გულკეთილი ტაქსი, გიუნტერი რომ სადღაც წაიყვანა, რბილად შეჩერდა პანელთან.

— კიდევ ერთი? — გაეცინა მძღოლს, — ერთადაც შეიძლებოდა.

— საით? — ნამძინარევი ხმით ჰკითხა კარლმა კურტს.

— რამე მისამართი ექნება... ჯიბეში, — მიუგო მან. მძინარე კაცის თავზე რწევა-რწევითა და უნებლიე თავის ქნევით დაიხარნენ. პალტო ღილებზე შეკრული არ იყო, რამაც შემდგომი ძიება გააადვილა.

— ხავერდის ჟილეტი, — თქვა კურტმა, — საბრალო, საბრალო...

პირველსავე ჯიბეში ორად გაკეცილ ღია ბარათს მიაგნეს, რომელიც გაეხათ და ერთი ნახევარი მიმღების მისამართით ძირს დავარდა და დაიკარგა. მაგრამ მეორე ნახევარზეც აღმოჩნდა რაღაც მისამართი, გარდიგარდმო დაწერილი და მსხვილად ხაზგასმული. უკანა მხარეზე ერთადერთი სწორი სტრიქონი იყო, მარცხნიდან შუაზე გაწყვეტილი, მაგრამ რომც მოეხერხებინათ მოხეული და დაკარგული ნაწილის მიდება, მაინც ვერაფერს მიხვდებოდნენ.

— გოგრა მათუთი, — წაიკითხა კურტმა „რენიქსის“ სისტემით, რაც ეპატიებოდა. ბარათზე ნაპოვნი მისამართი მძღოლს უკარნახეს, შემდეგ უსიცოცხლო, მძიმე სხეული მანქანაში რის ვაი-ვაგლახით შეიტანეს, რაშიც ისევ მძღოლი დაეხმარათ. ფარნის შუქზე კარზე მოზრდილმა საჭადრაკო კვადრატებმა, ტაქსის საგერბო ფერებმა გაიელვა. როგორც იქნა, გატენილი ავტომობილი ადგილიდან დაიძრა.

გზაში კარლს ჩაეძინა. მისი და უცნობის, ასევე კურტის სხეულები, რომელიც იატაკზე იჯდა, ყოველ მოსახვევში უნებურად ერთმანეთს რბილად ეხებოდა. მალე კურტი საკარძელზე აღმოჩნ-

და, კარლი და უცნობის ტანის უდიდესი ნაწილი კი — ძირს. როდესაც ავტომობილი გაჩერდა და მძღოლმა კარი გამოაღო, თავიდან ვერაფრით გაარჩია, შიგ რამდენი კაცი იჯდა. კარლს მაშინვე გაელვიძა, უშლაპო მამაკაცი კი კვლავაც არ ინძრეოდა.

— საინტერესოა, რას მოუხერხებთ თქვენს მეგობარს, — თქვა მძღოლმა.

— მას, ალბათ, ელიან, — თქვა კურტმა. მძღოლმა ჩათვალა, ჩემი საქმე პირნათლად შევასრულე, საკმარისად ვზიდე ღამით სიმძიმეებიო, ალამი ასწია და მგზავრებს თანხა გამოუცხადა.

— მე გადავიხდი, — თქვა კარლმა.

— არა, მე, — თქვა კურტმა, — პირველმა მე ვიპოვე.

კარლი დაჰყაბულდა. დიდი ძალისხმევის შედეგად დაცლილი ავტომობილი წავიდა. პანელზე სამი კაცი დარჩა. მათგან ერთი იწვა და კეფა ქვის საფეხურზე მიედო. კურტი და კარლი ბარბაც-ბარბაცითა და ხვნეშით შუა ქვაფენილზე დადგნენ, სახლის ერთადერთ განათებულ ფანჯარას მიაშტერდნენ და ხრინწიანად დაიყვირეს. და მაშინვე, მოულოდნელი გულისხმიერებით, ჟალუზი, საიდანაც სინათლე გამოკრთოდა, აცახცახდა და მაღლა აიჭრა. ფანჯრიდან ახალგაზრდა ქალმა გადმოიხედა. კურტმა არ იცოდა, რით დაეწყო, გაიღიმა, ძალა მოიკრიბა და მხნედ და ხმამაღლა თქვა:

— ქალბატონო, პულვერმახერი მოვიყვანეთ.

ქალმა არაფერი უპასუხა, ჟალუზი კი ტკაცუნით დაეშვა ძირს. მაგრამ ჩანდა, რომ ქალი ფანჯარასთან დარჩა.

— ჩვენ ის ქუჩაში ვიპოვეთ, — ყოყმანით მიმართა კარლმა ფანჯარას. ჟალუზი კვლავ ასწიეს.

— ხავერდის ჟილეტი, — თქვა კურტმა, ასე ჩათვალა საჭიროდ.

ფანჯარას მოსცილდნენ, მაგრამ წუთის შემდეგ სადარბაზოს კარს უკან წყვდიადი გაიფანტა და შუშის მილმა განათებული, პირველ უჯრედამდე მარმარილოთი მოპირკეთებული კიბე გამოჩნდა. ამ ახალშობილმა კიბემ ბოლომდე გაქვავება ვერც კი მოასწრო, რომ საფეხურებზე სწრაფად ჩამომავალი ქალის ფეხები გამოჩნდა. საკეტში გასაღები ათამაშდა და კარი გაიღო. პანელზე, საფეხურებისკენ ზურგით, შავებში ჩაცმული მსუქანი მამაკაცი იწვა.

ამასობაში კიბე ახალ ადამიანებს ბადებდა... გამოჩნდა საშინაო ფეხსაცმელებში, შავ შარვალსა და უსაყელო გახამებულ პერანგში გამოწყობილი ვიღაც მამაკაცი, მის უკან კი — ფერმკრთალი, ჯმუხი მოახლე შიშველ ფეხებზე წამოცმული ფლოსტებით. ყველანი ლუჟინის თავზე დაიხარნენ. გალეშილი უცნობები დამნაშავის ღიმილით რაღაცის ახსნას ცდილობდნენ, ერთი მათგანი ღია ბარათის ნახევარს საჯიზიტო ბარათივით თვალწინ უფრიალებდა. ხუთი კაცი კიბეზე ლუჟინის აყვანას შეუდგა. მოულოდნელად შუქი ჩაქრა. მისმა საცოლემ, ხელებით მძიმე, ძვირფასი თავი რომ ეჭირა, „ვაიო“, შესძახა. სიბნელეში ყველა შექანდა. გაისმა ბრახუნი, ფრატუნი, ხვნეშა, ვიღაც წაბორძიკდა და ღმერთი გერმანულად ახსენა. შუქი რომ აინთო, ერთი უცნობი საფეხურზე იჯდა, მეორე ლუჟინს მიეჭყლიტა ტანით, ზემოთ კი, ბაქანზე, დედა იდგა ხასხასა ფერებით მოქარგული კაპოტით, ელვარე თვალები დაეჭყიტა და უსულო სხეულს შეჰყურებდა, რომელსაც ოხვრითა და ბუტბუტით შებიჯგებოდა მისი ქმარი, აგრეთვე დიდი ზომის საშინელ თავს, მისი ქალიშვილის მხარზე რომ ესვენა. ლუჟინი სასტუმრო ოთახში შეიყვანეს. ახალგაზრდა უცნობი მამაკაცები ქუსლს ქუსლზე ურტყამდნენ, ვიღაცების წინაშე საკუთარი თავის წარდგენას ცდილობდნენ, ფაიფურისჭურჭლიან მაგიდებს ეჯახებოდნენ. ყველა ოთახი მოიარეს. როგორც ჩანს, წასვლა სურდათ, მაგრამ წინკარამდე ვერაფრით მიეღწიათ. მათ ხან დივანზე პოულობდნენ, ხან — სააბაზანოში, ხანაც — დერეფანში მდგარ სკივრზე, ვერაფრით მოიცილეს თავიდან. მათი ზუსტი რაოდენობა უცნობი იყო — რაღაც ბუნდოვანი, ცვალებადი რიცხვი. გარკვეული დროის შემდეგ ისინი გაუჩინარდნენ, მოახლემ კი თქვა, რომ მხოლოდ ორი მათგანი გააცილა, დანარჩენები კი, ალბათ, სადმე წვანან, რომ ლოთობა კაცებისთვის დამღუპველია, რომ მისი დის საქმროც ამ დღეშია.

— მომილოცავს, გალეშილა, — თქვა დიასახლისმა, ნახევრად გახდილ, პლედგადაფარებულ, სასტუმრო ოთახის დივანზე მკვდარივით მისვენებულ ლუჟინს რომ დასცქეროდა, — მომილოცავს. უგრძნობლად დამთვრალა. უცნაური იყო: ქალიშვილს მოეწონა ლუჟინის სიმთვრალე, მის მიმართ თბილი გრძნობა აღეძრა. ამ აურზაურში რაღაც ადამიანური, ბუნებრივი დაინახა, — გაბედუ-

ლება, სულის სილაღე. ამ მდგომარეობაში ის ადამიანებიც იყვნენ ხოლმე, რომელთაც იცნობდა, კარგი, მხიარული ადამიანები (გასათვალისწინებელია, მსჯელობდა იგი, რომ ჩვენი მძიმე დროება უბრალო რუს კაცს თავგზას უბნევს და ისიც, რა გასაკვირია, რომ დროდადრო სასმელში პოვებს შვებას...). როდესაც აღმოჩნდა, რომ ლუჟინს ოდნავადაც არ ასდიოდა ღვინის სუნი, თან რაღაც უცნაურად ეძინა — არა ისე, როგორც მთვრალს, ქალიშვილს იმედი გაუცრუვდა და საკუთარ თავზე გაბრაზდა, ლუჟინში თუნდაც ერთი ბუნებრივი მიდრეკილების არსებობა რომ დაუშვა.

სანამ გამთენიისას მოსული ექიმი ლუჟინს სინჯავდა, მასში რაღაც შეიცვალა, თვალი გაახილა და იქიდან ამღვრეული მზერა გამოჩნდა. და მხოლოდ მაშინ გამოერკვა მისი საცოლე იმ სულიერი გარინდებისგან, რომელიც სადარბაზოსთან წამოწოლილი სხეულის დანახვისთანავე დაეუფლა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საღამოდანვე არ ასვენებდა ცუდი წინათგრძნობა, მაგრამ ასეთ საშინელებას ვერაფრით წარმოიდგენდა. როდესაც შებინდებისას ლუჟინი მათთან არ მოვიდა, საჭადრაკო კაფეში დარეკა. უთხრეს, რომ თამაში დიდი ხნის წინ დამთავრებულიყო. მაშინ სასტუმროს დაუკავშირდა, საიდანაც შეატყობინეს, ლუჟინი ჯერ არ დაბრუნებულაო. გარეთაც გავიდა იმის იმედით, რომ დაკეტილ კართან მომლოდინე ლუჟინი დახვდებოდა, მერე კვლავ სასტუმროში დარეკა, მამასაც ეთათბირა, პოლიციისთვის ეცნობებინათ თუ არა.

— სისულელეა, — გადაჭრით თქვა მამამ, — ნაცნობების მეტი რა ეყოლება. კაცი სტუმრად წავიდა.

მაგრამ ქალმა შესანიშნავად იცოდა, რომ ლუჟინს ნაცნობები არ ჰყავდა და მისი არყოფნა ყოველგვარ აზრს მოკლებული იყო.

ახლა კი, როდესაც ლუჟინის დიდ, ფერმკრთალ სახეს უყურებდა, მტანჯველი, ნაზი სიბრალულით აღივსო, და რომ არა ეს სიბრალული, მის სიცოცხლესაც ფასი დაეკარგებოდა. აღარ შეეძლო იმაზე ფიქრი, თუ როგორ ეგდო ქუჩაში ეს უწყინარი ადამიანი, როგორ ჭყლეტდნენ მის რბილ სხეულს მთვრალი კაცები; აღარ შეეძლო იმაზე ფიქრი, რომ ეს იდუმალებით მოცული გულის წასვლა სხვებს ლოთბაზარას ძილი ეგონათ და ელოდნენ, როდის ამოუშვებდა ხვრინვას უმწეოდ დადუმებული ადამიანი. რა

საცოდაობაა, როგორი ტანჯვა. და ეს ძველი, უცნაური ჟილეტი, კაცს რომ აატირებდა, საწყალი კულული, და თეთრი, მოშიშვლებული, ბავშვური ნაოჭებით დაფარული კისერი... ყველაფერი მისი ბრალი იყო, — თვალყური ვერ მიადევნა, ვერ მიხვდა. მუდმივად მის გვერდით უნდა ყოფილიყო, ამდენი თამაშის უფლება არ უნდა მიეცა, — საკვირველია, აქამდე როგორ არ გაიტანა მანქანამ. როგორ ვერ მოისაზრა, რომ, შესაძლოა, საჭადრაკო დაღლილობისგან ძირს დაცემულიყო, ენა ჩავარდნოდა?

— ლუჟინ, — თქვა ღიმილით, თითქოს მძინარე კაცს ამ ღიმილის დანახვა შეეძლო, — ლუჟინ, ყველაფერი კარგადაა. გესმით, ლუჟინ?

ლუჟინის საავადმყოფოში გადაყვანისთანავე ქალი მისი ნივთების წამოსაღებად სასტუმროში წავიდა. თავდაპირველად ნომერში არ შეუშვეს და დიდხანს მოუნდა ყველაფრის ახსნას, მერე სასტუმროს საკმაოდ თავხედ მოსამსახურესთან ერთად სანატორიუმში დარეკა, ნომერში ლუჟინის ცხოვრების ბოლო კვირის საფასური გადაიხადა, ფული დააკლდა და კვლავ მათი დარწმუნება მოუხდა. ამასთან, სულ ეჩვენებოდა, რომ ლუჟინს დასცინოდნენ და ცრემლებს ძლივს იკავებდა. როდესაც სასტუმროს მოახლის უხეშად შემოთავაზებულ დახმარებაზე უარი განაცხადა და ლუჟინის ნივთების შეგროვებას შეუდგა, სიბრალულის გრძნობა უკიდურესად გაუმწვავდა. ნივთებს შორის ისეთებიც იყო, რომლებსაც კაცი, როგორც ჩანს, დიდხანს დაატარებდა აქეთ-იქით, მათ არსებობას ვერც კი ამჩნევდა და არც აგდებდა, — უსარგებლო, მოულოდნელ ნივთებს: ტილოს სარტყელს ასოს ფორმის ლითონის ბალთითა და გვერდითა, ტყავის პატარა ჯიბით; სადაფით გაწყობილ ჯაყვა-ბრელოკს, იტალიური ღია ბარათების შეკვრას — ზედ რომ მუდამ სილაჟვარდე, მადონა და ვეზუვის თავზე იასამნისფერი კვამლი იყო გამოსახული; და, რა თქმა უნდა, პეტერბურგული ნივთები: წითელ და თეთრკოჭებიანი პატარა საანგარიშო, მაგიდის კალენდარი სრულიად არაკალენდარული 1918 წლის ფურცლებით. ეს ყველაფერი რატომღაც კარადაში ეყარა სუფთა, მაგრამ დაჭმუჭნილ პერანგებს შორის, რომელთა ფერადი ზოლები და გახამებული მანჟეტები გარდასულ დღეებზე ჰყვებოდნენ. იქვე აღმოჩნდა

ლონდონში შეძენილი შაპოკლაკი[1], შიგ მოთავსებული ვიღაც ვალენტინოვის საკვიზიტო ბარათით... ტუალეტის ნივთებს ისეთი სახე ჰქონდა, რომ გადაწყვიტა, აღარ წამოეღო და რაღაც უცნაური ნეჭის ნაცვლად რეზინის ღრუბელი ეყიდა. ჭადრაკი, ჩანაწერებითა და დიაგრამებით სავსე მუყაოს კოლოფი და საჭადრაკო ჟურნალების დასტა ცალკე პაკეტად გაამზადა: ისინი ლუჟინს აღარაფერში დასჭირდებოდა. როდესაც ჩემოდანი და პატარა სკივრი გაავსო და დაკეტა, ერთხელ კიდევ მოათვალიერა ყველა კუთხე და საწოლს ქვეშიდან ძველი, დახეული, ზონარდაკარგული ყვითელი ფეხსაცმელები გამოიღო, რომლებსაც ლუჟინი შინ იცვამდა. რა უნდა ექნა — უკანვე შეაწყო.

სასტუმროდან საჭადრაკო კაფეს მიაშურა. გაახსენდა, რომ ლუჟინი ხელჯოხისა და შლაპის გარეშე იყო და იფიქრა, შესაძლოა, იქ დარჩაო. სატურნირო დარბაზში ხალხმრავლობა შეიმჩნეოდა. გარდერობთან მკვირცხლად იხდიდა პალტოს იტალიელი ტურატი. ქალი მიხვდა, რომ სწორედ საჭადრაკო სეანსის დაწყების წინ მოსულიყო და ისეთი პირი უჩანდა, რომ ლუჟინის ავადმყოფობის შესახებ ჯერ არავინ იცოდა. „რაც არის, არის, — გაიფიქრა ერთგვარი ნიშნის მოგებით, — დაე, დაელოდონ“. ხელჯოხი მალე იპოვა, შლაპას კი ვერსად მიაგნო. სიძულვილით შეხედა მაგიდას, სადაც უკვე დაეწყოთ ფიგურები, და მხარბეჭიან ტურატის, ხელებს რომ იფშვნეტდა და ხშირად ისუფთავებდა ხმას, როგორც მომღერალი ბანი სცენაზე გასვლის წინ. ქალი სწრაფად გავიდა კაფედან, კვლავ ტაქსიში ჩაჯდა, სადაც გულის ამაჩუყებლად მწვანედ მოჩანდა ლუჟინის უჯრედებიანი სკივრი, და სანატორიუმისკენ გაეშურა.

როდესაც მათ გუშინდელი ახალგაზრდები ეწვივნენ, შინ ჯერ არ დაბრუნებულიყო. ისინი ღამის ბობოქარი შემოჭრისთვის ბოდიშის მოსახდელად მოსულიყვნენ. შესანიშნავად ჩაცმულები, გამუდმებით ესალმებოდნენ თავის დაკვრითა და ქუსლის ქუსლზე შემორტყმით, კითხულობდნენ, როგორ ბრძანდება ის ბატონი, გუშინ რომ მოვიყვანეთო. დახმარებისთვის მათ მადლობას უხდიდნენ, ზრდილობის გულისთვის მოახსენეს, რომ ბატონმა კარგად

[1] *შაპოკლაკი — მამაკაცის ქუდი, დასაკეცი ცილინდრი.*

გამოიძინა მეგობრული ნადიმის შემდეგ, რომელიც მისი ნიშნობის პატივსაცემად თანამშრომლებმა გაუმართეს. ათიოდე წუთში ახალგაზრდები წამოდგნენ და იქაურობა კმაყოფილი სახით დატოვეს. დაახლოებით იმავე დროს სანატორიუმში დაბნეული, ტანდაბალი კაცი გამოჩნდა ტურნირის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით. ლუჟინთან არ შეუშვეს. მასთან სასაუბროდ გამოსულმა ქალმა მშვიდად, ცივად აუწყა, ლუჟინი გადაიღალა და უცნობია, როდის განაახლებს საჭადრაკო მოღვაწეობასო.

— საშინელებაა, გაუგონარი ამბავია, — რამდენჯერმე შესაბრალისად გაიმეორა პატარა კაცმა, — დაუმთავრებელი პარტია! თანაც როგორი კარგი პარტია! გადაეცით მაესტროს... გადაეცით მაესტროს ჩემი აღელვება, ჩემი სურვილები...

მან ხელი უიმედოდ ჩაიქნია და თავის კანტურით გასასვლელისკენ წაჩანჩალდა.

მალე გაზეთებში გაჩნდა ცნობა, რომ ლუჟინი ნერვული გადაღლილობის გამო ავად გახდა და ბოლო, გადამწყვეტი პარტიის დამთავრება ვეღარ შეძლო, და რომ ტურატის სიტყვებით, შავები უსათუოდ წაგებდნენ ეფ-ოთხი პაიკის სისუსტის გამო. საჭადრაკო კლუბებში ექსპერტები დიდხანს სწავლობდნენ ფიგურების განლაგებას, შესაძლო გაგრძელებებსაც აანალიზებდნენ, აღნიშნავდნენ თეთრების სისუსტეს დე-სამი პუნქტის სახით, თუმცა უდავო მოგებისკენ მიმავალ გზას ვერავინ მიაგნო.

10

ერთ-ერთ უახლოეს საღამოს დიდი ხნის მომწიფებული, დიდხანს მოგუგუნე, ამაო, საშინლად ხმამაღალი, მაგრამ გარდაუვალი საუბარი შედგა, რომელიც დიდხანს ტრიალებდა ჰაერში და, ბოლოს და ბოლოს, დაიქუხა კიდეც. სანატორიუმიდან ახალდაბრუნებული ქალიშვილი ხარბად ჭამდა ფაფას და ლუჟინის გამომჯობინების შესახებ ჰყვებოდა.

— ვიმედოვნებ, — ხმამაღლა დაიწყო დედამ, — ხელი აიღე უგუნურ განზრახვაზე.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— კიდევ, თუ შეიძლება, — სთხოვა ქალიშვილმა და თეფში გაუწოდა.

— გარკვეული დელიკატურობის გამო... — განაგრძობდა დედა, მაგრამ აქ ესტაფეტა მამამ აიტაცა.

— დიახ, — თქვა მან, — დელიკატურობის გამო დედაშენი ამ დღეებში არაფერს გეუბნებოდა, — სანამ შენი ნაცნობის მდგომარეობა არ გაირკვა. მაგრამ ახლა უნდა მოგვისმინო. კარგად იცი, რომ ჩვენი მთავარი სურვილი, საზრუნავი, მიზანი, და საერთოდ... სურვილი — ის არის, რომ კარგად იყო, ბედნიერად და ასე შემდეგ. ამისთვის კი...

— ჩემს ახალგაზრდობაში უბრალოდ ამიკრძალავდნენ, — ჩაურთო დედამ, — და მორჩა.

— არა, არა, აკრძალვა რა მოსატანია. მომისმინე, საყვარელო. თვრამეტი წლის კი აღარ ხარ, ოცდახუთი შეგისრულდა, და საერთოდ, ყველაფერში, რაც მოხდა, რაიმე გატაცებას, პოეზიას ვერ ვხედავ.

— მას, უბრალოდ, მოსწონს ყველაფრის ჯინაზე გაკეთება, — კვლავ შეაწყვეტინა დედამ, — ეს ისეთი დაუსრულებელი კოშმარია...

— გამაგებინეთ მაინც, რაზე საუბრობთ, — თქვა, როგორც იქნა, ქალიშვილმა უნდობლად, იდაყვებით მაგიდას ნაზად დაეყრდნო და მზერას ხან მამას მიაპყრობდა, ხან — დედას.

— იმაზე, რომ დროა, ეს სისულელე თავიდან ამოიგდო! — უყვირა დედამ, — იმაზე, რომ ქორწინება ნახევრად ნორმალურ ღატაკთან ნამდვილი მწვალებლობაა.

— ოჰ, — თქვა ქალიშვილმა, გაშლილი ხელი მაგიდაზე დაუშვა და ზედ თავი დადო.

— აი, რა, — კვლავ ალაპარაკდა მამა, — ჩვენ გთავაზობთ, რომ იტალიის ტბებზე გაემგზავრო. გაემგზავრო იტალიის ტბებზე დედასთან ერთად. ნამდვილი სამოთხეა. მახსოვს, როდესაც პირველად დავინახე იზოლა ბელა[1]...

ქალიშვილს თავშეკავებული სიცილისგან მხრები შეუთამაშდა, შემდეგ თავი ასწია და თვალდახუჭულმა განაგრძო ჩუმად სიცილი.

---

[1] *იზოლა ბელა — ერთ-ერთი კუნძული (სიტყვასიტყვით „ლამაზი კუნძული") ლაგო-მაჯორეს ტბაში შვეიცარიისა და იტალიის საზღვარზე.*

— იქნებ გამაგებინო, რა გსურს, — ჰკითხა დედამ და მაგიდაზე ხელი დაარტყა.

— ჯერ ერთი, არანაირი ყვირილი, — მიუგო ქალიშვილმა, — მეორეც, ლუჟინის სრული გამოჯანმრთელება.

— იზოლა ბელა — შესანიშნავ კუნძულს ნიშნავს, — აჩქარებით თქვა მამამ, თან ცდილობდა, მრავალმნიშვნელოვანი გრიმასით ეჩვენებინა ცოლისთვის, რომ მარტოც დაიყოლიებდა, — ვერც კი წარმოიდგენ... ლაჟვარდოვანი გარემო, სითბო, მაგნოლიები, სტრეზას[1] საუცხოო სასტუმროები, — და, ცხადია, ჩოგბურთი, ცეკვები... განსაკუთრებით დამამახსოვრდა, — რა ჰქვია, — ერთგვარი მანათობელი ბუზებია...

— მერე რა? — მტაცებლური ცნობისმოყვარეობით ჰკითხა ცოლმა.

— მერე, როცა შენი მეგობარი, თუ ფეხებს არ გაფშეკს...

— ეს მასზეა დამოკიდებული, — შეძლებისდაგვარად მშვიდად თქვა ქალიშვილმა, — ამ ადამიანს ღვთის ანაბარა ვერ მივატოვებ. და არც მივატოვებ. მორჩა!

— მაშინ მასთან ერთად საგიჟეთში ყოფნა მოგიწევს... ჰოდა, იცხოვრე, იცხოვრე იქ, შვილო!

— საგიჟეთში თუ სხვაგან... — ღიმილით დაიწყო აცახცახებულმა ქალიშვილმა.

— რატომ არ მოგწონს იტალია? — მხნედ წამოიძახა მამამ.

— სულელო... შენ გამო გავჭაღარავდი! იმ ხეპრე მოჭადრაკეს ცოლად ვერ გაჰყვები!

— თვითონ ხარ ხეპრე. თუ მოვისურვებ, კიდეც გავყვები. გონებაშეზღუდული, ცუდი ქალი ხარ...

— აბა, აბა, გეყოფათ, გეყოფათ, — ბურტყუნებდა მამა.

— პირჯვრის მადლმა, აქ აღარ შემოვუშვებ, — სული ეხუთებოდა დედას.

ქალიშვილი უხმოდ ატირდა, სასადილო ოთახიდან გავიდა, გზად ბუფეტის კუთხეს შეეჯახა და შესაბრალისად წამოიძახა, — „დალახვროს ეშმაკმა!“ განაწყენებული ბუფეტი კი კიდევ დიდხანს წკარუნებდა.

---

[1] *სტრეზა — პატარა ქალაქი იტალიაში, პიემონტის რეგიონში.*

— არ იყო საჭირო ასე, — ჩურჩულით თქვა მამამ.

— გამოექომაგე, გენაცვალე, გამოექომაგე...

— არა, მე ისე. მაგრამ რა იცი, რა ხდება. ადამიანი გადაიღალა, გატყდა, როგორც ამბობენ. იქნებ, — ღმერთმა იცის! — იქნებ მართლაც უკეთესობისკენ შეიცვალოს ასეთი შერყევის შემდეგ... აბა, ერთი წავალ, დავხედავ, რას აკეთებს.

მეორე დღეს იგი დიდხანს ესაუბრებოდა სახელგანთქმულ ფსიქიატრს, რომლის სანატორიუმშიც იწვა ლუჟინი. ფსიქიატრს შავი ასირიული წვერი და წყლიანი, ნაზი, საოცრად მოლივლივე თვალები ჰქონდა. თანამოსაუბრეს რომ მოუსმინა, განაცხადა, რომ ლუჟინს არც ბნედა სჭირდა და არც პროგრესული დამბლა; რომ მისი მდგომარეობა ხანგრძლივი დაძაბულობის შედეგი იყო, და როგორც კი ლუჟინთან ლაპარაკი შესაძლებელი იქნებოდა, მისთვის უნდა შთაეგონებინათ, რომ ჭადრაკისადმი ბრმა ლტოლვა მისთვის დამღუპველი იყო, ამიტომ თავის პროფესიას კარგა ხნით უნდა დამშვიდობებოდა და ნორმალური ცხოვრების წესით ეცხოვრა.

— დაქორწინება თუ შეიძლება ასეთი ადამიანისთვის?

— ცხადია, თუ იმპოტენტი არ არის... — ნაზად გაიღიმა პროფესორმა, — ცოლქმრულმა ცხოვრებამ შეიძლება არგოს კიდეც. ჩვენს პაციენტს მოვლა, ყურადღება, გართობა ესაჭიროება. ეს გონების დროებითი ამღვრევა იყო, რომელიც ახლა თანდათან გადის. რამდენადაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, მალე გონება სრულად გაეხსნება.

ფსიქიატრის სიტყვებმა სახლში პატარა სენსაცია მოახდინა.

— მაშასადამე, ჭადრაკი კაპუტ? — კმაყოფილებით იკითხა დედამ, — და რაღა დარჩება მისგან — მხოლოდ შიშველი სიგიჟე.

— არა, არა, — თქვა მამამ, — სიგიჟეზე არავინ ლაპარაკობს. ადამიანი გამოჯანმრთელდება. არც ისე წვიმს, როგორც ქუხს. ქუხს-მეთქი, — ხომ გაიგონე, საყვარელო?

მაგრამ ქალიშვილს არ გაუღიმია, მხოლოდ ამოიხვნეშა. სიმართლე ითქვას, ძლიერ დაღლილობას გრძნობდა, დღის უმეტეს ნაწილს სანატორიუმში ატარებდა, და ყოველივე ირგვლივ არსებულის გადამეტებული სიქათქათე და ექთანების უხმაურო,

თეთრი მოძრაობა ენით აუწერლად ქანცავდა. ჯერაც ძალზე ფერმიხდილი, წვერმოშვებული, სუფთა პერანგში გამოწყობილი ლუჟინი გაუნძრევლად იწვა. მართალია, იყო წუთები, როდესაც ზეწარქვეშ მუხლს სწევდა ან ხელს ნელა ამოძრავებდა, სახეზე მსუბუქი ჩრდილი გადაურბენდა და გახელილ თვალებში ზოგჯერ გონიერების ნაპერწკალი უღვიოდა, მაგრამ მის შესახებ დაბეჯითებით ჯერ მხოლოდ იმის თქმა შეიძლებოდა, რომ უმოძრაოდ იწვა, — მტანჯველი უძრაობა, გამასავათებელი იმ მზერისთვის, მასში შეგნებულ ცხოვრებაზე მცირე მინიშნებას მაინც რომ ეძებდა. ვერც თვალს მოაცილებდით, ისეთი სურვილი ჩნდებოდა ამ მოყვითალო, ფერმკრთალი შუბლის მიღმა შეღწევისა, რომელიც ხანდახან იდუმალი შინაგანი მოძრაობისგან იჭმუხნებოდა, შესაძლოა, თავის დაღწევასა და ცალკეულ მიწიერ აზრებად შედედებას ცდილობდა. დიახ, იყო მოძრაობა, იყო. ავთვალად ნისლს მოხაზულობა, ხორცის შესხმა სწყუროდა. ერთხელ ამ წყვდიადში რაღაც სარკის ლაქის მსგავსი გამოჩნდა და ამ მკრთალ სხივში ლუჟინს ნაცნობი სახე გამოეცხადა, ბავშვობის დროინდელი კოშმარის ბინადარი შავი, ხუჭუჭი წვერით. სახე დაბინდულ სარკეში დაიხარა, სხივიც მაშინვე გაქრა და კვლავ გამოჩნდა ნისლის წყვდიადი და საშინელება, რომელიც თანდათანობით გაიფანტა. და მრავალი ბნელი საუკუნის — დედამიწისეული ერთი ღამის — გასვლის შემდეგ კვლავ აღმოცენდა შუქი და გასკდა უეცრად რაღაც სხივიერი, წყვდიადი გაიხლიჩა, თვალდათვალ მიილია და დარჩა მხოლოდ ჩრდილის ჩარჩო და მის შუაგულში გამოჭრილი მბრწყინავი ცისფერი ფანჯარა. ამ სილაჟვარდეში წვრილი, ყვითელი ფოთლები ელვარებდნენ, ხალებიან ჩრდილს სტყორცნიდნენ მუქი მწვანე ნაძვის გაფარჩხულ თათებქვეშ მიმალულ თეთრ ტანს; და მაშინვე სიცოცხლით აღივსო ზმანება, ფოთლები აცახცახდნენ, ხალები ტანს ცოცვით აუყვნენ, ალივლივდა მწვანე ლამპა. ლუჟინმა ვეღარ გაუძლო და თვალები მილულა, მაგრამ ნათელი ლივლივი ქუთუთოებქვეშ დარჩა. „იქ, კოროშში, რაღაც დავფალი“, — გაიფიქრა ნეტარებით. ის იყო, უნდა გაეხსენებინა, თუ რა დაფლა, რომ თავს ზემოდან შრიალი და ორი არსების მშვიდი ხმა მოესმა. ყური მიუგდო, ცდილობდა, გაეგო, სად იყო

და რატომ დაადეს შუბლზე რაღაც რბილი და ცივი. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გაახილა თვალი. ჩასუქებულ თეთრ ქალს მის შუბლზე ხელი ედო, იქ კი, ფანჯარაში, ისევ ის ბედნიერი ციალი მოჩანდა. გაიფიქრა, რა ვთქვაო, ქალის მკერდზე მიბნეული პატარა საათი შეამჩნია, ტუჩები მოილოკა და დრო იკითხა. ირგვლივ მაშინვე ყველაფერი ამოძრავდა, ქალები აჩურჩულდნენ და ლუჟინმა გაოცებით აღმოაჩინა, რომ მათი ენაც ესმოდა და თვითონაც შეეძლო ლაპარაკი.

— რომელი საათია? — გაიმეორა მან.

— დილის ცხრა საათია, — თქვა ერთ-ერთმა ქალმა, — თავს როგორ გრძნობთ?

ფანჯარაში, ცოტას თუ წამოიწევდა, ჩრდილის ლაქებით დაფარული ღობე მოჩანდა.

— როგორც ჩანს, სახლისთვის მომიგნია, — ჩაილაპარაკა ფიქრებში წასულმა ლუჟინმა და დაცარიელებული, მსუბუქი თავი ბალიშზე დადო. ცოტა ხანს ჩურჩული და მინის სუსტი წკრიალი ესმოდა... მოეჩვენა, რომ ეს უცნაური მდგომარეობა სიამოვნებდა კიდეც. საოცრად კარგი იყო გაუნძრევლად წოლა. შეუმჩნევლად ჩაეძინა და როცა გაიღვიძა, კვლავ რუსული შემოდგომის ცისფერი ბრწყინვალება დაინახა. მაგრამ რაღაც შეცვლილიყო, მის საწოლთან ვიღაც უცნობი გამოჩნდა. ლუჟინმა თავი მიაბრუნა: მარცხნივ, სკამზე, თეთრებში ჩაცმული, შავწვერა კაცი იჯდა და მოღიმარი თვალებით ყურადღებით შესცქეროდა. ლუჟინმა ერთი პირობა წისქვილთან ნანახ გლეხს მიამსგავსა, მაგრამ როგორც კი კაცმა დაილაპარაკა, მსგავსება მაშინვე გაქრა.

— ქარგია? — მეგობრულად დაინტერესდა იგი.

— ვინ ხართ? — ჰკითხა ლუჟინმა გერმანულად.

— მეგობარი, — მიუგო კაცმა, — ერთგული მეგობარი. თქვენ ავად გახდით, თუმცა ახლა ჯანმრთელად ხართ. ხომ გესმით — სრულიად ჯანმრთელად.

ლუჟინი ამ სიტყვებს ჩაუფიქრდა, მაგრამ კაცმა ფიქრი გააწყვეტინა და ალერსიანად უთხრა:

— წყნარად უნდა იწვეთ. დაისვენეთ. რაც შეიძლება, მეტი იძინეთ.

ასე დაბრუნდა ლუჟინი ხანგრძლივი მოგზაურობიდან, ბარგის დიდი ნაწილი გზაში დაეკარგა და მისი შევსება ეზარებოდა. გამოჯანმრთელების პირველი დღეები წყნარად და მდორედ მიედინებოდა; თეთრხალათიანი ქალები გემრიელ საჭმელს უმზადებდნენ; მოდიოდა მომხიბლავი, წვერმოშვებული კაცი და სასიამოვნო სიტყვებს ეუბნებოდა, მისი აქატის მზერა ტანში სითბოდ ეღვრებოდა. მალე ლუჟინმა შეამჩნია, რომ ოთახში კიდევ იყო ვიღაც — მთრთოლარე და მოუხელთებელი. ერთხელ, როდესაც გაიღვიძა, ეს ვიღაც უხმაუროდ და აჩქარებით გავიდა, თითქოს მის გვერდით ნაცნობი ჩურჩული გაჩნდა და მაშინვე გაქრა. წვეროსანი მეგობარიც გადაუკრავდა ხოლმე სიტყვას რაღაც იდუმალებისა და ბედნიერების შესახებ. იგი მის ირგვლივ ჰაერშიც დაფარფატებდა, ფანჯრიდან დანახული შემოდგომის სიმშვენიერეშიც, კარს უკანაც თრთოდა — იდუმალი, ჯერაც მიუწვდომელი ბედნიერება. თანდათანობით ლუჟინი მიხვდა, რომ სამოთხის სიცარიელე, რომელშიც მისი გამჭვირვალე აზრები დანავარდობდნენ, ყოველი მხრიდან ივსებოდა. მაგრამ გაუმართლა: პირველად სიცოცხლეში ყველაზე ბედნიერი ზმანება ეწვია.

შესანიშნავი მოვლენის მოახლოების შესახებ გაფრთხილებული ლუჟინი სასთუმლის გისოსებიდან თეთრ კარს მისჩერებოდა და მის გაღებასა და წინასწარმეტყველების ახდენას ელოდებოდა. მაგრამ კარი არ იღებოდა. უეცრად გვერდით, მისი მხედველობის არის მიღმა, რაღაც გაფაჩუნდა. დიდი შირმის უკან ვიღაც იდგა და იცინოდა. „მოვდივარ, მოვდივარ, ახლავე", — ჩაიბურტყუნა ლუჟინმა, ფეხები ზეწრიდან გამოყო და თვალებგაფართოებული შეუდგა ფეხსაცმლის ძებნას საწოლთან მდგარი სკამის ქვეშ.

— არსად არ წახვალთ, — წარმოთქვა ხმამ და ვარდისფერმა კაბამ მყისვე შეავსო სიცარიელე.

ცხოვრების, უპირველეს ყოვლისა, ამ მხრიდან გაცისკროვნებამ, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მის დაბრუნებას. ულმობელი გოლიათები, მისი ყოფიერების ღმერთები რაღაც დროის განმავლობაში კვლავაც ჩრდილში რჩებოდნენ. მოხდა ნაზი ოპტიკური ცდომილება: იგი ცხოვრებაში იმ მხრიდან არ დაბრუნებულა, საიდანაც გავიდა და მისი მოგონებების განაწილების სამუშაო საკუ-

თარ თავზე იმ გასაოცარმა ბედნიერებამ აიღო, რომელიც პირველი შეეგება. როდესაც ცხოვრების ეს ნაწილი, ბოლოს და ბოლოს, სრულად აღდგა და მოულოდნელად გრუხუნით ჩამონგრეული კედლიდან ტურატი, უკანასკნელი და იქამდე ჩატარებული ყველა ტურნირი გამოჩნდა, სწორედ იმავე ბედნიერებამ მოახერხა ტურატის გავიუტებული სახის მოცილება და ამოძრავებული ჭადრაკის ფიგურების ყუთში ჩაბრუნება. როგორც კი ისინი კვლავ გამოცოცხლდებოდნენ ხოლმე, მაშინვე მჭიდროდ ახურავდნენ თავს, — და ბრძოლა მალევე მთავრდებოდა. ექიმი ეხმარებოდა, მისი თვალები ძვირფასი ქვებივით ლივლივებდნენ და დნებოდნენ, იგი ამბობდა, რომ ირგვლივ თავისუფალი და ნათელი სამყაროა, რომ ჭადრაკის თამაში ცივი გასართობია, რომელიც აზრს ახმობს და რყვნის, რომ მგზნებარე მოჭადრაკე ისეთივე ახირებულია, როგორიც პერპეტუუმ მობილეს შექმნაზე მომუშავე შეშლილი ან ოკეანის დაცარიელებულ ნაპირზე კენჭების მთვლელი.

— აღარ მეყვარებით, — ამბობდა საცოლე, — თუ ჭადრაკის გახსენებას ეცდებით, — მე კი ყოველ აზრს ვხედავ, ასე რომ, გამაგრდით.

— საშინელება, ტანჯვა, გულგატეხილობა, — წყნარად ამბობდა ექიმი, — აი, რას იწვევს ეს მომქანცველი თამაში.

და იგი უმტკიცებდა ლუჟინს, რომ ეს ლუჟინმაც კარგად იცოდა, რომ ლუჟინს არ შეეძლო ჭადრაკზე ზიზღის გარეშე ფიქრიც კი, და ლუჟინი, რაღაც ჯადოსნობით, დნებოდა, ლივლივებდა და ნეტარებით მშვიდდებოდა, მის მოსაზრებებს ეთანხმებოდა. სანატორიუმის უზარმაზარ, სურნელოვან ბაღში ლუჟინი რბილი ტყავის ახალთახალი საღამოს ფეხსაცმელებით დასეირნობდა და ქებით მოიხსენიებდა გეორგინებს. საცოლე გვერდით მიჰყვებოდა და რატომღაც ბავშვობაში წაკითხულ წიგნზე ფიქრობდა, რომელშიც ყველა უსიამოვნება ერთი გიმნაზიელის ცხოვრებისა, მის მიერვე გადარჩენილ ძაღლთან ერთად სახლიდან რომ გაიქცა, ავტორისთვის მოსახერხებელი ციებ-ცხელებით (არა ტიფით ან ქუნთრუშით, არამედ ჩვეულებრივი ციებ-ცხელებით) მთავრდებოდა, და აქამდე ათვალწუნებული ახალგაზრდა დედინაცვალი ისე უვლიდა მას, რომ მოულოდნელად ლუჟინმა იგი დააფასა და დედასაც კი

ეძახდა, და ლოყაზე თბილი ცრემლი მოგორავდა, და ყველაფერი ძალიან კარგად იყო.

— ლუჟინი ჯანმრთელია, — თქვა მან, თან ღიმილით შესცქეროდა მის მძიმე პროფილს (დაჯირჯვებული ნაპოლეონის პროფილს), ყვავილზე სახიფათოდ დახრილს, რომელსაც, ვინ იცის, შეეძლო ეკბინა კიდეც.

— ლუჟინი ჯანმრთელადაა. ლუჟინი სეირნობს. ლუჟინი ძალზე საყვარელია.

— სუნი არა აქვს, — ბოხი ხმით ჩაილაპარაკა ლუჟინმა.

— არც უნდა ჰქონდეს, — მიუგო ქალმა და ხელკავი გამოსდო, — გეორგინებს არ აქვთ სუნი. აი, ეს თეთრი ბატონი — თამბაქოა. ღამით ძლიერ სურნელებას აფრქვევს. როცა პატარა ვიყავი, შუაგულიდან ყოველთვის წვენს ვწუწნიდი. ახლა უკვე უგემურია.

— ჩვენს ბაღში... — დაიწყო ლუჟინმა, შემდეგ ჩაფიქრდა და თვალმოჭუტულმა ყვავილნარს გახედა, — ეს ყვავილებიც ხარობდა, — განაგრძო მან, — თვალწარმტაცი ბაღი გვქონდა.

— არ მიყვარს ასტრები, — აუხსნა ქალმა, — სინაზე აკლიათ. ჩვენს ბაღში კი...

ბავშვობას ხშირად იხსენებდნენ. საუბარში პროფესორიც მონაწილეობდა, იგი ლუჟინს ეკითხებოდა:

— მამათქვენს ადგილ-მამული ჰქონდა, ასეა, არა?

ლუჟინი თავს უქნევდა.

— მამული, სოფელი — ეს შესანიშნავია, — განაგრძობდა პროფესორი, — თქვენ, ალბათ, ცხენები და ძროხებიც გყავდათ, ხომ?

თავის დაქნევა.

— აბა, თქვენს სახლს თუ წარმოვიდგენ... ირგვლივ ასწლოვანი ხეები... დიდი, ნათელი სახლი. მამათქვენი ნადირობიდან ბრუნდება...

ლუჟინს გაახსენდა, თუ როგორ მოიტანა ერთხელ მამამ მსუქანი, შეუხედავი, არხში ნაპოვნი ბარტყი.

— დიახ, — ყოყმანით დაეთანხმა ლუჟინი.

— რაიმე წვრილმანი, — რბილად სთხოვა პროფესორმა, — თუ შეიძლება. გთხოვთ. მაინტერესებს, ბავშვობაში რას აკეთებდით, როგორ ერთობოდით. თქვენ, ალბათ, ჯარისკაცები გყავდათ...

მაგრამ ეს საუბრები ლუჟინს იშვიათად თუ გამოაცოცხლებდა. სამაგიეროდ, ამგვარი შეკითხვებით გამუდმებით წაქეზებული გონება კვლავ და კვლავ უბრუნდებოდა ბავშვობას. შეუძლებელი იყო სიტყვებით იმის გადმოცემა, რასაც იხსენებდა, — მისი ბავშვური შთაბეჭდილებების აღსაწერად სიტყვები უბრალოდ, არ არსებობდა, — და თუ რაიმეს ჰყვებოდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად და უხალისოდ, — სწრაფად მოხაზავდა კონტურებს, რთულ, შესაძლებლობებით მდიდარ სვლას ასოთი და ციფრით მონიშნავდა. სკოლამდელი, ჭადრაკამდელი ბავშვობა, რომელზეც უწინ არასდროს ფიქრობდა და ძრწოლით იშორებდა თავიდან, რათა მასში დამამცირებელ წყენასა და მიძინებულ საშინელებებს არ გადაჰყროდა, ახლა საოცრად უხიფათო ადგილად ეჩვენებოდა, სადაც სასიამოვნო, სასიხარულო განცდებით აღსავსე ექსკურსიების მოწყობა შეეძლო. ლუჟინი ვერ მიმხვდარიყო, რატომ ღელავდა, — მას ხომ ყოველთვის აღიზიანებდა მსუქანი ფრანგი გუვერნანტი, ქვედაწელის გვერდზე სამი ძვლის ღილით, რომლებიც ამ ვეება სხეულის სავარძელში ჩაჯდომისას ერთმანეთს უახლოვდებოდნენ, ახლა კი მისი სახის წარმოდგენისას გული სინაზით ევსებოდა. აგონდებოდა, რომ პეტერბურგის სახლში ეს ასთმიანი გათქვირულობა კიბეს ძველმოდურ, წყალზე მომუშავე ლიფტს ამჯობინებდა, რომელსაც შვეიცარი ვესტიბიულის კედელზე დამაგრებული ბერკეტით ამუშავებდა.

— აბა, გზას გავუდგეთ, — მუდამ ამას ამბობდა შვეიცარი, ორ ნახევარკარს მიხურავდა და მძიმე, მქშინავი ლიფტი ნელა, ცოცვით მიუყვებოდა ზევით ხავერდის მსხვილ ზონარს, ლიფტის გვერდით კი, საღებავაქერცლილ კედელზე, შუშის მილმა რომ ჩანდა, ნელა ეშვებოდნენ მუქი გეოგრაფიული ლაქები, ნესტისა და სიბერის ის ლაქები, რომელთა შორისაც, ისევე, როგორც ციურ ღრუბლებში, შავი ზღვისა და ავსტრალიის მოხაზულობისთვის მოდა მბრძანებლობს. ზოგჯერ პატარა ლუჟინი საწოლიდან მასთან ერთად დგებოდა, მაგრამ უფრო ხშირად რჩებოდა და უსმენდა, როგორ გაჭირვებით ადიოდა ლიფტი კედელს მილმა. იგი, პატარა ლუჟინი, არასდროს კარგავდა იმის იმედს, რომ ლიფტი შუა გზაზე გაჩერდებოდა. ხშირად ასეც ხდებოდა. ხმაური წყდე-

ბოდა და უცნობი, კედელთშორისი სივრციდან კვილით ითხოვდნენ შველას. ქვემოთ შვეიცარი ხვნეშით ამოძრავებდა ბერკეტს, სიშავეში გამავალ კარს აღებდა, ზემოთ იყურებოდა და საქმიანად კითხულობდა: — წავედით?

ბოლოს რაღაც შეინძრეოდა, ამოძრავდებოდა და მალე ლიფტიც ეშვებოდა — უკვე ცარიელი. ცარიელი. ღმერთმა იცის, რა დაემართა მას, — შესაძლოა, უკვე ზეცას მიაღწია და იქ დარჩა თავისი ასთმით, ძირტკბილას კანფეტებითა და შავთასმიანი პენსნეთი. მოგონება ცარიელი დაბრუნდა და ლუჟინი დაინტერესდა, იქნებ სიცოცხლეში პირველადაც, თუ სად ქრებოდა ეს ყველაფერი, რა დაემართა მის ბავშვობას, საით გაფრინდა ვერანდა, სად გაუჩინარდნენ ბუჩქებში შრიალ-შრიალით ნაცნობი ბილიკები?

რაღაც შინაგანი ძალა ამ ბილიკებს სანატორიუმის ბაღში აძებნინებდა, მაგრამ ყვავილნარებს განსხვავებული იერი ჰქონდა, არყის ხეებიც სხვაგვარად განლაგებულიყო. მათ წითურ ფოთლებს შორის დარჩენილი, შემოდგომის სილურჯით სავსე ღრეჩოები ოდნავაც არ შეესაბამებოდა იმ ღირსსახსოვარი არყის ხეების ჭუჭრუტანების სურათს, რომელზეც ლაჟვარდის ამ ამოჭრილ ნაწილებს ხან ასე დააწყობდა ხოლმე, ხან — ისე. ის შორეული სამყარო თითქოს განუმეორებელი იყო, მასში აღმა-დაღმა დადიოდნენ მისი მშობლების უკვე სავსებით ასატანი, მანძილის მარმაშით შერბილებული სახეები, მოსამართი მატარებელი ფირფიცრის მსგავსად შეღებილი თუნუქის ვაგონით ზუზუნით მოძვრებოდა საკარძლის არშიებქვეშ და, ღმერთმა უწყის, რას ფიქრობდა ამ დროს თოჯინა-მემანქანე, ზედმეტად დიდი ორთქლმავლისთვის, და ამიტომ ტენდერში[1] მოთავსებული.

ასეთი იყო ბავშვობა, რომელსაც ლუჟინი ხშირად სტუმრობდა ფიქრებში. ამას სხვა ხანა მოჰყვებოდა, ხანგრძლივი საჭადრაკო ხანა, ექიმისა და საცოლის თქმით, — დაკარგული წლები, სულიერი სიბრმავის ბნელი ხანა, სახიფათო გზააბნეულობა, — დაკარგული, დაკარგული წლები. მათი მოგონება არ ღირდა. იქ

[1]*ტენდერი — ორთქლმავლის მისაბმელი ნაწილი, რომელშიც სათბობისა და წყლის საჭირო მარაგი თავსდება.*

ბოროტი სულივით მიმალულიყო საზარელსახიანი ვალენტინოვი. კარგი, შევთანხმდეთ, საკმარისია, — დაკარგული წლები — ძირს ისინი — დავიწყებულია — ამოშლილია ცხოვრებიდან. და ამგვარი გამორიცხვით ბავშვობის შუქი უშუალოდ უერთდებოდა ახლანდელს და მისი საცოლის სახეს იღებდა. იგი გამოხატავდა ყოველივე ალერსიანსა და მომაჯადოებელს, რისი აღებაც შეიძლებოდა ბავშვობის მოგონებებიდან, — თითქოს მამულის ბაღის ბილიკებზე მიმოფანტული შუქის ლაქები მთლიან, თბილ ნათებად შერწყმოდნენ ერთმანეთს.

— გიხარია? — უხალისოდ ჰკითხა შვილს დედამ მისი გამოცოცხლებული სახის დანახვაზე, — ქორწილს მალე გადავიხდით?

— მალე, — მიუგო მან და მრგვალი, ნაცრისფერი შლაპა დივანზე დააგდო, — ყოველ შემთხვევაში, სანატორიუმს ის დღე-დღეზე დატოვებს.

— მაგრად კი მოხვდება მამაშენის ჯიბეს — ათას მარკამდე.

— ყველა წიგნის მაღაზია შემოვიარე, — ამოიოხრა შვილმა, — მან გადაჭრით მოითხოვა ჟიულ ვერნი და შერლოკ ჰოლმსი. აღმოჩნდა, რომ ტოლსტოი არასდროს წაუკითხავს.

— რა თქმა უნდა, ტეტიაა, — ჩაიბურტყუნა დედამ, — ყოველთვის ამას ვამბობდი.

— მომისმინე, დედა, — თქვა შვილმა. თან ხელთათმანს მსუბუქად არტყამდა წიგნების შეკვრას, — მოდი, შევთანხმდეთ. დღეიდან არავითარი ასეთი „საყვარელი“ შენიშვნა. ეს სისულელეა, დამამცირებელია შენთვის და, რაც მთავარია, არაფრადაა საჭირო.

— არ გაჰყვე ცოლად, — თქვა სახეშეცვლილმა დედამ, — არ გაჰყვე. გეხვეწები. თუ გინდა, დაგიჩოქებს...

იგი ერთი ხელით სავარძელს დაეყრდნო და გაჭირვებით დაიწყო მუხლის მოხრა და თავისი დიდი, სახსრებში ოდნავ მოტკაცუნე სხეულის ძირს დაშვება.

— იატაკს გახვრეტ, — უთხრა შვილმა, წიგნებს ხელი დაავლო და ოთახიდან გავიდა.

ფიგის მოგზაურობა და ჰოლმსის მემუარები ლუჟინმა ორ დღეში წაიკითხა, წაკითხვის მერე კი თქვა, — ის არ იყო, რაც მინდოდა, თითქოს არასრული გამოცემაა. სხვა წიგნებიდან „ანა

კარენინა“[1] მოეწონა — განსაკუთრებით საერობო არჩევნები და ობლონსკის მიერ შეკვეთილი სადილი. გარკვეული შთაბეჭდილება „მკვდარმა სულებმაც“[2] მოახდინა, ამასთან, ერთგან მოულოდნელად მთელი ფრაგმენტი იცნო, რომელსაც ერთხელ, ბავშვობაში, კარნახის დროს დიდხანს და ტანჯვით წერდა. გარდა ეგრეთ წოდებული კლასიკოსებისა, საცოლემ მას „მსუბუქი ყოფაქცევის“ ნაირგვარი შემთხვევითი წიგნიც მოუტანა — გალელი ნოველისტების ნაშრომები. ყველაფერი კარგი იყო, რასაც ლუჟინის გახალისება შეეძლო — ეს საეჭვო ნოველებიც კი, რომლებმაც იგი ცოტათი კი შეაცბუნა, მაგრამ დაინტერესა კიდეც. სამაგიეროდ, ლექსები (მაგალითად, რილკეს ერთტომეული, რომელიც ქალმა გამყიდველის რჩევით შეიძინა) მასში გაოგნებასა და სევდას იწვევდა. აქედან გამომდინარე, პროფესორმა მკაცრად გააფრთხილა, ლუჟინს დოსტოევსკი არ წააკითხოთო, რომელიც, მისივე სიტყვებით, თანამედროვე ადამიანის ფსიქიკაზე ისევე დამთრგუნველად მოქმედებდა, როგორც საშინელი სარკე...

— ოჰ, ბატონი ლუჟინი წიგნს არ უღრმავდება, — მხიარულად თქვა ქალიშვილმა, — ლექსები კი, რითმის გამო, ცუდად ესმის, რითმა მისთვის ნამდვილი სატანჯველია.

უცნაური იყო: მიუხედავად იმისა, რომ ლუჟინს ცხოვრებაში მასზე ნაკლები წიგნი წაეკითხა, გიმნაზია არ დაუმთავრებია, ჭადრაკის გარდა არაფერი აინტერესებდა, — ქალი მასში განათლებულობის ნიშანს ხედავდა, რაც თვითონ არ გააჩნდა. ზოგიერთი წიგნის სათაურსა და მთავარი გმირების სახელებს ლუჟინი რატომღაც შინაურულად აღიქვამდა, თუმცა არასოდეს წაეკითხა. ტლანქად მეტყველებდა, საშინელ, უაზრო სიტყვებს იყენებდა, — მაგრამ ზოგჯერ მასში იდუმალი ინტონაცია შეირხეოდა, რომელიც რაღაც სხვა, ცოცხალ, დახვეწილი აზრით გაჯერებულ სიტყვებზე მიანიშნებდა, გამოთქმა რომ არ შეეძლო. უმეცრებისა და სიტყვების სიმწირის მიუხედავად, ლუჟინში ოდესღაც გაგონილი ხმების ლანდი, ძლივს შესამჩნევი ვიბრაცია იმალებოდა.

---

[1] *„ანა კარენინა“ — რუსი მწერლის, ლევ ტოლსტოის (1828-1910) რომანი.*

[2] *„მკვდარი სულები“ — რუსი მწერლის, ნიკოლაი გოგოლის (1809-1852) პოემა.*

დედა მისი უკულტურობისა და სხვა მრავალი ნაკლის შესახებ კრინტს აღარ სძრავდა იმ დღის შემდეგ, როცა მუხლმოყრილი მარტო დარჩა და საკარძლის სახელურზე ლოყით მიყრდნობილმა ტირილით გული იჯერა.

— ყველაფერს გაუგებდი, — უთხრა მაშინ ქმარს, — ყველაფერს გაუგებდი და ვაპატიებდი, მართლაც რომ უყვარდეს ის კაცი. მაგრამ საშინელება ისაა, რომ...

— არა, ეს ასე არაა, — გააწყვეტინა ქმარმა, — თავიდან მეც მეჩვენებოდა, რომ უბრალოდ გატაცებული იყო, მაგრამ ლუჟინის ავადმყოფობისადმი მისმა დამოკიდებულებამ საწინააღმდეგოში დამარწმუნა. ცხადია, ამგვარი კავშირი სახიფათოა და უკეთესი არჩევანის გაკეთებაც შეეძლო... თუმცა იგი ძველ აზნაურთა შთამომავალია, ეგ არის, რომ ვიწრო პროფესიამ გარკვეული დაღი დაამჩნია. ირინა გაიხსენე, მსახიობი რომ გახდა. გაიხსენე, რას ჰგავდა, ჩვენთან რომ ჩამოვიდა. და მაინც, ამ ნაკლის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ კარგი ადამიანია. აი, ნახავ, ახლა რამე სასარგებლო საქმით დაკავდება. შენი არ ვიცი, მე კი ველარც ვბედავ, რომ გადავაფიქრებინო. თუ ჩემი აზრი გაინტერესებს, გული უნდა გავიმაგროთ და გარდაუვალს შევეგუოთ.

წელგამართული დიდხანს და მხნედ ლაპარაკობდა, თან პორტსიგარის თავსახურავს აკაკუნებდა.

— მე მხოლოდ ერთ რამეს ვგრძნობ, — იმეორებდა ცოლი, — ჩვენს ქალიშვილს ის არ უყვარს.

11

განახლების პროცესში მყოფი ლუჟინი ტრიუმოსთან გვერდულად იდგა, დაუმთავრებელი, ცალსახელოიანი პიჯაკი ეცვა, მელოტი თერძი ხან ცარცს უსვამდა მხრებსა და ზურგზე, ხან ქინძისთავებს ურჭობდა, რომელთაც გასაოცარი სიმარჯვით იღებდა პირიდან, სადაც, ისინი, როგორც ჩანს, ბუნებრივად იზრდებოდნენ. ალბომში აკურატულად, ტონების მიხედვით მოთავსებული ქსოვილების ნიმუშებიდან ლუჟინმა მუქი ნაცრისფერი კვადრატი

აირჩია. საცოლე დიდხანს სინჯავდა შესაბამის ქსოვილს, დახლზე დაგდებისას ყრუ ხმა რომ გამოსცა, მერე კი მკერავმა ელვისებური სისწრაფით გაშალა და მკერდზე ისე მიიკრა, თითქოს სიშიშვლეს იფარავსო. ქალმა შეამჩნია, რომ ნაჭერი ადვილად იჭმუჭნებოდა. მაშინვე მჭიდროდ დახვეული ქსოვილების ზვავი წამოვიდა და დახლი გაავსო, მკერავი კი თითს ქვედა ტუჩზე ისველებდა და მათ ერთიმეორის მიყოლებით შლიდა. საბოლოოდ კვლავ მუქი ნაცრისფერი ქსოვილი შეარჩიეს, ოღონდ უფრო მოქნილი და ნაზი, ოდნავ ხაოიანი, და ახლა ტრიუმოში ნაწილნაწილ, ჭრილების მიხედვით, თითქოს თვალსაჩინო შესწავლისთვის დანაწევრებული ლუჟინი (აი, სუფთად გაპარსული, სრული სახე, აი, იგივე სახე პროფილში, ესეც თვით სუბიექტის მიერ იშვიათად დანახული კეფა, მოკლედ შეკრეჭილი თმით, კისერზე ნაკეცებითა და ოდნავ გაფარჩხული, შუქზე ვარდისფრად გამსჭვალული ყურებით...) საკუთარ თავსაც შესცქეროდა, ქსოვილსაც და მასში თავდაპირველ სიგლუვესა და ყამირის სიუხვეს ველარ ცნობდა.

— ვფიქრობ, წინიდან ცოტათი უნდა დავიწროვდეს, — თქვა საცოლემ.

მკერავმა ნაბიჯი უკან გადადგა, ლუჟინის ფიგურას თვალმოჭუტულმა შეხედა, თავაზიანად გაიღიმა, ჩაიკრუტუნა, — ბატონი წელში ოდნავ სრულიაო. მერე ახალგაჩენილ გადანაკეცებს მოსდგა, რაღაც დაავიწროვა, რაღაც ქინძისთავით დაამაგრა, ამასობაში კი ლუჟინი მის მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისთვის დამახასიათებელი ჟესტით ხელს ხან განზე სწევდა, ხან იდაყვში ხრიდა, ხანაც ზედ დაიხედავდა და სახელოსთან შეგუებას ცდილობდა. გზად მკერავმა გულთან ცარცი წაუსვა ჯიბის მოსანიშნავად, შემდეგ კი შეუბრალებლად ჩამოხია თითქოს უკვე გამზადებული სახელო და მარჯვედ შეუდგა ლუჟინის მუცლიდან ქინძისთავების ამოძრობას.

კარგი კოსტიუმის გარდა, ლუჟინს ფრაკიც შეუკერეს; სკივრის ძირში ნაპოვნი ძველმოდური სმოკინგი იმავე მკერავმა განუახლა. საჭადრაკო მოგონებების გამოცოცხლების შიშით საცოლეს ვერ გაებედა ეკითხა, თუ რისთვის სჭირდებოდა ლუჟინს უწინ სმო-

კინგი და შაპოკლაკი, ამიტომ ვერასდროს შეიტყო ბირმინგემში გამართული დიდი სადილის შესახებ, რომელზეც, სხვათა შორის, ვალენტინოვმა... ჰოდა, კარგად იყოს, ღმერთმა ხელი მოუმართოს.

ლუჟინის გარსის განახლება ამით არ ამოწურულა. გაჩნდა ჰერანგები, ჰალსტუხები, წინდები — ამ ყველაფერს ლუჟინი უდარდელი ინტერესით იღებდა. სანატორიუმიდან საცოლის სახლის მეორე სართულზე ნაქირავებ მომცრო, მხიარულშპალერიან ოთახში გადავიდა და გადასვლისას ზუსტად ისეთი შეგრძნება ჰქონდა, როგორიც ბავშვობაში სოფლიდან ქალაქში დაბრუნებისას. ქალაქური ახალმოსახლეობა ყოველთვის უცნაურია. დასაძინებლად დაწვები და ყოველივე ახალია: სიბნელეში ღამის ტორსფენილებს რამდენიმე წამით ერთმანეთზე ჩანჩალ-ჩანჩალით მიყოლებული ჭახაჭუხი აფხიზლებს, ფუშფუშა ფარდები ფანჯრებს უფრო მჭიდროდ ფარავს, ვიდრე სოფლის სახლში; ბოლომდე მიხურული კარიდან გამოსული სინათლის სუსტი სხივით შემსუბუქებულ წყვდიადში საგნები რაღაცის მოლოდინში გაშეშებულან, ხანგრძლივი საზაფხულო შესვენების შემდეგ ჯერ კიდევ ბოლომდე დაუმთბარი, ბოლომდე აღუდგენელი ნაცნობობა. გაიღვიძებ და — ფანჯრებს მიღმა ნაცრისფერი შუქი ფხიზლობს, თეთრად ამღვრეულ ცაში მთვარის მსგავსი მზე მისრიალებს, და მოულოდნელად შორიახლოს — სამხედრო მუსიკის მოზღვავება: ნარინჯისფერ ტალღებად მოახლოებულს დოლის აჩქარებული რაკარუკი წყვეტს და მალე სულ ჩუმდება, და ლოყებდაბერილი სასულე ინსტრუმენტების ხმების ნაცვლად კვლავ ჩლიქების აღუშფოთებელი კაკუნი, პეტერბურგული დღის მსუბუქი ზრიალი.

— დერეფანში შუქის ჩაქრობა გავიწყდებათ, — ღიმილით უთხრა ხანში შესულმა გერმანელმა ქალმა, რომელმაც ოთახი მიაქირავა, — ღამით თქვენი ოთახის კარის დაკეტვაც გავიწყდებათ.

ლუჟინის ცოლთან კი დაიჩივლა, მოხუცი პროფესორივით დაბნეულიაო.

— თავს მყუდროდ გრძნობთ, ლუჟინ? — ეკითხებოდა საცოლე, — კარგად გძინავთ, ლუჟინ? არა, ვიცი, რომ სიმყუდროვე გაკლიათ, მაგრამ მალე ხომ ყველაფერი შეიცვლება.

— აღარ გადავდოთ, — ბურტყუნებდა ლუჟინი, რომელიც ქალს მოხვეოდა და თითები მის წელზე გადაეჭდო, — დაჯექით, დაჯექით, აღარ გადავდოთ. მოდით, ხვალვე გავაფორმოთ. ხვალვე. ყველაზე კანონიერი ქორწინება.

— დიახ, მალე, მალე, — პასუხობდა ქალი, — მაგრამ ხომ არ შეიძლება ერთ დღეში. არსებობს კიდევ ერთი დაწესებულება. იქ მე და თქვენ კედელზე ორი კვირის განმავლობაში ვიქნებით ჩამოკიდებულნი, ამასობაში კი თქვენი ცოლი პალერმოდან ჩამოვა, დახედავს სახელებს და იტყვის: არ შეიძლება, ლუჟინი — ჩემია.

— დამეკარგა, — უპასუხა დედამ, როდესაც შვილმა თავისი დაბადების მოწმობა მოსთხოვა, — სადღაც შევჩურთე და დამეკარგა. არ ვიცი, არაფერი ვიცი.

მაგრამ ქალალდს მალე მიაგნეს. უკვე გვიან იყო გაფრთხილება, აკრძალვა, დაბრკოლებების მოფიქრება. საბედისწერო შეუფერხებლობით ახლოვდებოდა ქორწილი, რომლის შეჩერებაც შეუძლებელი იყო, თითქოს ყინულზე დგახარ, მოლიპულია, ვერაფერს დაეყრდნობი. იძულებული შეიქნა, ბედს შერიგებოდა და იმაზე ეფიქრა, თუ როგორ გაელამაზებინა და წარედგინა ქალიშვილის საქმრო, რათა ხალხის წინაშე სირცხვილი არ ეჭამა; როგორ მოეკრიბა ძალა, რათა ქორწილის დღეს სახიდან ღიმილი არ ჩამოსვლოდა, კმაყოფილი დედის როლი ეთამაშა, ლუჟინის პატიოსნება და გულკეთილობა შეექო. იმაზეც ფიქრობდა, რამდენი ფული დაახარჯეს ლუჟინს და კიდევ რამდენი უნდა დაეხარჯათ, და გონებიდან საშინელი სურათის განდევნას ცდილობდა: დეზაბილიეში[1] გამოწყობილი ლუჟინი, რომელიც მაკაკასებრი გატაცებით წერს, და მისი ქალიშვილი — ჯიუტად მორჩილი და საშინლად ცივი. ამასობაში მათი სურათის ჩარჩოც დააშზადეს. იქვე, ახლოში, არც ისე ძვირი, კარგად მოწყობილი ბინა იქირავეს. მართალია, მეხუთე სართულზე, მაგრამ რა გაეწყობოდა, ლუჟინის ქოშინს ლიფტი დაეხმარებოდა, არც კიბე იყო სახიფათო — ყოველ უჯრედში, მოხატული ფანჯრის ქვეშ, პატარა სკამი იდგა. ფართო წინკარიდან, შავ ჩარჩოებში ჩასმული სილუეტური ნახატებით იყო პირობითად

---

[1] *დეზაბილიე — დილის საშინაო ტანსაცმელი, რომელიც უცხოთა თანდასწრებით არ აცვიათ.*

გამოცოცხლებული, მარცხენა კარით საძინებელში შეიძლებოდა მოხვედრა, მარჯვენით კი — კაბინეტში. შემდეგ, წინკარის მარჯვენა მხარესვე, ერთი კარი სასტუმრო ოთახს ეკუთვნოდა; მისი მოსაზღვრე სასადილო ოთახი, ოდნავ უფრო გრძელი იყო წინკარის ხარჯზე, რომელიც ამ ადგილას შეუმჩნევლად გადადიოდა დერეფანში და ამ გადასვლას რგოლებზე ჩამოკიდებული პლუშის პორტიერი უწყობდა ხელს. დერეფნის მარცხნივ სააბაზანო იყო, იმის იქით — სამოახლო, ბოლოში კი — საშხარეულო.

ბინის მომავალ ბინადარს მოეწონა ოთახების განლაგება, ავეჯი კი მის გემოვნებას ნაკლებად შეესაბამებოდა. კაბინეტში იდგა ყავისფერი ხავერდის საკარძლები, წიგნების კარადა მხარბეჭიანი, გრძელსახიანი დანტეს გამოსახულებით, რომელსაც თავზე საცურაო ქუდი ეხურა, და დიდი, ცარიელი მაგიდა უცნობი წარსულითა და უცნობი მომავლით. მერხევი ლამპა შავ, ხვეულა სვეტზე ეკიდა, ნარინჯისფერი აბაჟურის ქვეშ, ოტომანთან ახლოს, რომელზეც ვიღაცას სათამაშო ღიაბეწვიანი დათუნია და დიდთავიანი, ფართო ვარდისფერფეხისგულიანი და თვალდალაქავებული ძაღლი დაეტოვებინა. ოტომანის ზემოთ გაკრულ ყალბ გობელენზე მოცეკვავე ახალმოსახლეები გამოესახათ.

კაბინეტიდან, თუ გასაწევ-გამოსაწევ კარს ხელს ოდნავ გაჰკრავდით, გამჭოლი ხედი იშლებოდა: პარკეტი სასტუმრო ოთახში და შემდეგ, შემცირებული პერსპექტივით, სასადილო ოთახი ბუფეტითურთ. სასტუმრო ოთახში მწვანედ ლაპლაპებდა პალმა, იატაკი პატარ-პატარა ნოხებით მოეფინათ. ბოლოს სასადილო ოთახი იყო, ახლა უკვე ბუნებრივ ზომებამდე გაზრდილი ბუფეტითა და კედლებზე განთავსებული თეფშებით. მაგიდის თავზე, დაბალი ლამპიდან მარტოხელა, ბუსუსებიანი ეშმაკი ჩამოკონწიალებულიყო. ფანჯარა ფარანს წარმოადგენდა, საიდანაც ქუჩის ბოლოში სკვერი და შადრევანი მოჩანდა. მაგიდასთან დაბრუნებულმა ქალმა სადარბაზო ოთახიდან კაბინეტში ჩამოკიდებულ, თავის მხრივ დაპატარავებულ გობელენს გახედა, სასადილოდან დერეფანში გავიდა და წინკარის გავლით საძინებლისკენ გაემართა. იქ ერთმანეთზე მჭიდროდ მიდგმული ორი აფუმფულებული საწოლი იდგა. ლამპა მავრიტანული სტილისა გახლდათ, ფანჯრებზე ყვითელი ფარდები

ეკიდა, რაც დილაობით ცრუ მზის შუქის შთაბეჭდილებას ქმნიდა, შუაკედლისში გრავიურა ეკიდა: გრძელ ღამის პერანგში გამოწყობილი ვუნდერკინდი უზარმაზარ როიალზე უკრავდა, ნაცრისფერ ხალათიან მამას კარი შეეღო და სანთლით ხელში გაშეშებულიყო.

რაღაც დაამატეს, რაღაც გაიტანეს. სასტუმრო ოთახიდან მეპატრონის ბაბუის პორტრეტი ჩამოხსნეს, კაბინეტიდან სასწრაფოდ მოაცილეს სადაფის ჭადრაკისდაფიანი მაგიდა. სააბაზანოს ფანჯარა, ქვემოთ ყინულგადაკრულივით ცისფრად რომ ციმციმებდა, ზედა, გამჭვირვალე ნაწილში გაბზარული აღმოჩნდა და მინის გამოცვლა გახდა საჭირო. საშზარეულოსა და სამოახლოში ჭერი შეათეთრეს. სალონური პალმის ჩრდილქვეშ გრამოფონი გაჩნდა. საერთოდ, ამ ოთახების დათვალიერებისა და ბინის „ბატონკაცურად და სახელდახელოდ", — როგორც მამა ხუმრობდა, — გადაკეთებისას, ქალს თავიდან ვერ ამოეგდო აზრი, რომ ეს ყველაფერი დროებითი იყო და, სავარაუდოდ, ლუჟინის ბერლინიდან წაყვანა და მისი სხვა ქვეყნებით გართობა მოუწევდა. ყოველგვარი მომავალი ბურუსითაა მოცული, მაგრამ ზოგჯერ იგი განსაკუთრებით ბუნდოვანი ხდება, თითქოს ბედის ბუნებრივი გულჩახვეულობის დასახმარებლად სხვა ძალა მოდის და ამ მკვრივ ბურუსს აფრცელებს, რომელიც ყოველგვარ ფიქრს უკუაგდებს.

მაგრამ რა ნაზი და საყვარელი იყო ლუჟინი ამ დღეებში... როგორ თვინიერად იჯდა ჩაის მაგიდასთან ახალ კოსტიუმში გამოწყობილი, მონაცრისფრო ჰალსტუხით დამშვენებული და თავაზიანად, თუმცა ზოგჯერ სრულიად უადგილოდ უკრავდა კვერს თანამოსაუბრეს. სასიდედრო ნაცნობებს უყვებოდა, ლუჟინმა ჭადრაკის თამაშის მიტოვება გადაწყვიტა, რომელიც ძალზე დიდ დროს ართმევდა, მაგრამ ამის შესახებ ლაპარაკი არ უყვარსო, ოლეგ სერგეევიჩ სმირნოვსკი კი, დაფასთან შერკინების მოთხოვნის ნაცვლად, თვალანთებული უმხელდა მასონების საიდუმლო მაქინაციებს და წასაკითხავად შესანიშნავ ბროშურასაც ჰპირდებოდა.

დაწესებულებებში, სადაც ისინი მიდიოდნენ და მოხელეებს თავიანთი დაქორწინების განზრახვას ატყობინებდნენ, ლუჟინი მოწიფული ადამიანივით იქცეოდა, ყველა ქაღალდი მოკრძალებით, ფაქიზად მიჰქონდა, ბლანკებს სიყვარულით ავსებდა, ყოველი ასო

მკაფიოდ გამოჰყავდა. მომრგვალებული, საოცრად აკურატული ხელწერა ჰქონდა, საკმაო დროს ანდომებდა ახალი თვითმწერი კალმისტრის ფრთხილად მოხრახნას, რომელსაც წერის დაწყებამდე ერთგვარი მანჭვით გვერდზე ბერტყავდა, მერე კი, ოქროს კალმის სრიალით რომ დატკბებოდა, ასევე ფრთხილად იდებდა გულის ჯიბეში ჩამჭიდით გარეთ. სიამოვნებით დაჰყვებოდა მაღაზიებში საცოლეს და საინტერესო სიურპრიზივით ელოდებოდა ბინას, რომლის ჩვენებაც ქალს ქორწილამდე გადაედო.

იმ ორი კვირის განმავლობაში, როცა მათი სახელები საჩვენებლად გამოეკრათ, — ხან სასიძოს, ხანაც საპატარძლოს მისამართზე, სხვადასხვა დადარაჯებული ფირმებისგან მრავალი შემოთავაზება მიიღეს. რაღას არ სთავაზობდნენ: საქორწილო და დამკრძალავ ეკიპაჟებს (კარეტისა და მასში შებმული ორი იორღის გამოსახულებით), გასაქირავებელ ფრაკებს, ცილინდრებს, ავეჯს, ღვინოს, დარბაზებს, სააფთიაქო ნივთებს. ლუჟინი კეთილსინდისიერად ათვალიერებდა, მერე კი ერთად აწყობდა და ინახავდა ილუსტრირებულ პრეისკურანტებს, უკვირდა, რატომ ეპყრობოდა ზიზღით მისი საცოლე ამ საინტერესო წინადადებებს. სხვა სახის შემოთავაზებებიც იყო, მაგალითად, „ხანმოკლე აპარტე“[1], — როგორც ლუჟინი ამბობდა, სასიამოვნო საუბარი მომავალ სიმამრთან, რომლის დროსაც მას კომერციულ საწარმოში მუშაობა შესთავაზეს, ოღონდ, რასაკვირველია, მოგვიანებით და არა ახლა, იქამდე კი შეეძლო ცოლთან ერთად რამდენიმე თვე მშვიდად ეცხოვრა.

— ცხოვრება, ჩემო მეგობარო, ისეა მოწყობილი, — ითქვა ამ საუბრისას, — რომ ადამიანმა ყოველი წამისთვის ფული უნდა იხადოს, ყველაზე მინიმალური გაანგარიშებით, პფენინგის 1/432, და ეს მათხოვრული ცხოვრება იქნება; თქვენ კი ცოლი უნდა შეინახოთ, რომელიც ფუფუნებას არის მიჩვეული.

— დიახ, დიახ, — თქვა ლუჟინმა, მხიარულად გაიღიმა და გონებაში იმ რთული გამოთვლის ჩატარება სცადა, რომელიც მისმა თანამოსაუბრემ ფაქიზად და მარჯვედ შეასრულა.

---

[1] *აპარტე (თეატრ.) — რეპლიკა, რომელიც საკუთარი თავისა და მაყურებლისთვისაა განკუთვნილი და არა თანამოსაუბრისთვის (ფრ.).*

— ამისათვის მეტი ფულია საჭირო, — განაგრძობდა იგი და ახალი ფოკუსის მოლოდინში ლუჟინმა სული განაბა.

— წამი უფრო... ძვირი დაჯდება. გიმეორებთ, მზად ვარ, თავიდან, დავუშვათ, პირველ წელს საკმაო გულუხვობა გამოვიჩინო... მაგრამ დროთა განმავლობაში... როდესაც კანტორაში მესტუმრებით, საინტერესო რამეს გიჩვენებთ.

აი, ასე სასიამოვნოდ ცდილობდნენ გარშემომყოფნი ლუჟინისათვის ცხოვრების სიცარიელის შევსებას. ისიც იძლეოდა დარწევის, განებივრების, ღიტინის ნებას, მისი სულის კარი ღია იყო ყოველი მხრიდან შემოსეული ალერსიანი ცხოვრებისთვის. მომავალი ბუნდოვნად წარმოედგინა, როგორც დაუსრულებელი, უსიტყვო ხვევნა-კოცნა ბედნიერ ბინდბუნდში, სადაც მოდიან, სხივში გაივლიან და სიცილითა და რწევა-რწევით კვლავ უჩინარდებიან სხვადასხვაგვარი სათამაშოები ამა ქვეყნისა. მაგრამ გვიან ღამით და ადრე დილით, სასიძოსთვის დამახასიათებელი გარდაუვალი მარტოობის წუთებში, უცნაური სიცარიელის შეგრძნება ეუფლებოდა, თითქოს სუფრაზე გამოყვანილ ლამაზ, დასაკეც ნახატზე შეუვსებელი, ღვლარჭნილი მოხაზულობის ცარიელი ადგილები დარჩენილიყო. ერთხელაც მისკენ ზურგშექცევით მჯდარი ტურატი ესიზმრა. ხელზე დაყრდნობილი ტურატი ღრმად ჩაფიქრებულიყო, მაგრამ მისი განიერი ზურგი ხელს უშლიდა გამოეცნო, თუ რაზე ფიქრობდა თავჩაქინდრული. ლუჟინს არ უნდოდა, ეშინოდა ამის დანახვა, მაგრამ მაინც ფრთხილად ჩაიჭყიტა მისი შავი მხრის ზემოდან. და დაინახა, რომ ტურატის წინ სუპით სავსე თეფში ედგა და ხელს კი არ ეყრდნობოდა, არამედ საყელოში ხელსახოცს იმაგრებდა. და ნოემბრის დღეს, რომელსაც წინ ეს სიზმარი უძღოდა, ლუჟინი დაქორწინდა.

ოლეგ სერგეევიჩ სმირნოვსკი და ვიღაც ბალტიელი ბარონი იყვნენ მოწმეები იმისა, თუ როგორ გაუძღვნენ ლუჟინსა და მის საცოლეს დიდ ოთახში და მაუდგადაფარებულ გრძელ მაგიდასთან დასვეს. მოხელემ პიჯაკის ნაცვლად გაცვეთილი სერთუკი ჩაიცვა და საქორწინო განაჩენი წაიკითხა. ყველანი ფეხზე წამოდგნენ, რის შემდეგაც მოხელემ, პატივისცემის ნიშნად, პროფესიული ღიმილით, ახალდაქორწინებულებს ხელი დუნედ ჩამოართვა და

ყველაფერი დასრულდა. გასასვლელთან ათშაურიანზე მეოცნებე მსუქანმა კარისკაცმა თავი დაუკრა და მიულოცა, ლუჟინმა გულკეთილად გაუწოდა ხელი, მანაც ჩამოართვა და უცებ ვერც კი მოისაზრა, რომ ეს ადამიანის ხელი იყო და არა მოწყალება.

ჯვარიც იმავე დღეს დაიწერეს. ლუჟინი ეკლესიაში უკანასკნელად მრავალი წლის წინ იყო, დედის პანაშვიდზე. წარსულის სიღრმეებში წასულს კარგად ახსოვდა ბზობის ღამეს შინ დაბრუნება სანთლით ხელში, რომელიც აქეთ-იქით აწყდებოდა, იმით გაშმაგებული, რომ თბილი ეკლესიიდან უცნობ ღამეში გამოიტანეს, ბოლოს კი, ქუჩის კუთხეში ნევიდან ქარის დაძგერებისთანავე, გული უსკდებოდა და კვდებოდა. არც აღსარებები დავიწყებოდა სახლის ეკლესიაში ფოსტამტის ქუჩაზე. მის ჩაბნელებულ სიცარიელეში ჩექმები განსაკუთრებულ ხმას გამოსცემდნენ, თითქოს ახველებენო, აქეთ-იქით ხმაურით მოძრაობდნენ სკამები, რომლებზეც მიყოლებით ისხდნენ მომლოდინეები, და ზოგჯერ ფარდაჩამოფარებული საიდუმლო კუთხიდან ჩურჩული გამოსხლტებოდა. აღდგომის ღამეებიც ახსოვდა: დიაკვანი გულამომჯდარი დვრინით კითხულობდა, მერე კი ხელის ნახევრად წრიული მოძრაობით, სლუკუნით ხურავდა უზარმაზარ სახარებას... და ახსოვდა, როგორ მსუბუქად და გამყინავად ჟღერდა უზმოზე ღონემიხდილი მღვდლის ბაგეებით წარმოთქმული სიტყვა „ახდგომა“, გულის კოვზთან წვას რომ იწვევდა; და ახსოვდა, რომ მუდამ ძნელი იყო იმ წამის დაჭერა, როდესაც საცეცხლური მდოვრედ, დამიზნებით მოდის შენკენ, სწორედ რომ შენკენ და არა მეზობლისკენ, და თავის ისე დახრა, რომ ზუსტად დაემთხვეს საცეცხლურის აქნევას. იყო საკმევლის სუნი და ცვილის ცხელი წვეთის დაცემა თითის ძვლებზე, ამბორის მომლოდინე ხატის მუქი, თაფლიანი ელვარება. მიბნედილი მოგონებები, შავგვრემანობა, ბზინვარება, ეკლესიის გემრიელი ჰაერი და ტანში ჟრუანტელის დავლა. და ამ ყველაფერს ახლა დანისლული საცოლე და გვირგვინი დაემატა, რომელიც ჰაერში, თავს ზემოთ თრთოდა და ვინ იცის, იქნებ ზედ დასცემოდა კიდეც. ფრთხილად გახედავდა ხოლმე გვერდულად და ერთი-ორჯერ მოეჩვენა, რომ ვიღაცის უხილავმა ხელმა, გვირგვინი რომ ეჭირა, იგი ასევე უხილავ სხვა ხელს გადასცა.

— დიახ, დიახ, — სწრაფად უპასუხა მღვდლის შეკითხვას, უნდოდა დაემატებინა, რა კარგი და უცნაურია ეს ყველაფერი, სულს მალამოსავით ედებაო, მაგრამ მზერა გაუბუნდოვნდა და აღელვებულმა მხოლოდ ყელი ჩაიწმინდა.

შემდეგ, როდესაც ყველანი დიდ მაგიდას შემოუსხდნენ, ისეთი გრძნობა დაეუფლა, როგორიც ცისკრის ლოცვიდან შინ დაბრუნებისას: მიხვალ შინ და დაგხვდება ქონიანი, ოქროსრქიანი ცხვარი, ბარკალი, ქალწულივით ხელუხლებელი პასქა, რომლის გასინჯვაც უპირველესად გინდა ლორისა და კვერცხის გვერდის აკლით. ცხელოდა, სტუმრები ხმაურობდნენ, ბევრი ხალხი შეკრებილიყო, — ისინი, ალბათ, ეკლესიაშიც იყვნენ, — არაფერია, არაფერი, დაე, ცოტა ხანს კიდევ დარჩნენ... ლუჟინა ქმარს შესცქეროდა, მის კულულს, საუცხოოდ შეკერილ ფრაკს, ალმაცერ ღიმილს, რომლითაც კერძებს ეგებებოდა. დედამისს, სახეზე უხვად პუდრწასმულს, ეცვა წინ ძალზე მოღიავებულ კაბა, ძველი დროის მსგავსად, ეკატერინეს სტილით ზეაწეულ ძუძუებს შორის ვიწრო ჭრილს რომ აჩენდა, თავი ყოჩაღად ეჭირა და სიძეს შენობითაც კი მიმართავდა, ასე რომ, ერთი ხანობა ვერ ხვდებოდა, ვის ეკუთვნოდა ქალის სიტყვები. მან მხოლოდ ორი ბოკალი შამპანური დალია და სასიამოვნო თვლემა ტალღებად მოაწყდა. ბოლოს გარეთ გავიდნენ. შავი, ქარიანი ღამე მსუბუქად ეძგერა ფრაკის განუვითარებელი ჟილეტით დაუცველ მკერდში და ცოლმა სთხოვა, რომ პალტოში კარგად გახვეულიყო. ქალის მამა, მთელი საღამო რომ იღიმებოდა და ბოკალს მაღლა რაღაც განსაკუთრებული ხერხით სწევდა — უსიტყვოდ, თვალის დონეზე — ერთი დიპლომატისგან გადმოღებული მანერით, რომელიც ძალზე მოხდენილად ამბობდა სიტყვა „სქოულს“, — ახლაც მხოლოდ თვალებით იღიმებოდა და, დამშვიდობების ნიშნად, ფარნის შუქზე მბრწყინავი კარის გასაღებების აცმას მაღლა სწევდა. დედა მხრებზე წამოსხმულ ყარყუმის ბეწვის საყელოს ხელით იჭერდა და ცდილობდა, ავტომობილში ჩასაჯდომად გამზადებული ლუჟინის ზურგისთვის არ შეეხედა. შექეიფიანებული სტუმრები მასპინძლებს და ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ და დელიკატური სიცილით მანქანას გარს ეხვეოდნენ, რომელიც, როგორც იქნა, დაიძრა. ვიღაცამ „ვაშაო“, დაიღრიალა

და გვიანმა გამვლელმა თანამგზავრ ქალს მოწონების ნიშნად გადაულაპარაკა: — ჩვენი თანამემამულეები ხმაურობენო.

ავტომობილში ლუჟინს მაშინვე ჩაეძინა. შემთხვევითი, მარაოდ გადაშლილი თეთრი შუქის ანაბზინები სახეს სიცოცხლეს მატებდა. ნაზი ჩრდილი ნელა მოძრაობდა წრეზე ცხვირიდან ლოყისა და ზედა ტუჩისკენ. მერე მანქანაში კვლავ წყვდიადი ისადგურებდა, სანამ ახალი შუქი არ შემოანათებდა და გზად ლუჟინის ხელს არ მოეფერებოდა, რომელიც თითქოს დაბნელებისთანავე ჯიბისკენ მისრიალებდა. შემდეგ კაშკაშა სინათლეების ჯერი დადგა და ყოველი მათგანი თეთრი ჰალსტუხის ქვემოდან ბაფთის ჩრდილს მოერეკებოდა, და მაშინ ცოლი ფრთხილად უსწორებდა ქმარს კაშნეს, რადგან ნოემბრის ღამის სიცივე დახურულ ავტომობილშიც კი აღწევდა. კაცი გამოფხიზლდა, ქუჩიდან შემოტყორცნილმა სინათლის სხივმა თვალები მოაჭუტვინა. ერთბაშად ვერ მიხვდა, სად იმყოფებოდა, მაგრამ ამ დროს მანქანა გაჩერდა და ცოლმა წყნარად უთხრა:

— შინ ვართ, ლუჟინ.

ლიფტში ლუჟინი გამოლენჩებულივით იდგა, იღიმებოდა, თვალებს ახამხამებდა და, სრულიად ფხიზელი, ჩამწკრივებულ ღილაკებს შეჰყურებდა, რომელთაგანაც ერთ-ერთს ცოლმა თითი მიაჭირა.

— გარკვეულ სიმაღლეზე, — ჩაილაპარაკა მან და ლიფტის ჭერს ახედა, თითქოს იქ გზის დასასრული უნდა გამოჩენილიყო. ლიფტი გაჩერდა.

— ეჰ, — თქვა ლუჟინმა და ჩუმი სიცილი აუტყდა.

წინკარში ახალი მოსამსახურე დახვდათ — ჩამრგვალებული ქალიშვილი, რომელმაც მათ მაშინვე გაუწოდა წითელი, არაპროპორციულად დიდი ხელი.

— აჰ, რატომ გველოდებოდით, — თქვა ცოლმა.

მოახლე ულოცავდა, რაღაცას სწრაფად ამბობდა, მერე კი ლუჟინს მოწიწებით გამოართვა შაპოკლაკი. ლუჟინმა მცოდნე კაცის ღიმილით უჩვენა, ქუდი როგორ იკეცებოდა.

— საოცარია! — შესძახა მოახლემ.

— წადით, წადით, დაიძინეთ, — მოუსვენრად იმეორებდა ცოლი, — ჩვენ თვითონ დავკეტავთ ყველაფერს.

კაბინეტი, სასტუმრო და სასადილო ოთახი ერთმანეთის მიყოლებით განათდა.

— ტელესკოპმა აღმოაჩინა, — ნამძინარევი ხმით ჩაიბურტყუნა ლუჟინმა. წესიერად ვერაფერი დაინახა — თვალები ებლიტებოდა. სასადილო ოთახში შესვლისას აღმოაჩინა, რომ ხელში პლუშის დიდი, ვარდისფერფეხისგულიანი ძაღლი ეჭირა. როგორც კი მაგიდაზე დადო, მისკენ მაშინვე ობობასავით დაეშვა ლამპაზე ჩამოკიდებული ბუსუსებიანი ეშმაკი. ოთახებში ჩამობნელდა, თითქოს ტელესკოპი დაიხურაო, და ლუჟინი განათებულ დერეფანში აღმოჩნდა.

— დასაძინებლად წადით! — კვლავ დაუძახა ვიღაცას ცოლმა. სიღრმეში რაღაცამ გაიფრატუნა და მშვიდობიანი ღამე უსურვა.

— აი, იქ, სამოახლოა, — თქვა ცოლმა, — აქ კი, მარცხნივ, სააბაზანო.

— ბუდუარი სად არის? — ჩაიჩურჩულა ლუჟინმა, — სად არის ყველაზე პატარა ოთახი?

— სააბაზანოში, ყველაფერი სააბაზანოშია, — მიუგო ქალმა.

ლუჟინმა კარი შეაღო, რაღაცაში დარწმუნდა და მკვირცხლად ჩაიკეტა. ცოლი საძინებელში გავიდა და საკარძელში ჩაეშვა, თან მომხიბლავად აფუმფულებულ ლოგინებს ათვალიერებდა.

— ოჰ, დავიღალე, — გაიღიმა და დიდხანს ადევნებდა თვალს მოზრდილ, დუნედ მოძრავ ბუზს, რომელიც სასოწარკვეთილი ზუზუნებდა და მავრიტანული ლამპის გარშემო დაფრინავდა, მერე კი სადღაც გაქრა.

— აქეთ, აქეთ! — დაიძახა მან, როდესაც მოესმა, რომ ლუჟინი დერეფანში გაუბედავად მოფლატუნებდა.

— საძინებელი, — თქვა კაცმა მოწონების ნიშნად, ხელები ზურგს უკან შემოიწყო და ცოტა ხანს აქეთ-იქით იყურებოდა. ქალმა კარადა გამოაღო, სადაც წინადღეს ნივთები დააწყო, დაფიქრდა და ქმრისკენ მიტრიალდა.

— აბაზანას მივიღებ, — თქვა მან, — რაც გჭირდებათ, ყველაფერი აქ არის.

— ერთი წუთით, — ჩაილაპარაკა ლუჟინმა და გემოზე დაამთქნარა.

— მოიცადეთ, — სასისმიერი ხმით გაიმეორა მან, თან მთქნარების მოქნილ ნაწილებს მარცვლებს შორის ჩურთავდა. მაგრამ ქალმა პიჟამასა და საღამურ ფეხსაცმელებს დაავლო ხელი და ოთახიდან სწრაფად გავიდა.

ონკანიდან წამოსული წყლის ცისფერი, მსხვილი ნაკადი თეთრი აბაზანის გავსებას შეუდგა, ნაზი ორთქლი დონის მატებასთან ერთად ჩქრიალის ტონსაც ცვლიდა. ქალი გადმოდინებულ ბზინვარებას შესცქეროდა და ცოტა არ იყოს, შეშფოთებული ფიქრობდა, რომ მის ქალურ სიმარჯვეს გადაულახავი მიჯნისთვის მიეღწია, რომლის იქითაც მეგზურად აღარ გამოდგებოდა. იჯდა აბაზანაში და უყურებდა, როგორ გროვდებოდა წყლის წვრილი ბუშტუკები კანსა და ფორებიან ღრუბელზე. საპნის ქაფისგან ოდნავ ამღვრეული წყლით ყელამდე დაფარულს, საკუთარი თავი გამხდარი და გამჭვირვალე ეჩვენებოდა, და როდესაც მუხლი ოდნავ ზევით ამოეწეოდა, ეს მრგვალი, მბრწყინავი, ვარდისფერი კუნძული მკაფიო და მოულოდნელი მატერიალურობით აკრთობდა.

— ბოლოს და ბოლოს, ეს ჩემი საქმე სულაც არაა, — თქვა მან, მბზინავი ხელი წყლიდან ამოსწია, შუბლიდან თმა გადაიწია და ცხელი წყალი დაამატა. თბილი და მკვრივი ტალღები მუცელზე სასიამოვნოდ ელამუნებოდა. ბოლოს გადმოვიდა, რითაც აბაზანაში მსუბუქი ღელვა გამოიწვია, და აუჩქარებლად შეუდგა გამშრალებას.

— მშვენიერი თურქი ქალი, — ჩაილაპარაკა ოდნავ დაორთქლილი სარკის წინ მდგარმა. ტანზე მხოლოდ აბრეშუმის პიჟამის შარვალი ეცვა.

— არა უშავს, ნორმალურია, — დაამატა ცოტა ხნის შემდეგ. სარკეში ცქერას განაგრძობდა, თან პიჟამის ზედატანს იცვამდა.

— გვერდებში მომიმატებია, — თქვა მან. წყალი მსუბუქი ბუყბუყით გაედინებოდა აბაზანიდან, უეცრად ერთი კი დაიწრიპინა და ყველაფერი დადუმდა: აბაზანა დაცარიელდა, მხოლოდ ფსკერზე, ხვრელში ტრიალებდა პატარა, ქაფიანი მორევი. მოულოდნელად სარკის წინ, პიჟამაში გამოწყობილი ქალი მიხვდა, რომ განგებ არ ჩქარობდა, იმ ადამიანს ჰგავდა, რომელიც შარშანდელ ჟურნალს ათვალიერებს და იცის, რომ ახლა კარი გაიღება და ზღურბლზე დანტისტი გამოჩნდება.

ხმამაღალი სტვენით საძინებელში შევიდა და მოულოდნელობისგან გაშეშდა. ლუჟინი საწოლზე იწვა, წელს ქვემოთ ყურთუკი წაეფარებინა, ღილებშეხსნილი გახამებული პერანგი აქა-იქ გაფარჩხოდა, ხელები თავქვეშ ამოედო და კრუტუნით ხვრინავდა. საყელო ფეხებთან ეკიდა, აჭიმებიანი შარვალი იატაკზე ეგდო, საკიდრის მხრებზე ცერად ჩამოცმული ფრაკი ტახტზე ცალკალთაშეკეცილი იდო. ქალმა ყველაფერს ჩუმად მიუჩინა თავ-თავისი ადგილი. დაწოლის წინ ფარდა გასწია, შეამოწმა, ჟალუზი დაშვებული თუ იყო. აღმოჩნდა, რომ — არა. ჩაბნელებულ ეზოში ღამის ქარი ბუჩქებს ეჯავჯგურებოდა, საიდანღაც გადმოღვრილ შუქზე რაღაც ბრწყინავდა — შესაძლოა, გუბე იყო, ქვის პანელზე, გაზონის გასწვრივ, სხვა ადგილას კი ხან გამოჩნდებოდა და ხან იმალებოდა რომელიღაც ცხაურის ჩრდილი. უეცრად ყველაფერი ჩაქრა და მხოლოდ შავი უფსკრული იყურებოდა.

ქალი ფიქრობდა, დავეგდები ლოგინზე და მაშინვე დამეძინებაო, მაგრამ შეცდა. ღულუნნარევი ხვრინვა მის გვერდით, უცნაური სევდა და ჩაბნელებული ოთახი თავისკენ ექაჩებოდა და ძილისკენ არ უშვებდა. რატომღაც სიტყვა „პარტია“ აეკვიატა, — „კარგი პარტია“, „კარგი პარტიის მოძებნა“, „პარტია“, „პარტია“, „დაუმთავრებელი, შეწყვეტილი პარტია“, „ასეთი კარგი პარტია“. „გადაეცით მაესტროს, რომ აღელვებული ვარ“. — მას ბრწყინვალე პარტიის შექმნა შეეძლო, — გარკვევით თქვა წყვდიადში გაელვებულმა დედამ.

— აბა, ჭიქები მივუჭახუნოთ, — ნაზად ჩასჩურჩულა ხმამ, და ბოკალის უკნიდან მამის თვალებმა გამოანათა. ქაფი მაღლა-მაღლა იწევდა, ფეხსაცმელი ოდნავ უჭერდა, ეკლესიაში კი ძალიან ცხელოდა...

12

საზღვარგარეთ დიდი ხნით გამგზავრება გაზაფხულამდე გადაიდო — ეს ერთადერთი რამ დაუთმო ლუჟინამ მშობლებს, რომლებსაც პირველი რამდენიმე თვე მათთან ახლოს ყოფნა სურდათ.

თვითონ ლუჟინა ცოტათი უფრთხოდა ბერლინში ცხოვრებას, რომელთანაც ქმარს ბევრი საჭადრაკო მოგონება აკავშირებდა. თუმცა ლუჟინის გართობა ძნელი არც ბერლინში აღმოჩნდა. საუბრობდნენ საზღვარგარეთ დიდი ხნით გამგზავრებაზე, აწყობდნენ გეგმებს. კაბინეტში, ასე რომ მოეწონა ლუჟინს, წიგნების კარადაში შესანიშნავ ატლასს მიაგნეს. მსოფლიო, რომელიც თავდაპირველად განედებისა და გრძედების ბადით მაგრად შემოჭერილი მკვრივი სფეროს სახით იყო ნაჩვენები, ბრტყლად განიშლებოდა, ორ ნაწილად იჭრებოდა და ნაწილ-ნაწილ მიეწოდებოდა. გაშლისას რომელიღაც გრენლანდია, თავიდან პატარა დანამატი, უბრალო აპენდიქსი, მოულოდნელად თითქმის უახლოესი მატერიკის ზომამდე იბერებოდა. პოლუსებზე თეთრი სიტიტვლეები მოჩანდა. ლაჟვარდოვანი ოკეანეები თანაბრად განფენილიყო მთელ დედამიწაზე. რუკაზე არსებული წყლით კაცი ხელებსაც კი დაიბანდა, — რა არის ეს, მართლა და მართლა, — ამდენი წყალი, სილრმე, სიფართოვე... ლუჟინმა ცოლს ყველა მოხაზულობა უჩვენა, რომლებიც ბავშვობაში უყვარდა, — მუხლმოყრილი ქალის მსგავსი ბალტიის ზღვა, იტალიის ბოტფორტი, ინდოეთის ცხვირიდან ჩამოკარდნილი ცეილონის წვეთი. მისი აზრით, ეკვატორს უიღბლობა დაჰბედებოდა — უმეტესწილად სულ ზღვებს მიჰყვებოდა, — მართალია, ორ კონტინენტს ჰკვეთდა, მაგრამ ზეაზიდულ აზიას ვერ შეთვისებოდა: ძლიერად დასწოლოდა და გაესრისა ის, რაც წილად ერგო, — რაღაც დაბოლოებები, არააკურატული კუნძულები. იცოდა ყველაზე მაღალი მთა და ყველაზე პატარა სახელმწიფო, და როდესაც ორივე ამერიკის ურთიერთგანლაგებას აკვირდებოდა, მათ პოზაში რაღაც აკრობატულს ხედავდა.

— ამ ყველაფრის უფრო პიკანტურად მოწყობაც შეიძლებოდა, — ამბობდა იგი და მსოფლიოს რუკაზე უთითებდა, — არც იდეა, არც პუანტა.

ზოგჯერ რთულ მოხაზულობას ვერაფერს ამსგავსებდა, ცოტათი ბრაზობდა და დიდხანს ეძებდა შესაძლებლობას, როგორც ამას ბავშვობაში აკეთებდა, რომ ჩრდილოეთის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში მდინარეების ლაბირინთით გასულიყო ან მთაგრეხილების განლაგება რაიმე გონივრულისთვის მიესადაგებინა.

— სად გავემგზავროთ? — კითხულობდა ცოლი და პირს ოდნავ აწკლაპუნებდა იმ უფროსების მსგავსად, ბავშვებთან თამაშის წინ რაღაც სასიამოვნოს მოლოდინს რომ გამოხატავენ. შემდეგ ხმამაღლა ასახელებდა რომანტიკულ ქვეყნებს.

— ...აი, ჯერ რივიერაზე, — სთავაზობდა იგი, — მონტე-კარლო, ნიცა. ან, ვთქვათ, ალპები.

— მერე ცოტა აქეთ, — თქვა ლუჟინმა, — ყირიმში ყურძენი ძალზე იაფია.

— რას ამბობთ, ლუჟინ, ღმერთმა დაგვიფაროს, რუსეთში ჩვენთვის არ შეიძლება.

— რატომ? — იკითხა ლუჟინმა, — მე იქ მიმიწვიეს.

— სისულელეა, გაჩუმდით, გეთაყვა, — თქვა ქალმა, რომელიც იმდენად იმის გამო კი არ გაბრაზდა, რომ ლუჟინი შეუძლებელზე საუბრობდა, არამედ იმაზე, რომ ირიბად ჭადრაკთან დაკავშირებულ თემას შეეხო.

— ამას შეხედეთ, — თქვა მან და ლუჟინმაც მორჩილად გადაიტანა მზერა რუკის სხვა ადგილზე, — აქ, მაგალითად, ეგვიპტეა, პირამიდები. აი, ესპანეთი, სადაც ხარებს სასტიკად ექცევიან...

ქალმა იცოდა, რომ ბევრ ქალაქში, რომლებსაც, შესაძლოა, სწვეოდნენ, ლუჟინი, სავარაუდოდ, უკვე არაერთხელ იყო ნამყოფი, ამიტომ, მაგნე რემინისცენციების თავიდან ასაცილებლად, დიდ ქალაქებს არ ასახელებდა. ამაოდ იჩენდა სიფრთხილეს. ის სამყარო, რომელშიც ლუჟინი გამუდმებით მოგზაურობდა, რუკაზე აღნიშნული არ იყო და ქალს რომი ან ლონდონი რომ ეხსენებინა, ამ სახელწოდებების ჟღერადობითა და რუკის მიხედვით რაღაც სრულიად ახალს, ჯერ არნახულს წარმოიდგენდა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — შფოთიან საჭადრაკო კაფეს, რომელიც ყველგან ერთნაირი იყო — რომშიც, ლონდონშიც და თუნდაც იმავე ნიცაში, ცოლს რომ დაუფიქრებლად წამოსცდა. როდესაც ქალმა რკინიგზის ბიუროდან ნაირ-ნაირი პროსპექტი მოიტანა, საჭადრაკო მოგზაურობათა სამყარო თითქოს უფრო მკვეთრად გამოეყო ამ ახალ სამყაროს, სადაც თეთრ კოსტიუმში გამოწყობილი, მხარზე ბინოკლგადაკიდებული ტურისტი დაიარებოდა. იყო პალმების შავი სილუეტები ვარდისფერი დაისის ფონზე და ამა-

ვე პალმების ამოყირავებული სილუეტები დაისივით ვარდისფერ ნილოსში. იყო ურცხვად ლურჯი ზღვა, შაქარივით თეთრი სასტუმრო ჭრელი დროშით, რომელიც ჰორიზონტზე მცურავი გემიდან ამოსული კვამლის საწინააღმდეგო მხარეს ირხეოდა. იყო დათოვლილი მწვერვალები და დაკიდებული ხიდები, ლაგუნებში მოსრიალე გონდოლები, ურიცხვი ძველებური ეკლესია და რომელიღაც ვიწრო ჩიხი, ტანმორჩილი, დიდ ფუთუბაკიდებული ვირი... ყველაფერი ლამაზი იყო, თავშესაქცევი. პროსპექტების უცნობი ავტორი ყველაფერს აღეფრთოვანებინა, ყველაფერს გადაჭარბებით აქებდა... მჟღერი სახელწოდებები, მილიონობით წმინდანი, ყველა დაავადებისგან განმკურნავი წყლები, ქალაქის მიწაყრილის ასაკი, პირველი, მეორე, მესამე კატეგორიის სასტუმროები — ეს ყოველივე კაცს თვალს უჭრელებდა, და ყველაფერი კარგი იყო, ყველგან ლუჟინს ელოდებოდნენ, მქუხარე ხმით ეძახდნენ, ჭკუაზე აღარ იყვნენ საკუთარი გულითადობისგან, და პატრონის უკითხავად მზეს საჩუქრად არიგებდნენ.

ცოლქმრობის პირველ დღეებში ლუჟინი სიმამრის კანტორას ეწვია. სიმამრი რაღაცას კარნახობდა, საწერი მანქანა კი თავისას ამტკიცებდა — სხაპასხუპით იმეორებდა სიტყვა „კაპიკს“ დაახლოებით ასეთი ინტონაციით: „კაპიკი გაკაპიკებულა, საკაპიკეში ჩაკაპიკებულა“, — და რაღაც ტკაცუნით გადაადგილდებოდა. სიმამრმა მას უჩვენა ბლანკების დასტა, საბუხჰალტრო წიგნები გვერდებზე ზეტისმაგვარი ზოლებით, წიგნები ყუაზე გაკეთებული პატარა ფანჯრებით, კომერციული გერმანიის საოცრად სქელი ტომები, საანგარიშო მანქანა, ძალიან ჭკვიანი, ხელისა. მაგრამ ყველაზე მეტად ლუჟინს გაკაპიკებული კაპიკი მოეწონა, ქაღალდზე სწრაფად ჩამოყრილი სიტყვები, ლილისფერ სტრიქონთა საოცარი სისწორე და ერთბაშად გაკეთებული რამდენიმე ასლი.

— მეც კი... ცოდნა უნდა, — თქვა მან.

სიმამრმა მოწონების ნიშნად თავი დააქნია და საწერი მანქანა ლუჟინის კაბინეტში აღმოჩნდა. მას შესთავაზეს, კანტორის მოსამსახურეთაგან ერთ-ერთი მოვა და ყველაფერს აგიხსნისო, მაგრამ უარი განაცხადა, — მე თვითონ ვისწავლიო. და მართლაც: იგი საკმაოდ სწრაფად გაერკვა მოწყობილობაში, ისწავლა ლენტის ჩა-

დება, ფურცლების შესრიალება, ყველა დიდ თუ პატარა ბერკეტს დაუმეგობრდა. უფრო ძნელი ასოების განლაგების დამახსოვრება აღმოჩნდა, კლავიშებზე ძალზე ნელა ურტყამდა თითს: არანაირი ენის გასატეხი არ გამოსდიოდა, და რატომღაც — პირველივე დღიდან — ძახილის ნიშანი გადაეკიდა — სრულიად მოულოდნელად გამოხტებოდა ხოლმე. თავიდან გერმანული გაზეთიდან ნახევარი სვეტი გადმოწერა, მერე ზოგი რამ თვითონ შეთხზა. აი, როგორი შინაარსის მოკლე წერილი გამოუვიდა: „თქვენ გვესაჭიროებით მკვლელობის ბრალდებით. დღეს 27 ნოემბერია. მკვლელობა და ხანძრის გაჩენა. გამარჯობა, მოწყალეო ქალბატონო. ახლა, როცა მჭირდები, სად ხარ, ძახილის ნიშანო? სხეული ნაპოვნია. მოწყალეო ქალბატონო!! დღეს პოლიცია მოვა!!!“

ლუჟინმა ნაწერი რამდენჯერმე გადაიკითხა, ფურცელი უკანვე ჩადო, გაჭირვებით მიაგნო ასოებს და საკმაოდ დაბრეცილად მიაწერა: „აბატი ბუზონი“. მერე უცებ მოიწყინა, საქმე ძალიან ნელა მიიწევდა წინ. შედგენილი წერილი რამეში უნდა გამოეყენებინა. ტელეფონების წიგნში ვინმე ლუიზა ალტმანი გამოქექა, რანტიე, მისამართი ხელით დააწერა და თავისი თხზულება გაუგზავნა.

ზოგჯერ გრამოფონითაც იქცევდა თავს. შოკოლადისფერი კარადა ხავერდოვანი ხმით მღეროდა პალმის ქვეშ. დივანზე მჯდომი ლუჟინი ცოლს ხელს მოხვევდა და მუსიკას უსმენდა, თან იმაზე ფიქრობდა, მალე დაღამდებაო. შიგადაშიგ ქალი წამოდგებოდა, ფირფიტას გამოცვლიდა — დისკი სინათლისკენ ეჭირა, ზედ კი ზღვაზე გავლებული მთვარის საზღვარივით, აბრეშუმივით მბზინავი მერხევი სექტორი მოჩანდა, და კვლავ იღვრებოდა მუსიკა კარადიდან, კვლავ ქმრის გვერდით ჯდებოდა ქალი, ნიკაპს ერთმანეთზე გადაჭდობილ თითებზე დებდა, თვალებს აფახულებდა და ისე უსმენდა. ლუჟინი მოტივებს იმახსოვრებდა და სიმღერასაც ცდილობდა. იყო მკვნესარე, ტკაცუნა, ცეცხლოვანი ცეკვები და ჩურჩულით მომღერალი უნაზესი ამერიკელი, იყო მთელი ოპერა თხუთმეტ ფირფიტაზე — „ბორის გოდუნოვი“ — ერთგან ზარების რეკვითა და შემაძრწუნებელი პაუზებით.

ცოლის მშობლები ხშირად სტუმრობდნენ. წესად შემოიღეს, რომ კვირაში სამჯერ ლუჟინებს მათთან უნდა ესადილათ. დე-

დამ არაერთხელ სცადა ქალიშვილისგან მათი ცხოვრების რაიმე წვრილმანის გაგება და გამომცდელად ეკითხებოდა:

— ფეხმძიმედ ხარ? დარწმუნებული ვარ, ფეხმძიმედ იქნები.

— რას ამბობ? — პასუხობდა შვილი, — რა ხანია, ვიმშობიარე.

იგი კვლავაც უწინდელივით მშვიდი იყო, კვლავაც ალმაცერად ილიმებოდა და ლუჟინს კვლავაც გვარითა და თქვენობით მიმართავდა.

— ჩემი საბრალო ლუჟინი, — ამბობდა ის და ტუჩებს წინ ნაზად სწევდა, — ჩემი საბრალო, საბრალო.

და ლუჟინი ლოყით მხარზე ეხახუნებოდა. ქალი ბუნდოვნად ფიქრობდა, რომ სიბრალულით განცდილი ნეტარების გარდა, ალბათ, სხვაგვარი ნეტარებაც არსებობდა, მაგრამ ეს მისი საქმე არ იყო. ცხოვრებაში ერთადერთ, ყოველწუთიერ საზრუნავად ლუჟინში საგნებისადმი ცნობისმოყვარეობის აღძვრა ჰქცეოდა, მუქი წყლის თავზე ხელის შეშველება, რათა თავისუფლად ესუნთქა. გაღვიძებისთანავე ეკითხებოდა, სიზმარში რა ნახეო, დილით მადის აღსაძვრელად ხან კატლეტს სთავაზობდა, ხან ინგლისურ მარმელადს, ასეირნებდა, დიდხანს აჩერებდა ვიტრინების წინ, სადილობის შემდეგ „ომსა და მშვიდობას“ უკითხავდა, მხიარული გეოგრაფიითაც ართობდა, ნაკარნახევ ტექსტს მანქანაზე აბეჭდვინებდა. რამდენჯერმე მუზეუმშიც წაიყვანა, თავისი საყვარელი ნახატები უჩვენა და აუხსნა, რომ ნისლიან და წვიმიან ფლანდრიაში მხატვრები კაშკაშა ფერებს იყენებდნენ, მზიურ ესპანეთში კი ყველაზე პირქუში ოსტატი დაბადებულიყო. იმასაც ეუბნებოდა, რომ მავანი კარგად გრძნობდა შუშის ნივთებს, მავანს კი ლილიები და ნაზი, ციური გაციებისგან ოდნავ შესივებული სახეები მოსწონდა. ყურადღება გაამახვილებინა ორ ძაღლზე, შინაურულად რომ ეძებდნენ ნამცეცებს ვიწრო, ღარიბულად გაწყობილი მაგიდის ქვეშ „საიდუმლო სერობაში“. ლუჟინი თავს უქნევდა, თვალებს გულმოდგინედ ჭუტავდა და დიდხანს ათვალიერებდა უზარმაზარ ტილოს, რომელზეც მხატვარს ჯოჯოხეთში ცოდვილთა ყველა ტანჯვა ძალზე დაწვრილებით და საინტერესოდ გამოესახა. თეატრსაც ეწვივნენ, ზოოლოგიურ ბაღსაც და კინემატოგრაფსაც, ამასთან, აღმოჩნდა, რომ ლუჟინი კინემატოგრაფში მანამდე არასდროს ყოფილა. ერთმა-

ნეთს მისდევდა თეთრად მბრწყინავი კადრები. ბოლოს კი, მრავალი თავგადასავლის შემდეგ, სახელგანთქმულ მსახიობად ქცეული ქალიშვილი მშობლიურ სახლში ბრუნდება და კარში ჩერდება, ოთახში კი გაჭაღარავებული მამა ზის, შვილს ვერ ხედავს და ჭადრაკს ეთამაშება ექიმს, ოჯახის ერთგულ მეგობარს, რომელიც წლებს ოდნავაც არ შეუცვლია. სიბნელეში ლუჟინის ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიცილი გაისმა.

— ფიგურების აბსოლუტურად შეუძლებელი განლაგებაა, — თქვა მან, მაგრამ ამ დროს, მისი შეშფოთებული ცოლის გულის გასახარად, ყველაფერი შეიცვალა. მამა მაყურებელთა დარბაზის მიმართულებით წამოვიდა, თანდათანობით გადიდდა და სრულიად გადასხვაფერდა, ჯერ თვალები გაუფართოვდა, შემდეგ ოდნავ აცახცახდა, თვალები ააფახულა, კვლავ ცოტაოდენი თრთოლა და აი, ნაოჭები ნელა გაეშალა, გაუგულკეთილდა, კვლავაც აკანკალებულ სახეზე უსაზღვრო სინაზის გამომხატველი ღიმილი დაეტყო, — არადა მოხუცმა, ბატონებო, თავის დროზე შვილი დაწყევლა... მაგრამ ექიმი — ექიმი განზე დგას. მას ახსოვს, — საბრალო თავმდაბალ ექიმს, — თუ როგორ ესროდა ქალი, ფილმის დასაწყისში გოგონა, ყვავილებს ღობის მეორე მხრიდან, როდესაც იგი, ბალახზე წამოწოლილი, წიგნს კითხულობდა: მაშინ მან თავი ასწია: ღობე იყო და მეტი არაფერი, მაგრამ აი, ჯერ ქალიშვილის თმა გამოჩნდა, მერე კი დიდრონი თვალები, — ოჰ, ღმერთო ჩემო, როგორი ეშმაკობაა, როგორი სითამამე! მიდი, ექიმო, ღობეს გადაევლე, — აგერ გარბის საყვარელი გიჟმაჟი, ხეებს ეფარება, — დაიჭირე, ექიმო, დაიჭირე! მაგრამ ეს ყველაფერი წარსულში დარჩა. დგას თავდახრილი, უღონოდ ხელებჩამოშვებული, ცალ ხელში შლაპით, სახელგანთქმული მსახიობი ქალი (ის ხომ ზნედაცემულია, ზნედაცემული...). აცახცახებული მამა კი ნელა შლის ხელებს შვილის გულში ჩასაკრავად, რომელიც მოულოდნელად მის წინ მუხლებზე ეშვება. ლუჟინი ცხვირს იხოცავს. როდესაც კინემატოგრაფიდან გამოვიდნენ, თვალები გასწითლებოდა, ახველებდა და უარყოფდა, რომ იტირა. მომდევნო დღეს, დილით, ყავის სმისას, იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო და ჩაფიქრებულმა თქვა:

— ძალიან, ძალიან კარგია.

ცოტა ხანს კიდევ დაფიქრდა და დაამატა:

— მაგრამ თამაში სულ არ იციან.

— როგორ თუ არ იციან? — გაუკვირდა ცოლს, — ისინი ხომ პირველხარისხოვანი მსახიობები არიან.

ლუჟინმა მას ცერად გახედა და მაშინვე თვალი აარიდა. ქალს ეს რაღაცით არ მოეწონა. უეცრად იგი ყველაფერს მიხვდა და იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ როგორ ეიძულებინა ლუჟინი, რომ ეს უბადრუკი ჭადრაკის თამაში დაევიწყებინა, რომელიც ვიღაც სულელმა რეჟისორმა განწყობის ასამაღლებლად შემოიტანა. მაგრამ ლუჟინმა, როგორც ჩანს, თვითონვე დაივიწყა იგი — სიდედრის მიერ გამოგზავნილმა ნამდვილმა რუსულმა კალაჩმა[1] გაიტაცა, მზერაც ისევ ნათელი გაუხდა.

ასე გავიდა ერთი თვე, მეორე, იმ წელს თეთრი, პეტერბურგული ზამთარი იდგა. ლუჟინს დაბამბული პალტო შეუკერეს. უპოვარ რუსებს ლუჟინის ზოგიერთი ძველი ნივთი დაურიგეს, — სხვათა შორის, შვეიცარიული წარმოების შალის მწვანე კაშნეც. ნაფტალინის ბურთულები სევდიან, მქისე სუნს აფრქვევდა. წინკარში ბედის ანაბარად მიტოვებული პიჯაკი ეკიდა.

— ძალზე კომფორტულია, — ხვეწნით თქვა ლუჟინმა, — უაღრესად კომფორტული.

— დატოვეთ, — გამოსძახა ცოლმა საძინებლიდან, — ჯერ არ შემიმოწმებია. ალბათ, ჩრჩილითაა სავსე.

ლუჟინმა სმოკინგი გაიხადა, რომელსაც იზომავდა, რათა ენახა, ბოლო თვეში ძალზე ხომ არ გასუქებულიყო (გასუქდა, გასუქდა, — ხვალ კი დიდი რუსული მეჯლისია, საქველმოქმედო მხიარულება) და განწირულის სახელოებში ხელები სიყვარულით გაუყარა. უსაყვარლესი პიჯაკი. ჩრჩილის ნასახიც კი არსად იყო. ეგ არის, რომ ჯიბე გახვრეტოდა, ოღონდაც არა გამჭოლად, როგორც ზოგჯერ ხდებოდა.

— შესანიშნავია! — შესძახა წვრილი ხმით. ცოლმა წინკარში გამოიხედა, ხელში წინდა ეჭირა.

— გაიხადეთ, ლუჟინ, ის ხომ დახეულია, მტვრიანი. ღმერთმა უწყის, რამდენ ხანს იდო.

---

[1] *კალაჩი — ყურიანი პურის კვერი.*

— არა, არა, — თქვა ლუჟინმა. ქალმა სამოსი ყველა მხრიდან შეათვალიერა: ლუჟინი იდგა და გვერდებზე ხელებს ირტყამდა. მოეჩვენა, რომ ჯიბეში რაღაც იდო. ხელი ჩაყო — არა, არაფერი იყო, მხოლოდ ნახვრეტი.

— ძალიან ძველია, — ჩაილაპარაკა ცოლმა და შუბლი შეიჭმუხნა, — მაგრამ, შესაძლოა, როგორც სამუშაო ქურთუკი...

— გევედრები, — თქვა ლუჟინმა.

— კარგი, ასემც ღმერთი შეგეწევათ, — ოღონდ მერე მოახლეს მიეცით, კარგად დაბერტყოს.

— არა, სუფთაა, — თქვა თავისთვის ლუჟინმა და გადაწყვიტა, კაბინეტში, რომელიმე კარადაში დაეკიდა. გაეხადა და დაეკიდა, როგორც ამას ჩინოსნები აკეთებდნენ. გახდისას კვლავ იგრძნო, თითქოს პიჯაკის მარცხენა მხარე უფრო მძიმე იყო, მაგრამ გაახსენდა, რომ ჯიბეებში არაფერი ეწყო და სიმძიმის მიზეზს ალარ ჩალრმავებია. სმოკინგი კი დავიწროებოდა, ნამდვილად დავიწროებოდა.

— მეჯლისი, — წარმოთქვა ლუჟინმა და ბევრი, ბევრი მოტრიალე წყვილი წარმოიდგინა.

აღმოჩნდა, რომ მეჯლისი ბერლინის ერთ-ერთი საუკეთესო სასტუმროს დარბაზში იმართებოდა. საკიდრებთან ხალხი ირეოდა. მეგარდერობეები იღებდნენ ნივთებს და მძინარე ბავშვებივით მიჰქონდათ. ლუჟინს კოხტა ლითონის ნომერი მისცეს. მან ცოლს დაუწყო ძებნა, მალე იპოვა: იგი სარკესთან იდგა. კაცმა ლითონის ფირფიტა გლუვი, პუდრწასმული ზურგის ნაზ ღრმულზე მიადო.

— უუფ, ცივია! — წამოიძახა ქალმა და ბეჭი შეარხია.

— ხელკავით, ხელკავით, — თქვა ლუჟინმა, — ხელკავით უნდა შევიდეთ.

ასეც მოიქცნენ. პირველი, რაც ლუჟინმა დაინახა, მისი სიდედრი იყო, გაახალგაზრდავებული, ფერუმარილწასმული, მშვენიერი, მბრწყინავი კოკოშნიკი[1] ეხურა. იგი კრუშონს ყიდდა. ხნიერი ინგლისელი მამაკაცი (თავისი ნომრიდან უბრალოდ რომ შემოევლო) თვალის დახამხამებაში შემთვრალიყო და მის მაგიდას იდაყვებით ეყრდნობოდა. მეორე მაგიდაზე, მრავალფრად განათებულ ნაძვის ხესთან, ლატარიის

[1] *კოკოშნიკი — ძველებური რუსული ქუდი, გაშლილი მარაოს ფორმისა.*

გათამაშებისთვის საჭირო ნივთები დაეხვეებინათ: მოზრდილი სამოვარი ლურჯ-წითელ ანაბზინებში ნაძვის ხის მხრიდან, სარაფანგადაცმული თოჯინები, გრამოფონი, ნაირგვარი ლიქიორი (სმირნოვსკების ძღვენი). მესამეზე სანდვიჩი, იტალიური სალათა და ხიზილალა იდო, — ლამაზი, ქერათმიანი ქალბატონი ვიღაცას ეძახდა:

— მარია ვასილიევნა, მარია ვასილიევნა, რატომ წაიღეს ისევ.. ხომ გთხოვეთ!..

— გაგიმარჯოს, — ჩაილაპარაკეს გვერდით და ცოლმა გედისებურად მოხრილი ხელი ასწია.

მოშორებით, მეორე დარბაზში, უკვე მუსიკას უკრავდნენ და მაგიდებს შორის მოცეკვავეები ერთ ადგილას ტოკავდნენ და ტრიალებდნენ. ლუჟინს ვიღაც ზურგით დაეჯახა. მან შეჰყვირა და უკან დაიხია. ცოლი სადღაც გამქრალიყო. თვალებით დაუწყო ძებნა და ისევ პირველ დარბაზში დაბრუნდა. აქ მისი ყურადღება კვლავ ტომბოლამ მიიპყრო. ყოველ ჯერზე თითო მარკას იხდიდა, ხელს ყუთში ყოფდა და დახვეულ ბილეთს იღებდა. ქშინავდა, ტუჩები წინ გამოეწია, დიდხანს შლიდა ქაღალდის მილაკს და ციფრს რომ ვერ აღმოაჩენდა, მეორე მხრიდანაც ამოწმებდა, იქ ხომ არ აწერიაო — ეს უსარგებლო, მაგრამ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ძიება იყო. ბოლოს, როგორც იქნა, საბავშვო წიგნი მოიგო, რომელიღაც „კრუტუნა კატა“, და რადგან არ იცოდა, სად წაელო, ვიღაცის მაგიდაზე დატოვა, სადაც ორი სავსე ბოკალი მოცეკვავე ცოლ-ქმრის დაბრუნებას ელოდებოდა. უეცრად სივიწროვის, მოძრაობისა და მუსიკის აფეთქებებისგან უსიამოვნო შეგრძნება დაეუფლა, მაგრამ წასვლითაც ვერსად მიდიოდა. ალბათ, ყველანი მას შესცქეროდნენ და უკვირდათ, რატომ არ ცეკვავსო. ცეკვებს შორის შესვენებების დროს ცოლი მას სხვა დარბაზებში ეძებდა, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე ნაცნობები აჩერებდნენ. მეჯლისს ძალზე ბევრი ხალხი ესწრებოდა, — აქ იყო გაჭირვებით გამოძებნილი უცხოელი ელჩი, სახელგანთქმული რუსი მომღერალი, ორი კინომსახიობი ქალი. ლუჟინას მათ მაგიდებზე მიუთითეს: ქალები საჩვენებლად იღიმებოდნენ, მათი კავალრები კი — ნაპატივები, რეჟისორულ-ვაჭრული ტიპის სამი მამაკაცი, უტატანებდა, წკიპურტებს ურტყამდა და ლანძღავდა გაფითრებულ, გაოფლილ ლაქიას

ზოზინისა და უგერგილობის გამო. ქალს ამ სამთაგან განსაკუთრებით ერთი შეზიზღდა: თეთრკბილა, მბრწყინავ თაფლისფერთვალება. ლაქია რომ გაჯორა, ხმამაღლა შეუდგა რაღაცის მოყოლას, თან რუსულს ყველაზე გაცვეთილ გერმანულ სიტყვებს ურევდა. მოულოდნელად, ყოვლად უმიზეზოდ, ქალს გული დასწყდა, რომ ყველანი ამ კინემატოგრაფიულ ქალბატონებს, მომღერალსა და ელჩს შესცქეროდნენ და თითქოს არავინ იცოდა, რომ მეჯლისზე მოჭადრაკე გენიოსი იმყოფებოდა, რომლის სახელიც მილიონობით გაზეთს დაებეჭდა, ვისი პარტიებიც უკვე უკვდავად ელიარებინათ. „თქვენთან საოცრად ადვილია ცეკვა. აქ კარგი პარკეტია. მომიტევეთ. საშინელი სივიწროვეა. კარგი თანხა კი შეგროვდება. აი, ეს — საფრანგეთის საელჩოდანაა. თქვენთან ცეკვა საოცრად ადვილია“. საუბარი, როგორც წესი, ამით მთავრდებოდა. მოსწონდათ მასთან ცეკვა, მაგრამ არ იცოდნენ, კერძოდ რაზე ელაპარაკათ. საკმაოდ ლამაზი, მაგრამ მოსაწყენი ახალგაზრდა ქალბატონი. და ეს უცნაური ქორწინება ხელმოცარულ მუსიკოსთან თუ ვიღაც ამგვართან. „რა ბრძანეთ? ყოფილი სოციალისტი? მოთამაშე? თქვენ მათ სტუმრობთ ხოლმე, ოლეგ სერგეევიჩ?“

ამასობაში ლუჟინმა კიბის სიახლოვეს ღრმა სავარძელს მიაგნო, ხალხს სვეტს იქიდან შესცქეროდა და მეცამეტე პაპიროსს ეწეოდა. გვერდით, მეორე სავარძელში, შავგვრემანი ძალზე წვრილულვაშებიანი მამაკაცი ჩაჯდა მას შემდეგ, რაც იკითხა, ადგილი დაკავებული ხომ არ არისო. ლუჟინს გვერდზე იმდენმა ადამიანმა აუარ-ჩაუარა, რომ თანდათანობით შიშმა შეიპყრო. საითაც გაიხედავდა, ყველგან ცნობისმოყვარე თვალებს აწყდებოდა, და რადგან დაწყევლილი აუცილებლობის გამო რამესთვის მაინც უნდა შეეხედა, მეზობლის ულვაშებს მიაჩერდა, რომელიც, როგორც ჩანს, ასევე განცვიფრებული და შეფიქრიანებული იყო ამ ხმაურიანი და უსარგებლო ალიაქოთით. მამაკაცმა ლუჟინის მზერა იგრძნო და თავი მისკენ მიაბრუნა.

— კარგა ხანია, მეჯლისზე არ ვყოფილვარ, — თქვა მეგობრულად, თავი გადააქნია და გაიცინა.

— მთავარია, არ უყუროთ, — ყრუდ ჩაილაპარაკა ლუჟინმა და ხელისგულები ცხენის თვალსაფარს მიამსგავსა.

— შორიდან ჩამოვედი, — საქმიანად თქვა კაცმა, — აქ მეგობარმა წამომიყვანა. რაღა დაგიმალოთ და, დავიღალე.

— დაღლილობა და სიმძიმე, — თავი დაუქნია ლუჟინმა, — უცნობია, რას ნიშნავს ეს ყველაფერი. ჩემს კონცეფციას აღემატება.

— განსაკუთრებით მაშინ, თუ ჩემსავით ბრაზილიის პლანტაციაში მუშაობ, — განაგრძო კაცმა.

— პლანტაციაში, — ექოსავით გამოეხმაურა ლუჟინი.

— თქვენთან ძალზე უცნაურად ცხოვრობენ, — განაგრძობდა უცნობი, — სამყარო ოთხივ კუთხივ გახსნილია, აქ კი პარკეტის ძალზე პატარა ფართობზე ჩარლსტონს ცეკვავენ.

— მეც გავემგზავრები, — თქვა ლუჟინმა, — პროსპექტები ნაშოვნი მაქვს.

— რა მინდა აქ! — შესძახა კაცმა, — თავისუფალ ყარიბს — ზურგის ქარი. მერედა რა საოცარი ქვეყნებია... რიო ნეგროს ტყეებში გერმანელ ბოტანიკოსს გადავწყდი, მადაგასკარზე ფრანგი ინჟინრის ცოლთან ვცხოვრობდი.

— აუცილებლად უნდა ვიშოვო, — თქვა ლუჟინმა, — საერთოდ, პროსპექტი ძალზე მიმზიდველია. ყველაფერი დაწვრილებითაა აღწერილი.

— აი, თურმე სად ყოფილხართ, ლუჟინ, — მოესმა უცებ ცოლის ხმა, რომელმაც სწრაფად ჩაუარა გვერდზე მამასთან ხელკავგაყრილმა.

— ახლავე დავბრუნდები, მაგიდას გავახერხებ ჩვენთვის! — გასძახა ქალმა, ერთი მოიხედა და გაუჩინარდა.

— თქვენი გვარი ლუჟინია? — დაინტერესდა უცნობი.

— დიახ, დიახ, — თქვა ლუჟინმა, — მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს.

— ლუჟინს მხოლოდ ერთს ვიცნობდი, — ნელა წარმოთქვა მამაკაცმა და თვალები მოჭუტა (ვინაიდან ადამიანის მეხსიერება სიბეცით გამოირჩევა), — ვიცნობდი ერთს. თქვენ შემთხვევით ბალაშევის სასწავლებელში ხომ არ სწავლობდით?

— დავუშვათ, — მიუგო ლუჟინმა და უსიამოვნო წინათგრძნობით შეპყრობილმა მოსაუბრის სახე შეათვალიერა.

— მაშინ თანაკლასელები ვყოფილვართ! — შესძახა კაცმა, — მე პეტრიშჩევი ვარ. გახსოვვართ? რა თქმა უნდა, გემახსოვრებით!

საოცარია! სახით ვერასდროს გიცნობდით. არა, თქვენ კი არა — შენ. მოიცა, ლუჟინ... შენი სახელი და მამის სახელი... აჰ, მგონი მახსოვს, — ანტონ... ანტონ... მერე როგორაა?

— შეცდომაა, შეცდომა, — თქვა შემკრთალმა ლუჟინმა.

— ჰო, ცუდი მახსოვრობა მაქვს, — განაგრძობდა პეტრიშჩევი, — უამრავი სახელი დამავიწყდა. აი, მაგალითად, ხომ გახსოვთ, ერთი წყნარი ბიჭი გვყავდა. შემდეგ მან ხელი დაკარგა ვრანგელთან ომის დროს, ევაკუაციის წინ. პარიზში ვნახე, ეკლესიაში. რა გვარი იყო, ღმერთო ჩემო!

— რა საჭიროა? — ჰკითხა ლუჟინმა, — რა საჭიროა მასზე ამდენი საუბარი?

— არა, არ მახსოვს, — ამოიოხრა პეტრიშჩევმა და შუბლს ხელი მოაცილა, — აი, გვყავდა კიდევ, მაგალითად, გრომოვი: ამჟამად ისიც პარიზშია, მგონი, კარგად მოეწყო. მაგრამ სხვები სად არიან? სად არიან დანარჩენები? გაიფანტნენ, აორთქლდნენ. უცნაურია ამაზე ფიქრი. აბა, თქვენ როგორ ხართ, შენ როგორ ცხოვრობ, ლუჟინ?

— ყველაფერი რიგზეა, — თქვა ლუჟინმა და აზარტში შესული პეტრიშჩევის სახეს თვალი აარიდა, რადგან უცებ ისევ ისეთად მოეჩვენა, როგორიც უწინ იყო: პატარა, ვარდისფერი, აუტანლად დამცინავი.

— შესანიშნავი დრო იყო! — შესძახა პეტრიშჩევმა, — გახსოვთ, გახსოვს, ლუჟინ, ვალენტინ ივანოვიჩი? მსოფლიოს რუკით ხელში გრიგალივით რომ შემოიჭრებოდა ხოლმე? და ის მოხუცი, — ოჰ, გვარი ისევ დამავიწყდა, — ხომ გახსოვთ, აცახცახებული რომ ამბობდა: „ფუი, შე თავქარიანო... ოქროში დაფერვაღა გაკლია!“ მართლაც შესანიშნავი დრო იყო. ის თუ გახსოვთ, ფაცხაფუცხით რომ ჩავრბოდით კიბეზე ეზოში გასასვლელად? როგორ გაგვიკვირდა, წვეულებაზე არბუზოვმა როიალზე რომ დაუკრა! ცდებს რომ ვერასდროს ატარებდა? „ცდებზე“ რითმაც კი მოვიგონეთ.

— ...რეაგირების გარეშე, — სწრაფად თქვა თავისთვის ლუჟინმა.

— და ეს ყველაფერი გაიფანტა, — განაგრძობდა პეტრიშჩევი, — აი, ჩვენ აქ ვართ, მეჯლისზე... ჰო, მართლა, მახსოვს, თითქოს...

შენ რაღაც ისეთით იყავი გატაცებული, როცა სკოლა მიატოვე. რა იყო? დიახ! რა თქმა უნდა, ჭადრაკი!

— არა, არა, — თქვა ლუჟინმა, — ღვთის გულისთვის, ასე რატომ...

— მაშინ ბოდიშს გიხდით, — გულკეთილად ჩაილაპარაკა პეტრიშჩევმა, — გამოდის, რაღაც ავურიე. დიახ, დიახ, საქმეები... გახურებული მეჯლისია, ჩვენ კი წარსულზე ვსაუბრობთ. რომ იცოდეთ, მთელი მსოფლიო მოვიარე... აღფრთოვანებული ვარ კუბელი ქალებით! ერთხელ კი ჯუნგლში...

— ეგ სულ იტყუება, — გაისმა უკნიდან ზანტად, — ცხოვრებაში არანაირი ჯუნგლი არ უნახავს.

— ეჰ, რატომ აფუჭებ ყველაფერს, — წაიზუზუნა პეტრიშჩევმა და შეტრიალდა.

— მაგას ნუ უსმენთ, — განაგრძობდა ზანტი ხმის პატრონი, მელოტი, აწოწილი მამაკაცი, — რაც რუსეთიდან პარიზში მოხვდა, მას შემდეგ მხოლოდ გუშინწინ დატოვა იქაურობა.

— ლუჟინ, ნება მომეცი, გაგაცნო, — სიცილით დაიწყო პეტრიშჩევმა, მაგრამ ამასობაში ლუჟინი იქაურობას ნაჩქარევად გასცლოდა, თავი მხრებში ჩაერგო, სწრაფი სიარულისგან ოდნავ ირწეოდა და შიგადაშიგ კრთოდა კიდეც.

— წასულა, — თქვა გაოცებულმა პეტრიშჩევმა და ჩაფიქრებულმა დაამატა: — ბოლოს და ბოლოს, შესაძლოა, ვინმეში ამერია.

ლუჟინი კი ხან ვის შეეჯახებოდა, ხან — ვის, ნამტირალევი ხმით შესძახებდა „პარდონ, პარდონ!“ და მერე კვლავ ეჯახებოდა, ცდილობდა, სახეში არავისთვის შეეხედა, ცოლს ეძებდა და როდესაც მოულოდნელად დაინახა, უკნიდან ხელი იდაყვში ისე წაავლო, რომ იგი შეკრთა და შემობრუნდა. ლუჟინი ქოშინებდა, სიტყვის თქმაც ვერ მოეხერხებინა.

— რა მოხდა? — ჰკითხა შეშინებულმა ქალმა.

— წავიდეთ, წავიდეთ, — ჩაიბურტყუნა ლუჟინმა, თან იდაყვს ხელს არ უშვებდა.

— დამშვიდდით, ლუჟინ, გენაცვალე, ასე ნუ იქცევით, — უთხრა ცოლმა და ოდნავ გვერდზე გასწია, რათა არავის გაეგონა, — წასვლა რატომ გინდათ?

— იქ ერთი კაცია, — თქვა ლუჟინმა, რომელიც კვლავაც მძიმედ სუნთქავდა, — და ისეთი უსიამოვნო საუბრები.

— ვისაც ადრე იცნობდით? — ჰკითხა ცოლმა ჩუმად.

— დიახ, დიახ, — თავი დაუქნია ლუჟინმა, — წავიდეთ. გთხოვთ.

პეტრიშჩევს რომ არ შეემჩნია, ლუჟინმა თვალები მოჭუტა, წინა ოთახში გააღწია, ნომრის მოსაძებნად ჯიბეებში ხელი მოაფათურა და აფორიაქებისა და სასოწარკვეთილების რამდენიმე უსაშველოდ გაწელილი წამის შემდეგ მიაგნო კიდეც; მოუთმენლად ტკეპნიდა ერთ ადგილს, სანამ მეგარდერობე მთვარეულივით ეძებდა ნივთებს... პირველმა ჩაიცვა და პირველი გავიდა, ცოლი სწრაფად მიჰყვებოდა უკან და გზად თხუნელას ქურქის კალთებს ისწორებდა. ლუჟინმა მხოლოდ ავტომობილში ამოისუნთქა თავისუფლად და პირქუში დაბნეულობა ღიმილნარევი დამნაშავე გამომეტყველებით შეეცვალა.

— საყვარელ ლუჟინს არ ესიამოვნა, — უთხრა ცოლმა და ხელზე მოეფერა.

— სკოლის ამხანაგი, საეჭვო სუბიექტი, — განუმარტა ლუჟინმა.

— მაგრამ ახლა საყვარელი ლუჟინი თავს კარგად გრძნობს, — ჩაიჩურჩულა ქალმა და რბილ ხელზე აკოცა.

— ახლა ყველაფერმა გამიარა, — თქვა ლუჟინმა.

მაგრამ მთლად ასეც არ იყო. რაღაც დარჩა — გამოცანა, ხიჭვი. ღამღამობით იმაზე ფიქრობდა, თუ რატომ აღმოჩნდა ასეთი საშინელი ეს შეხვედრა. ცხადია, იყო ცალკეული უსიამოვნებები — ის, რომ პეტრიშჩევი ოდესღაც მას სკოლაში აწვალებდა, ახლა კი ირიბად რომელიღაც დახეული წიგნი გაახსენდა, და ისიც, რომ ეგზოტიკური საცდუნებლებით სავსე სამყარო ქარაფშუტა გონების ჰალუცინაცია გამოდგა, და ამიერიდან პროსპექტებს ველარ ენდობოდა. მაგრამ თვით შეხვედრა კი არ იყო საშინელება, არამედ რაღაც სხვა — ამ შეხვედრის საიდუმლო მნიშვნელობა, რომელიც უნდა დაედგინა. ყოველღამე დაძაბული ფიქრობდა, როგორც შერლოკი სიგარის ფერფლზე, — და თანდათანობით სულ უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ კომბინაცია იმაზე გაცილებით რთული იყო, ვიდრე თავიდან წარმოედგინა; რომ პეტრიშჩევთან შეხვედრა

მხოლოდ რაღაცის გაგრძელებას ნიშნავდა და უფრო ღრმად უნდა ეძებნა, უკან დაბრუნებულიყო, ყველა სვლა ავადმყოფობიდან მეჯლისამდე ხელახლა უნდა გადაეთამაშებინა.

13

მტრედისფერ საციგურაოზე (რომელიც ზაფხულში ჩოგბურთის კორტად გადაიქცეოდა ხოლმე), ოდნავ რომ დასდებოდა მშრალი თოვლი, დილით სახიფათოდ დაქროდნენ ქალაქელები, და სწორედ მაშინ, როდესაც იქვე, ტროტუარზე, ცოლ-ქმარი ლუჟინები მისეირნობდნენ, მოციგურავეთაგან ყველაზე მკვირცხლი, სვიტერიანი ახალგაზრდა მოხდენილად გასრიალდა ჰოლანდიური ნაბიჯებით და ყინულზე დაებერტყა. მოშორებით, პატარა სკვერში, წითლებში გამოწყობილი სამი წლის ბავშვი, მატყლის წინდებით შემოსილი ფეხებით, ბარბაცით გაემართა ტუმბოსკენ, მადისალმძვრელი პატარა ნამქერიდან ცერაწეული ხელით თოვლი მოხვეტა და პირისკენ გააქანა, რისთვისაც უკნიდან ხელი სტაცეს და კარგად შეახურეს.

— ოჰ, შე საბრალოვ, — თქვა ამის შემყურე ლუჟინამ.

გადათეთრებულ ქვაფენილზე ავტობუსმა გაიარა და ზედ ორი ფართო, შავი ზოლი დატოვა. მოლაპარაკე და მოთამაშე აპარატების მაღაზიიდან მუსიკის ხმა დაირხა და ვიღაცამ კარი მიხურა, რათა მუსიკა არ გაციებულიყო. დაბებკილპალტოიანი, მიწამდე ყურებჩამოყრილი ტაქსა შეჩერდა და თოვლი დაყნოსა. ლუჟინამ მოასწრო და მოეფერა. სახეს რაღაც მსუბუქი, მწვავე, მოთეთრო ჩხვლეტდა და თუ ცარიელ ცას ახედავდით, თვალებში ციცინათელები აცეკვდებოდნენ. ლუჟინას ფეხი დაუცდა და საყვედურით დაიხედა ნაცრისფერყელიან ფეხსაცმელებზე. რუსულ გასტრონომიულ მაღაზიასთან ნაცნობებს, ცოლ-ქმარ ალფეროვებს შეხვდნენ.

— რა სიცივეა! — შესძახა ალფეროვმა ყვითელი წვერის ქიცინით.

— არ მაკოცოთ, ხელთათმანი დასვრილია, — გააფრთხილა ლუჟინამ, ღიმილით შეხედა ალფეროვას ლამაზ, მუდამ სიცოცხლით სავსე სახეში და ჰკითხა, რატომ არ შემოგვივლითო.

— გასუქებულხართ, ჩემო ბატონო, — წაიბურტყუნა ალფეროვმა და ცელქი ღიმილით შეავლო თვალი ლუჟინის მუცელს, რომელსაც დაბამბული პალტო კიდევ უფრო ზრდიდა. ლუჟინმა ცოლს ვედრებით გადახედა.

— გთხოვთ, მობრძანდით, — თავის დაქნევით თქვა ქალმა.

— მოიცა, მაშენკა, იცი მათი ტელეფონი? — იკითხა ალფეროვმა, — იცი? კეთილი. აბა, კარგად, — როგორც საბჭოელები ამბობენ. ჩემი უმდაბლესი სალამი დედათქვენს.

— რაღაცნაირად უბედურია, — თქვა ლუჟინამ, ქმარს ხელკავი გამოსდო და ნაბიჯი შეანელა, რათა მისთვის ფეხი აეწყო, — მაგრამ მაშენკა... რა საყვარელია, როგორი თვალები აქვს... ასე სწრაფად ნუ მიდიხართ, ლუჟინ, ჩემო კარგო, — მოლიპულია.

თოვა შეწყდა, ცა ერთგან ოდნავ განათდა და იქ ბრტყელი, ფერმკრთალი მზის დისკო გაცურდა.

— დღეს ამ გზით წავიდეთ, მარჯვნივ, — შესთავაზა ლუჟინამ, — როგორც მახსოვს, ასე ჯერ არ გაგვივლია.

— ფორთოხალი, — თქვა ლუჟინმა და ხელჯოხით ფარდულისკენ მიუთითა.

— ვიყიდოთ? — ჰკითხა ცოლმა, — შეხედეთ, დაფაზე ცარცით წერია: შაქარივით ტკბილი.

— ფორთოხალი, — მადიანად გაიმეორა ლუჟინმა და გაახსენდა, როგორ ამტკიცებდა მამამისი, როცა ადამიანი „ლიმონს“ წარმოთქვამს, სახე უნებლიეთ უგრძელდება, ხოლო როცა — „ფორთოხალს“, ღიმილით სახე ებადრებაო. გამყიდველმა მარჯვედ გაუსწორა თავი ქაღალდის პარკს და შიგ ცივი, წითლად დაკენკილი ბურთულები ჩააწყო. ლუჟინი გზადაგზა ფორთოხალს ფცქვნიდა, თან იმის მოლოდინში, რომ წვენი თვალებში შეესხმებოდა, წინასწარ სახეს იჭმუხნიდა. ქერქს ჯიბეში იდებდა, რადგან თოვლზე ძალზე მკვეთრად გამოჩნდებოდა, და ამასთანავე, მათგან მურაბის გაკეთებაც შეიძლებოდა.

— გემრიელია? — ჰკითხა ცოლმა.

მან ბოლო ლებანიც გადასანსლა და კმაყოფილი ღიმილით დააპირა ცოლისთვის ხელკავის გამოდება, მაგრამ მოულოდნელად შეჩერდა და მიიხედ-მოიხედა. ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ

კუთხეში დაბრუნდა და ქუჩის დასახელებას შეხედა. მერე სწრაფად დაეწია ცოლს და ხელჯოხი უახლოესი სახლის მისამართით გაიშვირა, ჩვეულებრივი რუხი ქვის სახლისკენ, ქუჩისგან თუჯის ცხაურს მიღმა მდებარე ბალჩით რომ იყო გამოყოფილი.

— აქ მამაჩემი ცხოვრობდა, — თქვა ლუჟინმა, — ოცდათხუთმეტია.

— ოცდათხუთმეტია, — გაიმეორა ცოლმა, რომელმაც აღარ იცოდა, რა ეთქვა და ფანჯრებს შესცქეროდა. ლუჟინმა გზა განაგრძო, თან ხელჯოხით ცხაურზე თოვლს ჭრიდა. ცოტა რომ გაიარა, საწერი ქაღალდის მაღაზიის წინ შედგა, რომლის ფანჯარაშიც ორსახოვანი — ნაღვლიანი და მხიარული, — ცვილის მამაკაცი იდგა და პიჯაკს რიგრიგობით ხან მარცხნივ გადაიხსნიდა ხოლმე, ხან — მარჯვნივ: თეთრი ჟილეტის მარცხენა ჯიბეში ჩამაგრებული ავტოკალამი ამ სითეთრეზე მელანს აფრქვევდა, მარჯვნივ კი სხვა კალამი იდო, რომელსაც მელანი არასდროს გასდიოდა. ლუჟინს ორსახოვანი კაცი ძალიან მოეწონა, ისიც კი გაიფიქრა, ხომ არ ვიყიდოო.

— მომისმინეთ, ლუჟინ, — უთხრა ცოლმა, როდესაც ქმარმა ვიტრინის ცქერით გული იჯერა, — სულ მინდოდა თქვენთვის მეკითხა, — მამათქვენის გარდაცვალების შემდეგ, ალბათ, რაიმე ნივთები დარჩებოდა. სად არის ეს ყველაფერი?

ლუჟინმა მხრები აიჩეჩა.

— იყო ვიღაც ხრუშჩენკო, — ჩაიბურტყუნა მოგვიანებით.

— ვერ გავიგე, — კითხვის ტონით თქვა ცოლმა.

— პარიზში მომწერა, — უხალისოდ განუმარტა ლუჟინმა, — გარდაცვალება, დაკრძალვა და სხვა ამგვარიო; რომ მიცვალებულის შემდეგ დარჩენილი ნივთები მასთანაა.

— ოჰ, ლუჟინ, — ამოიხვნეშა ქალმა, — რას უშვრებით რუსულ ენას.

ქალმა ცოტა ხანს კიდევ იფიქრა და დაამატა:

— ჩემთვის სულ ერთია, მაგრამ ასე მგონია, გესიამოვნებოდათ, ეს ნივთები რომ გქონდეთ, — ასე ვთქვათ, სამახსოვროდ.

ლუჟინმა არაფერი უპასუხა. ქალმა წარმოიდგინა ეს ყველასთვის უსარგებლო საგნები, — შესაძლოა, მოხუცი ლუჟინის საწერი კალამი, რაღაც ქაღალდები, ფოტოსურათები, — და დასევდიანდა, გულში გაკიცხა კიდეც ქმარი ამგვარი გულქვაობისთვის.

— ერთი რამ კი აუცილებელია, — თქვა გადაჭრით, — სასაფლაოზე უნდა წავიდეთ და საფლავი ვნახოთ, იქნებ გავერანდა კიდეც.

— ცივა და შორსაა, — მიუგო ლუჟინმა.

— ამას ამ დღეებში გავაკეთებთ, — გადაწყვიტა ქალმა, — როცა გამოიდარებს. ფრთხილად, გეთაყვა, — ავტომობილია.

ამინდი გაუარესდა. ლუჟინს კარგად ახსოვდა უსიცოცხლო, უკაცრიელი ადგილი და სასაფლაოს ქარი, ამიტომ ცოლს სთხოვა, რომ საფლავზე გასვლა მომდევნო კვირისთვის გადაედოთ. უნდა ითქვას, რომ უჩვეულოდ ყინავდა. დაიხურა საციგურაო, რომელსაც საერთოდ არ უმართლებდა: გასულ ზამთარს სულ ლელი და ლელი, გუბეები ყინულის ნაცვლად, წელს კი ისეთი სიცივე, რომ სკოლის მოსწავლეები ციგურებისკენ არც კი იყურებოდნენ. პარკებში, თოვლზე, პატარა, მკერდგამაგრებული, ფეხებაფშეკილი ჩიტები ეყარნენ. გარემოს ზეგავლენით უნებისყოფო ვერცხლისწყალი სულ უფრო ეცემოდა. ზოოლოგიურ ბაღში პოლარული დათვებიც კი იბუზებოდნენ, ხვდებოდნენ, რომ დირექციამ გადაამლაშა.

ლუჟინების საცხოვრებელი ერთ-ერთი აღმოჩნდა იმ კეთილმოწყობილ, გმირული ცენტრალური გათბობის მქონე ბინათაგან, რომლებშიც ქურქითა და პლედით ჯდომა საჭირო არ იყო. ცოლის მშობლები, სიცივეს რომ ლამის გაეგიჟებინა, ხალისით სტუმრობდნენ ცენტრალურ გათბობას. ლუჟინი საწერ მაგიდასთან იჯდა გადარჩენილი ძველი პიჯაკით და გულმოდგინედ იხატავდა მის წინ დადებულ კუბს. სიმამრი კაბინეტში დადიოდა და გრძელ ზრდილობიან ანეკდოტებს ჰყვებოდა ან დივანზე გაზეთს კითხულობდა, ზოგჯერ ღრმად შეისუნთქავდა და ახველებდა. სიდედრი და ცოლი ჩაის მაგიდასთან რჩებოდნენ. კაბინეტიდან, ჩაბნელებული სასტუმროს მიღმა, სასადილოში, მოჩანდა კაშკაშა ყვითელი აბაჟური, ცოლის განათებული პროფილი წაბლისფერი ბუფეტის ფონზე, მისი შიშველი ხელები, რომლებიც შორს წაეწია, მაგიდას დაყრდნობოდა და თითებგადაჭდობილი ხან მხართან მიჰქონდა, ხანაც მოულოდნელად ნარნარად იწვდიდა და სუფრაზე დადებულ რაიმე ბრჭყვიალა ნივთს ეხებოდა. ლუჟინს კუბისთვის თავი მიენებებინა, სუფთა ფურცელი აეღო, ღილების ფორმის აკვარელისსაღებავებიანი თუნუქის ყუთი მოეშზადებინა

და ამ შორეთის დახატვას ცდილობდა, მაგრამ სანამ სახაზავის დახმარებით პერსპექტივის ხაზი გამოჰყავდა, სილრმეში რაღაც იცვლებოდა, ცოლი სასადილოს კაშკაშა ჭრილიდან უჩინარდებოდა, შუქი ქრებოდა, უფრო ახლოს, სასტუმრო ოთახში ინთებოდა, და უკვე არავითარი პერსპექტივა აღარ ჩანდა. საღებავებამდე საქმე იშვიათად მიდიოდა, და სიმართლე რომ ითქვას, ლუჟინი ფანქარს ამჯობინებდა. აკვარელის ნესტისგან ქაღალდი უსიამოვნოდ იბრიცებოდა, სველი საღებავები ერთმანეთს ერეოდა; ზოგჯერ შეუძლებელი იყო რომელიმე უკიდურესად ცხოველმყოფელ ბერლინურ ლაჟვარდთან გამკლავება, — მხოლოდ ფუნჯის წვერითაც რომ აგეღოთ, მაინც მთელ ემალს ეფინებოდა და გამზადებულ ტონს შთანთქავდა, წყალიც მომწვანო-მოლურჯო ხდებოდა ჭიქაში. იყო მკვრივი მილაკები ჩინური ტუშითა და თეთრათი, მაგრამ გამუდმებით იკარგებოდა თალფაქები, ყელი შრებოდა, ხელის დაჭერისას მილაკის ძირი სკდებოდა და იქიდან კლაკვნით მოიწევდა საღებავის მსხვილი ჭიაყელა. უნაყოფო ნათითხნი გამოდიოდა და უბრალო რამეც კი — ყვავილებიანი ლარნაკი ან რივიერის პროსპექტიდან გადმოღებული მზის ჩასვლა, — ლაქებიანი, ავადმყოფური და საშინელი გამოდიოდა. ლუჟინს ხატვა სიამოვნებდა. დახატა სიდედრი და იგი გაუნაწყენდა; დახატა ცოლი პროფილში, მან კი უთხრა, რომ თუ მართლა ასეთი იყო, მასზე არ უნდა ექორწინა; სამაგიეროდ, სიმამრის მაღალი, გახამებული საყელო გამოუვიდა კარგად. ლუჟინი სიამოვნებით თლიდა ფანქარს, ცერმიჭერილს თვალმოჭუტული მაღლა სწევდა, ქაღალდზე საშლელს ფრთხილად ამოძრავებდა, ფურცელს კი ხელისგულს აჭერდა, რადგან გამოცდილებით იცოდა, რომ სხვაგვარად იგი ტკაცუნით გაიჩენდა ნაკეცს. საშლელის ატომებს დელიკატურად უბერავდა სულს, რათა ხელის შეხებით ნახატი არ გაეჭუჭყიანებინა. ყველაზე მეტად ის უყვარდა, რითაც ცოლის რჩევით დაიწყო, რასაც გამუდმებით უბრუნდებოდა, — თეთრი კუბები, პირამიდები, ცილინდრები და თაბაშირის ორნამენტის ნატეხი, რომელიც ხატვის — სკოლაში ერთადერთ მისაღებ გაკვეთილს აგონებდა. წვრილი ხაზები ამშვიდებდა და ასჯერ მაინც გაავლებდა, სანამ საჭირო სისქეს, სიზუსტესა და სისუფთავეს არ

მიაღწევდა. კმაყოფილებას ანიჭებდა სწორი შტრიხებით ტუშვა, ნაზად და თანაბრად, არცთუ ძლიერად დაჭერა.

— მზადაა, — თქვა მან, ფურცელი წინ გასწია და წამწამებიდან დასრულებულ კუბს დახედა.

სიმამრმა პენსნე მოირგო, დიდხანს აკვირდებოდა და თავს აქნევდა. სასტუმრო ოთახიდან სიდედრი და ცოლი გამოვიდნენ და ყურადღებით მიაცქერდნენ.

— პატარა ჩრდილსაც კი იკეთებს, — თქვა ცოლმა, — ძალიან, ძალიან სიმპათიური კუბია.

— კარგი რამეა, ნამდვილი ფუტურიზმი, — დაასკვნა სიდედრმა.

ცალყბად მოღიმარმა ლუჟინმა ნახატი აიღო და კაბინეტის კედლები შეათვალიერა. კართან უკვე ეკიდა მისი ერთი ნამუშევარი: უფსკრულზე გადებულ ხიდზე მიმავალი მატარებელი. სასტუმრო ოთახშიც იყო რაღაც: თავის ქალა სატელეფონო წიგნზე. სასადილო ოთახში კი ზედმიწევნით მომრგვალებული რამდენიმე ფორთოხალი, რომლებიც ყველას რატომღაც პომიდორი ეგონა. საძინებელს ნახშირით გაკეთებული ბარელიეფი და კონუსსა და პირამიდას შორის კონფიდენციალური საუბარი ამშვენებდა. იგი კაბინეტიდან თვალების ცეცებით გავიდა, ცოლმა კი ამოიოხრა:

— საინტერესოა, სად დაკიდებს სურათს საყვარელი ლუჟინი.

— ჩემთვის შეტყობინება საჭიროდ არ ჩათვალეს, — დაიწყო დედამ და ნიკაპით მაგიდაზე დახვავებულ პროსპექტებზე მიუთითა.

— თვითონაც არ ვიცი, — თქვა ლუჟინამ, — ძალზე ძნელი გადასაწყვეტია, ყველგან სილამაზეა. ვფიქრობ, ჯერ ნიცაში გავემგზავრებით.

— მე იტალიურ ტბებს გირჩევდით, — ხმა ამოიღო მამამ, გაზეთი გვერდზე გადადო, პენსნე მოიხსნა და ამ ტბების მშვენიერებაზე მოჰყვა ლაპარაკს.

— ვშიშობ, მოგზაურობის შესახებ ამდენმა ლაპარაკმა მას უკვე თავი მოაბეზრა, — თქვა ლუჟინამ, — ერთ მშვენიერ დღეს უბრალოდ ჩავსხდებით მატარებელში და გავემგზავრებით.

— არა უადრეს აპრილისა, — შეევედრა დედა, — ხომ დამპირდი...

ლუჟინი კაბინეტში დაბრუნდა.

— აქ ჭიკარტებიანი კოლოფი მქონდა, — თქვა მან, მაგიდა მოათვალიერა და ჯიბეები მოისინჯა (ამასთან კვლავ, მესამედ თუ მეოთხედ იგრძნო, რომ მარცხენა ჯიბეში რაღაც ჰქონდა, — მაგრამ არა კოლოფი, — და ამის გამოკვლევისთვის არ ეცალა). ჭიკარტები მაგიდაზე აღმოჩნდა. ლუჟინმა აიღო და სწრაფად გავიდა.

— ჰო, სულ დამავიწყდა, შენთვის მეთქვა. წარმოიდგინე, დღეს დილით...

და მან შვილს უამბო, რომ რუსეთიდან მოულოდნელად ჩამოსულმა ერთმა ქალმა დაურეკა. ქალიშვილობისას იგი ხშირად სტუმრობდა მათ პეტერბურგში. აღმოჩნდა, რომ რამდენიმე წლის წინ საბჭოთა ვაჭარს თუ მოხელეს გაჰყოლოდა ცოლად — ზუსტად ვერ გაიგო — და ამ კურორტზე მიმავალი, სადაც ქმარი დასასვენებლად და ძალების აღსადგენად გამგზავრებულიყო, ორიოდე კვირით ბერლინში გაჩერდა.

— როგორღაც მეუხერხულება, რომ სტუმრად მეწვიოს ხოლმე, მაგრამ ისეთი აბეზარია... მიკვირს, ჩემთან დარეკვის რომ არ ეშინია. მათთან, სოვდეპიაში[1], თუ გაიგეს, რომ ჩემთან დარეკა...

— ოჰ, დედა, ის, ალბათ, ძალზე უბედური ქალია, დროებით თავისუფლება ეღირსა, უნდა, რომ ვინმე მოინახულოს.

— ჰოდა, მაშინ შენ გადმოგილოცავ, — შვებით ამოისუნთქა დედამ, — მით უმეტეს, რომ შენთან თბილა.

ერთხელაც, რამდენიმე დღის შემდეგ, შუადღეს, ეს ჩამოსული ქალიც გამოჩნდა. ლუჟინი ჯერ არ ამდგარიყო, რადგან ღამით ცუდად ეძინა. კოშმარებით შეპყრობილს ორჯერ გაეღვიძა ხორხისმიერი ყვირილით, და ახლა ლუჟინას სტუმრებისთვის ნაკლებად ეცალა. ჩამოსული გამხდარი, ცოცხალი, ზომიერად ფერუმარილწასმული და თმაშეკრეჭილი ქალი აღმოჩნდა. მის ჩაცმულობაში, — ამაში იგი ლუჟინას ჰგავდა, — არცთუ იაფი უბრალოება მოჩანდა. თითოეული მათგანი თანამოსაუბრეს არწმუნებდა, რომ სულ არ შეცვლილიყო, პირიქით, გამშვენიერებულიყო. ამ ლაპარაკით შევიდნენ კაბინეტში, სადაც სასტუმრო ოთახთან შედარებით სიმყუდროვე სუფევდა. ჩამოსულს თავში გაუელვა, რომ ათი-თორმეტი წლის წინ საკმაოდ მოხდენილი,

[1] *სოვდეპია — საბჭოთა კავშირი, საბჭოთა ხელისუფლება (აგდებულად).*

მოძრავი ლუჟინა უფრო ტანსრული, ფერმკრთალი და ჩუმი გამხდარიყო; ლუჟინამ კი აღმოაჩინა, რომ მორიდებული, სიტყვაძუნწი ქალიშვილი, ოდესღაც მათთან რომ დაიარებოდა და სტუდენტზე იყო შეყვარებული, — იმ სტუდენტმა შემდგომში თავი მოიკლა, — ძალზე საინტერესო და თავდაჯერებულ ქალბატონად ქცეულიყო.

— ესეც თქვენი ბერლინი... დიდად გმადლობთ. სიცივით კინაღამ ფეხები გავფშიკე. ჩვენთან, ლენინგრადში, უფრო თბილა, ღმერთმანი, უფრო თბილა.

— როგორია ის, პეტერბურგი? ძალიან კი შეიცვლებოდა, — იკითხა ლუჟინამ.

— რასაკვირველია, შეიცვალა, — მხნედ უპასუხა ჩამოსულმა.

— და მძიმე, მძიმე ცხოვრება, — თავის ქნევით თქვა ფიქრებში წასულმა ლუჟინამ.

— ოჰ, რა სისულელეა! მსგავსი არაფერია. ჩვენთან მუშაობენ, აშენებენ. ჩემი ბიჭიც კი, — რას მეუბნებით, არ იცოდით, ბიჭი რომ მყავდა? — აბა, როგორ, აბა, როგორ! ისეთი საყვარელი ბუთხუზაა, — ჰოდა, ჩემი მიტიაც კი ამბობს, რომ „ჩვენთან, ლენინგრადში, ყველა მუსაობს, ბელინში კი ბულზუები არაფერს აკეთებენ“. და, საერთოდ, მიაჩნია, რომ ბერლინში გაცილებით ცუდია, არაფრის ნახვაც კი არ უნდა. რომ იცოდეთ, როგორი დაკვირვებული და ალღოიანია... არა, სერიოზულად რომ ვთქვათ, ბავშვი მართალია. თვითონაც ვგრძნობ, რამდენით გავუსწარით ევროპას. თუნდაც ჩვენი თეატრი ავიღოთ. თქვენთან, ევროპაში, თეატრი არც კი არის, არ არის. გამიგეთ, კომუნისტებს სულაც არ ვაქებ. მაგრამ ერთი რამ უნდა ვაღიაროთ: ისინი წინ იყურებიან, აშენებენ. გამალებული მშენებლობაა.

— პოლიტიკის არაფერი გამეგება, — საცოდავად ჩაურთო ლუჟინამ, — მაგრამ ასე მგონია...

— მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ფართო გაქანებაა საჭირო, — სწრაფად განაგრძობდა ჩამოსული, — მე, მაგალითად, ჩამოსვლისთანავე ვიყიდე ემიგრანტების გაზეთი. ქმარმა მითხრა კიდეც, ისე, ხუმრობით: „რატომ ხარჯავ, ქალო, ფულს ამ ნაგავში?“ გაცილებით უწმაწური სიტყვები იხმარა, მაგრამ ზრდილობის გუ-

ლისთვის ასე ვთქვათ. მე კი: — არა-მეთქი, ვეუბნები, ყველაფერი უნდა ვნახოთ, ყველაფერი გავიგოთ, სრულიად მიუკერძოებლად. და წარმოიდგინეთ, — ვშლი გაზეთს და იქ ისეთი ცილისწამებაა, ისეთი სიცრუე, გაცვეთილი ფრაზები.

— რუსულ გაზეთებს იშვიათად ვხედავ, — დამნაშავესავით თქვა ლუჟინამ, — აი, დედა კი იღებს, თუ არ ვცდები, სერბეთიდან...

— ურთიერთთავდებობა, — ველარ ჩერდებოდა ჩამოსული, — მხოლოდ ლანძღვა, კარგის სათქმელად ხმის ამოღებასაც კი ვერავინ ბედავს.

— მოდით, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, — დაბნეულად თქვა ლუჟინამ, — ამის გამოხატვა არ შემიძლია, მიჭირს სიტყვების შერჩევა, მაგრამ ვგრძნობ, რომ ცდებით. აი, თუ ჩემს მშობლებთან ინებებთ ამ საკითხზე საუბარს (ამას რომ ამბობდა, ლუჟინამ ერთგვარი სიამოვნებითაც კი წარმოიდგინა დედის გადმოქაჩული თვალები და ფარშავანგისებური შეძახილები)...

— დიახ, თქვენ ჯერ პატარა ხართ, — შემწყნარებლურად გაიღიმა ჩამოსულმა, — მომიყევით, რას აკეთებთ, ქმარი რას საქმიანობს, როგორია.

— ადრე ჭადრაკს თამაშობდა, — მიუგო ლუჟინამ, — შესანიშნავად თამაშობდა. მაგრამ მერე გადაიღალა და ახლა ისვენებს. გთხოვთ, ჭადრაკზე არ ესაუბროთ.

— დიახ, დიახ, ვიცი, რომ მოჭადრაკეა, — თქვა ჩამოსულმა, — მაგრამ ვინ არის? რეაქციონერი? თეთრგვარდიელი?

— რაღა დაგიმალოთ და, არც კი ვიცი, — გაეცინა ლუჟინას.

— მის შესახებ ზოგი რამ მსმენია, — განაგრძობდა ჩამოსული, — როდესაც თქვენმა maman[1]-მა თქვა, რომ ცოლად ლუჟინს გაჰყევით, მაშინვე გავიფიქრე, სწორედ ის იქნება-მეთქი. ლენინგრადში ერთი კარგი ნაცნობი მყავდა, რომელიც მიყვებოდა, — როგორ გითხრათ, აი, ისეთი, გულუბრყვილო სიამაყით, — თუ როგორ ასწავლა თავის პატარა დისშვილს ჭადრაკის თამაში და როგორ გახდა ის შემდგომში ძალიან...

ამ დროს გვერდით მდებარე სასტუმრო ოთახიდან უცნაური ხმაური მოისმა, თითქოს ვიღაც დაშავდა და შეჰყვირა.

---

[1] *Maman — დედა (ფრ.).*

— ერთი წუთით, — თქვა ლუჟინამ, დივნიდან წამოხტა და იმ ოთახის კარის შელება დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და წინკარიდან შევიდა.

სრულიად მოულოდნელად ლუჟინი იხილა. ხალათი და საღამური ფეხსაცმელები ეცვა, ცალ ხელში ფუნთუშის ნაჭერი ეჭირა, — მაგრამ, ცხადია, ეს სულაც არ იყო გასაოცარი, — მისმა აღელვებამ, თრთოლამ განაცვიფრა, — სახე დაღრეჯოდა, გაბრწყინებული თვალები გაფართოებოდა, თითქოსდა გასივებულ შუბლზე ძარღვი ამობურცოდა. ცოლს ყურადღება არც კი მიაქცია, იდგა პირდაღებული და კაბინეტისკენ იყურებოდა. შემდეგ წამს გაირკვა, რომ ეს სიხარულით გამოწვეული მღელვარება იყო. ცოლს კბილები მხიარულად გაუტკაცუნა და ნელა დატრიალდა, კინაღამ პალმა გადააყირავა, ცალი ფეხსაცმელი დაკარგა, რომელიც ფეხიდან გასძვრა და ცოცხალივით გასრიალდა სასადილო ოთახისკენ, სადაც კაკაოს ორთქლი ასდიოდა. თვითონაც მარდად მიჰყვა.

— მე არა, არაფერი, — ეშმაკურად თქვა ლუჟინმა და იმ ადამიანივით, საიდუმლოს აღმოჩენით რომ ტკბება, ხელები მუხლებზე დაირტყა, თვალები დახუჭა და თავის ქნევას მოჰყვა.

— ეს ქალბატონი რუსეთიდანაა, — გამომცდელად უთხრა ცოლმა, — დეიდათქვენს იცნობს, რომელმაც, — ერთი სიტყვით, თქვენს ერთ-ერთ დეიდას.

— შესანიშნავია, შესანიშნავი, — თქვა ლუჟინმა და სიცილი აუტყდა.

— რისი მეშინია? — გაიფიქრა ქალმა, — უბრალოდ უხარია, კარგ გუნებაზე გაიღვიძა. იქნებ უნდოდა...

— რაიმე ხუმრობაა, ლუჟინ?

— დიახ, დიახ, — თქვა ლუჟინმა და თავის დასაძვრენად დაამატა: — მინდოდა ხალათით წარვდგომოდი.

— აი, ჩვენ ვმხიარულობთ, ეს კარგია, — თქვა ქალმა ღიმილით, — ჯერ შეჭამეთ, მერე კი ჩაიცვით. დღეს თითქოს ცოტათი უნდა დათბეს.

ლუჟინამ ქმარი სასადილო ოთახში დატოვა და სწრაფად დაბრუნდა კაბინეტში. სტუმარი დივანზე იჯდა და სამეგზურო ბროშურის გვერდებზე შვეიცარიის ხედებს ათვალიერებდა.

— მომისმინეთ, — თქვა მან ლუჟინას დანახვაზე, — ცოტა უნდა გაგაწვალოთ. რაღაცის ყიდვა მინდა, მაგრამ წარმოდგენა არა მაქვს საუკეთესო მაღაზიების შესახებ. გუშინ მთელი საათი ვიტრინის წინ გავატარე, ვიდექი და ვფიქრობდი, იქნებ უკეთესი მაღაზიებიც არის-მეთქი, თანაც გერმანულშიც მოვიკოჭლებ...

ლუჟინი კვლავაც სასადილოში იჯდა და შიგადაშიგ მუხლებზე ხელებს ირტყამდა. სასიხარულო მიზეზი მართლაც ჰქონდა. კომბინაცია, რომლის ამოხსნაზეც მეჯლისის მერე წვალობდა, მოულოდნელად, მეორე ოთახიდან გამოფრენილი შემთხვევითი ფრაზის წყალობით, თვალწინ გადაეშალა. პირველ წუთებში მხოლოდ მოჭადრაკის მძაფრი სიხარული ეწვია, სიამაყეც, შვებაც და შემოქმედი ხალხისთვის დამახასიათებელი ჰარმონიის ფიზიოლოგიური შეგრძნებაც. კიდევ მრავალი წვრილმანი მოძრაობა შეასრულა, სანამ თავისი არაჩვეულებრივი აღმოჩენის არსს ჩასწვდებოდა, — კაკაო დალია, გაიპარსა, საკინძე ახალ პერანგზე გადაიტანა. და უეცრად სიხარული გაქრა და მღვრიე, შეშხარავი საშინელება დაატყდა თავს. და როგორც ნამდვილი თამაშისას დაფაზე ბუნდოვნად მეორდება რომელიღაც თეორიული, საჭადრაკო ამოცანისთვის დამახასიათებელი კომბინაცია, ცხოვრებაშიც ასევე ისახებოდა მისთვის ცნობილი სქემის თანამიმდევრული გამეორება. როგორც კი გაქრა პირველი სიხარული იმისა, რომ ამ გამეორების ფაქტის დადგენა მოახერხა, როგორც კი დაწვრილებით შეუდგა თავისი აღმოჩენის შესწავლას, ლუჟინი შეძრწუნდა. სიყვარულითა და იმავდროულად ძრწოლით ადევნებდა თვალს, როგორ საშინლად, დახვეწილად, მოქნილად მეორდებოდა ამ დროის განმავლობაში სვლა სვლაში, მისი ბავშვობის სურათები (კარ-მიდამო, ქალაქი, სკოლა და პეტერბურგელი დეიდა), მაგრამ ბოლომდე ვერ გაეგო, რით იყო ეს კომბინაციური განმეორება სულისთვის ასე შემაძრწუნებელი. ერთს კი აშკარად გრძნობდა: გარკვეულ სინანულს, რომ ამდენ ხანს ვერ ამჩნევდა ამ ეშმაკურ სვლათაწყობას, და ახლა, რომელიმე წვრილმანის გახსენებისას, — ისინი კი იმდენი იყო და ზოგჯერ ისე ოსტატურად მოწოდებული, რომ გამეორება თითქმის არ შეიმჩნეოდა, — ლუჟინი საკუთარ თავზე ბრაზობდა, რომ დროულად არ გაახსენდა, ინიციატივა ხელში არ

აიღო და ნდობით დაბრმავებულმა კომბინაციის განვითარების შესაძლებლობა მისცა. გადაწყვიტა, მომავალში მეტი წინდახედულობა გამოეჩინა; შემდეგი სვლებისთვის, თუ ასეთი კიდევ იქნებოდა, თვალი მიედევნებინა; და, რა თქმა უნდა, თავისი აღმოჩენა ყველასგან საიდუმლოდ შეენახა, თავი მხიარულად, ძალზე მხიარულად მოეჩვენებინა. მაგრამ იმ დღის მერე მოსვენება დაკარგა, — კარგი იქნებოდა, თუ ამ მზაკვრული კომბინაციის წინააღმდეგ თავდაცვას მოიგონებდა, მისგან გათავისუფლდებოდა. ამისათვის კი მისი საბოლოო მიზანი, საბედისწერო მიმართულება უნდა გამოეცნო, რასაც ჯერჯერობით ვერ ახერხებდა. იმის გაფიქრებაც კი, რომ განმეორება, შესაძლოა, კვლავაც გაგრძელებულიყო, ისე აშინებდა, რომ ცხოვრების საათის გაჩერება, საერთოდ თამაშის შეწყვეტა, გარინდება სურდა. ამასთან, ამჩნევდა, რომ არსებობას განაგრძობდა, რაღაც მზადდებოდა, მოცოცავდა, ვითარდებოდა, და მოძრაობის შეჩერება მის ძალებს აღემატებოდა.

შესაძლებელია, ცოლს მალევე შეემჩნია ლუჟინში მომხდარი ცვლილება, მისი უმეტყველო მხიარულება მოღუშვის პერიოდებს შორის, მასთან ერთად მეტი დრო რომ გაეტარებინა ამ დღეებში. მაგრამ ისე მოხდა, რომ სწორედ მაშინ შეუჩნდა, დაპირების თანახმად, აბეზარი ქალი რუსეთიდან — საათობით დაატარებდა მაღაზიებში, აუჩქარებლად იზომავდა შლაპებს, კაბებსა და ფეხსაცმელებს, და გვიანობამდე რჩებოდა ლუჟინებთან. კვლავინდებურად იმაზე ლაპარაკობდა, რომ ევროპაში თეატრი არ არსებობდა, გულცივი სიმსუბუქით წარმოთქვამდა „ლენინგრადს“, ლუჟინას კი იგი რატომღაც ებრალებოდა, დაჰყვებოდა კაფეში, მისი შვილისთვის, პირქუში და მსუქანი ბიჭისთვის, უცხოთა თანდასწრებით სიტყვის თქმასაც კი რომ ვერ ახერხებდა, სათამაშოებს ყიდულობდა, რომელთაც იგი უხალისოდ და შიშით იღებდა, ამასთან დედამისი ამტკიცებდა, აქ არაფერი მოსწონს და თავის პატარა პიონერებთან დაბრუნებაზე ოცნებობსო. ქალი ლუჟინის მშობლებსაც შეხვდა, მაგრამ პოლიტიკაზე საუბარი, სამწუხაროდ, არ შედგა. ძველ ნაცნობებს იხსენებდნენ, ლუჟინი კი უსიტყვოდ და გულისყურით ამარაგებდა მიტიას შოკოლადის კანფეტებით, და მიტიაც მათ უსიტყვოდ და გულისყურით ნთქავ-

და, მერე კი ძალიან გაწითლდა და ოთახიდან საჩქაროდ გაიყვანეს. ამინდი ცოტათი დათბა და ლუჟინამ უკვე ორჯერ უთხრა ქმარს, როგორც კი ეს საბრალო ქალი თავის საბრალო შვილთან ერთად გაემგზავრება, მეორე დღესვე აუცილებლად სასაფლაოზე უნდა წავიდეთო. ლუჟინი თავს უქნევდა, გულმოდგინედ იღიმებოდა. საწერი მანქანისთვის, გეოგრაფიისა და ხატვისთვის თავი მიენებებინა. უკვე იცოდა, რომ ეს ყველაფერი კომბინაციაში შედიოდა, ბავშვობაში დაფიქსირებული სვლების ძნელმისახვედრი გამეორება იყო. დღეები უაზროდ გადიოდა: ლუჟინა გრძნობდა, რომ ქმრის გუნება-განწყობისადმი საკმარის ყურადღებას ვერ იჩენდა, რაღაც ხელიდან უსხლტებოდა, მაგრამ კვლავაც ზრდილობიანად უსმენდა ჩამოსულის ლაქლაქს, ნოქრებს მის მოთხოვნებს უთარგმნიდა. განსაკუთრებით უსიამოვნო იყო ისეთი შემთხვევები, როცა რომელიმე, უკვე ჩანაცვამი ფეხსაცმელი რატომღაც უვარგისი აღმოჩნდებოდა და მასთან ერთად მაღაზიაში წასვლა უწევდა, სადაც სახეაწითლებული ქალბატონი რუსულად კიცხავდა ფირმას, ფეხსაცმლის შეცვლას მოითხოვდა და საჭირო ხდებოდა მისი დამშვიდება, მკვახე სიტყვების გერმანულ ენაზე შერბილება. საღამოს, გამგზავრების წინადღეს, ქალი მიტიასთან ერთად გამოსამშვიდობებლად მოვიდა, შვილი კაბინეტში დატოვა, თვითონ კი ლუჟინასთან ერთად საძინებელში გავიდა, რომელმაც უკვე მეასეჯერ უჩვენა თავისი გარდერობი. მიტია დივანზე იჯდა, მუხლს იფხანდა და ცდილობდა, ლუჟინისთვის არ შეეხედა, რომელმაც ასევე არ იცოდა, საით გაეხედა და ფიქრობდა, გათქვირებული ბავშვი რით გაერთო.

— ტელეფონი! — წამოიძახა ბოლოს წვრილი ხმით, თითი აპარატისკენ გაიშვირა და მოჩვენებითი გაოცებით გადაიხარხარა. მაგრამ მიტიამ წარბშეკვრით გააყოლა თვალი ლუჟინის თითს და ქვედა ტუჩი ოდნავ გადმოუბრუნდა.

— მატარებელი და უფსკრული! — კვლავ მოსინჯა ლუჟინმა და მეორე ხელი კედელზე ჩამოკიდებული თავისი ნახატისკენ გაიწვდინა.

მიტიას მარცხენა ნესტო მბრწყინავი წვეთით გაევსო და გულგრილი მზერით წვინტლი შეისრუტა.

— ერთი ღვთაებრივი კომედიის ავტორი! — იყვირა ლუჟინმა და ხელი დანტეს ბიუსტთან მიიტანა. დუმილი, მსუბუქი სრუტუნი. ლუჟინი დაიღალა სატანვარჯიშო მოძრაობების კეთებით და გაიტრუნა. შემდეგ იმაზე დაფიქრდა, სასადილო ოთახში კანფეტები თუ არისო. სასტუმრო ოთახში გრამოფონის ჩართვა დააპირა, მაგრამ დივანზე მოკალათებული ბიჭი მხოლოდ თავისი ყოფნითაც კი აჰიპნოზებდა და ოთახიდან გასვლას ვეღარ ახერხებდა.

— აი, სათამაშო რომ იყოს, — თქვა თავისთვის, მაგიდას დახედა, თვალით შეადარა ქაღალდის საჭრელი დანა ბავშვის ცნობისმოყვარეობას, მიხვდა, რომ აქედან სახეირო არაფერი გამოვიდოდა და სასოწარკვეთილი შეუდგა ჯიბეების ქექვას. ამ დროს კვლავ, უკვე მერამდენედ, იგრძნო, რომ, თუმცა მარცხენა ჯიბე ცარიელი ჰქონდა, რაღაც ჯადოსნობით, იქ არახელშესახები რამ იდო. გაიფიქრა, ამგვარი ფენომენი მაინც დაინტერესებს მიტიასო, გვერდით მიუჯდა დივნის კიდეზე და თვალი ეშმაკურად ჩაუკრა.

— ფოკუსი, — თქვა მან და დაანახა, რომ ჯიბე ცარიელი ჰქონდა.

— ამ ნახვრეტს ფოკუსთან კავშირი არა აქვს, — განუმარტა ბავშვს.

მიტია უხალისოდ და უნდოდ აკვირდებოდა მის მოძრაობას.

— აქ რაღაც მაინც არის! — წამოიძახა ლუჟინმა აღტაცებით და კვლავ ჩაუკრა თვალი.

— სარჩულში, — გამოცრა მიტიამ, მხარი აიჩეჩა და ზურგი აქცია.

— სწორია! — მოჩვენებითი აღფრთოვანებით შესძახა ლუჟინმა და ცალი ხელი ისევ ნახვრეტში ჩაყო, მეორით კი პიჯაკის კალთა ეჭირა. ჯერ რაღაცის წითელი წვერი გამოჩნდა, მერე კი მთლიანი ნივთი — ტყავის ბრტყელი უბის წიგნაკის მსგავსი რამ.

ლუჟინმა შეხედა, წარბებაწეულმა ხელში შეატრიალ-შემოატრიალა, გვერდიდან პატარა ჩამკეტი ახსნა და ფრთხილად გაშალა. ეს უბის წიგნაკი კი არა, ტარსიკონის ერთი ციცქნა დასაკეცი ჭადრაკის დაფა იყო. ლუჟინს იმწამსვე გაახსენდა, რომ ეს ნივთი პარიზის კლუბში მისცეს, ისევე, როგორც იქ გამართული ტურნირის ყველა მონაწილეს — რომელიღაც ფირმის სარეკლამო საჩუქარი თუ კლუბის სამახსოვრო. დაფის გვერდებზე, პატარა

ჯიბეებში, ცელულოიდის ცეროდენა, ფრჩხილისმაგვარი საგნები ეწყო ჭადრაკის ფიგურების გამოსახულებებით. ისინი ისე იდებოდა, რომ მახვილი მხარე თითოეული კვადრატის ქვედა ნაწილში გაკეთებულ წვრილ ხვრელში შედიოდა, მომრგვალებული მხარე, ზედ დახატული ფიგურით კი — კვადრატზე ბრტყლად განთავსდებოდა. ძალზე აკურატულად გამოიყურებოდა — პატარა თეთრ-წითელი დაფა, ცელულოიდის კოხტა ფრჩხილები, ოქროტვიფრული ასოები დაფის ჰორიზონტალური კიდის გასწვრივ და ოქროს ციფრები ვერტიკალურის გასწვრივ. სიამოვნებისგან პირდაღებული ლუჟინი ფრჩხილების ჩასმას შეუდგა, — ჯერ მხოლოდ პაიკების მწკრივი მეორე ხაზზე, — მაგრამ მერე გადაიფიქრა, ფრთხილად, თითის წვერებით აიღო ჩასარჭობი გამოსახულებები და ტურატისთან შეწყვეტილი პარტიის პოზიცია დააწყო. ეს მყისიერად გააკეთა და საქმის მატერიალური მხარე მაშინვე მოიხსნა: ხელისგულზე გაშლილი პატარა დაფა არახელშესახები და უწონო გახდა, ტარსიკონი ვარდისფერ ლექად დადნა, ყველაფერი გაქრა რთული, მწვავე, უსაზღვრო შესაძლებლობებით გაჯერებული ჭადრაკის პოზიციის გარდა. ლუჟინს საფეთქელზე თითი მიედო და ისე ჩაფიქრებულიყო, რომ ვერც კი შეამჩნია, როგორ ჩამოძვრა დივანიდან მოწყენილი მიტია და ფეხზე მდგარი ლამპის შავ სვეტს დაეჯაჯგურა. უეცრად სვეტი გადაიხარა და შუქი ჩაქრა. ლუჟინი გამოფხიზლდა, მაგრამ ჩამოწოლილ წყვდიადში თავდაპირველად ვერც კი მიხვდა, სად იმყოფებოდა და ირგვლივ რა ხდებოდა. სადღაც, გვერდით, უხილავი არსება ცქმუტავდა და ყიყინის მსგავს ხმას გამოსცემდა. მოულოდნელად ნარინჯისფერი აბაჟური კვლავ აკაშკაშდა გამჭვირვალე შუქით და გამოჩნდა ფერმკრთალი, თავგადაპარსული ბიჭი, რომელიც მუხლებზე იდგა და ზონარს ასწორებდა. ლუჟინი შეკრთა და დაფა ხმაურით დახურა. მისი საშინელი, პატარა ორეული, პატარა ლუჟინი, ვისთვისაც ეს ფიგურები დაეწყოთ, ნოხზე გაფოფხდა... ასეთი რამ არაერთხელ მომხდარა... იგი კვლავ გაება, ვერ მიხვდა, როგორ განმეორდებოდა ნაცნობი თემა ცოცხალ თამაშში. შემდეგ წამს ყველაფერი გაწონასწორდა: მიტია ქშენით ამვრა დივანზე; ნარინჯისფერი ლამპის ირგვლივ მსუბუქ ბინდბუნდში რწევა-რწევით დაცურავდა ლუჟინის კაბინეტი; ტარ-

სიკონის წითელი წიგნაკი უწყინრად იდო ნოხზე, მაგრამ ლუჟინმა იცოდა, რომ ეს ყველაფერი სიცრუე იყო, კომბინაცია ბოლომდე არ მისულიყო და მალე ახალი, საბედისწერო გამეორება დაისახებოდა. იგი სწრაფად დაიხარა, ხელი დასტაცა და ჯიბისკენ გააქანა ნივთიერი სიმბოლო იმისა, რაც კვლავ ასე ტკბილად და მტკიცედ დაუფლებოდა მის წარმოსახვას; უნდოდა მოეფიქრებინა, თუ სად შეიძლებოდა კიდევ უფრო უხიფათოდ დამალვა, მაგრამ ამ დროს ხმები მოესმა. ცოლი სტუმართან ერთად შემოვიდა და ორივენი მისკენ გამოცურდნენ თამბაქოს კვამლში.

— მიტია, ადექი, დროა. დიახ, დიახ, საყვარელო, კიდევ იმდენი რამ მაქვს ჩასალაგებელი... — თქვა ქალბატონმა, ლუჟინთან მივიდა და დაეშვიდობა.

— ძალიან გამიხარდა თქვენი გაცნობა, — უთხრა და გულში მრავალჯერ ნაფიქრმა გაუელვა: „რა ტიპია, ნამდვილი ბოთე!“

— ძალიან გამიხარდა. აი, დეიდათქვენს მოვუყვები, მისი პატარა მოჭადრაკე რომ ვნახე, ახლა უკვე დიდი და სახელგანთქმული...

— აუცილებლად გვეწვიეთ აქეთობისას, — ნაჩქარევად და ხმამაღლა გააწყვეტინა ლუჟინამ და პირველად შეხედა სიძულვილით მოღიმარ, ლუქივით წითელ ტუჩებსა და უსაშველოდ სულელურ თვალებს.

— აბა, რა, ეგ თავისთავად. მიტია, ადექი და დაეშვიდობე!

მიტიამ ეს ოდნავი ზიზღით გააკეთა და ყველანი წინკარში გავიდნენ.

— თქვენთან, ბერლინში, სახლიდან გასვლა ნამდვილი წვალებაა, — დამცინავად თქვა ქალმა, როცა დაინახა, რომ ლუჟინი სადგამიდან გასაღებს იღებდა.

— არა, ჩვენთან ლიფტია, — უადგილოდ უპასუხა ლუჟინამ, რომელიც ლამის თავშეუკავებლობამდე მისული მოუთმენლობით ოცნებობდა ქალბატონის წასვლაზე და ქმარს წარბით ანიშნა, ზღვის კატის ქურქი მიაწოდეო.

ლუჟინმა საკიდრიდან ბავშვის პალტო ჩამოხსნა... მაგრამ ამ დროს, საბედნიეროდ, მოახლემ მოუსწრო.

— ნახვამდის, ნახვამდის, — თავს უკრავდა ლუჟინა და კარში იდგა, სანამ სტუმრები მოახლის თანხლებით ლიფტში არ შევიდნენ.

ცოლის მხარს ზემოდან ლუჟინმა დაინახა, როგორ შეძვრა მიტია კაბინაში, მერე კი ორივე ნახევარკარი დაიხურა და ლიფტი, რკინის გალიითურთ, ჩაიძირა და გაქრა. ლუჟინა კაბინეტში შევარდა და დივანზე პირქვე დაემხო. კაცი გვერდით მიუჯდა და გულის სიღრმეში გაჭირვებით შეუდგა შესაფერისი ღიმილის გამომუშავებას, დაწებებასა და შეკერვას, რათა გამზადებული ჰქონოდა იმ მომენტისთვის, როდესაც ცოლი მზერას მიაჰყრობდა. ცოლი მისკენ მიბრუნდა. საკვსებით ნორმალური ღიმილი გამოვიდა.

— უჰ, — ამოიხვნეშა ლუჟინამ, — ძლივს არ მოვიცილეთ თავიდან, — მერე ქმარს მოეხვია და კოცნა დაუწყო — ჯერ მარჯვენა თვალში, მერე ნიკაპზე, მერე მარცხენა ყურში, — მკაცრად იცავდა მეუღლის მიერ მოწონებულ თანამიმდევრობას.

— გამოიდარეთ, გამოიდარეთ, — იმეორებდა იგი, — წაბრძანდა ის ქალბატონი, გაქრა.

— გაქრა, — მორჩილად თქვა ლუჟინმა, ამოიხვნეშა და ცოლს იმ ხელზე აკოცა, კისერზე რომ უთათუნებდა.

— რა სინაზეა, — ჩაიჩურჩულა ქალმა, — ოჰ, რა საყვარელი სინაზეა...

დაძინების დრო მოსულიყო და იგი გასახდელად წავიდა, ლუჟინი კი ოთახებში დაბორიალებდა და ჯიბის ჭადრაკის დასამალავად შესაფერის ადგილს ეძებდა. ყველგან სახიფათო იყო. დილაობით მტაცებელი მტვერსასრუტი სრულიად წარმოუდგენელ ადგილებში ყოფდა თავის ხორთუმს. ძნელი, ძალიან ძნელი აღმოჩნდა ნივთის დამალვა. სხვა საგნები, მაგრად რომ ჩაბღაუჭებოდნენ მათთვის განკუთვნილ ადგილებს, ეჭვიანები და უსულგულოები იყვნენ და არც ერთ ხვრელს არ გააკარებდნენ უსახლკარო, მდევრებისგან დევნილ ნივთს. იმ საღამოს ვერსად მოახერხა ტარსიკონის წიგნაკის დამალვა, მერე კი გადაწყვიტა, საერთოდ აღარ დაემალა და თავიდან მოეშორებინა, მაგრამ ესეც ვერ მოახერხა. ასე დარჩა პატარა ჭადრაკი სარჩულში და მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ყოველგვარი საფრთხე დიდი ხნის ჩავლილი იყო, გამოჩნდა, მაგრამ მისი წარმოშობის ისტორია უკვე ბურუსით იყო მოცული.

ლუჟინა საკუთარ თავს გამოუტყდა, რომ მისთვის უკვალოდ როდი ჩაევლო რუსეთიდან ჩამოსულ ქალბატონთან გატარებულ სამ კვირას. სტუმრის მსჯელობაში ბევრი ტყუილი და უაზრობა იყო, მაგრამ როგორ დაემტკიცებინა? შეძრწუნდა იმის გამო, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თითქმის არ ინტერესდებოდა განდევნა-გადასახლების თეორიით, გულგრილად იღებდა მშობლების გალაკულ-გაპრიალებულ, ოქროსხვეულებიან შეხედულებებს, ყურადღებას არ აქცევდა გამომსვლელთა სიტყვებს კრებებზე, რომელთაც ერთ დროს ესწრებოდა. თავში გაუელვა, იქნებ ლუჟინმაც დაუდოს გული სამოქალაქო კვლევებს, იქნებ სერიოზულად მოჰკიდოს ხელი ამ საქმეს, როგორც ამას, ალბათ, მილიონობით ჭკვიანი კაცი აკეთებსო. ახალი საქმე კი ლუჟინისთვის აუცილებელი იყო. იგი უცნაური გახდა, ნაცნობი მოღუშულობა გაუშინაურდა, თვალებზე ხშირად ეტყობოდა, თითქოს რაღაცას უმალავდა. ქალი ღელავდა, რომ ქმარმა წესიერად ვერც ერთ საქმეს ვერ დაუდო გული, საკუთარ თავსაც კიცხავდა, რადგან გონებრივი თვალსაწიერის სივიწროვის გამო ვერ მიეგნო იმ სფეროსთვის, იდეისა და საგნისთვის, რომელიც ლუჟინის უმოქმედოდ მიძინებულ მრავალმხრივ ნიჭს გასაქანს მისცემდა. იცოდა, რომ უნდა ეჩქარა, რომ ყოველი დაკარგული წუთი ხელსაყრელი ხვრელი იყო ლუჟინის ცხოვრებაში მოჩვენებების შემოსასვლელად. თვალწარმტაც ქვეყნებში გამგზავრებამდე ლუჟინისთვის რაიმე საინტერესო თამაში უნდა გამოენახა, მერე კი საქმეს „ბალზამი“ მოაგვარებდა — მოგზაურობა, მოწყენილობისგან რომანტიკული მილიონერების განკურნების ქმედითი საშუალება.

გაზეთებიდან დაიწყო. გამოიწერა „დროშა“, „რუსები“, „უცხოეთის ხმა“, „გაერთიანება“, „ძახილი“; იყიდა ემიგრანტული ჟურნალების ბოლო ნომრები და, შედარებისთვის, რამდენიმე საბჭოთა ჟურნალი და გაზეთი. გადაწყვიტეს, რომ ყოველდღიურად, ნასადილევს, ერთმანეთს ხმამაღლა წაუკითხავდნენ. როდესაც შეამჩნია, რომ ზოგიერთ გაზეთს ჭადრაკის განყოფილებაც მიჰყავდა, მათი ამოჭრა დააპირა, მაგრამ შეეშინდა, ამით ლუჟინს არ ვაწყენინოო.

ერთი-ორჯერ, საინტერესო მაგალითის სახით, ლუჟინის ძველმა პარტიებმაც გაიელვა. ეს უსიამოვნო და საშიში იყო. ჭადრაკისგანყოფილებიანი ნომრების გადამალვას ვერ ახერხებდა, რადგან ლუჟინი გაზეთებს აგროვებდა და მომავალში მათ წიგნებად აკინძვას აპირებდა. როდესაც გადაშლილ გაზეთში ჩამუქებული საჭადრაკო დიაგრამა აღმოჩნდებოდა ხოლმე, ქმრის სახის გამომეტყველებას აკვირდებოდა. ლუჟინი ცოლის მზერას გრძნობდა და დიაგრამას მხოლოდ გაკვრით თუ შეავლებდა თვალს. ქალმა იცოდა, როგორი ცოდვილი მოუთმენლობით ელოდებოდა ქმარი ხუთშაბათსა და ორშაბათს, როდესაც საჭადრაკო მასალა ქვეყნდებოდა, მაგრამ არაფერი უწყოდა იმ ცნობისმოყვარეობის შესახებ, რომლითაც იგი დაბეჭდილ პარტიებს მის არყოფნაში ათვალიერებდა. ამოცანებს მყისვე იმახსოვრებდა, ერთს კი გახედავდა ნახატს ცერად და ყველა ფიგურის განლაგება თავში ჰქონდა ჩაბეჭდილი. მერე კი ზეპირად ხსნიდა, სანამ ცოლი მოწინავე სტატიას უკითხავდა.

— ...მთელი საქმიანობა ამოიწურება ძირეული ცვლილებებითა და დამატებით, რომელმაც უნდა უზრუნველყოს... — წყნარად კითხულობდა ქალი.

— საინტერესო წყობაა, — ფიქრობდა ლუჟინი, — შავების ლაზიერი სრულიად თავისუფალია.

— ...ავლებს მკაფიო ზღვარს სასიცოცხლო ინტერესებს შორის. ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ ამ მსახვრალი ხელის აქილევსის ქუსლი...

— აშკარაა, რომ ჰაშ-შვიდიდან მუქარას შავები იგერიებენ, — გაიფიქრა ლუჟინმა და მექანიკურად გაიღიმა, რადგან მოულოდნელად ცოლმა კითხვა შეწყვიტა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— ვერ გავიგე.

— თუ მათ შემდგომ გეგმებს, — განაგრძობდა ქალი, — ამ კუთხით განვიხილავთ...

— ოჰ, რა სილამაზეა! — შესძახა გულში ლუჟინმა, როდესაც ამოცანის გასაღებს — საოცრად მოხდენილ შეწირვას მიაგნო.

— და კატასტროფაც სულ ახლოსაა, — დაამთავრა ქალმა სტატიის კითხვა და ღრმად ამოისუნთქა. საქმე ის იყო, რომ რაც

უფრო ყურადღებით კითხულობდა გაზეთებს, მით მეტად ეუფლებოდა მოწყენილობა, და სიტყვებისა და მეტაფორების, ვარაუდებისა და დასკვნების ბურუსი წინ ეღობებოდა აშკარა ჭეშმარიტებას, რომელსაც იგი ყოველთვის გრძნობდა, მაგრამ ვერასდროს გამოხატავდა. იქაური, საბჭოთა გაზეთების კითხვისას მოწყენილობა უსაზღვროდ იზრდებოდა. მათგან სამარისებური ბუხჰალტერიის სიცივე, გულის გამაწვრილებელი საკანცელარიო სევდა მოიწევდა, და ისინი რაღაცით იმ დაწესებულების მკვდარივით გაფითრებულ მოხელეს ახსენებდნენ, სადაც იმ დღეებში მოუწიათ შესვლამ, როდესაც მას და ლუჟინს რაღაც ქაღალდის გულისთვის კანცელარიებს შორის დაარბენინებდნენ. წყენია და გატანჯული მოხელე დიაბეტურ პურს ჭამდა და, ალბათ, მიზერულ ხელფასს იღებდა, ცოლშვილიანი იყო, ბავშვის სხეული გამონაყარს დაეფარა. ქაღალდს, რომელიც მათ არ ჰქონდათ და რომელიც უნდა ეშოვათ, კოსმოსურ მნიშვნელობას ანიჭებდა, თითქოს მთელ სამყაროს ამ ქაღალდით ედგა სული და აუცილებლად გაცამტვერდებოდა, თუ ადამიანს ის არ გააჩნდა. უფრო მეტიც, აღმოჩნდა, რომ რაღაც საოცარი ვადების, სასოწარკვეთილებისა და სიცარიელის ათასწლეულების გასვლამდე ლუჟინები მას ვერ აიღებდნენ და მხოლოდ არზების წერით იყო ნებადართული ამ მსოფლიო სევდის შემსუბუქება. მოხელემ ერთი ისეთი შეულრინა საბრალო ლუჟინს, დაწესებულებაში თამბაქოს რატომ ეწევიო, რომ ლუჟინი შეკრთა და ნამწვი ჯიბისკენ გააქანა. ფანჯრიდან ხარაჩოებში ჩასმული მშენებარე სახლი მოჩანდა, ირიბად წვიმდა. ოთახის კუთხეში შავი პიჯაკი ეკიდა, რომელსაც სამუშაო საათებში მოხელე ლუსტრინისაზე[1] ცვლიდა. მისი მაგიდა იისფერი მელნისა და ისევ იმ ტრანსცენდენტული სევდის შთაბეჭდილებას ქმნიდა. მათ ვერაფერი მიიღეს და ხელცარიელები გამობრუნდნენ. ლუჟინა თავს ისე გრძნობდა, როგორც ნაცრისფერ და ბრმა მარადისობასთან ბრძოლის შემდეგ, რომელმაც იგი დაამარცხა და ზიზღით უარყო მორიდებული მიწიერი ქრთამი — სამი სიგარა. იგივე ქაღალდი სხვა დაწესებულებაში წამში აიღეს. მოგვიანებით ლუჟინა ძრწოლით ფიქრობდა, — ზის, ალბათ, პატარა მოხელე,

[1] *ლუსტრინა — თხელი მუქი შალის ან ბამბის მბზინავი ქსოვილი.*

უარით რომ გამოგვისტუმრა, და ასე ჰგონია, უნუგეშო აჩრდილებივით დავეხეტებით უჰაერო სივრცეში, იქნებ გველოდება კიდეც, როდის დავბრუნდებით ქვითინითა და მორჩილების ფიციით. ვერ გაეგო, მოსკოვური გაზეთის ხელში აღებისთანავე თვალწინ მაინცდამაინც მისი სახე რატომ წარმოუდგებოდა. მოწყენილობასა და სიბრალულსაც იგივე თვისებები გააჩნდა, ოღონდ მისთვის ეს ცოტა იყო, გონებრივ მოთხოვნილებებს ვერ იკმაყოფილებდა, — და უეცრად მიხვდა, რომ თვითონაც ფორმულას, გრძნობის ოფიციალურ განსახიერებას ეძებდა, საქმის არსი კი სულ სხვა იყო. დევნილობაში გამოცემული გაზეთები ბუნდოვანი აზრებით ერთმანეთთან ყოვლად გაუგებარ, რთულ ბრძოლას ეწეოდნენ, და იგი ყველაზე მეტად სწორედ ამ აზრთა მრავალფეროვნებამ განაცვიფრა, რადგან წლების განმავლობაში გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ ვინც მისი მშობლებივით არ აზროვნებდა, მცონარა ქალიშვილთა წრეში სოციოლოგიაზე მოლაპარაკე კოჭლ ოხუნჯს ჰგავდა. აღმოჩნდა, რომ არსებობდა მზაკვრული მტრობა, აზრთა შორის უფაქიზესი განსხვავებებიც, და თუ გონება ამას ძალზე რთულად აღიქვამდა, სულისთვის ერთი რამ სულ უფრო ნათელი ხდებოდა: იქაც და აქაც ტანჯავდნენ, ან უნდოდათ, რომ დაეტანჯათ, მაგრამ ტანჯვა და ტანჯვის სურვილი იქ ასჯერ მეტი იყო, ამიტომ, ცხადია, ცხოვრება აქ ჯობდა.

როდესაც ლუჟინის ჯერი დგებოდა ხმამაღლა წაკითხვისა, ქალი მას სახალისოსათაურიან ფელეტონს ან მოკლე, გრძნობით გამსჭვალულ მოთხრობას სთავაზობდა. კაცი კითხულობდა, ენა სასაცილოდ ებმოდა, ცალკეულ სიტყვას უცნაურად წარმოთქვამდა, ზოგჯერ წერტილს გასცდებოდა ან პირიქით, შუა წინადადებაში ჩერდებოდა, ხმას უაზროდ აუწევ-დაუწევდა. ცხადია, ქალი ხვდებოდა, რომ ქმარს გაზეთები არ აინტერესებდა; როდესაც ახლახან წაკითხულ სტატიაზე ჩამოუგდებდა სიტყვას, კაცი მის ყველა დასკვნას ნაჩქარევად ეთანხმებოდა. ერთხელ, შესამოწმებლად, განზრახ თქვა, რომ ყველა ემიგრანტული გაზეთი იტყუებოდა და ქმარი ამაშიც დაეთანხმა.

გაზეთები გაზეთებად, ხალხი კი სულ სხვაა: კარგი იქნებოდა მათი მოსმენა. ქალმა წარმოიდგინა, თუ როგორ იკრიბებოდნენ

მის ბინაში სხვადასხვა შეხედულების ადამიანები, — „ყოველგვარი მოინტელიგენტოები“, როგორც დედამისს უყვარდა თქმა, — და ამ ცოცხალი კამათისა და ახალ-ახალ თემებზე საუბრებისას ლუჟინი თუ არ გაიფურჩქნებოდა, დროებით გასართობს მაინც იშოვიდა. დედამისის ნაცნობებიდან ყველაზე განათლებულად და „მემარცხენედაც“ კი, როგორც ოდნავი სიკეკლუცით ამტკიცებდა იგი, ოლეგ სერგეევიჩ სმირნოვსკი ითვლებოდა, — მაგრამ როდესაც ლუჟინამ მასთან რამდენიმე საინტერესო, თავისუფლად მოაზროვნე ადამიანის მოყვანა სთხოვა, რომლებიც არა მარტო „დროშას“, არამედ „გაერთიანებასა“ და „უცხოეთის ხმასაც“ კითხულობდნენ, — სმირნოვსკიმ მიუგო, არ ვიცი, მასეთ წრეებში ვინ ტრიალებსო, ამგვარი ტრიალის გაკიცხვას მოჰყვა და სასწრაფოდ განუმარტა, რომ სხვა წრეებში ტრიალებდა, სადაც ტრიალი აუცილებელი იყო, და ლუჟინამ ისეთივე უსიამოვნო თავბრუსხვევა იგრძნო, როგორიც „ლუნა-პარკში“ მბრუნავ დისკოზე. ამ წარუმატებლობის შემდეგ მეხსიერების ერთ-ერთი სენაკიდან იმ ადამიანების ამოყვანა დაიწყო, რომელთაც შემთხვევით შეხვედროდა და რომელთაც ახლა მისი დახმარება შეეძლოთ. გაიხსენა გამოყენებითი ხელოვნების სკოლაში მის გვერდით მჯდომი რუსი გოგონა, დემოკრატთა პოლიტიკური ლიდერის ქალიშვილი; გაიხსენა ალფეროვიც, რომელიც ყველგან ასწრებდა ყოფნას და ხალისით ჰყვებოდა, ერთხელ როგორ დალია სული მის ხელებში მოხუცმა პოეტმა; არც ნაკლებად დაფასებული ნათესავი გამორჩენია რუსული გაზეთის კანტორიდან, რომლის სახელწოდებასაც საღამოობით ქუჩის კუთხეში ხორხისმიერი რულადებით გაიძახოდა გაზეთების გამყიდველი მსუქანი ქალი. ერთი-ორი კიდევ შეარჩია, თან გაიფიქრა, ალბათ, ბევრს ახსოვს მწერალი ლუჟინი, მოჭადრაკე ლუჟინის შესახებაც ბევრს გაუგონია და სიამოვნებით გვეწვევიანო.

მერედა, რატომ ანაღვლებდა ლუჟინს ეს ყველაფერი? ერთადერთი, რაც მართლაც აინტერესებდა, გახლდათ რთული, შზაკვრული თამაში, რომელშიც თვითონ — გაუგებარია, როგორ — იყო გარეული. უმწეოდ, მოღუშული სახით ეძებდა საჭადრაკო განმეორებების ნიშნებს, ვერაფრით დაედგინა მათი მიზანი. მაგრამ

მუდმივად ფხიზლად ყოფნა და ყურადღების დაძაბვაც არ შეეძლო: მასში დროებით რაღაც სუსტდებოდა, უდარდელად ტკბებოდა გაზეთში დაბეჭდილი პარტიით, უეცრად ელდანაკრავივით შეკრთებოდა, ნაღვლიანად გაიფიქრებდა, რომ თვალი ვერ მიადევნა მის ცხოვრებაში სულ ახლახან გაკეთებულ ნატიფ სვლას, რომელიც შეუბრალებლად აგრძელებდა საბედისწერო კომბინაციას. გადაწყვიტა, ასი თვალი და ასი ყური გამოება, ცხოვრების ყოველი წამისთვის ეთვალთვალა — მახე ხომ ყველგან იყო მოსალოდნელი. ყველაზე მეტად გონივრული თავდაცვის მოფიქრების შეუძლებლობა ტანჯავდა, რადგან მოწინააღმდეგის მიზანს კვლავაც ვერ ჩასწვდომოდა.

ასაკთან შედარებით ზედმეტად მსუქანი და დონდლო, ცოლის მოგონილ ადამიანებს შორის დადიოდა, წყნარი ადგილის პოვნას ცდილობდა, გაფაციცებით იყურებოდა აქეთ-იქით, სმენად ქცეულიყო, რათა არ გამორჩენოდა შემდეგი სვლის მინიშნება, სხვის მიერ დაწყებული, მის წინააღმდეგ საშინელი ძალით მიმართული პარტიის გაგრძელება. ზოგჯერ მინიშნება თითქოს ჩნდებოდა კიდეც, რაღაც წინ მოიწევდა, მაგრამ მთლიანობაში კომბინაციის მნიშვნელობა მაინც გაუგებარი რჩებოდა. არც წყნარი ადგილის გამონახვა იყო იოლი, — მას შეკითხვებს უსვამდნენ, რომლებსაც გულში რამდენჯერმე იმეორებდა, სანამ მარტივ აზრს ჩასწვდებოდა და პასუხს მიაგნებდა. ტელესკოპით გადახსნილი სამივე ოთახი ძლიერ განათებულიყო, — არც ერთი ნათურა არ დაენდოთ, — ადამიანები ისხდნენ სასადილო ოთახში, სასტუმრო ოთახის მოუხერხებელ სკამებზე, კაბინეტში მდგარ ოტომანზე. ერთი კი, ფლანელის უფერულშარვლიანი, საწერ მაგიდაზე მოკალათებას ცდილობდა და მეტი მოხერხებულობისთვის საღებავებიან კოლოფსა და გაუხსნელი გაზეთების დასტას გვერდზე სწევდა. ხანში შესული მსახიობი, მრავალროლგამოვლილი სახით, რბილტანიანი და რბილხმიანი, რატომღაც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ ყველაზე კარგად საღამურ ფეხსაცმელებში გამოწყობილს გამოსდიოდა სცენაზე თამაში, იქ, სადაც ოხვრა-კვნესა, ნაბახუსევზე ადვილად გამოსვლა, იკლიკანტური და მსუყე სიტყვების თქმა იყო საჭირო. იჯდა ოტომანზე ჟურნალისტ ბარსის კოხტა, შავთვალე-

ბიანი ცოლის, ყოფილი მსახიობის გვერდით და მასთან ერთად იხსენებდა, თუ როგორ თამაშობდნენ ერთად ოდესღაც სამარაში, სპექტაკლ „სიყვარულის ოცნებაში“.

— გახსოვთ ცილინდრთან დაკავშირებული კონფუზი? ხომ მარჯვედ გამოვძვერი? — რბილად ამბობდა კაცი.

— დაუსრულებელი ოვაცია, — მხარს უბამდა შავთვალა ქალბატონი, — ისეთი ოვაცია მომიწყვეს, არასდროს დამავიწყდება...

ასე, ერთმანეთისთვის სიტყვის გაწყვეტინებით იხსენებდა თითოეული მათგანი თავისას, უფერულშარვლიანი კაცი კი უკვე მესამედ სთხოვდა ოცნებებში წასულ ლუჟინს — „პაპიროსი, პაპიროსიო“. იგი დამწყები პოეტი იყო, თავის ლექსებს პათოსით, მოძახილით კითხულობდა, თავს ოდნავ აკანტურებდა და სივრცეს გასცქეროდა. საერთოდ, თავი მაღლა ეჭირა, რის გამოც აშკარად ეტყობოდა მსხვილი, მოძრავი ხორხის მაღლობი. პაპიროსი მაინც ვერ მიიღო, — ვინაიდან ფიქრებში წასულმა ლუჟინმა საძინებელში გადაინაცვლა, — და მოწიწებით შესცქეროდა რა მის მსხვილ კეფას, პოეტი ფიქრობდა, რა შესანიშნავი მოჭადრაკეა ლუჟინი, როდის მოვა ის ნანატრი დრო, როდესაც კარგად დაისვენებს და გამოჯანმრთელდება, რომ ჭადრაკის შესახებ ვისაუბროთო — ეს თამაში თვითონაც ძალიან მოსწონდა. შემდეგ კარის ღიობში ლუჟინის ცოლს მოჰკრა თვალი და ვეღარ გადაეწყვიტა, გაარშიყებოდა თუ არა. ლუჟინა ღიმილით უსმენდა მაღალ, ჩოფურა ჟურნალისტ ბარსს, თან გულში ამბობდა, რა ძნელია ჩაის მაგიდასთან ამ სტუმრების დასმა და მომავალში ხომ არ აჯობებს, ჩაის უბრალოდ კუთხეებში ჩამორიგებაო. ბარსი სხაპასხუპით ლაპარაკობდა და თანაც ისე, თითქოს მისთვის აუცილებელი იყო, უმოკლეს დროში გამოეხატა ჩახლართული აზრი თავისი დანართებითა და სლიკინა კუდებით, ხელი ეტაცა და ჩაესწორებინა ეს ყველაფერი, და თუ ყურადღებიანი მსმენელი გადაეყრებოდა, თანდათანობით ხვდებოდა, რომ ამ სწრაფმავალი სიტყვების ლაბირინთიდან ნელ-ნელა გასაოცარი ჰარმონია მოიწევდა, თვით ფრაზები კი, ზოგჯერ არასწორად დასმული მახვილებითა და საგაზეთო სიტყვებით გამდიდრებული, უეცრად გარდაიქმნებოდა, თითქოს ცდილობდა, გამოთქმულ აზრს სიმწყობრითა და კეთილშობილებით

დამსგავსებოდა. ქმრის დანახვაზე ლუჟინამ მას ხელში გაფცქვნილი, ლამაზად დაწყობილი ფორთოხლით სავსე ლამბაქი შეაჩეჩა, გვერდზე ჩაუარა და კაბინეტში შევიდა.

— არ დაგავიწყდეთ, — თქვა შეუხედავმა კაცმა ჟურნალისტის ნათქვამის გააზრების შემდეგ, — არ დაგავიწყდეთ, ტიუტჩევთან ღამე გრილია, ვარსკვლავები კი მრგვალი, ნოტიო, და არა უბრალოდ მანათობელი წერტილები.

მას მეტი აღარაფერი უთქვამს, რადგან საერთოდ ცოტას ლაპარაკობდა, არა იმდენად თავმდაბლობის, არამედ შიშის გამო, რომ რაღაც ძვირფასი, სხვისი, მაგრამ მასზე მიბარებული, არ დაეღვარა. უნდა ითქვას, რომ ლუჟინას მასში სწორედ უთვალტანადობა და შეუმჩნევლობა მოსწონდა, თითქოს იგი რაღაც ისეთი წმინდათი და იშვიათით ავსებული ჭურჭელი იყო, რომ მის გვერდით დგომით ამ ჭურჭლის ოდნავი გაუფერულებაც კი მკრეხელობას წარმოადგენდა. გვარად პეტროვი გახლდათ, არაფრით გამორჩეულს, არც არაფერი დაეწერა და, როგორც ამბობდნენ, მდაბიურად ცხოვრობდა, თუმცა ამის შესახებ არასდროს ჰყვებოდა. ამქვეყნად მას ერთადერთი დანიშნულება ჰქონდა — გულისხმიერებითა და მოწიწებით ეტარებინა ის, რაც შენახვას აუცილებლად საჭიროებდა ყველა წვრილმანითა და სიწმინდით, ამიტომაც დადიოდა მოკლე-მოკლე, ფრთხილი ნაბიჯებით, რათა ვინმესთვის შემთხვევით მხარი არ გაეკრა, და მხოლოდ ძალზე იშვიათად, როდესაც თანამოსაუბრეში მსგავს სიფრთხილეს აღმოაჩენდა, წამით ამოიღებდა თავისი უზარმაზარი და საიდუმლო მეხსიერების ხურჯინიდან რომელიმე უნაზეს, უძვირფასეს წვრილმანს — პუშკინის სტროფს ან მინდვრის ყვავილის მდაბიურ სახელწოდებას.

— მამამისი მახსენდება, — თქვა ჟურნალისტმა, როდესაც ლუჟინის ზურგმა სასადილო ოთახში გადაინაცვლა, — სახით არა, მაგრამ მხრების მოყვანილობით წააგავს. საყვარელი, კარგი ადამიანი იყო, მაგრამ როგორც მწერალი... რა ბრძანეთ? განა არ მეთანხმებით, რომ ეს ოლიოგრაფიული საყმაწვილო მოთხრობები...

— სასადილოში მობრძანდით, გთხოვთ, — განაცხადა ლუჟინამ, როდესაც კაბინეტში სასაუბროდ გასულ სამ სტუმართან ერთად დაბრუნდა, — ჩაი მზადაა. ძალიან გთხოვთ.

სტუმრები მაგიდის თავში მოკალათებულიყვნენ, ბოლოში ლუჟინი იჯდა განმარტოებით, თავი პირქუშად დაეხარა, ფორთოხალს ღეჭავდა და ჩაის კოვზს ურევდა. აქ გახლდათ ალფეროვი და მისი ცოლი, შავგვრემანი, ჭარბად ფერუმარილწასმული ქალი, შესანიშნავად რომ ხატავდა ფასკუნჯებს, მელოტი ახალგაზრდა მამაკაცი, საკუთარ თავს ხუმრობით გაზეთის მუშაკს რომ უწოდებდა, მაგრამ გულში პოლიტიკაში მოთავეობაზე ოცნებობდა, ორი ქალბატონი — ადვოკატთა ცოლები... მაგიდასთან აგრეთვე იჯდა უსაყვარლესი ვასილ ვასილევიჩი, მორიდებული, სათნო, უბიწო სულის, ქერაწვერიანი კაცი, რომელსაც ბებრული შტიბლეტები ეცვა. წლების წინ იგი ციმბირში გადაესახლებინათ, შემდეგ საზღვარგარეთ, საიდანაც დაბრუნდა, ერთი კი შეავლო თვალი რევოლუციას და კვლავ გადასახლებაში მოჰყვა. იგი გულითადად ჰყვებოდა იატაკქვეშა მუშაობის, კაუტსკის, ჟენევის შესახებ და გრძნობამორეული შესცქეროდა ლუჟინას, რომელსაც მასთან ერთად ხალხის საკეთილდღეოდ მომუშავე რომელიღაც ნათელთვალება, იდეალურ ქალიშვილებს ამსგავსებდა. წინა შემთხვევების დარად, ლუჟინამ ახლაც შეამჩნია, რომ, როგორც კი დიდი ძალისხმევის ფასად სტუმრებს ერთად შეკრებდა და მაგიდის გარშემო დასვამდა, ყველა ჩუმდებოდა. ისეთი დუმილი იდგა, რომ მოახლის სუნთქვაც კი მკაფიოდ ისმოდა, რომელსაც ჩაი უნდა ჩამოეტარებინა. ლუჟინას თავში რამდენჯერმე გაუელვა განუხორციელებელმა აზრმა, მოახლისთვის ეკითხა, ასე ხმამაღლა რატომ სუნთქავდა და ეთხოვა, ეს უფრო ჩუმად გაეკეთებინა. ფუნჩულა ქალიშვილი არც ისეთი მარჯვე იყო, განსაკუთრებით ტელეფონთან მიმართებაში. ლუჟინას, რომელიც სუნთქვას უსმენდა, გაახსენდა, როგორ მოახსენა მოახლემ სიცილით რამდენიმე დღის წინ:

— ბატონმა ფა... ფა... ფატიმ დარეკა. აი, ნომერი ჩავიწერე.

ლუჟინამ იმ ნომერზე დარეკა, მაგრამ მკვახე ხმამ მიუგო, რომ ეს კინემატოგრაფიული კანტორა იყო და არანაირი ფატი იქ არ მუშაობდა. რაღაც უაზრობა გამოვიდა. დააპირა, გერმანელი მოახლეების მიმართ სამდურავი გამოეთქვა, მაგრამ შეამჩნია, რომ სტუმრებს საუბარი გაეჩაღებინათ — ახალ წიგნზე მსჯელობდნენ. ბარსი ამტკიცებდა, „დახვეწილად, ძნელმისახვედრად არის დაწე-

რილი, ყოველ სიტყვაში უძილო ღამეები იგრძნობაო“, ქალის ხმა კი ირწმუნებოდა, „ოჰ, არა, ძალიან იოლად იკითხებაო“; პეტროვი ლუჟინისკენ დაიხარა და ჟუკოვსკის[1] ციტატა წასჩურჩულა: „ადვილად მხოლოდ ის იკითხება, რაც წვალებით არის მიღწეული“; პოეტმა ვიღაცას სიტყვა გააწყვეტინა და გაცხარებულმა ლიყიანად წამოიძახა, ავტორი სულელიაო, რაზეც ვასილ ვასილევიჩმა, რომელსაც წიგნი არ წაეკითხა, თავი საყვედურით გადააქნია. მხოლოდ წინკარში, როცა სტუმრები ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ და ეს ერთგვარ რეპეტიციას წაგავდა, რადგან ქუჩაშიც იმავეს აკეთებდნენ ხოლმე, თუმცა ყველას ერთი გზა ჰქონდა, — მრავალროლგამოვლილი სახის მქონე მსახიობმა უეცრად შუბლში იტაცა ხელი:

— კინაღამ დამავიწყდა, ჩემო კარგო, — თქვა მან, თან ყოველ სიტყვაზე ლუჟინას ხელზე ხელს მაგრად უჭერდა, — ამას წინათ ერთმა კაცმა კინემატოგრაფიული სამეფოდან თქვენი ტელეფონი მკითხა, — აქ მან თვალებით გაოცება გამოხატა და ლუჟინას ხელი გაუშვა, — როგორ, ნუთუ არ იცით, რომ მიღებენ? დიახ, დიახ. დიდი როლებია, მთელი სიფათით ვჩანვარ.

ამ დროს იგი პოეტმა ჩააჩოჩა და ლუჟინასთვის უცნობი დარჩა, ვის გულისხმობდა მსახიობი.

სტუმრები წავიდნენ. ლუჟინი გვერდულად იჯდა მაგიდასთან, რომელზეც „რევიზორის“[2] დასკვნითი სცენის პერსონაჟებივით სხვადასხვა პოზაში გაშეშებულიყო ნასუფრალი, ცარიელი და ბოლომდე დაუცლელი ჭიქები. ერთი თითებგაფარჩხული ხელი მძიმედ დაედო მაგიდაზე. ნახევრად დახუჭული, თითქოს შესივებული ქუთუთოებიდან შავ, ტკივილისგან დაგრეხილ, ხელში ახლახან ჩამქრალ ასანთის ღერს შესცქეროდა. ცხვირთან და პირთან მომჩვარულნაოჭებიანი ფართო სახე ოდნავ უპრიალებდა, ლოყებზე უკვე დასტყობოდა სინათლისგან ოქროსფერდადებული ჯაგარივით წვერი, გამუდმებით რომ მოისწრაფოდა გარეთ ყოველდღიური პარსვის მიუხედავად. მუქი ნაცრისფერი, ოდნავ ბუსუსებიანი კოსტიუმი ტანზე უწინდელზე მეტად შემოტმასნოდა, თუმცა, ჩანა-

---

[1] *ვასილ ჟუკოვსკი (1783-1852) — რუსი პოეტი, მთარგმნელი და კრიტიკოსი.*
[2] *„რევიზორი“ — რუსი მწერლის, ნიკოლაი გოგოლის (1809-1852), კომედია.*

ფიქრის მიხედვით, თავისუფლად უნდა ჰქონოდა. ასე გაუნძრევლად იჯდა ლუჟინი, მაგიდაზე კანფეტებიანი პატარა შუშის ლარნაკი ბრწყინავდა, რომელიღაც კოვზი სუფრაზე გარინდული იწვა სხვებისგან მოშორებით; ცოტა შეუხედავი, მაგრამ ძალზე გემრიელი ღვეზლის პატარა ნაჭერი ხელუხლებლად გადარჩენილიყო. „ეს რა არის, — ფიქრობდა ქმრის შემყურე ლუჟინა, — ღმერთო ჩემო, ეს რა არის?“ მან უძლურება, უიმედობა, საშინელი მოწყენილობა იგრძნო, თითქოს მისთვის ძალზე რთულ საქმეს შესჭიდებოდა. ყველაფერი ქრებოდა, როგორც ეს ღვეზელი, ყველაფერი ქრებოდა, — ამაო იყო მცდელობა, გასართობების მოფიქრება, საქმიანი ხალხის მოწვევა. სცადა, წარმოედგინა, თუ როგორ დაატარებს რივიერაზე კვლავაც ბრმა და შუბლშეკრულ ლუჟინს, მაგრამ თვალწინ მხოლოდ ერთი რამ დაუდგა: სასტუმროს ნომერში მჯდარი ლუჟინი იატაკს ჩაშტერებოდა. უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა, თითქოს ბედის კლიტის ჭუჭრუტანაში იჭვრიტებოდა. წამით დაიხარა და მომავალი დაინახა, — ათი, ოცი, ოცდაათი წლის შემდეგ, — და ყველაფერი ისეთივე იყო, არავითარი ცვლილება, კვლავაც შუბლშეჭმუხნილი, მხრებში მოხრილი ლუჟინი, და დუმილი, და უიმედობა. ცუდი, უღირსი აზრი. ქალის სული მაშინვე წელში გაიმართა და ნაცნობ სახეებსა და ათასგვარ წვრილმან საზრუნავს შეერია: ძილის დროა, შემდეგ ჯერზე შაქრიან ღვეზელს აღარ მოამზადებინებს, რა საყვარელია პეტროვი, ხვალ დილით პასპორტის ასაღებად მოუწევთ წასვლა, სასაფლაოზე გასვლა კვლავ გადაიდება. თითქოს რა უნდა ყოფილიყო ამაზე ადვილი — ტაქსიში ჩასხდომა და ქალაქგარეთ — მომცრო, უშენ ადგილას მდებარე სასაფლაოზე გამგზავრება. მაგრამ სულ ისე ხდებოდა, რომ ამასაც ვერ ახერხებდნენ: ხან კბილები ასტკივდებოდა ლუჟინს, ხან პასპორტების გამო უწევდათ სირბილი, ხანაც კიდევ რა — წვრილმანი, შეუმჩნეველი დაბრკოლებები. ახლა რამდენი საქმე იქნება... აუცილებლად უნდა წაიყვანოს ლუჟინი დანტისტთან.

— კიდევ გტკივა? — ჰკითხა მან და ლუჟინს ხელზე ხელი დაადო.

— დიახ, დიახ, — მიუგო მან, სახე დაღრიჯა და ცალი ლოყა წკლაპუნით შეკუმშა. კბილის ტკივილი რამდენიმე დღის წინ მოიფიქრა თავისი უგუნებობისა და დუმილის გასამართლებლად.

— ხვალვე დავურეკავ დანტისტს, — გადაჭრით თქვა ქალმა.

— არ გინდა, — გაბმით თქვა ლუჟინმა, — გთხოვ, არ გინდა.

ტუჩები უთრთოდა. იგრძნო, რომ საცაა, ტირილი აუვარდებოდა, იმდენად საშინელ სახეს იძენდა ყველაფერი.

— რა არ მინდა? — ჰკითხა ალერსიანად და მოკუმული ტუჩებით კითხვა მოკლე, „ამ"-ის მსგავსი ბგერით გამოხატა.

კაცმა თავი გადააქნია და ყოველი შემთხვევისთვის კვლავ კბილი მოიწუწნა.

— დანტისტთან არ გინდა? არა, ლუჟინს დანტისტთან წაიყვანენ. ამას თავის ნებაზე ვერ მივუშვებთ.

ლუჟინი სკამიდან წამოდგა, ლოყაზე ხელი მიიდო და საძინებლისკენ გაემართა.

— აი, რას ვიზამ, — თქვა ქალმა, — მე მას ობლატს[1] მივცემ.

ობლატმა არ იმოქმედა. ცოლს ჩაეძინა, ლუჟინი კი დიდხანს ფხიზლობდა. სიმართლე რომ ითქვას, ჩაბნელებულ, ჩაკეტილ ოთახში ღამის, უძილობის საათები ერთადერთი დრო იყო, როდესაც მშვიდად შეეძლო ფიქრი და საოცარი კომბინაციის ახალი სვლის ვერდანახვის შიში არ ჰქონდა. ღამით, განსაკუთრებით მაშინ, თუ თვალდახუჭული უმოძრაოდ იწვებოდა, არაფერი მოხდებოდა. გულდასმით და შეძლებისდაგვარად მშვიდად ამოწმებდა ლუჟინი მის წინააღმდეგ უკვე გაკეთებულ სვლებს, მაგრამ როგორც კი იმის გამოცნობას ცდილობდა, თუ რა ფორმით განმეორდებოდა მისი წარსულის სქემა, შფოთავდა და შიში იპყრობდა, თითქოს მისკენ ულმობელი სიზუსტით მოიწევდა გარდაუვალი და ენით აუწერელი უბედურება. ამ საღამოს განსაკუთრებით მწვავედ იგრძნო საკუთარი უღონობა ამ ნელი, დახვეწილი შეტევის მიმართ; მოუნდა, რომ წამითაც არ მოეხუჭა თვალი, უსასრულოდ გაეხანგრძლივებინა ღამე, წყნარი სიბნელე და დრო შუაღამეზე გაეჩერებინა. ცოლი ჩქამს არ გამოსცემდა, უფრო სწორად, იგი საერთოდ არც კი იყო. მხოლოდ ღამის მაგიდაზე მოწიკწიკე საათი ამტკიცებდა, რომ დრო კვლავაც ცოცხლობდა. ლუჟინი უსმენდა ამ სუსტ გულისცემას და ფიქრებს მისცემოდა. მოულოდნელად შეკრთა — საათი გაჩერებულიყო. მოეჩვენა, რომ ღამე სამუდამოდ

[1] *ობლატი — სახამებლის, ჟელატინის და მისთ. გარსი წამლებისთვის.*

გაშეშდა, მცირედი ხმაც კი აღარ ისმოდა, რაც მის არსებობას დაამოწმებდა. დრო მოკვდა, ყველაფერი კარგად იყო. ხავერდოვანი სიჩუმე იდგა, ამ ბედნიერებითა და სიმშვიდით შეუმჩნევლად ისარგებლა სიზმარმა, და ძილში რაღა მოასვენებდა, — ისევ ის სამოცდაოთხი კვადრატი განფენილიყო, უზარმაზარი დაფა, რომლის შუაგულშიც პაიკის ტოლი, აკანკალებული და სრულიად შიშველი ლუჟინი იდგა და უცნაურად განლაგებულ გიგანტურ, კუზიან, დიდთავა, გვირგვინოსან ფიგურებს მიშტერებოდა.

ლუჟინი ცხვირის ფუძეზე ცოლის კოცნამ გამოაღვიძა, რომელიც უკვე ამდგარიყო და ჩაეცვა კიდეც.

— გამარჯობა, საყვარელო ლუჟინ, — უთხრა მან, — უკვე ათი საათია. დღეს რას ვაკეთებთ — დანტისტი თუ ვიზა?

ლუჟინმა ცოლს ნათელი, დაბნეული თვალებით შეხედა და ქუთუთოები კვლავ ძირს დაუშვა.

— ვის დაავიწყდა ღამით საათის მომართვა? — გაიცინა ცოლმა, ხელი მსუქან, თეთრ კისერზე დაადო და მსუბუქად შეანჯღრია, — ასე, შესაძლოა, მთელი ცხოვრება გაეპაროს კაცს ძილში.

მან თავი გვერდზე გადახარა, ბალიშში ჩაფლული ქმრის პროფილს დააკვირდა, შეამჩნია, რომ მას კვლავ ჩასძინებოდა და ოთახიდან ღიმილით გავიდა. კაბინეტში ცოტა ხანს ფანჯარასთან დაყოვნდა, ზამთრის უღრუბლო, მომწვანო-მოცისფრო ცას გახედა და გაიფიქრა, დღეს, ალბათ, ძალიან ეცივება და ლუჟინს შალის ჟილეტი დასჭირდებაო. საწერ მაგიდაზე ტელეფონი აწკარუნდა. ეს დედა უნდა ყოფილიყო, რომელსაც აინტერესებდა, მათთან სადილად თუ შეივლიდნენ.

— ალო? — თქვა ლუჟინამ და მაგიდის კიდეზე ჩამოჯდა.

— ალიო, ალიო! — გაისმა ტელეფონში ვიღაცის აღელვებული და გაბრაზებული ხმა.

— დიახ, დიახ, გისმენთ, — თქვა ლუჟინამ და საკარძელში ჩაჯდა.

— ვინ არის? — გერმანულად, მაგრამ რუსული აქცენტით იკითხა უკმაყოფილო ხმამ.

— ვინ ლაპარაკობს? — ღიმილით გაიმეორა ლუჟინამ. დუმილი. ხმას თითქოს ვერ გადაეწყვიტა, გაემხილა ვინაობა თუ არა.

— ბატონ ლუჟინთან მინდოდა დალაპარაკება, — დაიწყო მან ისევ, ამჯერად კვლავ გერმანულად, — ძალზე სასწრაფო და მნიშვნელოვანი საქმეა.

— ერთი წუთით, — თქვა ლუჟინამ და ერთი-ორჯერ ოთახში გაიარ-გამოიარა. არა, ლუჟინის გაღვიძება არ ღირდა. იგი ტელეფონთან დაბრუნდა.

— ჯერ ისევ სძინავს, — თქვა მან, — მაგრამ თუ გსურთ, რაიმე გადასცეთ...

— ოჰ, რა საწყენია, — ალაპარაკდა ხმა, რომელსაც საბოლოოდ აეთვისებინა რუსული, — უკვე მეორედ ვრეკავ. ამას წინათ ჩემი ტელეფონის ნომერი დავტოვე. გადაუდებელი საქმეა. მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი.

— მე მისი მეუღლე გახლავართ, — თქვა ლუჟინამ, — თუ რამეა საჭირო...

— მოხარული ვარ, რომ გაგიცანით, — საქმიანად გააწყვეტინა ხმამ, — ჩემი გვარი ვალენტინოვია. მეუღლე, ცხადია, გიამბობდათ ჩემ შესახებ. მაშ, ასე: როგორც კი გაიღვიძებს, უთხარით, რომ ავტომობილში ჩაჯდეს და ჩემთან წამოვიდეს. კინოკონცერნი „ვერიტასი“, რაბენშტრასე, 82. ძალზე სასწრაფო საქმეა, მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი! — განაგრძობდა ხმა, რომელიც კვლავ გერმანულზე გადავიდა, ან საქმის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ან უბრალოდ იმიტომ, რომ გერმანულმა მისამართმა შესაბამის ენაზე გადაიყვანა. ლუჟინამ თავი ისე მოაჩვენა, თითქოს მისამართს იწერდა, მერე კი თქვა:

— იქნებ მაინც მითხრათ, რა საქმეა.

ხმას უსიამოვნო აღელვება დაეტყო:

— მე თქვენი მეუღლის ძველი მეგობარი ვარ. ყოველი წამი ძვირფასია. დღეს, ზუსტად თორმეტზე ველოდები. გადაეცით, გეთაყვა. ყოველი წამი...

— კარგი, — უთხრა ლუჟინამ, — გადავცემ, მაგრამ არ ვიცი, შესაძლოა, დღეს ვერ მოახერხოს.

— ყურში მხოლოდ ერთი რამ ჩასჩურჩულეთ: ვალენტინოვი გელოდება-თქო, — ხმამ გაიცინა, გერმანულად წაიმღერა „ნახვამდისო“ და გატკაცუნებულ სარჭველში მიიკარგა.

ლუჟინა რამდენიმე წამს იჯდა და ფიქრობდა, შემდეგ კი საკუთარ თავს სულელი უწოდა. უპირველესად უნდა აეხსნა, რომ ლუჟინმა ჭადრაკს თავი მიანება. ვალენტინოვი... ახლაღა მოაგონდა შაპოკლაკში ნაპოვნი სავიზიტო ბარათი. ვალენტინოვი ლუჟინს, რა თქმა უნდა, საჭადრაკო საქმეებით იცნობდა. სხვა ნაცნობი მას არ ჰყავდა. არც რომელიმე ძველ მეგობარზე მოუყოლია ოდესმე. იმ მამაკაცს ყოვლად აუტანელი ხმა ჰქონდა. უნდა მოეთხოვა, რომ საქმის ვითარება აეხსნა. სულელია. ახლა რა ქნას? ლუჟინს ჰკითხოს? არა. ვინ არის ვალენტინოვი? ძველი მეგობარი... გრაალსკი ამბობდა, ჩემთან იკითხესო... აჰა, ყველაფერი მარტივადაა. ქალი საძინებელში შევიდა, დარწმუნდა, რომ ლუჟინს ჯერაც არ გაეღვიძა, — დილაობით საოცრად ღრმად ეძინა ხოლმე, — და ტელეფონთან დაბრუნდა. მსახიობი, საბედნიეროდ, შინ აღმოჩნდა და მაშინვე მისი გუშინდელი თანამოსაუბრე ქალის ფუქსავატურ და საძაგელ საქციელზე მოჰყვა ლაპარაკს. მოუთმენლობით შეპყრობილმა ლუჟინამ მოუსმინა და ვალენტინოვის შესახებ ჰკითხა. მსახიობმა — „ვაიმეო", — წამოიძახა და დააყოლა:

— ხომ ხედავთ, როგორი გულმავიწყი ვარ, უსუფლიოროდ ცხოვრება არ შემიძლია.

ბოლოს კი დაწვრილებით უამბო ვალენტინოვთან საკუთარი ურთიერთობის შესახებ, გაკვრით აღნიშნა, რომ ვალენტინოვი, ვალენტინოვისვე სიტყვებით, ლუჟინის საჭადრაკო მეურვე იყო და მისგან დიდი მოჭადრაკე შექმნა. შემდეგ მსახიობი კვლავ გუშინდელ ქალბატონს დაუბრუნდა, კიდევ ერთი სისაძაგლე აღწერა, მერე კი სიტყვაგრძლად დაემშვიდობა ლუჟინას და, ხელისგულებს გიკოცნითო, დააყოლა.

— აი, თურმე რა ყოფილა, — ჩაილაპარაკა ლუჟინამ, როცა ყურმილი დაკიდა, — ძალიან კარგი.

უცებ გაახსენდა, რომ საუბრისას ერთი-ორჯერ ვალენტინოვის გვარი ახსენა და თუ ქმარი საძინებლიდან წინკარში იყო გამოსული, შემთხვევით, შესაძლოა, ყური მოეკრა მისი სიტყვებისთვის. გულისფანცქალით გაიქცა, რათა შეემოწმებინა, ეძინა თუ არა. კაცს გაღვიძებოდა და ლოგინში პაპიროსს ეწეოდა.

— დღეს არსად წავალთ, — თქვა ქალმა, — ძალზე დაგვიანდა. სამაგიეროდ, დედასთან ვისადილებთ. ცოტა ხანს კიდევ იწექით, მოგიხდებათ, მსუქანი ხართ.

მან მჭიდროდ მიხურა ჯერ საძინებლის, შემდეგ კი კაბინეტის კარი, საჩქაროდ მოძებნა ტელეფონების წიგნში „ვერიტასის“ ნომერი, ყური მიუგდო, ახლომახლო ლუჟინი ხომ არ დაიარებაო, და დარეკა. აღმოჩნდა, რომ ვალენტინოვთან დაკავშირება არც ისე იოლი საქმე იყო. ტელეფონთან რიგრიგობით სამი სხვადასხვა ადამიანი მივიდა, უპასუხეს, ახლავე დავუძახებთო, მაგრამ ოპერატორი ქალი რატომღაც თიშავდა და ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყო. ამასთან ცდილობდა, შეძლებისდაგვარად ხმადაბლა ელაპარაკა, ამიტომ ხშირად ერთი და იმავეს გამეორება უწევდა, რაც სულაც არ სიამოვნებდა. ბოლოს, დაბეჩავებულმა, სუსტმა ხმამ უხალისოდ შეატყობინა, რომ ვალენტინოვი იქ არ იყო, მაგრამ პირველის ნახევარზე აუცილებლად იქნებოდა. ქალმა სთხოვა, მისთვის გადაეცათ, რომ ლუჟინი ავად იყო და მოსვლას ვერ შეძლებდა, კიდევ დიდხანს იავადმყოფებდა და არავითარ შემთხვევაში აღარ შეეწუხებინათ. როდესაც ყურმილი დადო, კვლავ მიაყურადა, მაგრამ მხოლოდ თავისი გულის ფეთქვა მოესმა და — უუფო, — უსაზღვრო შვებით ამოისუნთქა. ვალენტინოვთან საქმე მოგვარებული იყო. მადლობა ღმერთს, რომ ტელეფონთან მარტო აღმოჩნდა. ახლა ყველაფერმა ჩაიარა. მალე გამგზავრებაც უწევთ. ჰო, დედას და დანტისტს უნდა დაურეკოს. ვალენტინოვი თავიდან მოცილებულია. რა დაშაქრული გვარია. წუთით დაფიქრდა, და ამ ერთ წუთში, როგორც ზოგჯერ ხდება ხოლმე, ხანგრძლივად და აუჩქარებლად იმოგზაურა: ლუჟინის წარსულში გაემგზავრა, თან ვალენტინოვიც გაიყოლა, რომელიც, ხმის მიხედვით, გრძელფეხებიანად, კუს ბაკნის სათვალით წარმოიდგინა. მსუბუქ ნისლში გზას მიიკვლევდა და შესაფერის ადგილს ეძებდა ვალენტინოვის, ამ საეჭვო და საზიზღრად მცქმუტავი ადამიანის მიწაზე დასაშვებად, მაგრამ ვერაფერს ახერხებდა, რადგან ლუჟინის სიყმაწვილის შესახებ თითქმის არაფერი იცოდა. უფრო შორს შევიდა, უფრო ღრმად, და რომელიღაც კურორტის რომელიღაც სასტუმროს გავლით, სადაც თოთხმეტი წლის ვუნდერკინდი ცხოვრობდა, ლუჟინის ბავშვობაში მოხვდა, სადაც თი-

თქოს მეტი სინათლე იყო, მაგრამ ვალენტინოვი ვერც იქაურობას მოარგო. მაშინ უკან დაბრუნდა თავის სულ უფრო გულის ამრევ ტვირთთან ერთად. სადღაც, ლუჟინის ნისლიან სიყმაწვილეში, კუნძულებს მიაგნო: ლუჟინი საზღვარგარეთ ჭადრაკის სათამაშოდ მიემგზავრებოდა, პალერმოში ღია ბარათებს ყიდულობდა, ხელში საგიზიტო ბარათი ეჭირა ვიღაცის საიდუმლოებით მოცული გვარით... იძულებული შეიქნა, შინისკენ აეღო გეზი მჭშინავ, მოზეიმე ვალენტინოვთან ერთად და იგი ფირმა „ვერიტასისთვის" დაებრუნებინა, როგორც არასწორ მისამართზე გაგზავნილი დაზღვეული პაკეტი. დაე, იქ დარჩეს გამოუცნობი, მაგრამ უდავოდ მავნე და საშინელი მეტსახელით: საჭადრაკო მეურვე.

მზიან, ყინვადაკრულ ქუჩაზე მშობლების სახლისკენ ლუჟინთან ერთად ხელკავით მიმავალმა, სიტყვა ჩამოაგდო, რომ დიდი-დიდი, ერთი კვირის შემდეგ გაემგზავრებოდნენ, იქამდე კი აუცილებლად უნდა გასულიყვნენ ყველასგან მივიწყებულ საფლავზე. იქვე დარჩენილი დღეების გეგმაც შეადგინა: პასპორტები, დანტისტი, საყიდლები, გამოსათხოვარი საღამო და — პარასკევს — სასაფლაოზე წასვლა. დედის ბინაში ციოდა, ისე არა, როგორც ერთი თვის წინ, მაგრამ მაინც ციოდა. დედა იორდასალამებამოქარგულ შესანიშნავ შალში იფუთნებოდა და შემცივნებული იშმუშნებოდა. მამა სადილობისას მოვიდა, არაყი მოითხოვა, თან ხელებს შრიალით იფშვნეტდა. ლუჟინამ პირველად შეამჩნია, როგორი სევდა და სიცარიელე სუფევდა ამ გაწკრიალებულ ოთახებში; რომ მამის მხიარულება ისეთივე მოჩვენებითი იყო, როგორიც დედის ღიმილი, და რომ ორივენი მოხუცები და მარტოხელები იყვნენ, საბრალო ლუჟინი არ უყვარდათ და ცდილობდნენ, მომავალი გამგზავრება არ ეხსენებინათ. ქალს ყველა ის საშინელი გამოთქმა გაახსენდა, რომელიც მისი საქმროს მისამართით ოდესმე თქმულა. ავბედითი გაფრთხილებები და დედის ყვირილი: „ნაკუწ-ნაკუწ აგქნის, ღუმელში გამოგწვავს"... ცხოვრება კი რატომღაც ძალზე მშვიდობიანად, მაგრამ უსიხარულოდ მიედინებოდა, ყოველივეს უსიცოცხლო ღიმილი გადაჰფენოდა: პირფერულად გათამამებულ დედაკაცებს ნახატზე, ოვალურ სარკეებს, ბერლინურ სამოვარს, მაგიდასთან მჯდომ ოთხ ადამიანს.

— მყუდროება, — ფიქრობდა ამ დღეს ლუჟინი, — მყუდროება, მაგრამ ფარული პრეპარაციები.[1] სურს, რომ თავს მოულოდნელად დამესხას. ყურადღება, ყურადღება. კონცენტრირება და სიფრთხილე.

ბოლო დროს მისი ყველა აზრი საჭადრაკო ხასიათისა იყო, თუმცა ჯერჯერობით უძლებდა, — საკუთარ თავს ტურატისთან შეწყვეტილ პარტიაზე ფიქრი აუკრძალა, სანუკვარ გაზეთებს არ ათვალიერებდა — და მაინც მხოლოდ საჭადრაკო სახეებით აზროვნებდა, გონება ისე უმუშავებდა, თითქოს დაფასთან იჯდა. ზოგჯერ, ძილში, აქატისთვალება ექიმს ეფიცებოდა, — ჭადრაკს არ ვთამაშობ, მხოლოდ ერთხელ დავწყვე ფიგურები ჯიბის დაფაზე და გაზეთში მოყვანილი ორი-სამი პარტია განვიხილე, ისიც ისე, უსაქმობისგან გულგაწვრილებულმაო. არც ამ შემთხვევებში მიუძღოდა ბრალი — ეს სვლათა სერია იყო საერთო კომბინაციიდან, რომელიც ოსტატურად იმეორებდა რომელიღაც საიდუმლო თემას. ძნელია, ძალზე ძნელია შემდეგი გამეორების წინასწარ განჭვრეტა, მაგრამ ცოტაც და ყველაფერი გაცხადდება, და იქნებ თავდაცვასაც მიაგნოს...

მაგრამ მორიგი სვლა ძალზე ნელა მზადდებოდა. მყუდროება ორი-სამი დღე გაგრძელდა; ლუჟინმა პასპორტისთვის სურათი გადაიღო, ფოტოგრაფი ნიკაპზე ხელს ჰკიდებდა და თავს ოდნავ უსწორებდა, სთხოვდა, რომ პირი ოდნავ უფრო ფართოდ დაეღო და დაძაბული ზუზუნის ფონზე კბილს უბურღავდა. ზუზუნი წყდებოდა, დანტისტი შუშის თაროზე რაღაცას ეძებდა. როცა იპოვიდა, პასპორტს აშტემპელებდა, კალამს სწრაფად ამოძრავებდა და წერდა.

— ინებეთ, — ამბობდა იგი და ქაღალდს აწვდიდა, რომელზეც ორ რიგად ჩამწკრივებული კბილები ეხატა ორი კბილის თავზე მელნით დასმული ჯვრით. ამაში საეჭვო არაფერი იყო და ეს მზაკვრული მდუმარება ხუთშაბათამდე გაგრძელდა. ხუთშაბათს კი ლუჟინი ყველაფერს მიხვდა.

ჯერ კიდევ წინადღით მოიფიქრა საინტერესო ფანდი, რომლითაც იდუმალი მოწინააღმდეგის ხრიკების გაუვნებლება შეი-

[1] *პრეპარაცია — მზადება.*

ძლებოდა. ჩანაფიქრის მიხედვით, განზრახ უნდა ჩაედინა რაღაც უაზრო, მოულოდნელი, ცხოვრების გეგმაზომიერი მსვლელობიდან ამოვარდნილი ქმედება და მეტოქის მიერ ჩაფიქრებული სვლები აერ-დაერია. საცდელი თავდაცვა იყო, საალალბედო, მაგრამ შემდგომი საშინელი განმეორების გარდაუვალობით რეტდასხმულ ლუჟინს უკეთესი ვერაფერი მოეგონებინა. ხუთშაბათს, დღისით, როდესაც მაღაზიებში საყიდლებზე წასულ ცოლსა და სიდედრს ახლდა თან, უეცრად შეჩერდა და წამოიძახა:

— დანტისტი! დანტისტი დამავიწყდა.

— რა სისულელეა, ლუჟინ, — უთხრა ცოლმა, — გუშინ ხომ გითხრა, ყველაფერი დამთავრდაო.

— ზეწოლა, — ჩაილაპარაკა ლუჟინმა და თითი მაღლა ასწია, — თუ ბჟენს დააწვება. ითქვა, თუ დააწვება, ზუსტად ოთხ საათზე მოდითო. აწვება. ოთხს ათი უკლია.

— რაღაც აგერიათ, — გაეღიმა ცოლს, — მაგრამ თუ გტკივათ, წადით. მერე კი შინ დაბრუნდით, ექვსისთვის მეც მოვალ.

— ჩვენთან ოვახშმეთ, — დედის ხმაში ვედრება გაისმა.

— არა, საღამოს სტუმრები გვეყოლება — შენ რომ არ გიყვარს, ის სტუმრები.

ლუჟინმა დამშვიდობების ნიშნად ხელჯოხი გაიქნია, მოიხარა და ტაქსიში შეძვრა.

— პატარა მანევრი, — ჩაიცინა მან, მერე დასცხა და პალტო შეიხსნა. პირველივე მოსახვევის შემდეგ მძღოლს მანქანა გააჩერებინა, ფული გადაიხადა და სახლისკენ აუჩქარებლად გაემართა. უეცრად მოეჩვენა, რომ ეს ყველაფერი ოდესღაც ერთხელ უკვე გაეკეთებინა, და ისე შეეშინდა, იქვე მდებარე მაღაზიაში დურთა თავი — გადაწყვიტა, მეტოქე მოულოდნელი საქციელით დაებნია. მაღაზია საპარიკმახერო აღმოჩნდა, თანაც ქალების. ლუჟინი შეჩერდა, აქეთ-იქით იყურებოდა. მოღიმარმა ქალმა ჰკითხა, რა გნებავთო.

— ყიდვა... — თქვა ლუჟინმა თვალების ცეცებით, იქვე მდგარი ცვილის ბიუსტი დაინახა და ხელჯოხი გაიშვირა (მოულოდნელი, ბრწყინვალე სვლა).

— ეს არ იყიდება, — მიუგო ქალმა.

— ოცი მარკა, — თქვა ლუჟინმა და საფულე ამოიღო.

— ამ თოჯინას ყიდვა გსურთ? — უნდობლად ჰკითხა ქალმა. ვიღაც მიუახლოვდათ.

— დიახ, — ამოღერღა ლუჟინმა და ცვილის სახეს დააკვირდა.

— ფრთხილად, — ჩასჩურჩულა საკუთარ თავს, — მახეს ჰგავს.

ცვილის ქალბატონის გამოხედვა, მისი ვარდისფერი ნესტოები, ესეც იყო ოდესღაც.

— ვიხუმრე, — თქვა ლუჟინმა და საპარიკმახერო სწრაფად დატოვა. თავი საზიზღრად იგრძნო, ნაბიჯს აუჩქარა, თუმცა არსად აგვიანდებოდა.

— შინისკენ, შინისკენ, — ბუტბუტებდა იგი, — იქ ყველაფერს დავაწყობ.

სახლს რომ მიუახლოვდა, სადარბაზოსთან დიდი, შავად მოლაპლაპე ავტომობილი შეჩერდა. ქვაბქუდიანმა მამაკაცმა კარისკაცს რაღაც ჰკითხა. კარისკაცმა თვალი მოჰკრა ლუჟინს, თითი მისკენ გაიშვირა და შესძახა:

— აი, ისიც!

მამაკაცი შემოტრიალდა.

...ოდნავ მზედაკრული, რისგანაც თვალის გარსი თითქოს გაღიავებოდა, ძველებურად მოხდენილი, ზღვის კატის საყელოიან პალტოში გამოწყობილი, ყელზე თეთკაშნემოხვეული ვალენტინოვი ლუჟინისკენ მომხიბლავი ღიმილით დაიძრა და იგი პროჟექტორივით გაანათა, ამ შუქში ლუჟინის ფერმიხდილი სახე და ახამხამებული თვალები დაინახა. იმავე წამს ფერმიხდილ სახეზე ყოველგვარი გამომეტყველება გაქრა, ხელი, რომელიც ვალენტინოვს ორივე ხელისგულით ჩაებღუჯა, ჩვარს დამსგავსებოდა.

— ჩემო ძვირფასო ლუჟინ, — გაბრწყინებული სახით თქვა ვალენტინოვმა, — უზომოდ მიხარია შენი დანახვა. ჩემო კარგო, მითხრეს, ავად არის, ლოგინში წევსო. ეს ხომ რაღაც გაუგებრობაა...

სიტყვა „გაუგებრობაზე“ მახვილის დასმისას ვალენტინოვმა წითელი ტუჩები წინ წამოსწია და თვალები ალერსიანად მოჭუტა.

— მაგრამ სათუთი გრძნობები სხვა დროისთვის გადავდოთ, — გააწყვეტინა საკუთარ თავს და ქვაბქუდა თავზე ხმაურით დაიხურა, — წავიდეთ. ძალზე მნიშვნელოვანი საქმეა და დაყოვნება... დამღუ-

პველი იქნება, — დაასრულა მან და ავტომობილის კარი გამოაღო, შემდეგ ლუჟინს ზურგზე ხელი მოხვია, თითქოს მიწას მოსწყვიტა, გაიტაცა, დასვა და თვითონაც მის გვერდით დაებერტყა მანქანის დაბალ, რბილ საკარძელზე. წინა სკამზე გვერდულად იჯდა ტანდაბალი, ცხვირწაწვეტებული კაცუნა საყელოაწეული პალტოთი. როგორც კი უკან გადაწვა და ფეხები გადააჯვარედინა, ვალენტინოვმა ამ კაცუნასთან განაგრძო მძიმეზე შეწყვეტილი საუბარი, და მანქანის სიჩქარის მომატებასთან ერთად, თვითონაც უფრო სწრაფად ლაპარაკობდა. გესლიანად და საფუძვლიანად თათხავდა კაცს და ყურადღებასაც არ აქცევდა ლუჟინს, რომელიც გაშტერებული იჯდა კედელზე ფრთხილად მიყუდებული სტატუეტივით და თითქოსდა მძიმე ფარდის მეორე მხრიდან ჩაესმოდა ვალენტინოვის ბუნდოვანი, შორეული გუგუნი. ცხვირწაწვეტებულისთვის ეს გუგუნი კი არა, ძალზე მკვახე და საწყენი სიტყვები იყო, მაგრამ ვალენტინოვის ძალას ვერაფერს უპირისპირებდა და განაწყენებული მხოლოდ ოხრავდა და საცოდავი სახით თითით ჩიჩქნიდა ცხიმის პატარა ლაქას თავის შავ პალტოზე. ზოგჯერ, განსაკუთრებით მოსწრებულად გამოსროლილ სიტყვაზე, წარბებს მაღლა სწევდა და ვალენტინოვს მიაჩერდებოდა, მაგრამ მის ელვარებას ვერ უძლებდა, თვალებს მაშინვე ხუჭავდა და ნელა აქნევდა თავს. დატუქსვა თითქმის მგზავრობის ბოლომდე გაგრძელდა. როდესაც ვალენტინოვმა მსუბუქად უბიძგა ლუჟინს პანელისკენ, თვითონაც გადმოვიდა და კარი მიკეტა, განადგურებული კაცი არც განძრეულა. ავტომობილი მაშინვე დაიძრა, და თუმცა შიგნით უკვე სიხალვათე იყო, იგი ისევ დაღვრემილი და წელში მოკაკული იჯდა წინა სკამზე. ამასობაში ლუჟინი უსიცოცხლოდ, უაზროდ მისჩერებოდა კვერცხის ნაჭუჭივით თეთრ დაფაზე შავად გაკეთებულ წარწერა „ვერიტასს“, მაგრამ ვალენტინოვმა სწრაფად წაიყვანა და კლუბებში მიღებულ ტყავის საკარძელში ჩასვა, რომელმაც ავტომობილისაზე უფრო მტკიცედ ჩაითრია თავის სიღრმეში. სწორედ ამ დროს ვიღაცამ აღელვებული ხმით დაუძახა ვალენტინოვს. მან სიგარების გახსნილი ყუთი ლუჟინის მხედველობის შეზღუდულ არეში მოაქცია, მოიბოდიშა და გაუჩინარდა. მისი ხმის ექო კვლავაც თრთოდა ოთახში და ლუჟინისთვის, ნელა რომ მოდიოდა გონს, თანდათა-

ნობით და შეპარვით მაცდურ სახეს იღებდა. ამ ხმის, საჭადრაკო საცდურის მუსიკის გაგონებაზე, ლუჟინმა სასიყვარულო მოგონებების მსგავსი მომხიბლავი, ცრემლნარევი სევდით გაიხსენა მის მიერ ნათამაშები ათასამდე პარტია. არ იცოდა, რომელი ამოერჩია, რათა ცრემლების ფრქვევით დამტკბარიყო, ყველა ერთნაირად იზიდავდა და ეალერსებოდა მის წარმოსახვას და ისიც ერთიდან მეორისკენ დაფრინავდა, სიყვარულით ესალმებოდა სულის შემძვრელ კომბინაციებს. რა არ იყო აქ: სიქათქათე და მოხდენილობა, სადაც აზრი მარმარილოს საფეხურებით მიიწევდა გამარჯვებისკენ, ნაზი ჟრუანტელი დაფის კუთხეში, ვნებიანი აფეთქებები, სასიკვდილოდ ამაყად მიმავალი ლაზიერის ფანფარა... ყველაფერი შესანიშნავი იყო, სიყვარულის ყველანაირი გამოვლინება, მის მიერ არჩეული მიხვეულ-მოხვეული თუ საიდუმლო ბილიკები. მაგრამ ეს დამლუპველი სიყვარული იყო.

გასაღებს მიაგნო. შეტევის მიზანსაც ჩასწვდა. სვლების გარდაუვალი გამეორებით იგი კვლავ იმავე, სასიცოცხლოდ აუცილებელი ძილის დამანგრეველ ვნებას იწვევდა. განადგურება, საშინელება, უგუნურება.

— ოჰ, არ არის საჭირო, — ხმამაღლა თქვა ლუჟინმა და წამოდგომა სცადა. მაგრამ სუსტი იყო და მსუქანი, და არც საფლობი საკარძელი უშვებდა. ანდა რისი გაკეთება შეეძლო ახლა? მისი დაცვის გზა მცდარი აღმოჩნდა. მოწინააღმდეგემ ეს შეცდომა წინასწარ განჭვრიტა და ულმობელი სვლა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში შზადდებოდა, სწორედ ახლა გააკეთა. ლუჟინმა დაიკვნესა და ჩაახველა, დაბნეულად იყურებოდა ირგვლივ. მის წინ მრგვალი მაგიდა იდგა, ზედ ალბომები, ჟურნალები, ცალკეული ფურცლები, შეშინებული ქალებისა და მტაცებლურად თვალმოჭუტული მამაკაცების ფოტოსურათები ეწყო. ერთ-ერთზე ფერმიხდილი კაცი ეხატა უსიცოცხლო სახითა და დიდი, ამერიკული სათვალით — ცათამბჯენის ლაჟვარდანს ხელებით ჩაფრენოდა და სადაცაა, უფსკრულში ჩაინთქმებოდა. კვლავ გაისმა აუტანლად ნაცნობი ხმა: ვალენტინოვმა, დრო რომ არ დაეკარგა, შორიდანვე დაიწყო ლუჟინთან ლაპარაკი, და როდესაც კარი შეაღო, დაწყებული წინადადება განაგრძო:

— ...ახალი ფილმის გაშვება. მანუსკრიპტი ჩემი შექმნილია. წარმოიდგინე, ჩემო კარგო, ახალგაზრდა, ლამაზი, ვნებიანი ქალიშვილი მატარებლის კუპეში. ერთ-ერთ სადგურზე ახალგაზრდა, წესიერი ოჯახიშვილი კაცი შემოდის. და, აჰა, ღამე ვაგონში. ქალიშვილი იძინებს და ძილში ფეხებს შლის. დიდებული ახალგაზრდა ქალია. კაცი, — აი, ისეთი, სისხლ-ხორცით სავსე, — სრულიად წმინდა, გამოუცდელი ჭაბუკი, — თავს ველარ ერევა. ერთგვარ ტრანსში მყოფი, ქალიშვილს დააცხრება (ვალენტინოვი წამოხტა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს მძიმედ სუნთქავდა და, სადაცაა, თავს უნდა დასცხრომოდა). მამაკაცი გრძნობს სუნამოს სუნს, მაქმანიან საცვლებს, ახალგაზრდა მშვენიერ სხეულს... ქალი იღვიძებს, ცდილობს, თავიდან მოიცილოს, ყვირის (ვალენტინოვმა მუშტი პირთან მიიტანა და თვალები გადმოკარკლა...), შემორბის კონდუქტორი, მას მგზავრებიც ეხმარებიან. კაცს გაასამართლებენ და კატორღას მიუსჯიან. მოხუცი დედა ახალგაზრდა ქალთან მიდის და სთხოვს, რომ შვილი გადაურჩინოს. ქალიშვილის დრამა. საქმე ისაა, რომ პირველივე მომენტიდან, — იქ, ექსპრესში, — იგი მოხიბლულია, მოხიბლულია, მო-ო-ხიბლული, ვნებითაა აღვსილი. კაცს კი მის გამო, — ხომ გესმის, სად არის დაძაბულობა, — მის გამო კატორღაში გზავნიან.

ვალენტინოვმა შეისვენა და უფრო მშვიდად განაგრძო:

— ამას გაქცევა მოსდევს, თავგადასავლები. კაცი გვარს შეიცვლის, მალე სახელგანთქმული მოჭადრაკე ხდება. და სწორედ აქ მჭირდება, ჩემო კარგო, შენი დახმარება. თავში ბრწყინვალე აზრი მომივიდა. მინდა გადავიღო, როგორც ნამდვილი ტურნირი, რათა ჩემი გმირი რეალურ, ცოცხალ მოჭადრაკეებს შეერკინოს. ტურატი უკვე დამთანხმდა. მოზერიც. აუცილებლად გვჭირდება დიდოსტატი ლუჟინიც...

— ვიმედოვნებ, — განაგრძო ვალენტინოვმა ხანმოკლე პაუზის შემდეგ, რომლის დროსაც ლუჟინის სრულიად გულგრილ სახეს შეჰყურებდა, — ვიმედოვნებ, რომ ის დამთანხმდება. ბევრითაა ჩემგან დავალებული. ამ მოკლე გამოსვლისთვის გარკვეულ თანხას მიიღებს. ამასთან, გაიხსენებს, რომ, როცა მამამისმა ბედის ანაბარა მიატოვა, ფული არ დამნანებია. ვფიქრობდი, არა უშავს, შინაურები ვართ, გავსწორდებით-მეთქი. ახლაც ასე ვფიქრობ.

ამ დროს კარი ფართოდ გაიღო და ხუჭუჭთმიანმა, უპიჯაკო, აღელვებულმა მამაკაცმა გერმანულად, ვედრებით შესძახა:

— ოჰ, ბატონო ვალენტინოვ, ერთი წუთით, თუ შეიძლება!

— მაპატიე, ჩემო კარგო, — თქვა ვალენტინოვმა და კარისკენ წავიდა, მაგრამ უცებ მკვეთრად შემოტრიალდა, საფულე მოიჩხრიკა და მაგიდაზე, ლუჟინის წინ, რაღაც ფურცელი დააგდო.

— ცოტა ხნის წინ შევადგინე, — თქვა მან, — ამოხსენი ჩემს მოსვლამდე. ათ წუთში დაბრუნდები.

იგი გაქრა. ლუჟინმა ფრთხილად ასწია ქუთუთოები. ფურცელი ანგარიშმიუცემლად აიღო. ჟურნალიდან ამოჭრილი საჭადრაკო ამოცანის დიაგრამა. შამათი სამ სვლაში. დოქტორ ვალენტინოვის კომპოზიცია. მკაცრი და ეშმაკური ამოცანა იყო და, იცნობდა რა ვალენტინოვს, ლუჟინმა წამსვე იპოვა გასაღები. ამ ძნელმისახვედრ საჭადრაკო ფოკუსში თვალნათლივ დაინახა ავტორის ვერაგობა. ვალენტინოვის მიერ უხვად გამეტებული ბუნდოვანი სიტყვებიდან ერთ რამეს მიხვდა: არავითარი კინემატოგრაფი არ არსებობდა, კინემატოგრაფი მხოლოდ საბაბი იყო... ხაფანგი, ხაფანგი... ჭადრაკის თამაშში ჩათრევა, მერე კი შემდეგი სვლაც ცხადია. მაგრამ ეს სვლა არ გაკეთდება.

ლუჟინმა გაიბრძოლა, საშინლად დაიღრიჯა და სავარძელს თავი დააღწია. მოძრაობის სურვილმა შეიპყრო, ხელჯოხის ტრიალითა და თავისუფალი ხელის თითების ტკაცუნით დერეფანში გავიდა, ალალბედზე წავიდა და რომელიღაც ეზოს გავლით ქუჩაში მოხვდა, მის წინ ნაცნობნომრიანი ტრამვაი გაჩერდა. ავიდა და დაჯდა, მაგრამ მაშინვე წამოდგა და მხრების უცნაური მოძრაობით სხვა ადგილზე, ფანჯარასთან გადავიდა, გზად ტყავის სახელურებს სტაცებდა ხელს. ვაგონი ცარიელი იყო. კონდუქტორს ერთი მარკა მისცა და თავის ენერგიული ქნევით ხურდაზე უარი თქვა. ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა. კვლავ წამოხტა, კინაღამ დაეცა, რადგან ტრამვაი მოსახვევში შევიდა, და კარის სიახლოვეს გადაჯდა. დიდხანს ვერც იქ გაძლო. მოულოდნელად, ღმერთმა იცის, საიდან, ვაგონი სკოლის მოსწავლეებით, ათამდე დედაბრითა და ორმოცდაათამდე მსუქანი კაცით გაივსო. ლუჟინი კი მოძრაობას განაგრძობდა, ხალხს ფეხებზე აბიჯებდა. შემდეგ ბაქნისკენ გაძ-

ვრა. თავისი სახლის დანახვაზე გაქანებული ტრამვაიდან ჩამოხტა, ასფალტმა მარცხენა ქუსლის ქვეშ ჩაუქროლა, შემოტრიალდა და ზურგში დაარტყა. ხელჯოხი ფეხებში აებლანდა, უეცრად გათავისუფლებულ ზამბარასავით გამოვარდა, ცისკენ აიჭრა და მის გვერდით დაეცა. ორმა ქალმა მასთან მიირბინა და წამოაყენა. ხელისგულით პალტოდან მტვრის მოცილებას შეუდგა, შლაპა დაიხურა და უკან მოუხედავად სახლისკენ გაეშურა. ლიფტი გაფუჭებული აღმოჩნდა, მაგრამ ლუჟინმა ეს არაფრად ჩააგდო. მოძრაობის წყურვილი ბოლომდე ჯერაც არ მოეკლა. კიბეს აუყვა, და რადგან ძალიან მაღლა ცხოვრობდა, აღმასვლა დიდხანს გაგრძელდა. მოეჩვენა, რომ ცათამბჯენზე მიცოცავდა. როგორც იქნა, ბოლო უჯრედს მიაღწია, სული მოითქვა, გასაღები საკეტში აახრაშუნა და წინკარში შევიდა. კაბინეტიდან მის შესახვედრად ცოლი გამოვიდა. სახე ასწითლებოდა, თვალები უბრწყინავდა.

— ლუჟინ, — უთხრა მან, — სად იყავით?

კაცმა პალტო გაიხადა, ჩამოკიდა, მერე სხვა კაუჭზე გადაკიდა, კიდევ აპირებდა ფუსფუსს, მაგრამ ცოლი ძლიერ ახლოს მივიდა. მან უკან დაიხია, ქალს ნახევარწრეზე შემოუარა და კაბინეტში შევიდა. ცოლი კვალდაკვალ მიჰყვა.

— გამაგებინეთ, სად იყავით. ხელები რას გიგავთ? ლუჟინ!

ლუჟინი კაბინეტში ბოლთის ცემას მოჰყვა, მერე საძინებელში გავიდა და გულმოდგინედ დაიბანა ხელები დიდ, მომწვანო-მოთეთრო, პლუშშემოკრულ თასში.

— ლუჟინ! — დაბნეულად შესძახა ცოლმა, — ვიცი, რომ დანტისტთან არ ყოფილხართ. ახლახან დავურეკე. რამე მაინც მითხარით.

ლუჟინმა ხელები პირსახოცზე შეიმშრალა, საძინებელს წრე დაარტყა და კვლავაც გაშეშებული მზერით კაბინეტში დაბრუნდა. ცოლმა მხარში ხელი სტაცა, მაგრამ ვერ შეაჩერა. ლუჟინი ფანჯარასთან მივიდა, შტორი გასწია, საღამოს ლურჯ ბინდბუნდში მოციმციმე სინათლის ნაპერწკლებს გახედა, ტუჩები მოიღეჭა და გზა განაგრძო. უცნაური სეირნობა დაიწყო. სამ მომიჯნავე ოთახში ლუჟინი წინ და უკან დადიოდა, თითქოს გარკვეული მიზანი ამოძრავებდა. ცოლი ხან გვერდით მიჰყვებოდა, ხანაც სადმე ჩამოჯდებოდა ხოლმე და ქმარს დაბნეულად შესცქეროდა. დროდადრო

ლუჟინი დერეფანში გადიოდა, იმ ოთახებში შეიხედავდა, ფანჯრებით ეზოს რომ გადაჰყურებდა, და კვლავ კაბინეტში ჩნდებოდა. ზოგჯერ ქალს ეჩვენებოდა, რომ ეს ლუჟინის ერთ-ერთი უცნაური ხუმრობა იყო, მაგრამ ქმრის სახეზე ამგვარი... თითქოსდა... საზეიმო გამომეტყველება არასდროს ენახა. სიტყვები ვერ მოეძებნა, მაგრამ ამ სახის დანახვაზე ენით აუწერელი შიშის მოზღვავებას გრძნობდა. ლუჟინი კი ხველებ-ხველებითა და ქოშინით, თანაბარი ნაბიჯებით კვლავაც განაგრძობდა ოთახებში სიარულს.

— დაჯექით, ლუჟინ, ღვთის გულისთვის, — ჩუმად ეუბნებოდა ცოლი და თვალს არ აცილებდა, — მოდით, რამეზე ვილაპარაკოთ. ლუჟინ! თქვენთვის ნესესერი ვიყიდეთ. დაჯექით, ბოლოს და ბოლოს, გთხოვთ! მოგკლავთ ამდენი სიარული. ხვალ სასაფლაოზე წავალთ. კიდევ ბევრი რამ უნდა მოვასწროთ. ნესესერი ნიანგის ტყავისაა. გთხოვთ, ლუჟინ!

მაგრამ კაცი განუწყვეტლივ დადიოდა. იშვიათად მხოლოდ ფანჯრებთან თუ შეანელებდა ნაბიჯს, ხელს ასწევდა, გადაიფიქრებდა და გზას განაგრძობდა. სასადილო ოთახში სუფრა რვა კაცზე გაეწყოთ. უეცრად ქალს გაახსენდა, რომ საცაა, სტუმრებიც გამოჩნდებოდნენ, — უკვე გვიან იყო მათთან დარეკვა და გაფრთხილება, რომ აღარ მოსულიყვნენ, აქ კი... ეს საშინელება.

— ლუჟინ, — შესძახა მან, — ახლა ხომ სტუმრები მოვლენ! არ ვიცი, როგორ მოვიქცე... რამე მითხარით. იქნებ უბედურება შეგემთხვათ, იქნებ თქვენთვის არასასურველი რომელიმე ნაცნობი შეგხვდათ? არ დამიმალოთ. ძალიან გთხოვთ, მეტი აღარ შემიძლია...

და უეცრად ლუჟინი შეჩერდა. ეს ისე მოხდა, თითქოს მთელმა სამყარომ შეწყვიტა მოძრაობა. სასტუმრო ოთახში იყვნენ, გრამოფონის გვერდით.

— სდექ! — ჩუმად წარმოთქვა ქალმა და ტირილი აუვარდა.

ლუჟინი ჯიბეებიდან ნივთების ამოლაგებას შეუდგა. ჯერ ავტოკალამი ამოიღო, შემდეგ დაჭმუჭნილი ცხვირსახოცი, კიდევ ერთი, აკურატულად დაკეცილი, დილით რომ მისცეს; ამას პორტსიგარი მოჰყვა სახურავზე გამოსახული სამცხენა მარხილით

— სიდედრის საჩუქარი, შემდეგ პაპიროსის წითელი, ცარიელი კოლოფი, ორი ღერი ოდნავ გაღუნული პაპიროსი. საფულე და ოქროს საათი — სიმამრის საჩუქარი — განსაკუთრებით ფრთხილად ამოიღო. კიდევ აღმოჩნდა ატმის დიდი კურკა. ყველა ეს ნივთი მან გრამოფონის პატარა კარადაზე დააწყო და შეამოწმა, რამე ხომ არ დამრჩაო.

— მგონი, სულ ესაა, — თქვა ლუჟინმა და მუცელზე პიჯაკი შეიკრა. ცოლმა თავი ასწია, სახე ცრემლებით დანამოდა. გაოცებით მიაშტერდა ქმრის მიერ დაწყობილ პატარა კოლექციას.

ლუჟინი ცოლს მიუახლოვდა და თავი ოდნავ დაუკრა.

ქალმა მზერა ქმრის სახეზე გადაიტანა, კიდევ ჰქონდა იმედი, რომ ნაცნობ ცალყბა ღიმილს წააწყდებოდა, — და მართლაც: ლუჟინი იღიმებოდა.

— ერთადერთი გამოსავალი — თამაშიდან გასვლაა, — თქვა მან.

— თამაში? ვითამაშოთ? — ალერსიანად ჰკითხა ცოლმა და იმავდროულად გაიფიქრა, რომ სახეზე პუდრი უნდა წაესვა — სტუმრები წუთი-წუთზე მოვიდოდნენ.

ლუჟინმა ხელები მისკენ გაიწვდინა. ქალმა ცხვირსახოცი მუხლებზე დაიდო და სასწრაფოდ შეაგება თითები.

— კარგი იყო, — თქვა ლუჟინმა და ცოლს ჯერ ერთ ხელზე ეამბორა, მერე — მეორეზე, როგორც ქალმა ასწავლა.

— ლუჟინ, თქვენ რა, მემშვიდობებით?

— დიახ, დიახ, — მიუგო ლუჟინმა და თავი დაბნეულად მოაჩვენა. შემდეგ შეტრიალდა, ჩაახველა და დერეფანში გავიდა. იმავე წამს წინკარიდან ზარის ხმა გაისმა — მოწესრიგებული სტუმრის გულწრფელი ზარი. ცოლი ქმარს დერეფანში დაეწია და ხელი სახელოში ჩაავლო. ლუჟინი შემობრუნდა, არ იცოდა, რა ეთქვა და ქალს ფეხებზე დააცქერდა. სილრმიდან მოახლე გამოვარდა, და ვინაიდან დერეფანი საკმაოდ ვიწრო იყო, მცირე შეხლა-შემოხლა მოხდა: ლუჟინმა ჯერ ოდნავ უკან დაიხია, მერე წინ გადადგა ნაბიჯი. ცოლიც ხან აქეთ ეცა, ხან — იქით, თან თმას ისწორებდა. მოახლე რაღაცას ბურტყუნებდა, თავი დაეხარა და მათ შორის გაძრომას ცდილობდა. როდესაც ამის გაკეთება მოახერხა და დერეფნისა და წინკარის გამყოფი პორტიერის მილმა გაუჩინარდა,

ლუჟინმა ცოლს თავი კიდევ ერთხელ დაუკრა და სწრაფად შეაღო კარი, რომლის გვერდითაც იდგა. ქალი გაუცნობიერებლად ჩააფრინდა იმ კარის სახელურს, რომლის მიკეტვასაც კაცი აპირებდა. ლუჟინმა კარი დაქაჩა, ცოლმაც უფრო მაგრად ჩაავლო ხელი მეორე მხრიდან, თან შფოთიანი სიცილი აუტყდა და ჯერაც საკმაოდ ღრმა ნაპრალში მუხლის შეყოფა სცადა, — მაგრამ ლუჟინი მთელი ტანით მიაწვა, კარი მიხურა, ურდული გაატკაცუნა და საკეტში გასაღები ორჯერ გადაატრიალა. ამასობაში წინკარში უკვე ხმები გაისმოდა, ვიღაც სულს ითქვამდა, ვიღაცები ერთმანეთს ესალმებოდნენ.

კარი რომ ჩაკეტა, ლუჟინმა ჯერ შუქი აანთო. მარცხენა კედელთან თეთრად გამოანათა მომინანქრებულმა აბაზანამ. მარჯვნივ ფანქრით შესრულებული ნახატი ეკიდა: კუბი, რომელიც ჩრდილს ქმნიდა. სიღრმეში, ფანჯარასთან, დაბალი კამოდი იდგა. ფანჯრის ქვედა ნაწილს ცისფრად მოელვარე, გაუმჭვირვალე ყინულის თანაბარი ფენა გადაჰკროდა, ზემოთ კი სარკესავით ლაპლაპებდა შავი, კვადრატული ღამე. ლუჟინმა ქვედა ჩარჩოს სახელურზე დაქაჩა, მაგრამ რაღაც გამოსდებოდა და არ გაიღო. წამით ჩაფიქრდა, შემდეგ აბაზანასთან მდგარ მაგარ, თეთრ სკამს ხელი საზურგეზე დაადო და მზერა ფანჯარაზე განფენილ სქელ ყინულზე გადაიტანა. ბოლოს გადაწყვეტილება მიიღო, სკამს ფეხებში ჩაავლო ხელი და საზურგის კიდით ტარანივით დაარტყა. გაისმა ტკაცუნი, კიდევ მიარტყა და უეცრად გაყინულ ფანჯარაში შავი, ვარსკვლავისებური ხვრელი გაჩნდა. მომლოდინე სიჩუმის წამი ჩამოდგა. შემდეგ ქვემოთ, სიღრმეში, რაღაცამ ნაზად დაიწკრიალა და დაიმსხვრა. ხვრელის გასაფართოებლად ერთხელაც მიარტყა, და შუშის სოლისებრი ნატეხი მის ფეხებთან გადატყდა. ლუჟინი გაირინდა. კარს მიღმა ხმები ისმოდა. ვიღაცამ დააკაკუნა. ვიღაცამ ხმამაღლა მიმართა სახელით. შემდეგ კვლავ სიჩუმემ დაისადგურა და ცოლის მკაფიო ხმა გაიგონა:

— ლუჟინ, საყვარელო, გამიღეთ, გეთაყვა.

ლუჟინს სუნთქვა უჭირდა. სკამი დაუშვა და ფანჯარაში თავის გაყოფა სცადა. ჩარჩოში კიდევ დარჩენილიყო დიდი, წვეტიანი ნატეხები. კისერი რაღაცამ გაუსერა და თავი სწრაფად შემოყო უკან —

არა, ვერ გაეტეოდა. კარზე მუშტის ბრახუნი გაისმა. ორი მამაკაცი ერთმანეთს ეკამათებოდა, და ამ ქუხილში ცოლის ჩურჩული ელვასავით იკლაკნებოდა. ლუჟინმა გადაწყვიტა, მინა აღარ გაეტეხა, რადგან დიდ ხმას გამოსცემდა. ზემოთ აიხედა. იქაც ფანჯარა დაინახა. მაგრამ როგორ მისწვდენოდა? უხმაუროდ და ფრთხილად, ისე, რომ არაფერი დაეზიანებინა, კამოდიდან სხვადასხვა საგნები გადმოაწყო, მათ შორის სარკე, ბოთლი და ჭიქა. ნელა ირჯებოდა და საფუძვლიანად, ასე რომ, ტყუილუბრალოდ აჩქარებდა კარზე ატეხილი ბრახაბრუხი. გადასაფარებელიც აიღო და კამოდზე ასვლა სცადა, რომელიც წელამდე სწვდებოდა, მაგრამ გაუძნელდა. დასცხა. ჰიჯაკი გაიხადა და მაშინღა შეამჩნია, რომ ხელები დასისხლიანებოდა, ჰერანგის გულისპირი წითლად მოთხვროდა. როგორც იქნა, აძვრა. დამძიმებულ კამოდს ჭრაჭაჭრუჭი გაჰქონდა. სწრაფად გაიწვდინა ხელები ზედა ჩარჩოსკენ, უკვე გრძნობდა, რომ გრუხუნი და ხმები აქეზებდა და უნდა აჩქარებულიყო. ხელი ასწია და ჩარჩო მაგრად გადმოსწია. ფანჯარა გაიღო. შავი ცა. იქიდან, ცივი წყვდიადიდან, ცოლის ჩუმი ხმა მოესმა: „ლუჟინ, ლუჟინ!“ გაახსენდა, რომ მოშორებით, ცოტა მარცხნივ, საძინებლის ფანჯარა მდებარეობდა და სწორედ იქიდან მოძვრებოდა ეს ჩურჩული. ამასობაში კარს მიღმა ხმაურმა და შეძახილებმა იმატა, ოცამდე კაცი იქნებოდა შეგროვილი, — ვალენტინოვი, ტურატი, ყვავილებიანი მოხუცი, რომელიც ქშინავდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა ბგერებს; კიდევ სხვები და სხვები; ყველანი ერთად ურტყამდნენ რაღაცას აცახცახებულ კარს. მაგრამ კვადრატული ღამე ჯერაც ძალიან მაღლა იყო. ლუჟინმა ცალ ფეხზე დაიჩოქა და სკამი კამოდზე აათრია. სკამი ყანყალებდა და წონასწორობის დაცვას ართულებდა, მაგრამ ლუჟინმა მაინც მოახერხა ზედ შედგომა. ახლა უკვე თავისუფლად შეეძლო შავი ღამის ქვედა კიდეს იდაყვებით დაყრდნობოდა. ისე ხმამაღლა სუნთქავდა, ღამის საკუთარი თავი დააყრუა. კარსიქითა ყვირილი სადღაც შორს დარჩა, სამაგიეროდ, გაცილებით მკაფიოდ ისმოდა გამყინავი ხმა საძინებლის ფანჯრიდან. დიდი ძალისხმევის შედეგად ლუჟინი უცნაურ და აუტანელ მდგომარეობაში აღმოჩნდა: ცალი ფეხი გარეთ ჰქონდა გაყოფილი, მეორე — ღმერთმა იცის, სად, ტანი კი

ვერაფრით გაეძვრინა. მხარზე პერანგი გახეოდა, სახე მთლიანად ოფლით დაცვაროდა. ხელი მაღლა რაღაცას ჩასჭიდა და ფანჯრის ღიობში გვერდულად გაძვრა. ახლა ორივე ფეხი გარეთ ეკიდა, მხოლოდ ხელი უნდა გაეშვა იმისთვის, რასაც ჩასჭიდებოდა, და გადარჩებოდა. ხელის გაშვებამდე ქვევით ჩაიხედა. იქ გამალებული მზადება მიმდინარეობდა. ფანჯრების ანარეკლი თავს ერთად იყრიდა და მწკრივებად ეწყობოდა, მთელი უფსკრული მკრთალ და მუქ კვადრატებად იყოფოდა, და იმ წამს, როდესაც ლუჟინმა ხელის თითები გაშალა, იმწამს, როდესაც პირში ყინულივით ცივი ჰაერი ეძგერა, მან დაინახა, რომ მის წინ ულმობელი და პირმოთნე მარადისობა გადაჭიმულიყო.

კარი შეამტვრიეს.

— ალექსანდრ ივანოვიჩ, ალექსანდრ ივანოვიჩ! — იღრიალა რამდენიმე ხმამ.

მაგრამ სადღა იყო ალექსანდრ ივანოვიჩი.

4LOVE.GE